ERIH PLUS
EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

DOI: 10.36172/EKONOMISTI
p ISSN 1987-6890
e ISSN 2346-8432

# ეკონომისტი
# EKONOMISTI

*საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი*
*International Scientific-Analytical Journal*

**1**

**2024**

ტომი – VOLUME

**XX**

UDC33
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

# ეკონომისტი
# EKONOMISTI

2024

1

ტომი-VOLUME
XX

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი**

**საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics**
**International Reviewed Scientific-Analytical Journal**

EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

**გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,**
**2016 წლიდან – კვარტალში ერთხელ**

**Published scince January 2009 once in two months,**
**Scince 2016 - Quarterly**
**-**



***რედაქციის მისამართი:*** *თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14;*
ტელ.: 293 34 44; 599 970103.

**Address:** Tbilisi, 0105, Kikodze street,
**tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103.**

## სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:**
რამაზ აბესაძე **(მთავარი რედაქტორი),** იური ანანიაშვილი, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი (აკადემიკოსი), ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, მირიან ტუხაშვილი, თეიმურაზ შენგელია, მურმან ცარციძე, ნოდარ ჭითანავა (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი (აკადემიკოსი).

## სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები

ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სპეციალური მრჩეველი), ფრენკ არაუჰო (პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი), ლარისა ბელინსკაია (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), სიმონე გუერჩინი (პროფესორი, ფლორენციის უნივერსიტეტი), ბარნი ერედია (პროფესორი, კალიფორნია, აშშ), ვოლფგანგ ვენგი (პროფესორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (პროფესორი, კლერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (პროფესორი. ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), სტივენ კოენი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი), ვლადიმერ მენშიკოვი (პროფესორი, დაუგავილის უნივერსიტეტი, ლატვია), სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (პროფესორი, ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პროფესორი, პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი), ადამ ნიუმენ ტიორნერი (პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

**მთავარი რედაქტორის თანაშემწე** – ეკონომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**

**პასუხისმგებელი მდივანი** – ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**

## SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

**Doctors of economics, Professors:**

Ramaz Abesadze (**Editor-in-chief),** Yuri Ananiashvili, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava (academician of the Academy of Agricultural Science), Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti (academician), Revaz Kakulia, Eter Kharaishvili, Paata Koghuashvili (academician of the Academy of Agricultural Science), Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Vladimer Papava (academician), Solomon Pavliashvili (academician), Ushangi Samadashvili, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze, Murman Tsartsidze, Mirian Tukhashvili.

## FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Jeffrey D. Sachs (Professor at Columbia University, UN Special Adviser), Frank P . Araujo (Professor, University California at Berkeley, University California at Davis), Larisa Belinskaia (Professor, Vilnius University), Steven Cohen (Professor, Columbia University,), Barney Eredia (Professor, President at Educational Consortium Institute at Aptos), Ruslan Grinberg (Corresponding member of RAS), Simone Guercini (Professor, University of Florence), Eldar Ismailov (Professor, Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (Professor, Vilnius University), Vladimir Menshikov ( Professor, Daugavpils University, Latvia ), Slavomir Partycki (Professor, The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Professor, Kharkiv Technical University), Darrol J. Stanley (Professor, University of Pepperdine), Oleksiy Stupnitskyy (Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv), Adam Newman Turner (Professor of Management at Leicester University), Wolfgang Weng (Professor, Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Professor, Claremont Graduate University).

**Assistant Editor-in-chief** – Doctors of economics **Mamuka Khuskivadze**

**Executive Secretary** – Doctors of economics **Tea lazarashvili**

## НАУЧНО-РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

**Доктора экономических наук, Профессора:**

Рамаз Абесадзе (**главный редактор**), Юрий Ананиашвили, Гиви Бедианашвили, Теймураз Беридзе, Георгий Берулава, Вахтанг Бурдули, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия, Михаил Джибути (академик), Реваз Какулия, Темур Канделаки, Мурман Кварацхелия, Паата Когуашвили (академик Академии сельскохозяйственных наук), Элгуджа Меквабишвили, Владимир Папава (академик), Соломон Павлиашвили (академик), Ушанги Самадашвили, Теймураз Шенгелия, Автандил Силагадзе (академик), Автандил Сулаберидзе, Мириан Тухашвили, Мурман Царцидзе, Этер Хараишвили, Нодар Читанава (академик Академии сельскохозяйственных наук).

## ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ НАУЧНО-РЕДАКЦИОННОГО СОВЕТА

Джеффри Д. Сакс (профессор, Колумбийский университет, Специальный советник ООН), Франк П. Арауджо (профессор, Калифорнийский университет в Беркли, Калифорнийский университет в Дэвисе), Лариса Белинская (профессор, Вильнюсский университет), Стивен Коэн (профессор, Колумбийский университет, Нью-Йорк, США), Барни Эредиа (профессор, Калифорния, США), Руслан Гринберг (Член-корреспондент РАН), Симоне Гуерчини (профессор, Университета Флоренции), Эльдар Исмаилов (профессор, Бакинский институт социального управления и политологии), Гиндра Каснаускене (профессор, Вильнюсский университет), Владимир Меньшиков (Профессор, Даугавпилсский университет, Латвия), Славомир Партицкий (профессор, Люблинский католический университет Иоанна Павла II), Галина Савина (профессор, Харьковский технический университет), Даррол Дж. Стэнли (профессор, Университет Пеппердайна), Алексей Юступницкий (профессор, Киевский национальний университ имени Тараса Шевченко), Адам Ньюман Тернер (профессор, Лестерский университет), Вольфганг Венг (профессор, Технический университет Берлина), Томас Д. Виллетт (профессор, Университет Клермонта).

**Памощник главного редактора** - доктор економики **Мамука Хускивадзе**

**Ответственный секретарь** - доктор экономики **Теа Лазарашвили**

# ს ა რ ჩ ე ვ ი - CONTENTS

*საიუბილეო თარიღი* **8**

## ენერგეტიკა - POWER SYSTEM

***ზურაბ გარაყანიძე*** – „ნახევრად-სანქციების" როლი ცენტრალური ევროპის გაზმომარაგების მონოპოლიზაციაში **10**

***Zurab Garakanidze*** – The so-called half-sanctions' role in Central Europe's gas supply monopolization (Expanded Summary) **22**

## მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

***ემირ ეთერია*** – საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები 2014-2023 წლებში: ასოცირებიდან კანდიდატობამდე **23**

***Emir Eteria*** – EU-Georgia Economic Relations during 2014-2023: From Association to Candidacy (Expanded Summary) **35**

***Givi Bedianashvili, Zviad Gabroshvili*** – Blockchain Technologies for Managing Public Debt **37**

***გივი ბედიანაშვილი, ზვიად გაბროშვილი*** – ბლოკჩეინ ტექნოლოგიები სახელმწიფო ვალის მართვისთვის **44**

## ბიზნესი – BUSINESS

***Zurab Tsereteli*** – Problems of Economic Security of the Enterprise and Ways to Overcome Them **45**

***ზურაბ წერეთელი*** – საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები და მათი დაძლევის გზები **50**

## დემოგრაფია – DEMOGRAPHY

***Lela Menabdishvili, Nana Menabdishvili, Nino Gomelauri*** – Transformation of Socio-Demographic Behavior in the Georgian Family **57**

***ლელა მენაბდიშვილი, ნანა მენაბდიშვილი, ნინო გომელაური*** – სოციალ-დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაცია ქართულ ოჯახში **66**

## ინფორმატიკა – INFORMATICS

***თეა მუნჯიშვილი*** – ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირების მანქანური სწავლების პროგრამული სისტემის შემუშავება **70**

***Tea Munjishvili*** – The Development of a machine learning software system for predicting business financial results (Expanded Summary) **83**

## საქართველოს ეკონომიკა – ECONOMY OF GEORGIA

***ნინო ჟორჟიკაშვილი*** – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე **86**

***Nino Zhorzhikashvili*** – The influence of direct foreign investments on the economy of Georgia **91**

## შრომის ბაზრის ეკონომიკა – LABOR MARKET ECONOMICS

*ვლადიმერ ბასარია* – განათლების სისტემისა და ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების ურთიერთკავშირის საკითხისათვის **94**
***Vladimer Basaria*** **–** For the issue of interrelationship between education system and youth employment problems **99**

## ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

*შოთა აბზიანიძე, თენგიზ ვერულავა* – კანაბინოიდების, ჰალუცინოგენე-ბისა და სტიმულატორების მოხმარება ახალგაზრდებს შორის საქართვე-ლოში **102**
***Shota Abzianidze, Tengiz Verulava*** – Use of cannabinoids, hallucinogens and stimulants among young people in Georgia (Expanded Summary) **123**

## დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები
## PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

***Niko Khutsishvili*** – Economic policy that promotes the implementation of innovations in Georgian Agriculture, through Industry 4.0 **125**
*ნიკო ხუციშვილი* – საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინოვაციების გან-ხორციელების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა მეოთხე ინდუსტრი-ული რევოლუციის ფონზე **133**

*თეონა მაკალათია* – გლობალური პანდემიების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე **146**
***Teona Makalatia*** – Implications of diseases on financial reporting and auditing (Ex-panded Summary) **150**

*სალომე თვალოძე* – საქართველოში მდგრადი ფინანსური პროდუქტებისა და მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდენციების ანალიზი **153**
***Salome Tvalodze*** – Analysis of Sustainable Financial Products and Sustainable Fi-nance Market Trends in Georgia (Expanded Summary) **164**

*გიორგი ჭოჭუა* – საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება და მდგრადი ტურიზმის პერსპექტივები **166**
***Giorgi Tchotchua*** – Landscape diversity of Georgia and perspectives of sustainable tourism (Expanded Summary) **171**

*მარიამ ქუთათელაძე* – სასტუმრო მომსახურების ხარისხისზე მოქმედი ფაქტორები და შეფასების ძირითადი ასპექტები **173**
***Mariam Kutateladze*** – Factors Effecting on Quality of Hotel Service and Main Aspects of Assecment **186**

## საიუბილეო თარიღი



### პროფესორი გიორგი მალაშხია - 90

*„ჭეშმარიტების მივდევ ნათებას, სანთლით დავეძებ, ფიქრებში ვხედავ..."*
*გიორგი მალაშხია*

გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტსა და პედაგოგს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი მალაშხიას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი და ჟურნალ „ეკონომისტის" რედაქცია დიდი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით ულოცავს პროფესორ გიორგი მალაშხიას ამ ღირშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

****

გიორგი მალაშხია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი დარგობრივი სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, არაერთი ქართული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მსოფლიო მასშტაბის აღიარებული მეცნიერი და ღვაწლმოსილი პედაგოგი - დღეს 90 წლისაა.

ბატონი გიორგი ნახევარ საუკუნეზე მეტი მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, სოციალური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ფინანსების სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებელში. მისი ხელმძღვანელობითა და ზრუნვით აღიზარდა უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტთა არაერთი თაობა.

გიორგი მალაშხია დღეს 300-მდე მეცნიერული და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორია, ისინი გამოქვეყნებულია ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმში, სადაც ღირსეულად წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანას. ბატონი გიორგი მიწვეულია მრავალი ქართული და საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლე-

გიაში, რამდენიმე ათეული სადოქტორო ნაშრომი იქნა მომზადებული მისი ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით.

გია მალაშხიას უმნიშვნელოვანესი წვლილი აქვს შეტანილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების მეცნიერულ კვლევაში. მისი ნაშრომებით ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და სადისერტაციო ნაშრომების მომზადებისას.

გიორგი მალაშხია არის ის აღიარებული მეცნიერი, რომლის იდეები, მაგალითად, ეკონომიკის ადამიანურობის პრობლემა, საერთაშორისო მეცნიერული დისკუსიის საგანს წარმოადგენს, ხოლო მისი ნაშრომები ხასიათდება მოვლენებისა და პროცესების ორიგინალური და ღრმა წვდომით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ახლებური ხედვით. სამეცნიერო საზოგადოებაში უდიდესი აღიარებით სარგებლობს მისი ნაშრომები: „დიდი ილია“, „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“, „საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები“, „სოფელი და კაცობრიობა“, „მოგების მეტათეორია“, „სოციალური ენერგია, სიმდიდრე, კეთილდღეობა“, „ზომიერი ადამიანი“, „ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები“, „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის შუქჩრდილები“ და მრავალი სხვა.

ბატონი გიორგი მალაშხია კვლავაც დგას ქართული მეცნიერების, ჰუმანურობისა და ანტროპოცენტრული ფილოსოფიის განვითარების წინა ხაზზე. ამაგდარ მეცნიერსა და მოაზროვნეში ჰარმონიულად ერწყმის ჭაბუკთა შემართება, თითქმის საუკუნოვან სიბრძნეს!

ვუსურვოთ ღირსებით დამშვენებულ მამულიშვილს, პატრიოტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გიორგი მალაშხიას, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, მზეგრძელობა, კიდევ მრავალი ბრწყინვალე ნაშრომის შესაქმნელად!

**პაატა კოღუაშვილი, ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**
**რამაზ აბესაძე, პროფესორი**

**ენერგეტიკა - POWER SYSTEM**

***ზურაბ გარაყანიძე***
*ეკონომიკის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის*
*თავდაცვის ეროვნული აკადემიის ასოცირებული პროფესორი*

# „ნახევრად-სანქციების" როლი ცენტრალური ევროპის გაზმომარაგების მონოპოლიზაციაში

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Zurab.Garakanidze

***ანოტაცია.*** *ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური საფრთხეებიდან ერთ-ერთი უმწვავესია ენერგეტიკული სანქციები. სწორედ ამიტომ აირჩია დასავლეთმა ომის პირობებში რუსეთზე ზეწოლის ბერკეტად ამ ქვეყნიდან გაზის იმპორტის შეწყვეტა. თუმცა, სანქციებს ყველა წევრი ქვეყანა არ შეუერთდა და რუსულმა „გაზპრომმა" ამ ქვეყნების ენერგეტიკულ ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაიმყარა. შესაბამისად, მოსკოვმა გაზის მონოპოლიურად მაღალ ფასად რეალიზაციის შედეგად სანქციებიდან მიღებული ზარალი მინიმუმამდე შეამცირა, თანაც ამ ქვეყნებზე მისი პოლიტიკური ზეწოლა გაზარდა.*

*სტატიაში განხილულია რფ-ს და ევროკავშირის ენერგეტიკული დაპირისპირების ფაქტები და წინადადებები, რომლითაც საქართველომ, როგორც კანდიდატმა ქვეყანამ, შეუძლია უპასუხოს ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების გამოწვევებს. მაგალითად, 2022 წლის 27 აპრილიდან „გაზპრომმა" მთლიანად შეაჩერა გაზის მიწოდება კომპანია „ბულგარგაზისთვის" (Bulgargaz), იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვა საფასურის რუსულ რუბლებში გადახდაზე. საპასუხოდ, 2022 წლის ივნისში საქართველოზე გამავალი „სამხრეთის გაზის დერეფანში" მყოფი „სამხრეთკავკასიური გაზსადენით" დაიწყო აზერბაიჯანული გაზის ბულგარეთისთვის საცდელი მიწოდება. ევროკავშირის იმავე „დერეფანში" მყოფი „ტრანსადრიატიკული გაზსადენის" (TAP) ბულგარეთ-საბერძნეთის ინტერკონექტორის* - IGB-ის გავლით, სატესტო რეჟიმში ბულგარეთისთვის აირის მიწოდება 2022 წლის ივნისის ბოლომდე განხორციელდა, ხოლო 2022 წლის 2 ივლისიდან 2023 წლის ბოლომდე უკვე 1 მლრდ კუბ. მეტრი აზერბაიჯანული აირის სახელშეკრულებო მოცულობის მიწოდება განხორციელდა, რაც 2024 წლის ბოლოსთვის 3 მლრდ კუბ. მეტრამდე გაიზრდება.*

*„ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნით" აზერბაიჯანიდან გაზს, „ტრანსადრიატიკული გაზსადენის" (TAP) საშუალებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები - იტალია და საბერძნეთი, მოგვიანებით კი ბულგარეთი, 2020 წლის 31 დეკემბრიდან იღებენ. ინტერკონექტორი IGB-ის ექსპლუატაციაში სრულად შესვლის შემდეგ, იგეგმება მისი საპროექტო სიმძლავრის გაზრდა, რაც მართალია ევროპის გაზის მოხმარების შედარებით მცირე ნაწილია, მაგრამ გაზის ბაზარზე კონკურენციას რეალურად შეუწყობს ხელს.*

*ამასთან, ბულგარეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შეწყვეტის მიზეზი*

-----------------------------

* დამაკავშირებელი - ზ.გ.

*თვითონ რუსეთის ხელისუფლებაა, რომელმაც მის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემდეგ, მოითხოვა „არამეგობრული ქვეყნებისგან“ გაზის საფასურის გადახდა ახალი სქემით, უცხოური ვალუტის რუბლებში გადაცვლით. რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის ბულგარეთმა, ეს სქემა არ მოიწონა და „გაზპრომმა“ მას აირის მიწოდება შეუწყვიტა, რამაც დააჩქარა რუსეთის გვერდის ამქცევი, ევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინტერკონექტორის - IGB-ის სრული სიმძლავრით ამოქმედება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის „გაზპრომზე“ დამოკიდებულების შემცირება.*

*კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ იმავდროულად გაიზარდა ცენტრალური ევროპის ქვეყნების - უნგრეთის, სლოვაკეთის, ავსტრიის, ჩეხეთის რუსულ სახელმწიფო მონოპოლია „გაზპრომზე“ დამოკიდებულება, რაც ამ ქვეყნების მთავრობების, რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე ნაკლებად კრიტიკულ პოზიციაში აისახა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური უსაფრთხოება, სანქციები, სამხრეთის გაზის დერეფანი, გაზპრომი, ევროკავშირი, გაზის მილსადენი, რუსეთ-უკრაინის ომი, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება.*

## შესავალი

რუსეთის დამანგრეველი აგრესიის პირობებში, ქ. უჟგოროდთან არის ადგილი, რომელიც ომის მესამე წელს კვლავ უსაფრთხოდ გამოიყურება. ესაა რუსული გაზის ტრანზიტული მილსადენი „ბრატსტვო“ („ძმობა“). ის „უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის“ (სქემა 1) ფარგლებში ევროკავშირის მყიდველებისთვის 2024 წელს, 2021 წელთან შედარებით მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ მოქმედი დასავლური სანქციების პირობებში მაინც ახორციელებს ციმბირიდან გაზის უკრაინის გავლით ევროკავშირში ტრანსპორტირებას (Pipelines., 2021). აშკარაა, რომ სახეზეა არა სანქციები, არამედ „ნახევრად-სანქციები“ ვინაიდან „ძმობა“ მუშაობს, სხვა მილსადენები უმოქმედოდაა. სანქციების საკითხი ეკონომიკურ უსაფრთხოებაში შედარებით ახალი და ნაკლებად შესწავლილი თემაა. ამ სტატიაში ჩვენ ვამტკიცებთ ჰიპოთეზას, რომ დასავლეთის მხრიდან სანახევროდ გატარებული სანქციები რუსეთის ენერგეტიკულ სახელმწიფო მონოპოლიების კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და რფ-ს საბიუჯეტო შემოსავლებს დიდ ზიანს არ აყენებს და მათგან თავის დაღწევა მოსკოვისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. თანაც, რადგან დასავლეთი სანქციების საკითხს დრო და დრო უბრუნდება, საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკური სანქციების ეფექტის კვლევის დაწყება.

სქემა 1

### უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემა




### უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურა და ანტირუსული „ნახევრად-სანქციები"

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ნებისმიერი სახმელეთო კრიტიკული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით გაზის და ნავთობის მილსადენები, უკიდურესად დაუცველია (Z. Garakanidze, N. Garakanidze., 2013) უკრაინაში მაინც ყველაზე უსაფრთხო ადგილად „სუდჟა-ურენგოი-პომარი-უჟგოროდის" ზემოხსენებული „ძმური" მილსადენი მიაჩნიათ (ის საბჭოთა დროიდან ცნობილია, როგორც მილსადენი „ძმობა" - Братство). მით უმეტეს, რომ უკრაინის ყველა დანარჩენი სატრანზიტო მილსადენი სანქციების გამო უკვე წელიწადზე მეტია უფუნქციოდაა.

ამ ფაქტმა ზოგიერთ დასავლელ ექსპერტს სამწუხაროდ ათქმევინა, რომ "... სანქციები, რომლებიც შექმნილია რუსეთის უკრაინიდან გამოდევნის მიზნით, სინამდვილეში გამიზნულია იმისთვის, რომ უბიძგოს რუსეთს დემოკრატიისკენ. ახალ, პროგრესულ რუსეთსა და ინდუსტრიულ სამყაროს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა მკვეთრად გარდაქმნის საერთაშორისო ვითარებას. ეს შეიძლება იყოს დემოკრატიული განვითარების უაღრესად თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც აფერხებს ჩინეთის ავტოკრატიის პოპულარიზაციას და კიბერშეჭრის მინიმიზაციას ემსახურება. ის ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნებს სამხედრო ძალებისთვის გლობალურად, მათ შორის ბირთვული იარაღის მნიშვნელოვანი შემცირების შესაძლებლობის ჩათვლით. დიპლომატიური თვალსაზრისით, რუსეთთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს დაპირისპირების შემცირებას ავღანეთში, ვენესუელაში, ბელორუსში, უკრაინასა და სირიაში." (E. Corcoran., 2024)

ამ ექსპერტებს, სავარაუდოდ, არ სმენიათ (?!) რუსეთის შეჭრის შესახებ საქართველოში 2008 წელს, ასევე მის მიერ სირიაში და ერაყში ე.წ. „არაბული გაზაფხულის" დროს, 2011 წლიდან განხორციელებული რეიდების შესახებ ამ

ქვეყნების დემოკრატიული, პროდასავლური ძალების წინააღმდეგ, 2014 წელს უკრაინის აღმოსავლეთის რეგიონების და ყირიმის „თვითგამოცხადებული რესპუბლიკების" შესახებ და ა.შ. ამ აგრესიულმა ქმედებებმა არ „...უბიძგა რუსეთს დემოკრატიისკენ", როგორც ზემოაღნიშნულ ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია. პირიქით, დასავლეთის მხრივ სუსტ ანტირუსულ რეაქციას მოჰყვა აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აღმოსავლეთ უკრაინის და ყირიმის ანექსია, სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ყოფილი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის რესტავრაცია ქ. ტარტუსში, ახალი სამხედრო-საჰაერო ბაზის შექმნა სირიის ჩრდილოეთ სანაპიროზე ქ. ხმეიმიმში, ვერტმფრენების სამხედრო-საჰაერო ბაზის დაფუძნება ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, ქ. ელ-კამიშლიში და ა.შ. (М. Барановская., 2019).

## კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდგრადობა სანქციების პირობებში

აღსანიშნავია, რომ 4,500 კილომეტრის სიგრძის „სუდჟა-ურენგოი-პომარი-უჟგოროდის"გაზის მილსადენი ხელუხლებელი რჩება, რადგან ორივე მეომარი მხარის სერიოზული სავალუტე შემოსავლების წყაროა. ბიზნესი არის ბიზნესი და რუსეთიც და უკრაინაც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა უნებურად არ დაზიანდეს მილი, რომელიც გადაკეტილი „იამალ-ევროპის", „ტრანსბალკანური" და „სოიუზის" გაზის მილსადენებისგან განსხვავებით, აგრძელებს რუსული გაზის ტრანზიტს ევროპაში და უცხოური ვალუტის შემოტანას მოსკოვშიც და კიევშიც (Матвей Катков., 2022).

„როიტერის" მონაცემებით, უკვე 2023 წელს, ევროპაში რუსული მილსადენის გაზის ექსპორტი წინა წელთან შედარებით, 56%-ით შემცირდა. ომამდე რუსული გაზი ევროპის გაზზე მოთხოვნის 35%-დან 40%-მდე ფარავდა, მაგრამ განსხვავდებოდა ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულების ხარისხი „გაზპრომზე". კერძოდ, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია და ესპანეთი, თითქმის არ იღებდნენ რუსულ გაზს. სხვები, როგორებიცაა გერმანია, იტალია და ნიდერლანდები, ყიდულობდნენ ამ გაზის მნიშვნელოვან რაოდენობას. ამ სამმა ქვეყანამ 2020 წელს იყიდა შესაბამისად 56,3 მილიარდი, 19,7 მილიარდი და 11,2 მილიარდი კუბური მეტრი (მლრდ კუბ.მ) რუსული გაზი.

არსებითია არა მარტო იმის გათვალისწინება, თუ რამდენად დიდია რუსული გაზის წილი ევროპულ ბაზარზე, არამედ ისიც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ევროპელებისთვის ალტერნატივები. მაგალითად, ომამდე გერმანია რუსული გაზით მოთხოვნის თითქმის ნახევარს იკმაყოფილებდა, ბულგარეთი - 100%-ს, იტალია კი - მოთხოვნის 46%-ს. „როიტერის" მონაცემებით, 2023 წელს რუსული ენერგეტიკული გიგანტის, „გაზპრომის" (GAZP.MM) მიერ ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება 55,6%-ით შემცირდა და 28,3 მილიარდ კუბურ მეტრამდე დაეცა. ამ სტატისტიკით, რომელიც ეფუძნება ევროპული გაზის სატრანსპორტო ჯგუფის Entsog-ისა და „გაზპრომის" ყოველდღიურ მონაცემებს უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტის შესახებ აჩვენა, რომ რუსული გაზის საშუალო დღიური ექსპორტი ევროპაში შემცირდა 77,6 მილიონ კუბურ მეტრამდე (მლნ. კუბ.მ) 2023 წელს, 2022 წლის 174,8 მლნ. კუბ.მ-დან. „გაზპრომის" მონაცემებით და „როიტერის" გათვლებით, 2022 წელს რუსეთმა სხვადასხვა მარშრუტით ევროპას სულ დაახლოებით 63,8 მილიარდი კუბური მეტრი მილსადენის გაზი მიაწოდა (Reuters., 2023). "გაზპრომს" არ გამოუქ-

ვეყნებია საკუთარი სტატისტიკა 2023 წლის დასაწყისიდან. ასევე, კომპანიის წარმომადგენელმა არ უპასუხა „როიტერს" კომენტარის მოთხოვნაზე.

უკრაინამაც, 2015 წლის ნოემბერში - თითქმის ერთ წელში მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ყირიმის ანექსია განახორციელა, საერთოდ შეწყვიტა რუსული გაზის ყიდვა. ამაში მას „დაეხმარა" ევროპაში ყველაზე ტევადი და კარგად ორგანიზებული მიწისქვეშა გაზსაცავების ქსელი (იხ. სქემა 2).

აღნიშნული სქემიდან აშკარაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს მიმდინარე ენერგეტიკული პრობლემებით გამოწვეული საფრთხეების იდენტიფიკაციასა და შეფასებას - სწორედ ამის მაგალითია მიწისქვეშა გაზსაცავები (UGS) უკრაინაში. აშკარაა, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო ენერგო რესურსების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე აუცილებელია მათი საკმარისობის უზრუნველყოფაც. მაგალითად, უკრაინაში, მიწისქვეშა გაზსაცავების მთლიანი აქტიური მოცულობა 30 მლრდ კუბ. მეტრზე მეტია. ამჟამად უკრაინაში არის 13 მიწისქვეშა გაზსაცავი (მათ შორის ერთი დროებით ოკუპირებულ ყირიმში), რომელთაგან ორი შეიქმნა წყალშემკრები მიწისქვეშა ფენების ბაზაზე, დანარჩენი კი გაზის ამოწურული საბადოების ადგილას (Где Украина и мир., 2023).

სსრკ-ს პირობებში უკრაინის ს/ს „გაზის ტრანსპორტირების სისტემის" (GTS) გამტარუნარიანობა რუსეთთან საზღვარზე იყო 288 მლრდ მ3/წელიწადში. მაშინ უკრაინის დასავლეთ საზღვარზე 178,5 მლრდ მ3/წელიწადში მოცულობის გაზსაცავებიც აშენდა, რათა საბჭოთა გაზის ევროპაში ტრანსპორტირებისას იქ საკმარისი რეზერვი ყოფილიყო. დღეს გაზის ტრანზიტის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა და უკრაინის მიწისქვეშა გაზსაცავები სრულად არ არის დატვირთული. უკრაინული „ნაფტოგაზის" ხელმძღვანელობამ 2023 წლის 28 აგვისტოს გამოაცხადა, რომ საკუთარი საჭიროებისთვის 2023-2024 წლების გათბობის სეზონის დასაწყისისთვის, უკრაინამ დაგეგმილი 14,7 მლრდ მ3-დან 14 მლრდ მ3 გაზი უკვე ამოტუმბა (Европейские трейдеры., 2023)

სქემა 2

**უკრაინის მიწისქვეშა გაზსაცავები (მლნ. კუბ.მ)**



მანამდე, 2023 წლის 7 აპრილს, ს/ს „უკრტრანსგაზმა“ (Ukrtransgaz) მიიღო სერტიფიცირება ევროკავშირის წესების შესაბამისად, რამაც ამ ქვეყანას საშუალება მისცა გამოეყენებინა თავისი გაზსაცავების მოცულობის დაახლოებით 50% ევროპის ქვეყნების გაზის რეზერვების შესანახად. ს/ს „უკრტრანსგაზმა“ ჯერ კიდევ 2017 წელს 10 მიწისქვეშა გაზსაცავზე აამოქმედა „საბაჟო საწყობის“ რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც გაზით მოვაჭრეებს ეძლევათ შესაძლებლობა 1095 დღით, ე.ი. 3 წლით, საბაჟო ტარიფებისა და სხვა გადასახადების გადახდის გარეშე, უკრაინაში შეინახონ გაზი დასავლეთისკენ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისას (Georgi Gotev.,2024). ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგო უსაფრთხოებისათვის, თუნდაც ერთი მიწისქვეშა გაზსაცავის არსებობა!

### გაუძლებს „ძმობა“ ომით გამოცდას?

2022 წელს რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ შეაჩერა რუსული გაზის ყიდვა. თუმცა ზოგიერთმა მათგანმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც არა აქვს ზღვაზე გასასვლელი და LNG ტანკერებით თხევადი გაზის მიღების საშუალება, განაგრძო „ძმობის“ მილსადენით ციმბირიდან გაზის მიღება და „გაზპრომმაც“ გააგრძელა უკრაინისთვის ტრანზიტის ტარიფის გადახდა.

მანამდე, 2019 წლის დეკემბერში, უკრაინულმა „ნაფტოგაზმა“ და რუსულმა „გაზპრომმა“ ხელი მოაწერეს გაზის ტრანზიტის ხუთწლიან შეთანხმებას 2024 წლის ბოლომდე „გადატვირთე-ან-გადაიხადე“ (ship-or-pay) გადახდის პირობებით, რაც ნიშნავს, რომ „გაზპრომი“ ვალდებულია გადაიხადოს ტრანზიტის ტარიფი იმის მიუხედავად, გამოიყენებს თუ არა უკრაინის გაზის სატრანზიტო მილებს შეთანხმებით განსაზღვრულ პერიოდში. ამ შეთანხმებით, უკრაინა ვარაუდობს რუსული გაზის ტრანზიტიდან გარიგების ვადის ამოწურვამდე მიიღოს 7 მლრდ დოლარის სატრანზიტო შემოსავალი.

ზემოაღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე, ორი ქვეყნის წლიური სატრანზიტო კონტრაქტი „ძმობის“ მილსადენით 40 მლრდ კუბ. მეტრი გაზის ტრანზიტზე იყო გაფორმებული. დღეს ეს მაჩვენებლები გაცილებით დაბალია. 2023 წელს უკრაინიდან „ძმობის“ მილით 6 მლრდ კუბ. მეტრი გაზი გავიდა ავსტრიაში, 6,5 მლრდ კუბ. მეტრი - სლოვაკეთში და 1 მლრდ კუბ. მეტრი - უნგრეთში, სულ 13,5 მლრდ კუბ.მეტრი (Georgi Gotev., 2024). ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირის ის წევრებია, რომლებიც ყველაზე ნაკლებად, ან საერთოდ არ აკრიტიკებენ რუსეთის ხელისუფლების აგრესიულ პოლიტიკას უკრაინაში.

მართალია 2015 წლის ნოემბერში თავად უკრაინამ შეწყვიტა გაზის პირდაპირ შესყიდვა რუსეთიდან, მაგრამ სანაცვლოდ ის ამ გაზს არაპირდაპირი გზით ყიდულობს ევროკავშირის იმპორტიორებისგან, უკრაინაზე ტრანზიტით გავლილი გაზის, ე. წ. „რევერსული ნაკადების“ სახით. შეთანხმებას ვადა 2024 წლის ბოლოს იწურება და უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა გერმან გალუშჩენკომ 2023 წლის აგვისტოში გამორიცხა კიევის მონაწილეობის პერსპექტივა რუსეთთან გაზის ტრანზიტის სამომავლო ღონისძიებების შესახებ მოლაპარაკებებში.

დიდი ალბათობით, კონტრაქტი 2024 წლის 31 დეკემბერს გაგრძელების გარეშე დასრულდება და „ძმობის“ მილიც, სხვების მსგავსად, დაიკეტება. ევროკომისიამ პირობა დადო, რომ 2027 წლისთვის შეაჩერებს რუსული წიაღისეული საწვავის

იმპორტს, გაზის ჩათვლით, არა უკრაინული მარშრუტებიდანაც (Frédéric Simon, Kira Taylor., 2022). მაგრამ 2027 წლამდე რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს ისეთ ალტერნატიულ მარშრუტს, როგორიცაა ოფშორული "თურქული ნაკადი" (TurkStream), რომელიც შედის ევროკავშირის ტერიტორიაზე ბულგარეთში, სტრანჯას (Strandzha) სასაზღვრო პუნქტთან, სადაც პოლიტიკური კორექტულობისთვის მას "ბალკანურ ნაკადს" (Balkan Stream) უწოდებენ. ამ მარშრუტზე, ანუ „რუსული გაზის თურქულ ჰაბზე", თურქეთის და რუსეთის პრეზიდენტები ჯერ კიდევ 2022 წლის 28 სექტემბერს შეთანხმდნენ.

თავის მხრივ, ბულგარეთმა შეწყვიტა რუსული გაზის იმპორტი უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მაგრამ იგი, თურქეთის მსგავსად, ასრულებს სერბეთში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში რუსული გაზის ტრანზიტის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კერძოდ, 2021 წელს ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, უნგრეთი იღებს 3,5 მლრდ კუბურ მეტრ რუსულ გაზს ბულგარეთისა და სერბეთის გავლით და აშკარად მეტის იმპორტი სურს (Georgi Gotev., 2024).

ავსტრიის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთისგან იღებს საჭირო გაზის ნახევარს, ღიად განაცხადა, რომ სანამ რუსეთი ყიდის გაზს, ვენა მზად არის მისი იმპორტი განაგრძოს. თუმცა, ექსპერტების აზრით, ეს მიდგომა ევროკავშირის და ქვეყნის ოპოზიციური ძალების ზეწოლით, შეიძლება მალე შეიცვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამხრეთიდან ევროპაში რუსული გაზის იმპორტის ზედა ზღვარი არსებობს: ეს არის „თურქული ნაკადის" ევროპაში გადამისამართებული მილსადენის ტექნიკური სიმძლავრე, რომელიც 15,75 მლრდ კუბ.მეტრია. ამჟამად „თურქული ნაკადით" ევროპაში „გაზპრომის" გაზის ექსპორტის მოცულობა 10 მლრდ კუბ.მეტრს აღწევს, რაც „ზღვაში წვეთია" (Georgi Gotev., 2024). ამდენად, 2024 წლის შემდეგ ევროპაში ტრანზიტის გაგრძელება, სავარაუდოდ, მომგებიანი იქნება როგორც რუსეთისთვის, ასევე უკრაინისთვის. ორივე მხარეს ესმის: გაზის მიწოდების შეწყვეტა არ იქნება კრიტიკული ფაქტორი მოწინააღმდეგე მხარისთვის და რა თქმა უნდა, არ გამოიწვევს მის დამარცხებას, მაგრამ საკმაოდ უსიამოვნო იქნება ასეთი ნაბიჯის ინიციატორისთვის.

ამრიგად, მიმდინარე ომის ორნახევარი წლის კატაკლიზმების პირობებში, რუსული გაზი ახლა ევროპაში ორი გზით აღწევს. **პირველი** არის „თურქული ნაკადისა" და „ბალკანეთის ნაკადის" კომბინაცია. როგორც ზემოთ ავღვიშნეთ. შავი ზღვის გავლით თურქეთს, სერბეთსა და უნგრეთს ყოველწლიურად მიეწოდება დაახლოებით 13.5 მლრდ კუბ. მეტრი გაზი. ბულგარეთმა შეწყვიტა რუსული გაზის პირდაპირ ყიდვა, მაგრამ მის ტერიტორიაზე ტრანზიტი გრძელდება. **მეორე** მარშრუტი არის დერეფანი უკრაინის გავლით „ძმობის" მილით სლოვაკეთამდე, რომლითაც გაზის დაახლოებით იგივე მოცულობები იგზავნება. ერთი შეხედვით გაურკვეველია, თუ რატომ გრძელდება სანქციების პირობებში ეს კომერციული ურთიერთობები დღემდე. კიევი ამას ასე ხსნის: ისინი სიამოვნებით შეაჩერებენ ტრანზიტს და ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ ევროპელი პარტნიორები, უარი თქვან რუსული გაზზე. მაგრამ, სანამ ცენტრალურ ევროპაში სჭირდებათ უკრაინული ტრანზიტი, უკრაინული მხარე შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რათა დარჩეს ევროპის საიმედო პარტნიორად. რუსული გაზის ძირითადი მყიდველები არიან სლოვაკეთი, უნგრეთი, ავსტრია და იტალია. ყველა ამ

ქვეყანაში ახლა ხელისუფლებაში არიან მთავრობები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პრაგმატიზმით და არ არიან აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის მიმდევრები. რუსული გაზის ფასი ახლა ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ფასებთან, ვიდრე გასულ ათწლეულში იყო, მაგრამ ის მაინც უფრო იაფია, ვიდრე თხევადი ბუნებრივი აირი (LNG), განსაკუთრებით ფასების რყევების პერიოდებში. ამიტომ, რიგი ქვეყნები არ ჩქარობენ მის მიტოვებას, თუმცა ყველა მათგანმა მოაწერა ხელი ევროკავშირის ე.წ. RePowerEU პროგრამას, რაც 2027 წლისთვის რუსულ გაზზე სრულ უარს გულისხმობს (Сергей Вакуленко., 2024).

ქვეყნები, რომლებიც აგრძელებენ რუსული მილსადენის გაზის ყიდვას, ევროკავშირში უმცირესობაა, მაგრამ პან-ევროპული გადაწყვეტილებების მიღების სისტემა ისეთია, რომ თუნდაც ერთი მათგანის აქტიური ვეტო საკმარისია პროცესის შესაჩერებლად და პასიურმა უთანხმოებამაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად შეანელოს მოვლენები. უკრაინის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ღონისძიებების უმეტესობა ისეთია, რაც ერთსულოვნებას მოითხოვს. ამიტომ კიევი იძულებულია ფრთხილად იყოს ამ ქვეყნების პოზიციებთან დაკავშირებით, მათ შორის რუსული გაზის საკითხთან მიმართებაში.

იმავდროულად, ვითარება შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს 2024 წლის ბოლოს, როცა სატრანზიტო ხელშეკრულების ვადა ამოიწურება. უკრაინამ უკვე განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი არ არის. თუმცა, ავსტრიულმა სახელმწიფო კომპანია OMV-მ გამოთქვა მზადყოფნა გააგრძელოს რუსული გაზის შესყიდვა, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნოს მიწოდების მოცულობის მარაგი მილსადენებში და LNG მიმღებ ტერმინალებში, რაც დივერსიფიკაციის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

ავსტრიის ენერგეტიკის მინისტრმა ლეონორ გევესლერმა 2024 წლის 12 თებერვალს გამოაცხადა, რომ მისი მთავრობა შეეცდება შეწყვიტოს გაზის ეროვნული კომპანია OMV-ის გაზის მიწოდების გრძელვადიანი ხელშეკრულება „გაზპრომთან", რათა ქვეყანა გაათავისუფლოს რუსეთის ენერგეტიკაზე თითქმის სრული დამოკიდებულებისგან. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ევროკავშირმა მნიშვნელოვნად შეამცირა დამოკიდებულება რუსულ გაზზე, უპირველეს ყოვლისა, კრემლის მიერ მიწოდების შეწყვეტის გამო 2022 წელს, ეს ასე არ არის ცენტრალური ევროპის რიგ ქვეყნებში. ავსტრიის შემთხვევაში, მისი იმპორტის წილი, რომელიც რუსეთიდან მოდის, რეალურად გაიზარდა მთელი იმპორტის 98%-მდე, 2022 წლის 24 თებერვლის 80%-ის წინააღმდეგ, როდესაც მოსკოვი შეიჭრა უკრაინაში. ლ. გევესლერმა, მწვანეთა პარტიის წევრმა, განაცხადა, რომ აპირებს შეწყვიტოს კონტრაქტი, რადგან მთავრობა ემზადება ეროვნული არჩევნებისთვის ამ შემოდგომაზე. "ჩვენი გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია ძალიან ნელა მიმდინარეობს," - განუცხადა მან ჟურნალისტებს ვენაში 2024 წლის 12 თებერვალს, და ხაზი გაუსვა - "ეს კულმინაციას ახდენს რუსული ბუნებრივი გაზის ახალი რეკორდული წილით დეკემბერში 98%-მდე." (NewsBase., 14, 2024). რუსეთზე გაზრდილი დამოკიდებულების გამომწვევი ფაქტორი ავსტრიაში გაზის მოთხოვნის შემცირებაა. ავსტრიის ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, 2023 წელს მოხმარება შემცირდა 75 ტვტ/სთ-მდე, 2022 წლის 100 ტვტ/სთ-დან. ეს ძირითადად მაღალი ფასების შედეგია, რამაც გამოიწვია შინამეურნეობების მიერ გაზის გამოყენების შემცირება და სამრეწველო საწარმოების დახურვა. იმავდროულად, OMV ვალდებულია „გაზპრომთან" გრძელვადიანი კონტრაქტით, რომელიც 2018 წელს განახლდა და ვადა ეწურება 2040 წელს,

„აიღე ან გადაიხადე“ პრინციპით იყიდოს წელიწადში მინიმუმ 60 ტვტ/სთ გაზი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასები ამჟამად უფრო იაფია, ვიდრე ადგილზე შესყიდვები მეზობელი გერმანიიდან, რომელმაც თავად შეცვალა რუსული გაზის მიწოდება ტანკერებით თხევად გაზის (LNG) იმპორტით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, OMV-ს და მცირე ენერგეტიკულ კომპანიებს ავსტრიაში აქვთ ყველა მიზეზი, იყიდონ მეტი რუსული გაზი დღევანდელ საბაზრო პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მიწოდების ალტერნატიული წყაროები.

გერმანიიდან იმპორტის გარდა, ავსტრიას ასევე აქვს წვდომა გაზის იტალიის პორტებიდან, LNG-ის სახით, ან მილებით ჩრდილოეთ აფრიკიდან. ავსტრიის მთავრობასაც სურს მიაღწიოს „გაზპრომის“ გაზის გაყიდვიდან რუსეთის შემოსავლების ნაკადის შემცირებას. ეს არის პოზიციის შესამჩნევი ცვლილება 2023 წლის ბოლოსთან შედარებით, როდესაც ავსტრიის მთავრობას ევროკომისიამ საყვედური გამოუცხადა - ბრიუსელის ელჩმა ავსტრიაში მარტინ სელმაირმა გაზზე ავსტრიის მუდმივ დამოკიდებულებას მოსკოვში „სისხლიანი ფულის“ გაგზავნას შეადარა. მინისტრმა ლ. გევესლერმა იგივე გააკეთა: „ჩვენი ენერგიის გადასახადებით, ჩვენ არაპირდაპირ ვართ უკრაინაში საშინელი ომის დამფინანსებელი“, - განუცხადა მან რეპორტიორებს (NewsBase., 14, 2024).

ავსტრიამ 2022 წელს რუსეთიდან 7 მლრდ ევროს (7,6 მლრდ დოლარის) ღირებულების  გაზი იყიდა, როცა ფასები ძალიან მაღალი იყო. ამის შემდეგ, ენერგეტიკული კრიზისის გამო ფასები დაეცა, თუმცა 2023 წელს ავსტრიის გაზის იმპორტის ფასი საკმაოდ მაღალი - 3 მილიარდი ევრო იყო.

ევროკავშირის მისწრაფებაა 2028 წლისთვის რუსული გაზის მთლიანად ლიკვიდაცია მისი ენერგეტიკული სისტემიდან, მაგრამ ავსტრია თავად ვერ მიაღწევს ამ მიზანს, სანამ ავსტრიული OMV-ს რუსულ „გაზპრომთან“ გაფორმებული კონტრაქტი რჩება ძალაში. თუმცა, მინისტრ ლ. გევესლერს აქვს რუსეთის გაზზე დამოკიდებულების დაძლევის სამპუნქტიანი გეგმა.

**უპირველეს** ყოვლისა, მინისტრს სურს ადგილობრივი კომუნალური მომსახურების სისტემის წახალისება, რათა მათ იმუშაონ რუსულის გარეშე და დაიწყონ ალტერნატიული წყაროების წილის გაფართოება მათ ენერგო მოხმარებაში. იდეალურ შემთხვევაში ეს იქნება გაზის შეძენა ევროკავშირის ერთობლივი შესყიდვების პლატფორმაზე, რაც 2023 წელს დაიწყო და რომელიც ცნობილია, როგორც AggregateEU. ავსტრიაში ადგილობრივი ენერგეტიკული სადისტრიბუციო საწარმოები, რომელთა უმეტესობა ნაწილობრივ მუნიციპალიტეტების ან ქალაქების საკუთრებაშია, ძალიან იაფად იღებენ რუსულ გაზს. მართალია ალტერნატივებიც ხელმისაწვდომია, მაგრამ უფრო ძვირია. კერძოდ, გერმანიის გავლით გაზის გადასახადია 1,86 ევრო/მგვტ/სთ-ზე. იტალიამ ასევე 2024 წლის 1 აპრილიდან დააწესა გაზის ექსპორტისთვის 2,19 ევრო/მგვტ/სთ გადასახადი (Сергей Вакуленко., 2024).

**მეორე,** ის გრძელვადიან პერსპექტივაში ცდილობს შეწყვეტოს „გაზპრომთან“ კონტრაქტი. ლ. გევესლერმა აღნიშნა, რომ მისმა სამინისტრომ დაიქირავა ეკონომიკური ანალიტიკური ცენტრი Wifo, რათა მან მოამზადოს კვლევა 2024 წლის ზაფხულისთვის და აწონ-დაწონოს „გაზპრომთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის ეკონომიკური ზეგავლენა.

**და მესამე,** მას სურს დააფიქსიროს რუსულ ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების საკითხი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში.

გეგმა სავარაუდოდ, ბიზნესის მწვავე წინააღმდეგობას წააწყდება, რომლებიც ჩივიან, რომ მოუწევთ შეიძინონ რუსული გაზის უფრო ძვირი ალტერნატივა, რაც შეამცირებს მათი წარმოების რენტაბელობას. ყველაზე მძიმე დარტყმა იქნება ენერგო ინტენსიური ინდუსტრია, სადაც ბუნებრივი აირის ფასი დანახარჯების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპონენტია. ასევე არსებობს ეჭვები „გაზპრომთან" OMV-ს კონტრაქტის გაწყვეტის კანონიერებასთან დაკავშირებითაც, რაზეც მათ შორის უკვე დაწყებულია სასამართლო პროცესები.

ზემოაღნიშნულით ავსტრიის მთავრობა ამ ქვეყნის კონსერვატორებს თითქოს „აძლევს საშუალებას" საკუთარი თავი წარმოაჩინონ ბიზნესის მომხრეებად, რადგან მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ მინისტრ ლ. გევესლერის გეგმა გამოიწვევს ენერგეტიკული ხარჯების ზრდას იმ დროს, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა ევროპაში რთულია. კონსერვატორებს ასევე შეუძლიათ თქვან, რომ წარმოდგენილი გეგმა გაზრდის საყოფაცხოვრებო-კომუნალურ გადასახადებს, რაც ამძაფრებს სოციალურ დაძაბულობას ევროპაში.

კანცლერმა კარლ ნეჰამერმა, მემარჯვენე ცენტრისტმა პოლიტიკოსმა 2023 წელს ხაზი გაუსვა, რომ „გაზპრომთან" ხელშეკრულების შენარჩუნება გადასახადების გადამხდელთა ინტერესებში იყო. „ეს არის სახელმწიფო ქონების უზრუნველყოფის საკითხი და არსებული კონტრაქტები შენარჩუნდება რაც შეიძლება დიდხანს" (Сергей Вакуленко., 2024).

სავარაუდოდ ავსტრია, ისევე როგორც იტალია, ნაკლებად დაზარალდება რუსული გაზის მიწოდების შეწყვეტით, ვინაიდან მის ტერიტორიაზე რამდენიმე მილსადენი იკვეთება. ამიტომ, ამ ორ ქვეყანას ყოველთვის ექნება ალტერნატივები. მაგალითად, იტალია იღებს გაზს როგორც ცენტრალური ევროპიდან და ბალკანეთიდან, ასევე ჩრდილოეთ აფრიკიდან ორი მილით, აზერბაიჯანიდან „სამხრეთის გაზის დერეფნით", და მის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე LNG ტერმინალის მეშვეობით. მეტიც, იტალიური ენერგოდისტრიბუციის კომპანია Snam (SRG.MI) 2027 წლისთვის აპირებს განახორციელოს 11,5 მლრდ ევროს (12,5 მლრდ აშშ დოლარი) ინვესტირება გაზის ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის, რაც 15%-ით მეტია, ვიდრე წინა ბიზნეს გეგმით იყო გათვალისწინებული. თავის ახალ სტრატეგიაში აღნიშნული სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ახალი მილსადენების მშენებლობასა და თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ინფრასტრუქტურის დასრულებაზე. ის ასევე განახორციელებს ინვესტიციას ე.წ. „ენერგეტიკულ გარდამავალ ბიზნესში", მათ შორის ნახშირბადის უტილიზაციის ცენტრისა და წყალბადის ევროპული ქსელის განვითარებაში (Файл:Major Russian., 2021).

უნგრეთთან დაკავშირებით მდგომარეობა ცოტა უფრო რთულია, თუმცა მას შეუძლია რუსული გაზის მიღება „თურქული ნაკადის" მეშვეობით. რაც შეეხება სლოვაკეთს, მას „ძმობის" მილსადენის ალტერნატივა პრაქტიკულად არ აქვს. რუსული გაზის ჩასანაცვლებლად მას დასჭირდება ავსტრიის „ბაუმგარტენის" ჰაბთან მილით დაკავშირება, ან ბალტიისპირეთის გერმანული LNG ტერმინალებიდან გაზის მიღება თუკი ოდესმე აფეთქებული „ჩრდილოეთის ნაკადის" (Nord Streams) მილები აღდგება, ანუ სლოვაკეთიდან გაზის მიღების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, ექნებათ თუ არა გაზი გერმანიას, ავსტრიას, უნგრეთსა და ჩეხეთს.

გარდა ამისა, ომამდე სლოვაკეთი რუსული გაზის ტრანზიტიდან წელიწადში 750 მლნ ევროს გამოიმუშავებდა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 0,75%-ია. 2023 წელს ტრანზიტიდან შემოსავალმა სულ 227 მლნ ევრო შეადგინა და თუ „ძმობის" ტრანზიტი შეჩერდა, ეს თანხა დაიკარგება. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიკომ, უკრაინელ კოლეგასთან, დენის შმიგალთან შეხვედრაზე აღიარა, რომ რუსული გაზის ტრანზიტი შეიძლება გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, რომ კიევმა უარი თქვა ხელშეკრულების 2024 წლის შემდეგ გაგრძელებაზე.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბულგარეთმა შეცდომა დაუშვა "ბალკანსტრიმის" (BalkanStream) აშენებით, რითაც პუტინს გადასცა დასავლეთ ბალკანეთის გასაღები, როგორც 2020 წლიდან Euractiv Bulgaria-ის გამოძიება აჩვენებს. მაგრამ ახლა ბულგარეთს აქვს ძლიერი პოზიცია ავსტრიასთან, რომელიც ჯერ კიდევ ბლოკავს ქვეყნის „შენგენში" გაწევრიანებას თავისი სახმელეთო საზღვრებით. ამრიგად, ვენას მოუწევს მოლაპარაკება სოფიასთან, თუ მას სურს გაზარდოს მიწოდება მას შემდეგ, რაც უკრაინული მარშრუტით გაზის მიწოდება შეწყდება(Georgi Gotev., 2024). ამიტომ რუსეთი კიდევ უფრო დაინტერესებული იქნება ბულგარეთის დესტაბილიზაციაში 2024 წელს.

**დასკვნები**

მართალია, 2023 წელს ევროპაში რუსული მილსადენებით გაზის ექსპორტი, წინა წელთან შედარებით, 56%-ით შემცირდა, თუმცა ამის მიუხედავად, რუსული სახელმწიფო მონოპოლიის - „გაზპრომის" შემოსავლები არ შემცირებულა, რამაც უზრუნველყო ცენტრალური ევროპის ქვეყნების მთავრობებზე, ჩვეულებრივ იარაღზე არანაკლებ ეფექტიანი - „ენერგეტიკული იარაღით" ზეწოლა რუსეთ-უკრაინის ომზე მსჯელობისას.

ამრიგად, ჩვენი ჰიპოთეზით დასავლეთის მხრიდან სანახევროდ გატარებული სანქციები რუსეთის ენერგეტიკულ სახელმწიფო მონოპოლიების კრიტიკულ ინფრასტრუქტურას და რფ-ს საბიუჯეტო შემოსავლებს დიდ ზიანს არ აყენებს და მათგან თავის დაღწევა მოსკოვისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. უკვე 2024 წლის ბოლოს ევროპისკენ რუსული გაზის ბოლო მარშრუტის, მილსადენი „სუდჟა-ურენგოი-პომარი-უჟგოროდის" დაკეტვით დასავლეთის სანქციები მოსკოვს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს - გარკვეული პროგნოზირებადი პოლიტიკური შედეგებით. რუსეთი გაზრდის თხევადი გაზის (LNG) ხვედრით წილს თავის ენერგეტიკულ ბალანსში.

კერძოდ, ამ საუკუნის დასაწყისში ბუნებრივი აირის დაახლოებით 88-90% გაზსადენებით მიეწოდებოდა უშუალოდ კონკრეტული მიმწოდებლიდან კონკრეტულ მომხმარებელს, ძირითადად ევროპაში, დანარჩენი - ტანკერებით თხევადი (LNG) სახით (Z. Garakanidze, N. Garakanidze., 2013). უკვე 2023 წელს, LNG-ზე მოდიოდა გაზის გლობალური ბაზრის დაახლოებით 40%, დანარჩენი - გაზსადენებზე. უკვე 2025 წლიდან, ევროპაში რუსული მილსადენის გაზის იმპორტი საერთოდ შეწყდება, რაც კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს საქართველოს გეოეკონომიკურ მნიშვნელობას ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანში" (SGC). კერძოდ:

- ომის პირობებში „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" როლი, და შესაბამისად, საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისათვის კიდევ უფრო გაიზრდება;

- „დერეფანი" კასპიისპირეთის ქვეყნებს ენერგო რესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის ახალ, გაზრდილ შესაძლებლობებს მისცემს და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე;

- შესაბამისად უნდა დაჩქარდეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თხევადი გაზის (LNG) დეგაზაციის ტერმინალებისა და მიწისქვეშა გაზსაცავების (UGS) დაპროექტება-მშენებლობა.

## ლიტერატურა


- Файл:Major Russian Gas Pipelines to Europe 06 2021 ru.svg https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B0%D0%B9%D0%BB:Major_Russian_Gas_Pipelines_to_Europe_06_2021_ru.svg.
- Zurab Garakanidze, Nata Garakanidze. INFLUENCE OF THE MIDDLE EAST TENSION ON THE EU'S SOUTHERN GAS CORRIDOR (co-author). THE Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7, Issue 1-2 2013; p.74-81. http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-1-2/07.shtml
- Post-Sanctions Russia – OpEd By Edward Corcoran. February 13, 2024. https://www.eurasiareview.com/13022024-post-sanctions-russia-oped/
- Матвей Катков. Чем и когда ЕС хочет заменить газ из России. 8 Июня, 2022. https://www.vedomosti.ru/business/articles/2022/06/08/925631-chem-es-zamenit-gaz
- Russian pipeline gas exports to Europe down 56% in 2023 - Reuters calculations. https://www.reuters.com/business/energy/russian-pipeline-gas-exports-europe-down-56-2023-reuters-calculations-2024-01-02/
- ГДЕ УКРАИНА И МИР ХРАНЯТ СВОЙ ГАЗ? 13 сентября 2023. https://oil-gas.com.ua/stati/113-gde-ukraina-i-mir-khranyat-svoj-gaz.html
- Европейские трейдеры закачали в украинские ПХГ более 1,8 млрд м3 газа https://neftegaz.ru/news/transport-and-storage/793917-inostrannye-treydery-popolnyayut-ukrainskiy-pkhg/
- The Brief – Russian gas to Europe changes route. By Georgi Gotev | EURACTIV Feb 12, 2024 https://www.euractiv.com/section/global-europe/opinion/the-brief-russian-gas-to-europe-changes-route/
- Сергей Вакуленко. Неубиваемый транзит. Как долго сохранятся поставки российского газа через Украину. 2024;https://carnegieendowment.org/politika/91649
- NewsBase. Austria's reliance on Russian gas is overwhelming. Week 06, N14.2024 www.news base.com

***Zurab Garakanidze***
*Doctor of Economics, Associate Professor, David Agmashenebeli National defence Academy of Georgia*

## THE SO-CALLED HALF-SANCTIONS’ ROLE IN CENTRAL EUROPE’S GAS SUPPLY MONOPOLIZATION

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Zurab.Garakanidze

**Expanded Summary**

The article discusses the facts of the energy conflict between the Russian Federation and the European Union, and proposals by which Georgia, as a candidate country, can respond to the energy security challenges of the European Union. For example, from April 27, 2022, Gazprom completely stopped supplying gas to Bulgargaz, due to the latter's refusal to pay in Russian rubles. In response, in June 2022, the trial delivery of Azerbaijani gas to Bulgaria through the "South Caucasian Gas Pipeline" in the "Southern Gas Corridor" through Georgia began. Through the “Trans-Adriatic Gas Pipeline” (TAP) Bulgaria-Greece Interconnector - IGB, located in the same "Corridor" of the European Union, which will be 3 billion cubic meters by the end of 2024.

Southeastern European countries - Italy and Greece, and later Bulgaria - have receive gas from Azerbaijan through the "Southern Gas Corridor of the European Union" through the "Trans-Adriatic Gas Pipeline" (TAP) from December 31, 2020. After the interconnector IGB is fully operational, it is planned to increase its design capacity, which, although is a relatively small part of European gas consumption, but anyway will actually promote competition in the EU’s gas market.

In addition, the reason for ending Bulgaria's dependence on Russian gas is the Russian government itself, which, after imposing sanctions against it, demanded payment of gas fees from "unfriendly countries" by a new scheme, by exchanging foreign currency into rubles. Several countries, including Bulgaria, did not approve of the scheme and Gazprom cut off gas supplies to it.

The research results show that the dependence of the Central European countries - Hungary, Slovakia, Austria, Czech Republic on the Russian state monopoly "Gazprom" has increased, which was reflected in the less critical position of the governments of these countries on Russia's invasion of Ukraine.

**Key words:** economic security, sanctions, southern gas corridor, Gazprom, European Union, gas pipeline, Russia-Ukraine war, energy security of Georgia.

## მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

*ემირ ეთერია*
*ეკონომიკის დოქტორი*
*კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი*

# საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები 2014-2023 წლებში: ასოცირებიდან კანდიდატობამდე

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Emir.Eteria

***ანოტაცია:*** *2023 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა და შესაბამისად, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ასოცირების შეთანხმების გაფორმებიდან კანდიდატის სტატუსის მიღებამდე პერიოდში (2014-2023 წლები) საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკის ანალიზზე. როგორც ევროკავშირთან ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ვლინდება, ზემოაღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად ევროკავშირში ექსპორტის ზრდის კუთხით მცირე დადებითი ტენდენციებისა, საქართველოს მთლიან ექსპორტში და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ხვედრითი წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, 2014-2023 წლებში, მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის დონე როგორც ვაჭრობის, ისე კაპიტალის მოძრაობის თვალსაზრისით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *საქართველო; ევროკავშირი; ასოცირების შეთანხმება; ვაჭრობის ინტეგრაცია; კაპიტალის ინტეგრაცია.*

### შესავალი

ევროკავშირი, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე წარმატებული და განვითარებული ინტეგრაციული ჯგუფია. ბოლო პერიოდში, ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ცნობილია, რომ 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა [European Council, 2023: 5]. შესაბამისად, დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც 2014 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებით დაიწყო და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. ნათელია, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის (DCFTA) ჩათვლით წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს. შესაბამისად, ამ ეტაპზე, აქტუალურია საკითხი ასოცირების შეთანხმების გაფორმებიდან ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებამდე პერიოდში (2014-2023 წლები) ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ტრანსფორმაციის დონის განსაზღვრის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს 2014-2023 წლებში, ასოცირების შეთანხმების, DCFTA-ს ჩათვლით, განხორ-

ციელების კვალობაზე ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწეული დონის შეფასება წარმოადგენს. ზოგადად, ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ანალიზისა და შეფასების მიზნით სხვადასხვა ინდიკატორს იყენებენ, მათ შორისაა ვაჭრობის სფეროში ინტეგრაცია, კაპიტალის მოძრაობის ინტეგრაცია, მონეტარული და ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია, სამუშაო ძალის გადაადგილება და სოციალური ინტეგრაცია, ინსტიტუციური ინტეგრაცია და ა.შ. [De Lombaerde (ed.), 2006; Asian Development Bank, 2021; United Nations. Economic Commission for Africa; African Union Commission; African Development Bank, 2019]. თუმცა, ეკონომიკური ინტეგრაციის დონის შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინდიკატორებს ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ინტეგრაცია წარმოადგენს. შესაბამისად, 2014-2023 წლებში საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის დონის შეფასების მიზნით სტატიაში გამოყენებულიაა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ორი ზემოაღნიშნული ინდიკატორი - ვაჭრობის ინტეგრაცია და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაცია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ვაჭრობითა და კაპიტალის მოძრაობით. შესაბამისად, მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი ინდიკატორი (ვაჭრობისა და კაპიტალის ინტეგრაცია) არ წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის შეფასების სრულფასოვან მაჩვენებლებს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაცია ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარ საყრდენს და ინტეგრაციის სხვა სახეების (ინსტიტიციური, სექტორული, ბაზრების, დარგობრივი პოლიტიკების ინტეგრაცია და ა.შ) განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

სტატიის პირველ ნაწილში მოკლედაა მიმოხილული ეკონომიკური ინტეგრაციის არსის, ფორმებისა და ძირითადი შედეგების, ასევე ეკონომიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთიერთმიმართების თაობაზე არსებული ძირითადი მიდგომები და კონცეფციები. ნაშრომის შემდეგ ნაწილში, ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაციის შეფასების მიზნით გაანალიზებულია 2014-2023 წლებში საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები. ნაშრომის ბოლო ნაწილში ასახულია დისკუსია და დასკვნა 2014-2023 წლებში ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწეული დონის თაობაზე.

## ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ფორმები და შედეგები: ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის დაწყების, მისი განვითარების ფორმების, ეტაპებისა და ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკაზე ინტეგრაციის გავლენის საკითხს მრავალი პუბლიკაცია ეძღვნება. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხი აქტუალური მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გახდა. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში საკითხის აქტუალურობა განპირობებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში დაწყებული ინტეგრაციული პროცესებით. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის საწყის წერტილად მიჩნეულია ვინერის და ბალასას ფუნდამენტური ნაშრომები. აღნიშნული მეცნიერების მიხედვით, ეკონომიკურ ინტეგრაციას პოზიტიური გავლენა აქვს ინტეგრაციულ პროცესებში ჩართული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. ვინერის ნაშრომში „საბაჟო კავშირის საკითხი" [ვინერი, 1950] რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა ასპექტთან ერთად ყურადღება

გამახვილებულია ვაჭრობის დაწყებისა და ვაჭრობის გადანაცვლების ეფექტებზე. ნათელია, რომ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის დადებითი გავლენა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია ვაჭრობის დაწყების შესაძლებლობით, რაც ქვეყნებს შედარებითი უპირატესობის საფუძველზე სპეციალიზაციის შესაძლებლობას აძლევს, რაც თავის მხრივ, შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობაა. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვინერი თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ ეტაპზე, საბაჟო კავშირზე და ეკონომიკური ინტეგრაციის სხვა ფორმებით განპირობებული პოზიტიური თუ ნეგატიური ასპექტები მეტწილად უგულვებელყოფილია.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ფორმების, მისი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი შედეგების ანალიზის თვალსაზრისით გამოსაყოფია ბ. ბალასას ფუნდამენტური ნაშრომი „ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია" (1961). ბალასა, განასხვავებს ეკონომიკურ თანამშრომლობას და ეკონომიკურ ინტეგრაციას, ასევე, გამოყოფს და ახასიათებს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების 5 ეტაპს, თავისუფალი ვაჭრობის ზონით დაწყებული სრული ეკონომიკური ინტეგრაციით დამთავრებული. ბალასას მიხედვით ეკონომიკური ინტეგრაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება მოიცავდეს ინტეგრაციის შემდეგ ფორმებს: ვაჭრობის სფეროში ინტეგრაცია, წარმოების ფაქტორების ინტეგრაცია, სექტორული/დარგობრივი პოლიტიკების ინტეგრაცია და სრული ეკონომიკური ინტეგრაცია. გარდა აღნიშნულისა, ბალასა გამოყოფს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატიკურ და დინამიკურ ეფექტებს, რომელიც შეიძლება ასევე განხილულ იქნას როგორც რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მოკლევადიან ეფექტებს შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ფასებზე და კონკურენციის დონეზე გავლენა. მოკლევადიანი ეფექტები უპირველეს ყოვლისა ვლინდება ვაჭრობის სფეროში, კერძოდ, ვაჭრობის დაწყებასა და ვაჭრობის გადანაცვლებაში [Viner, 1950]. გრძელვადიან პერიოდში, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია მონაწილე ეკონომიკების მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განაპირობებს, ხელს უწყობს რა ბაზრებისა და წარმოების გაფართოებას, შესაბამისად, მასშტაბის ეკონომიის ეფექტის წარმოქმნას და მის გაძლიერებას (როგორც შიდა, ისე საგარეო მასშტაბის ეკონომია), შედარებითი უპირატესობის საფუძველზე ქვეყნების მეტად სპეციალიზაციას, უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველობის ზრდას, რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობას და ა.შ. ნათელია, რომ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის გრძელვადიანი ეფექტები ასევე მოიცავს სექტორული პოლიტიკების თანმიმდევრულ დაახლოებას, რაც ზრდის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართული ეკონომიკების თავსებადობას და ხელს უწყობს ინტეგრაციული პროცესების შემდგომ გაღრმავებას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის აღნიშნული ფორმები თანმიმდევრულობითა და ურთიერთგანპირობებულობით ხასიათდება. როგორც წესი, ინტეგრაციული პროცესები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით იწყება, რაც ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის ხელშეწყობას გულისხმობს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საწყის ეტაპზე საბაჟო კავშირის, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის პირველი ფორმის, ფორმირების შესაძლებლობას. აღნიშნული იმითაა განპირობებული, რომ საბაჟო კავშირის, ისევე რო-

გორც თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციისკენაა მიმართული და იმთავითვე არ ითვალისწინებს, თუმცა, არ გამორიცხავს, წარმოების ფაქტორებისა და/ან სექტორული პოლიტიკების ინტეგრაციას.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების თეორიული ასპექტების მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია ინტეგრაციის ერთ-ერთი ფორმის - ინსტიტუციური ინტეგრაციის ხაზგასმა. ინსტიტუციური ინტეგრაციის ცალკეული ასპექტების გამოყოფა ეკუთვნის ცნობილ ეკონომისტს ი. ტინბერგენს. ტინბერგენი ნაშრომში „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“ (1954) განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ ინტეგრაციას. ნეგატიური ინტეგრაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მხოლოდ ვაჭრობის სფეროში ინტეგრაცია, მაშინ როცა პოზიტიური ინტეგრაცია გულისხმობს არსებული ინსტუტუტების მოდიფიკაციის აუცილებლობას და/ან ახალი ინსტიტუტების შექმას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არსებული ინტეგრაციის დონის შემდგომ გაღრმავება/გაფართოებას. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე რეგიონული ინტეგრაციული პროცესები იმთავითვე მოიცავს ეკონომიკური ინტეგრაციის გარკვეულ ინსტიტუციურ ასპექტებს და თანამედროვე პერიოდში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები მეტწილად პოზიტიური ინტეგრაციის ფორმას ატარებს [El-Agraa, 2011].

რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის ჩართვის შედეგად მიღებული ეფექტები დამოკიდებულია მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეზე. ცხადია, რომ მაღალგანვითარებული (მაღალი შემოსავლის მქონე) ეკონომიკის ჩართვა ასევე მაღალგანვითარებული ეკონომიკების მონაწილეებით არსებულ ინტეგრაციულ ჯგუფში განაპირობებს განსხვავებულ ეფექტებს, ვიდრე სუსტად განვითარებული (დაბალი შემოსავლების მქონე) ან შედარებით ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის (საშუალო შემოსავლების) მიერთება მაღალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნების ინტეგრაციულ ჯგუფთან [**Kerr and Gaisford, 2007**]. ნათელია, რომ შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნის მიერთება მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტეგრაციულ ჯგუფთან ხელს უწყობს დაბალგანვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევას. დაბალგანვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ინვესტიციების ზრდა წარმოადგენს, ვაჭრობის ზრდასა და ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად. ბოლდვინისა და შეგეზას [Baldwin and Seghezza, 1998] კვლევის მიხედვით, ოთხი ქვეყნის მაგალითზე (ესპანეთი, პორტუგალია, ირლანდია და საბერძნეთი) რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციისა და ინვესტიციებით განპირობებული ეკონომიკური ზრდის თაობაზე, რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას პოზიტიური გავლენა აქვს ნაკლებად განვითარებული ქვეყნის ინვესტიციებზე. თუმცა, ამავე კვლევის მიხედვით, ეკონომიკური ინტეგრაციით განპირობებული ინვესტიციები ვერ გადაფარავს არაეფექტიანი მაკრეკონომიკური პოლიტიკის შედეგებს.

მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში [World Bank, 2000] ეკონომიკური ინტეგრაციის, კერძოდ, სავაჭრო ბლოკების თაობაზე, ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია რეგიონული ინტეგრაციული პროცესებით განპირობებული შედეგების 4 შესაძლო სცენარზე. ერთ-ერთი სცენარია შედარებით ნაკლებად განვითარებული ანუ საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებადი ან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის მიერთება განვითარებული ქვეყნების (მაღალი შემოსავლების მქონე) მსხვილ ინტეგრაციულ ჯგუფთან [World Bank, 2000: 66-67]. ასეთ შემთხვევაში, პუბლიკაციის თანახმად,

საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის მიერ მიღებული სარგებელი როგორც პოლიტიკური (უსაფრთხოება, რეფორმები, თანამშრომლობის გაღრმავება და ა.შ.), ისე ეკონომიკური (მასშტაბის ეკონომია, კონკურენციის ზრდა, ტექნოლოგიების ტრანსფერი, ვაჭრობა და წარმოების აგლომერაცია) თვალსაზრისით მნიშვნელოვნად აჭარბებს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის დანაკარგებს.

**ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაცია 2014-2023 წლებში[1]**

ნებისმიერი ქვეყნა, მათ შორის საქართველო, რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ერთვება ვაჭრობის, კერძოდ, ექსპორტის ხელშეწყობის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ზოგადად, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის ეკონომიკურ დეტერმინანტებს. ცხადია, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია არ არის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული პროცესი. რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური ფაქტორები და ა.შ. თუმცა, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური დეტერმინატების ანალიზზე.

ზოგადად, ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის დონის გასაზომად სხვადასხვა მაჩვენებელს იყენებენ, მათ შორისაა ექსპორტისა და იმპორტის ზრდა, ექსპორტის და იმპორტის წილი მთლიან ექსპორტსა და იმპორტში, მთლიანი ვაჭრობის ზრდა, ცალკეულ ქვეყანასათან ვაჭრობის წილი, წილი შიდარეგიონულ ვაჭრობაში და ა.შ. [Asian Development Bank, 2021]. ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის დონის შეფასების მიზნით გამოყენებულია ექსპორტ-იმპორტის დინამიკის, ასევე საქართველოს მთლიან ექსპორტსა და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის წილის თაობაზე მაჩვენებლები. ზოგადად, 2014-2023 წლებში საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობები დადებითი დინამიკით ხასიათდება. 2014 წელს, ევროკავშირში ექსპორტის მოცულობა 624.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ სტატიის მიზანს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი წარმოადგენს, ანალიზის საწყისი წერტილი სწორედ 2014 წელია. ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს ევროკავშირთან DCFTA-ს ერთ-ერთ მთავარ მიზანს. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე განხორციელებულ კვლევებში ხაზგასმული იყო აღნიშნული შეთანხმების, მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით, გაფორმების დადებითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე [UNDP, 2007; Case/Global Insight, 2008]. კერძოდ, ერთ-ერთი კვლევის თანახმად, DCFTA-ს შედეგად „..საქართველოს ექსპორტი მოკლევადიან პერიოდში 9%-ით, გრძელვადიან პერიოდში 12%-ით გაიზრდება. იმპორტი შესაბამისად გაიზრდება 4,4% და 7,5%-ით..“ [Ecorys/CASE, 2012: 37]. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ევროკავშირში ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 862.6 მლნ. აშშ დოლარი. შესაბამისად, ექსპორტის მოცულობა 2014 წელთან შედარებით 2022 წელს 38.1%-ით გაიზარდა. 2023 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა 2022 წელთან შედარებით შემცირდა 18.3%-ით და შეადგინა 704.3 მლნ. აშშ

1 2013-2020 წლების ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებში იგულისხმება ევროკავშირის 28 ქვეყანა, ხოლო 2021 წლიდან მონაცემებში ევროკავშირის 27 ქვეყანა.

დოლარი, რაც 2014 წელთან მიმართებაში მხოლოდ 12.8%-იან ზრდაზე მიუთითებს. 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტმა 2.3 მლრდ. დოალრი შეადგინა, ხოლო 2023 წელს 3.7 მლრდ. დოლარი, რაც იმპორტის 60%-იანი ზრდაზე მიუთითებს. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერს შემდეგ, როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი გაცილებით მეტად გაიზარდა, ვიდრე ზემოაღნიშნული კვლევით იყო პროგნოზირებული (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. ევროკავშირთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი), 2014-2023 წლები**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ევროკავშირთან ვაჭრობის, კერძოდ ექსპორტის აბსოლუტური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდისა, 2015-2023 წლებში ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია და შეადგენს მხოლოდ 2.3%-ს. თუმცა, 2020-2021 წლებში COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. შესაბამისად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2020-2021 წლების მაჩვენებლებს და შევაფასებთ პანდემიამდე არსებულ ვითარებას, 2015-2019 წლებში ევროკავშირში ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 6.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელთან შედარებით, 2022 წელს ექსპორტის ზრდა 3.3%-ია. 2023 წელს სახეზეა 2019 წელთან შედარებით ექსპორტის შემცირება, რაც 15.6%-ს შეადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს ევროკავშირში ექსპორტის მცირე, მაგრამ მაინც დადებით დინამიკაზე. პოზიტიურია ასევე იმპორტის კუთხით ევროკავშირთან ვაჭრობის დინამიკა. 2015-2023 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 6.7%-ს შეადგენს, ხოლო 2015-2019 წლების მონაცემებით იმპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი მხოლოდ 0.8%-ია. 2019 წელთან შედარებით 2023 წელს ევროკავშირიდან იმპორტი 57.6%-ით გაიზარდა (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. ევროკავშირთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ზრდა (%), 2015-2023 წლები**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე

ზოგადად, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის დადებითი დინამიკის მიუხედავად, შეინიშნება საქართველოს მთლიან ვაჭრობაში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების ხვერდითი წილის კლების ტენდენცია. კერძოდ, ვაჭრობის ინტეგრაციის ორი სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებელი - ევროკავშირში ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2015 წლიდან განუხრელად მცირდება. 2015 წელს ევროკავშირში ექსპორტი საქართველოს მთლიანი ექსპორტის 29.2%-ს შედგენდა, მაშინ როცა 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებლი მხოლოდ 11.6%-ს შეადგენს. იგივე სახის დაღმავალი ტენდენცია ვლინდება საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ხვედრითი წილის კუთხით. 2015 წელს ევროკავშირთან ვაჭრობა შედგენდა საგარეო სავაჭრო ბრუნვის 32%-ს, 2023 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მხოლოდ 20.9%-ს შეადგენს (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3. ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტსა და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში (%), 2014-2023 წლები**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მეორე მნიშვნელოვანი ინდიკატორია კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაცია, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება ქვეყნებს შორის ინვესტიციების მოძრაობაა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაა, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის ქვეყნებიდან. ნათელია, რომ ასოცირების შეთანხმების სავალდებულო ხასიათი ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობის ზრდის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია [Kawecka-Wyrzykowska, 2015: 88]. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ევროკავშირის ქვეყნებიდან წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის არსებული დონის ზრდისა და მისი შემდგომი გაღრმავების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. თუმცა, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები ავლენს, საქართველო ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების განხორციელებისთვის სასურველ ქვეყანას. 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 727.1 მლნ. აშშ. დოლარი. 2015-2016 წლებში ადგილი ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებას. ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2017 და 2022 წლებში, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 566.7 მლნ. აშშ. დოლარი და 963.3 მლნ. აშშ დოლარი შესაბამისად (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4. საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ. დოლარი), 2014-2022 წლები**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე

ზოგადად, 2015-2022 წლებში, მიუხედავად ცალკეულ წლებში ინვესტიციების მოცულობის შემცირებისა, ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი დინამიკით ხასიათდება. 2015-2022 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 17.7%-ს შეადგენს, რაც განპირობებულია 2017 და 2022 წლებში ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდით. 2015-2022 წლებში, საქართველოს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორ-

ციელებული ინვესტიციების წილი ყველაზე დაბალია 2016 წელს და მხოლოდ 19.8%-ს შეადგენს **(დიაგრამა 5)**.

**დიაგრამა 5. საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა (%) და წილი (%) მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2015-2022 წლები**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის დონის განსაზღვრის მიზნით გაანალიზებული ოთხი მაჩვენებლიდან ორი (ექსპორტისა და იმპორტის ზრდის ტემპი) მზარდი ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა ორი (ევროკავშირის წილი მთლიან ექსპორტში და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში) კლების ტენდენციას ავლენს. საქართველოს ევროკავშირთან კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაცია მცირედი დადებითი ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, როგორც ვაჭრობისა და ინვესტიციების მოძრაობის თაობაზე მონაცემების ანალიზიდან იკვეთება, 2014-2023 წლებში ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის დონე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

## დისკუსია

წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული დაღმავალი ტენდენციის განმაპირობებელი მიზეზების კვლევა, რაც მომავალი კვლევის საგანია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წილის შემცირება საქართველოს ექსპორტსა და საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, ზოგადად, ქვეყნის ვაჭრობისა და ექსპორტის ზრდის ფონზე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობის, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ნაკლებადაა იმთავითვე ექსპორტის განუხრელი ზრდის წინაპირობა, განსაკუთრებით, თუ პარტნიორებს შორის ვაჭრობაში შეთანხმების გაფორმებამდე მნიშვნელოვანი ბარიერები არ არსებობდა. ცნობილია, რომ ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე, საქართველო ევროკავშირთან ვაჭრობაში შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით, პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (GSP+) სარგებლობდა. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმების გაფორმებამდე

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად იყო ლიბერალიზებული (Emerson and Kovziridze (eds), 2018).

მიუხედავად იმისა, რომ 2014-2023 წლებში, საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაციის მხოლოდ მცირე დადებით ტენდენციას ავლენს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, ასევე DCFTA-ს განხორციელების თაობაზე ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში საქართველოს მიერ ეკონომიკის სფეროში გატარებული რეფორმები და საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკა დადებითადაა შეფასებული. თუმცა, ამავე ანგარიშებში, ასევე აღნიშნულია იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ზრდისთვის გონივრული მაკროეკონომიკურ პოლიტიკის გატარებასთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში შესაბამისი რეფორმების თანმიმდევრული და დროული განხორციელება [European Commission, 2017a; 2017b; 2017c; 2018a; 2018b; 2019a; 2019b; 2020a; 2020b; 2020c; 2021a; 2021b; 2022a; 2022b]. ცნობილია, რომ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ეფექტიანი განხორციელება მრავალი მიმართულებით რეფორმების თანმიმდევრულ გატარებას გულისხმობს, ტრანსპორტიდან და სოფლის მეურნეობიდან დაწყებული კლიმატის ცვლილებების სფეროში თანამშრომლობით დამთავრებული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ზრდის თვალსაზრისით სხვადასხვა სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების თანმიდევრული განხორციელება აუცილებელი, თუმცა, არასაკმარისი პირობაა, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში.

ცხადია, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის პოზიტიური ეფექტები გაცილებით ნაკლებია თავისუფალი ვაჭრობის ზონის, მათ შორის DCFTA-ს საფეხურზე, თუ მას თან არ სდევს წარმოების ფაქტორების, ინსტიტუციური და სექტორული, დარგობრივი პოლიტიკების ინტეგრაცია. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონის შემდგომი ამაღლების წინაპირობას ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის განუხრელ ზრდასთან ერთად ეკონომიკური ინტეგრაციის ზემოაღნიშნული ფორმების სწრაფი განვითარება წარმოადგენს, რაც საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირის ეკონომიკასთან თავსებადობისა და საბოლოო ჯამში, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონის ზრდას უზრუნველყოფს.

## დასკვნა

2014-2023 წლებში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, მისი ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის კომპონენტის (DCFTA) ჩათვლით, განხორციელების კვალობაზე საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ახალი დინამიზმი შეიძინა. აღნიშნულ პერიოდში, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ანალიზი განხორციელდა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის დონის განმსაზღვრელი ორი ინდიკატორის - ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაციის ანალიზისა და შეფასების კონტექსტში.

როგორც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა ცხადყო, ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის დონის განსაზღვრის მიზნით შეფასებული მაჩვენებლებიდან ორი (ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური და საშუალო წლიური ზრდა) მიუთითებს დადებით დინამიკაზე, ხოლო სხვა ორი მაჩვენებლი (ევროკავშირთან

ექსპორტის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში) უარყოფით დინამიკაზე. შესაბამისად, 2014-2023 წლებში, საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანი დადებითი ტრანსფორმაცია არ მომხდარა. ევროკავშირთან კაპიტალის მოძრაობის თაობაზე მონაცემების ანალიზი ავლენს დადებით ტენდენციას, როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობის, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო წლიური ზრდის ტემპის თვალსაზრისით. ცხადია, რომ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის დონის მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი ინდიკატორით შეფასება ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესზე არასრულ წარმოდგენას იძლევა. თუმცა, ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სფეროში ინტეგრაციის მაღალი დონის გარეშე სრულფასოვანი ინტეგრაციის მიღწევა შეუძლებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებამდე პერიოდში (2014-2023 წლები) საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია შეუქცევადი მზარდი ტენდენციით არ ხასიათდება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2022). საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2021, სტატისტიკური პუბლიკაცია
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2023). საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2022, სტატისტიკური პუბლიკაცია
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2024). საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში (2023 წელი, წინასწარი).
4. Asian Development Bank. (2021). Asia-Pacific Regional Cooperation and Integration Index: Enhanced Framework, Analysis and Applications. Manila
5. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, (2014), Official Journal of the European Union, Volume 57 (L 261), English edition.
6. Balassa, B. (1961). The Theory of Economic Integration. Homewood, Illinois: Richard D. Irwin
7. Baldwin, R. E. and Seghezza, E. (1998). Regional Integration and Growth in Developing Nations. Journal of Economic Integration, Vol. 13, No. 3, (September): 367-399.
8. Case/Global Insight. (2008). Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement between the European Union and Georgia.
9. De Lombaerde, Philippe, ed. Assessment and Measurement of Regional Integration. London: Routledge, 2006
10. Emerson, M. and Kovziridze, T. (eds) (2018), Deepening EU-Georgian Relations - What, why and how? Brussels and London: CEPS and London: Rowman & Littlefield International.
11. European Commission. (2017a). Report on Implementation of Free Trade Agreements. 1 January 2016 - 31 December 2016, COM (2017) 654 final.
12. European Commission. (2017b). Commission Staff Working Document, Country reports and info sheets on implementation of EU Free Trade Agreements. 1 January 2016 - 31 December 2016. SWD (2017) 364 final.

13. European Commission. (2017c). Association Implementation Report on Georgia, Joint staff working paper, SWD (2017) 371 final, Brussels, 9.11.2017
14. European Commission. (2018a). on Implementation of Free Trade Agreements. 1 January 2017 - 31 December 2017, COM (2018) 728 final.
15. European Commission. (2018b). Commission Staff Working Document, Country reports and info sheets on implementation of EU Free Trade Agreements. 1 January 2017 - 31 December 2017. SWD (2018) 454 final.
16. European Commission. (2019a). Report on Implementation of Free Trade Agreements, 1 January 2018 - 31 December 2018, COM (2019) 455 final.
17. European Commission. (2019b). Association Implementation Report on Georgia, Joint staff working paper, SWD (2019) 16 final, Brussels, 30.1.2019
18. European Commission. (2020a). Report on the Implementation of EU Trade Agreements, 1 January 2019 - 31 December 2019, COM (2020) 705 final
19. European Commission. (2020b). Commission Staff Working Document, Country reports and info sheets on implementation of EU Free Trade Agreements. 1 January 2019 - 31 December 2019. SWD (2020) 263 final
20. European Commission. (2020c). Association Implementation Report on Georgia, Joint staff working paper, SWD (2020) 30 final, Brussels, 6.2.2020
21. European Commission. (2021a). Commission Staff Working Document, Individual information sheets on implementation of EU Trade Agreements. SWD (2021) 297 final
22. European Commission. (2021b). Association Implementation Report on Georgia, Joint staff working paper, SWD (2021) 18 final, Brussels, 5.2.2021
23. European Commission (2022a). Association Implementation Report on Georgia, Joint staff working paper, SWD (2022) 215 final, Brussels, 10.8.2022
24. European Commission. (2022b). Commission Staff Working Document, Individual information sheets on implementation of EU Trade Agreements. SWD (2022) 730 final
25. European Council. (2023). European Council Conclusions, 14 and 15 December 2023, Brussels
26. El-Agraa, A.M. (2011), The European Union: Economics and Policies, ninth edition
27. Ecorys/CASE. (2012), Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. Final report. Rotterdam
28. Kawecka-Wyrzykowska, E. (2015), The EU-Georgia Association Agreement: An Instrument to Support the Development of Georgia or Lip Service? /Układ Stowarzyszeniowy Ue – Gruzja: Instrument Wsparcia Rozwoju Gruzji Czy Deklaracja Bez Pokrycia? Comparative Economic Research, 18(2), pp. 77-97.
29. Kerr, W., and Gaisford, J. D. (2007), Handbook on International Trade Policy, Edward Elgar Publishing.
30. Tinbergen, J. (1954). International Economic Integration, Elsevier.
31. United Nations. Economic Commission for Africa; African Union Commission; African Development Bank (2019). Africa regional integration index (ARII). Addis Ababa.
32. United Nations. Economic Commission for Africa; African Union Commission; African Development Bank (2019). Africa regional integration index (ARII). Methodological note

33. UNDP. (2007). Assessment of the Impact of Potential Free Trade Agreement between the EU and Georgia.
34. Viner, J. (1950). The Customs Union Issue. New York: Carnegie Endowment for International Peace
35. World Bank. (2000). Trade Blocs, World Bank Policy Research Report, Oxford: Oxford University Press.

***Emir Eteria***
*Doctor of Economics, Professor at Caucasus University*

## EU-GEORGIA ECONOMIC RELATIONS DURING 2014-2023: FROM ASSOCIATION TO CANDIDACY

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Emir.Eteria

### Expanded Summary

On December 14, 2023, according to the conclusions of the European Council, Georgia was granted EU candidate status, which marks the beginning of a new phase in EU-Georgia relations. Therefore, it is important to analyze and assess the economic relations from the moment of signing the EU-Georgia Association Agreement (2014) until Georgia was granted candidate status. It is obvious that the Association Agreement, including the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA), represents an important mechanism for intensifying Georgia's economic relations with the EU and, consequently, increasing the degree of Georgia's economic integration with the EU. Any country, including Georgia, enters the process of regional economic integration to increase trade, especially exports, to attract Foreign Direct Investment (FDI) and to support economic growth and development in general. These are the economic determinants of economic integration. Obviously, economic integration has never been a process determined by economic factors alone. Other factors such as historical, social, political have a huge impact on economic integration. However, this article focuses on the economic determinants of regional economic integration.

In order to assess and determine the degree of economic integration achieved between the EU and Georgia in the period 2014-2023, two indicators of regional economic integration were analyzed. The first indicator is trade integration and the second is capital integration. In order to assess these two main indicators of economic integration, relevant statistics on trade and Foreign Direct Investment for the period 2014-2023 were analyzed. Obviously, the process of regional economic integration is not limited to trade and capital integration. However, these two forms of regional economic integration represent the most important forms of any successful economic integration and are the basis for the development of other forms of economic integration, such as institutional integration, sectoral integration, market integration, policy integration, social integration, etc. These forms of economic integration represent forms of advanced regional economic integration, which cannot be achieved without progress in trade and capital integration.

In the period 2014-2023, based on the implementation of the Association Agreement, including the DCFTA, the economic relations between the EU and Georgia have gained new dynamism. As the analysis of relevant trade data has shown, two trade integration variables, such as absolute and average annual growth rate of export-import with the EU, have positive dynamics, while the other two variables, the share of exports to the EU in Georgia's total exports and the share of the EU in Georgia's trade turnover, have negative dynamics. Thus, Georgia's trade integration with the EU has not changed significantly in the period 2014-2023. As for capital integration, the analysis of data on EU Foreign Direct Investments in Georgia shows positive dynamics both in terms of absolute growth and average annual growth rate. Obviously, assessing the level of regional economic integration between Georgia and the EU based on only two indicators - trade and capital integration - gives an imperfect impression on the integration process. However, without a high degree of integration in these forms, successful regional economic integration is impossible. Taking all the above into account, the degree of Georgia's economic integration with the EU in the period 2014-2023 does not illustrate irreversible upward trends. A precondition for increasing the level of Georgia's economic integration with the EU is, along with trade and capital integration, the development of other forms of integration, such as institutional, sectoral, market, political and social integration, which, in turn, will ensure increased compatibility of Georgia's economy with the EU economy and, consequently, a higher level of economic integration with the EU.

**Keywords:** *Georgia; EU; Association Agreement; Trade Integration; Capital Integration*

**Givi Bedianashvili**
*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University;*
**Zviad Gabroshvili**
*Graduate Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

# BLOCKCHAIN TECHNOLOGIES FOR MANAGING PUBLIC DEBT

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Givi.Bedianashvili/Zviad.Gabroshvili

***Annotation**. The study presents the application of blockchain technologies in the direction of public debt management. Existing models for debt management are mentioned, such as the debt, investment, growth model and the debt, investment, growth and natural resources model. An important component for achieving sustainability, the use of blockchain technology for increasing the efficiency of state investments, which implies the transparency of investments, is presented. The study showed how the government should use blockchain technology to make investments more efficient and transparent, which could reduce the likelihood of an explosive debt problem. The paper also discusses how the state can find resources through blockchain technology and, in certain cases, reduce the public debt based on the emergence of new reserves. The risks of using this technology are also shown, which can cause significant problems in the direction of the stability of the state economy.*
***Keywords**: blockchain technologies, public debt management, investment transparency*

## Introduction

Issues related to public debt management are of great interest to the society of any country. The size of the public debt, issues directly related to management and annual growth rates are naturally the object of special attention of scientific-research publications.

There are few scientific publications about the use of blockchain technologies in the process of public debt management (see, for example, MacDonald, 2022). However, in recent years, publications have appeared on the problems of using blockchain technologies in other areas of society (Ahmed, A., 2018; Akins et al, 2013; Casino et al, 2019; Douglas et al, 2015; Kim & Laskowski, 2016; Ko & Verity, 2016; McKinseyCompany, 2016; Sichinava & Maghradze, 2023; Swan, 2017) . Their analysis shows that the potential and possible area of application of blockchain technologies is quite diverse (Figure 1).

Recently, the problem of public debt has been acute worldwide. Different models have been created to solve public debt problem, listing a few of them will show us how large-scale the mentioned task is:

1. Can exogenous growth in government spending be financed by tax increases or borrowing? (Barro, 1979)
2. Relationship between debt, investment and economic growth: Debt, Investment, Growth (hereinafter DIG) model. (Buffie et al, 2012).
3. The relationship between public debt, investments and economic growth in countries with rich resources: Debt, investment, growth, natural resources (hereinafter DIGNAR) model. (Berg et al, 2013)

The research of the public debt in Georgia is one of the important issues on which many interesting papers have been written (Bedianashvili & Kokhreidze, 2023; Charaia & Papava, 2021).

**Figure 1. Areas of application of blockchain technologies**




**Source**: Casino et al, 2019.

As for blockchain technologies, they have made a significant change in the world economy. Various cryptocurrencies have been introduced, which have different features and capabilities. In some blockchains, if a limited amount of cryptocurrency can be issued, in others this restriction is removed.

In the mentioned paper, we review the possibilities of using blockchain technologies in the direction of public debt.

## Blockchain review

In 1998 computer scientist Nick Szabo created method for decentralized digital currency, which he called ‘bit gold’. He also created the concept of smart contract. This is one of the early developments towards blockchain technology.

After that, in 2008 anonymous person or person group named Satoshi Nakamoto invented first cryptocurrency bitcoin, which was using blockchain technology. This technology solved double-spending problem in peer-to-peer network. In cryptocurrency Blockchain contains the records of all transactions in the system. It also contains genesis block where certain amount of cryptocurrency is issued by the creator of that currency. The price of bitcoin in 2017 rapidly increased and so the popularity of the Blockchain technology did.

Blockchain technology today is used for storing data, using smart contracts and for cryptocurrencies. Some implementations of Blockchain are the way of transparency.

There are more than 25 000 cryptocurrencies in the world of February 2024. Some of them have very high market capitalization and are the good source of income for investors, but some of them caused significant loses.

**Blockchain technology for public dept efficiency**

Blockchain itself can be used to improve the efficiency of public debt. In the DIG and DIGNAR models, one of the key equations linking public capital and investment is given in the first equation.

$$k_t^g = (1 - \delta)k_{t-1}^g + \epsilon * i_t^g \ (1)$$

In the mentioned equation, $k_t^g$ is public capital in time period t, $\delta$ is depreciation, $i_t^g$ is public investment, and $\epsilon$ is the efficiency of public investment. Funding for public investment can come from both savings and debt. In general, the parameter $\epsilon$ varies between zero and one and shows how much of the public investment has become productive capital. A low value of the mentioned parameter can be caused by both governance and corruption deficiencies, as well as unexpected cost overruns. A certain value of the $\epsilon$ parameter in a certain period can lead to an explosive debt problem, with negative economic or social consequences.

In order for the effectiveness of public investment to be high, it is important for a specific investment project to be economically observable. This traceability can be achieved with Blockchain technology, with the help of which the company implementing the project can make the necessary transfers (it is necessary to integrate the mentioned blockchain with the financial system), whether it is for the purchase of specific products or for payment of labor. Subsequently, these transfers can be analyzed by chain analysis and the results can be drawn:

1. What part of the investment was used for wages and how many people were paid. Whether a particular worker's salary matches the average or median salary in the market or how far the salary is from the average or median.
2. The executor of a particular project may require goods and services from another organization. It will be given how much money was transferred to another organization and for what purpose. This will determine how effective and efficient the mentioned expenditure was.
3. A unified database of the costs of specific projects will be created, which will be used to evaluate the effectiveness of projects by statistical methods and it will be usable for forecasting in the future.

Figure 2 illustrates the flow of funds before using blockchain technology. Here government gives funds to company 1, company 1 buys goods and services from company 2, pays wages to workers and pays dividends to owner. If the links between economic agents are not controlled sufficiently in state-funded project, the risks of corruption and inefficiencies increase. As for debt in DIG model, if the links are not controlled, then the efficiency of public investment decreases, which may cause exploding debt problem.

**Figure 2. Flow of funds before Blockchain technology**




Source: Compiled by the authors

Figure 3 illustrates the flow of funds after using blockchain technology. Here government send funds to company 1 using some blockchain technology, in our example let's call it `Public investment blockchain`. If the company wants to buy goods and services, pay wage and dividends, the working scheme works like this:

1. Company 1 wants to buy goods and services from company 2, every transaction with appropriate document is recorded in public investment blockchain;
2. Company 1 pays wages to workers, here each wage to each person is recorded in public investemnt blockchain with appropriate document;
3. Company 1 pays dividends to its owners, here each paid dividend is recorded in the public investment blockchain with appropriate document.

**Figure 3. Flow of funds after using blockchain technology**




*Source: Compiled by the authors*

After that public investment blockchain will become the database of transactions of different projects. The flow of funds can later be analyzed using graph analysis methods. Figure 4 illustrates one simplified hypothetic example of state-funded projects graph that may derived from the data of our hypothetic public investment blockchain. Here government spends 8 000 000 currency unit to execute two projects, project 1 and project 2. Project 1 is executed by Company 1 and Company 2 for 3 000 000 currency units. company 1 buys goods and services from company 4 for 400 000 currency units, pays wage of 300 000 currency units to workers and owner 1 gets dividends from company 1 of 300 000 currency units, thus owner 1 has net profit margin of 30% from project 1. In project 1 Company 2 buys goods and services from company 3 for 1 000 000 currency units, pays wages of 200 000 currency units to workers and owner 2 gets dividends from this project of 800 000 currency units, thus owner 2 has net profit margin of 40%. Project 2 is executed by Company 2. In project 2 company 2 buys goods and services from company 4 for 2 500 000 currency units, pays wages of 1 500 000 to workers and dividends to owner 2 of 1 000 000 currency units. Here owner 2 has net profit margin of 20% from project 2. By examining the graph, we can ask some basic questions for example:

1. Who owns company 3 and company 4?
2. How efficient the transactions were?
3. Were the alternative companies from which it was possible to buy goods and services cheaper?
4. How efficient were projects in terms of execution costs? Should government fund such projects in future?

**Figure 4. The example graph of state-funded projects**




Source: Compiled by the authors

## Blockchain technology as an investment project

Today there are various cryptocurrencies, the most well-known of them are Bitcoin, Ethereum, Tether USDt, Ripple, Dogecoin and others. In today's world of confrontational globalization (Bedianashvili, 2023; Papava, 2022) and currency wars, low- and middle-income countries can take advantage of this opportunity to build currency reserves at relatively low cost through blockchain. The main idea here is to issue a cryptocurrency at the level of a specific state or regional economic integration, which will have state support, place a certain amount of cryptocurrency in the genesis block, and if its value increases, it will be able to sell it, thus it will be able to gradually get out of the public debt or get new resources to finance large-scale projects. If we look at the increase in value, the price of cryptocurrency is affected by its support by states, convention and others, as a result, if we look at the market capitalization, successful cryptocurrencies often have a market capitalization worth tens and sometimes hundreds of billions of dollars, which is an attractive factor for creating a new cryptocurrency.

It is necessary to find out how cryptocurrency can be developed under different conditions by the state.

First, let's consider the case where one state is the creator of a cryptocurrency, but not its future controller. The state can place necessary amount of cryptocurrency in the blockchain genesis block, it may be the value in national currency of which will be the size (or more) of the debt (or the value of the project to be implemented) that the state wants to cover in the future. In this case, such a project will bring a one-time benefit to the state due to its creation of the new cryptocurrency. Here are two options:

1. The amount of cryptocurrency issued is limited. In this case, the issuance of the currency will be controlled by an appropriate mechanism, be it the proof of work or proof of stack method, as a result, if the market capitalization reaches a certain level and is self-sufficient, then the state will sell the cryptocurrency in the genesis block, but this should not cause harm to other users and this should not become Ponzi scheme.
2. The amount of cryptocurrency issued is unlimited. In this case, the issuance of cryptocurrency can be carried out by an algorithm that, without the intervention of the

state or a specific user, will create a new cryptocurrency in the blockchain system after fulfilling certain conditions, for example, it can be a reward for validating a transaction, as is used in various cryptocurrencies (for example, in Ethereum). In this case, the market capitalization must grow faster than the amount of issued currency, so that this cryptocurrency does not devalue and the value of the cryptocurrency placed by the state in the genesis block does not decrease, but increases.

Consider the case where the state is the creator and controller of cryptocurrency. From the point of view of investors, when buying such cryptocurrency, there are risks that the issuer can at any time increase the supply of cryptocurrency, which will grow more than the market capitalization of this cryptocurrency, so its price will fall and investors will lose their property. Such a cryptocurrency could be Central Bank Digital Currency (CBDC).

At the level of international economic integration, several small states can create a cryptocurrency, and the genesis block will contain the required amount of cryptocurrency, which will be distributed accordingly based on the agreement of these states. If this currency will be issued in limited quantities, then as its value increases, so will the price of the quantity in the genesis block. In this case, simply at the level of an investment project, states can receive funds several times, and not borrow for the implementation of any project, because considering that so far, according to Forbes data of February 2024, the size of the entire cryptocurrency market is in the range of 2 trillion USD (https://www.forbes.com/digital-assets/crypto-prices/?sh=3c0b826a2478) and the capture of a large part of the market is quite difficult. When the market capitalization of the largest cryptocurrency by market capitalization, Bitcoin, in the same period is only 1 trillion US dollars, and the value of the second cryptocurrency, Ethereum, is 330 billion US dollars, then it is less possible to pay large debts in this way.

Using Blockchain technology for managing public debt by creating cryptocurrency is challenging. This technology at the same time creates possibilities with risks. There are risks for creators of cryptocurrency and for its users also. When country creates its cryptocurrency, it becomes its legal medium of exchange, this can cause different monetary fluctuations, which affects macroeconomic variables, that should be controlled by the government or that cryptocurrency may loss the status of medium of exchange, that means the losses for cryptocurrency investors. Creator should consider cybersecurity, which is challenging for the modern world. As a new medium of exchange, it will be required to implement various anti money laundering measures, which is also difficult.

## Conclusion

To sum up, this paper reviewed possible blockchain technology applications for managing public debt. The first application that was reviewed was the efficiency increasing way by implementing blockchain to solve inefficiencies by traceability. This method can be used for gathering data about projects and assessing their efficiency. The second application of blockchain was cryptocurrency as an investment project. This may have benefits for receiving additional funds without borrowing, creating currency reserves with low costs and after that use that reserves to pay certain amount of debt. This method can also be used for international economic integration in the era of currency wars, where new global medium of exchange and reserve currency can be emerged. Both methods may create risks, because they involve integrating to financial system. The risks are:

1. The risk of creating large business cycles caused by cryptocurrency fluctuations those may affect macroeconomic variables,
2. Cyber security risks,
3. The risk of losses for investors,
4. Money laundering risks.

## References


Sociological studies confirm that people's attitudes to the optimal number of children in a family vary. This change depends on living conditions, the health of the spouses, their age, the time of marriage, etc. The quality of the religiousness of the spouses, their denomination, must also be taken into account. Sociological researches carried out in different periods within different social groups have shown that the reproductive behaviour tending to have many children is characteristic only for the Orthodox Christian believers (2016). For them, the optimal number of children is close to three or more (3.32 children). Moreover, the number of children in a family is considered to be determined by the Almighty, which does not encourage planning the birth of children. The lowest rate of reproductive behaviour was found in the 2013 survey. According to the respondents, the optimal number of offspring is 3.0 children, but the expected number is 2.4 children, which is lower than the data from all other studies. For respondents who are married and in work (2022), the optimal number of offspring is 2.88 children. In contrast to all the other social groups, the expected number of children is high in the families of the Orthodox Christian believers. This figure exceeds the indicator of the optimal number of children and is 4.05 children. Therefore, the Orthodox believers show a clear tendency to have many children. The same cannot be said of the married and working respondents. Among them, the expected number of children is 2.72. Some of the respondents found it difficult to state the possible number of children. Some of the respondents found it difficult to state the possible number of children. They think that the number of children in the family is determined by such factors as "difficulty in bringing up children", "material condition", "housing problem", "lack of time for family life", "infertility", etc. The number of respondents who already have three or more children or want to have them in the future is 2.7 times higher than the number of those who tend to have few children (1-2 children). Gender equality, i.e. the increase in the proportion of women in the labour force, has limited the time they spend with their families. They are more involved in the 'public sphere' and have less time to devote to family matters. Despite the fact that the trend towards a more equal division of family responsibilities is more acceptable and that men are increasingly entering the "private space" associated with the "real gender revolution", these processes still have a negative impact on the family and the achievement of the desired number of children. When referring to the problems that exist within their own families, respondents highlighted "the lack of time", "the difficulty of bringing up children", "the scarcity of maternity leave", "the inflexibility of working hours", etc. These problems spill over into relationships between spouses and sometimes become the cause of conflict.

It goes without saying that the importance of reproductive health is immeasurable when it comes to increasing fertility. The late expert of the United Nations Population Fund, S. Ivanov, when analyzing one of the characteristic features of the second demographic transition - the decrease in the number of children within a family - focused on reproductive health. Ac-

---

[4] . Effective marriage is the type of marriage that exists throughout the reproductive period and has the ability to produce offspring for the duration of that period.

cording to him, the level of childlessness among women of reproductive age ranges from 5% in Eastern Europe (Bulgaria) to 15% (Russia). In Western and Northern Europe, the level of childlessness is stabilized at around 20% and in Eastern Asia and Southern Europe at 25-30% [Ivanov, 2002]. The World Health Organization estimates that under modern conditions 10-15% of marriages are infertile. In addition, the rate of childlessness among women is 50-70%, while it is 30-50% among men. The situation in Georgia is almost the same. There, 35,000 couples of reproductive age are infertile [Verulava…2015].

Comparing the actual number of children between generations gives a clear picture of the decline in fertility. According to the 2013 research, the generation of respondents had an average of 1.2 children, while the actual number of children for their parents was 2.4 children. In other words, the number of children has been halved within a single generation. According to the research of 2022, the situation regarding the actual number of children has not changed during the past period, if we do not focus our attention on the fact that the number of infertile families has increased. The actual number of children of the respondents is 1.4 children, while the actual number of children of the parents is 2.2 children.

The postponement of marriage and parenthood is associated with the second demographic transition when it is caused by women's search for higher education, career advancement and emancipation. In some cases, however, the postponement of marriage and parenthood is a response to economic stress or the absence of a partner. We will focus on the latter because, despite the significant changes that have taken place in social values, Georgia remains a conservative country loyal to Orthodoxy. Chastity is still respected and honoured here. Thus, the main reason for postponing marriage or remaining single is the lack of a suitable partner, as confirmed by the unmarried respondents (56.5%). In terms of education and career, relatively few interviewees cited this as a reason for postponing marriage. Moreover, there is a significant difference between men (10.0%) and women (28.6%). For the majority of men (43.5%), postponing marriage is a reaction to economic stress.

The respondents indicated 24 years as the optimal marriage age for women, while the same figure is 27 years for men. According to the GeoStat data, the average age of marriage is higher than the age indicated by the respondents.

*Table 1*

**Mean age of marriage.**

| Year | All merriage | | First marriage | |
|---|---|---|---|---|
| | Male | Female | Male | Female |
| 2001 | 29.2 | 25.2 | 28.8 | 25.0 |
| 2003 | 29.4 | 25.4 | 29.0 | 25.1 |
| 2005 | 29.9 | 25.9 | 29.6 | 25.6 |
| 2007 | 29.7 | 25.8 | 29.5 | 25.5 |
| 2009 | 29.4 | 25.6 | 28.8 | 25.2 |
| 2011 | 30.2 | 26.5 | 29.4 | 25.9 |
| 2013 | 30.9 | 27.4 | 30.1 | 25.8 |
| 2015 | 31.9 | 28.2 | 30.0 | 27.1 |
| 2017 | 31.6 | 28.6 | 30.2 | 27.4 |
| 2019 | 32.6 | 29.7 | 30.7 | 28.1 |
| 2021 | 33.6 | 30.9 | 31.5 | 29.0 |
| 2022 | 33.9 | 31.4 | 31.9 | 29.4 |

*Source:* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba

The increase in the average age at marriage determines the increase in the age of mothers at the birth of the first child. According to GeoStat data, the average age of the mother at the birth of the first child is only available from 2015, when the average age of the mother was 24 years. This rate was lowest in 2009 (23.5 years) and started to increase from the follow-

ing year. The increased rate was also observed last year. At the birth of the first child between 2005 and 2022, the average median age of mothers was 2.9 years. Only in 2022 did the proportion of live-born children (17.5%) fall to mothers aged 35 and over, which is 7.2% higher than the corresponding figure for 2014 [www.geostat.ge]. As a result of giving birth to their first child at an advanced age, women are unable to fully realize their desired number of children. This in turn affects the fertility rate and ultimately the demographic situation of the country.

Against the background of an increase in the age of marriage and the postponement of childbearing, the country's fertility level is characterised by a decline in the number of first and second children and a tendency towards an increase in the number of third and subsequent children. This process took on a clear character in 2014 and continues today. In 2022, compared to 2014, the birth of the first child decreased by 37% and the second child by 38%. The increase in the number of third and higher order births is connected with the initiative of the Catholicos Patriarch of Georgia, Ilia II, which was voiced in 2007 and implied the baptism of third and higher order births who were personally married by him in the Orthodox Church. This initiative received an enthusiastic response from the population and if we compare the data of 2008 and 2022, we will notice a 69.7% increase in the number of births of the third and higher order.

Since the beginning of the new century, there have been important peculiarities in the quantity of live-born children according to the mother's age. The anomaly in question is the decrease in the number of mothers aged under 35 and the increase in the number of mothers aged 35 and over. To be more precise, the fertility of mothers under 35 years of age decreased by 1.2 times in 2022 compared to 2001, while the fertility level of mothers over 35 years of age increased by 1.6 times in the same period. At the same time, the fertility of women aged 40-44 has increased 1.5 times during the same period. These data speak for the prevalence of postponed parenthood. The latter is linked to the second demographic transition. The massive involvement of women in matters outside the family has led the country to postpone parenthood [Sulaberidze, 2018]. This has reduced the expected number of children. As the Georgian demographer Paata Gugushvili points out, the need to have children is one of the universal values in human history. It is a permanent phenomenon and occupies an honourable place in the system of human moral values [Gugushvili, 1985]. This value determines the fact that women do not negate the birth of children, but they try to postpone the process. This is a serious blow to the demographic situation in Georgia. The main reason for the ageing of the population is the decline in fertility. According to all forecasts, the number of live-born children will decrease in the new century, while the number of people aged 65 and over will increase.

Different regions of the world differ considerably in terms of family and relationship systems. In countries where the nuclear family and the couple family have historically been dominant, i.e. in Europe and 'New Europe', characteristics of the second demographic transition such as the postponement of fertility and the increase in premarital cohabitation were synchronised. In other countries there was no such synchronisation between the increase in premarital cohabitation and the postponement of fertility. In none of the Asian patriarchal societies was there any evidence of an increase in premarital cohabitation. This would have been tantamount to a complete collapse of the centuries-old system of controlled exogamous marriage. Nevertheless, the situation changed from the beginning of the new century.

Attitudes towards the institution of cohabitation are heterogeneous, with a section of the population believing that it is a transitional period before marriage. For many couples, cohabitation is in fact a prelude to marriage, but statistics show that only 50% of them end up getting engaged. The number of those who remain married is the same as the number who would have married without cohabitation. Only 10% of cohabiting couples stay together to the end without ever getting married officially. For these couples, cohabitation is a long-term alternative to marriage without the social institutions that make marriage legal. The high risk of divorce and the complications of cohabitation have a strong influence on this trend towards the

de-institutionalisation of marriage, which accompanies the so-called 'vice' families. Cohabitation, unlike marriage, does not involve those firm consensual norms, formalised ties and close relationships that facilitate the sense of commitment in human beings [Cherlin… 1994:359-381].

As cohabitation became more and more widespread and encompassed different segments, it was considered a form of marriage. In this case, it is a form of marriage that is only recognised by a particular society. According to some researchers, cohabitation challenges the institution of the family, since it is no longer a "temporary condition", but rather a "final condition". It is an interpersonal phenomenon in which neither the state nor the church is involved [Gellen…1996].

There are three types of marriage in Georgia: registered, i.e. legally organised, religious marriage and cohabitation. In 2002, according to the third paragraph of the Concordat between the State and the Apostolic Autocephalous Orthodox Church "The State recognises the marriage ceremony performed by the Church as prescribed by law. The data of the state registration of the marriage will be used in legal proceedings". In other words, religious marriages are recorded as unregistered marriages in official statistical documents, just like cohabitation. A large part of the population attaches the greatest importance to a religious marriage because of their emotional attachment to the Church. At the same time, they are aware that only the state registration is valid in legal proceedings. As a result, people often choose two forms of marriage: a legal marriage and a church marriage. This is clearly shown by the results of the sociological study carried out by our institute.

*Table 2*

***Types* of marriage (%)**

| Types of marriage | 2013 | 2022 |
|---|---|---|
| Legal | 27.1 | 18.7 |
| Religious | 12.3 | 17.5 |
| Legal and religious | 45.2 | 53.8 |
| Cohabitation | 15.4 | 10.0 |

*Source:* Sociological studies conducted by the Ilia State University’s Institute of Demography and Sociology in 2013 and 2022.

The study showed that cohabiting couples consider themselves to be 'married', but stress that their marriage is not officially formalised. For them, it is a family without any legal or ecclesiastical formalisation, which lasts for five years or more and in many cases produces children together. This is the alternative form of family that has been recognised by society.

As mentioned above, only legally registered marriages are recorded in Georgian statistics, and all other forms are included in the category of unregistered marriages. This poses serious problems for the recording of out-of-wedlock births. The latter group includes children born in religious marriages, as declared by both parents. In other words, their parents live together. Since the beginning of the new century, the share of illegitimate births in the total number of births has been on the increase and reached a record high in 2006 (54.1%). This rate was higher than the corresponding indicator for children born within a registered marriage. The number of children born in unregistered marriages includes those born by declaration of both parents (44.6%) and those born by declaration of the mother only (9.5%). The proportion of children born in an unregistered marriage increased in 2006 for each age group of mothers. The highest rate is for women under 25, which is mainly due to the high proportion of married couples who were only married in a church. Such marriages, as we have already noted, are recorded as unregistered.

*Table 3*

**live-births by legitimacy status**

| Year | All | Within out wedlock (%) | According to the declaration of mother (%) |
|---|---|---|---|
| 2001 | 46. 620 | 44.4 | 10.4 |
| 2005 | 46. 063 | 49.7 | 12.2 |
| 2010 | 55. 230 | 37.1 | 10.9 |
| 2015 | 59. 249 | 32.4 | 7.1 |
| 2020 | 46. 520 | 36.3 | 7.6 |
| 2022 | 42. 319 | 39.0 | 12.1 |

*Source:* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba

The children born to the declared mother are in fact the children born out of wedlock whose parent is considered to be a single mother. During the new century (2001-2022), a total of 39,205 children were born to single mothers, an average of 1782 children per month. Single motherhood, when a woman has never been married, is unacceptable according to our beliefs and cultural traditions. Such behaviour has been considered shameful for centuries, but the studies confirm that society's attitude towards this issue has changed drastically. So much so that the practice is not only justifiable, but also accepted by society. What is more, society's tolerance of the practice is increasing over time. If in 2013 single motherhood was justified by 67.6% of the population, by 2022 this figure had risen to almost 80%. We believe that every woman has the right to become a mother. Single motherhood is a global issue. Out of every ten children in the world, four are born to unmarried mothers. Mothers under 30 gave birth to almost two thirds of the children. Today, one out of every four children under the age of 18, about 13 million in all, is growing up without a father. According to the statistics, almost half of the world's single mothers (51.4%) have never been married. Almost a third (29.3%) are divorced and 19.2% are separated or widowed [https://singlemotherguide.com/single-mother-statistics/].

When discussing fertility issues, it is necessary to review the natural increase. It would be more appropriate to speak of "natural decline" when referring to natural growth in Georgia, as the country is in fact undergoing such a process.

*Figure 2*

**The natural increase rate (‰)**




*Source:* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba

Essentially, according to all prognostic calculations, the quantity of the population will decrease due to the excess of deaths over the quantity of live-born children. According to

the forecasts (UN, World Bank, United States Census Bureau), the quantity of "natural decrease" will take on a runaway character. In the years 2045-2050, the "natural decline" will average 20-23 thousand per year.

**Conclusion**. The demographic situation in our new age is a cause for concern. The fundamental change in socio-demographic behaviour within the family has led to depopulation. As a result of the new individual autonomy that has been established in society, we have witnessed a sharp shift in the values of family life and children. A child as a primary value retains its importance and the need to have children is still present, but the desired number of children has decreased. The level of the total fertility rate (TFR) in Georgia no longer reflects the process of generational renewal.

Firstly, the number of mothers under 35 years of age is decreasing and the number of mothers over 35 years of age is increasing; secondly, the peculiar fertility pattern is manifested by the decrease in the birth rate of first and second children and the increase in the birth rate of third and higher births. Society's tolerant attitude towards single mothers (mothers who have never been married) has encouraged the growth in the number of such mothers. In the new century, an average of 1782 children are registered each year on the basis of the mother's declaration alone. The increase in the number of infertile couples has had a profound effect on the decline in the fertility rate in Georgia. 10-15% of marriages in Georgia are childless.

Sociological studies have confirmed that the reproductive behaviour of the population differs within different social groups. Reproductive behaviour aimed at an average number of children is characteristic only of Orthodox Christians.

The actual number of children between the two generations - parents and children - has decreased from 2.2 to 1.4 children, which is insufficient for the replacement fertility of the population. The level of fertility in the country is so low that we are actually witnessing a natural decline.

## References


1. Allan Boot and David Jonson. Premarital Cohabitation and Marital Success. Jiurnal of Family Issues. Volume 9, Issue 2. https://doi.org/10.1177/019251388009002007 Impact Factor: 1.831 / 5-Year Impact Factor: 2.576
2. Borisov V.A. (1999). Demography, P. 257. Moscow, NOTA BENE.
3. Cherlin, Andrew J., & Furstenberg, Frank F. (1994). Stepfamilies in the United States: reconsideration Annual Review of Sociology, 20, 359-381, https://doi.org/10.1146/annurev.so.20.080194.002043
4. Ivanov S. 2002. The new face of marriage in developed countries. Information Bulletin of the Center for Human Demography and Ecology of the Institute of Economic Forecasting (INP RAS), № 63
5. Gellen Ferreol Yean, Pierre Noresck. (1996). Introduction a la Sociologic. Paris.
6. Gugushvili P. 1985. Population, family, fertility. Tbilisi. Metsniereba. [In Georgian].
7. Lesthaeghe R, van de Kaa DJ. Twee demografische transities? Bevolking: groei en krimp. 1986: 9–24. [Google Scholar]
8. Single Mother Statistics. https://singlemotherguide.com/single-mother-statistics/
9. Steve Crabtree and Sofia Kluch. How Many Women Worldwide Are Single Moms? https://news.gallup.com/poll/286433/women-worldwide-single-moms.aspx
10. Sulaberidze A. 2018. Demographic modernization of Georgia. Part I (XX century). Tbilisi. "Zenaari". [In Georgian].
11. Tsuladze G. 2013. Demographic perspectives of Georgia: 2015-2300. Tbilisi, Ilia State University. [In Georgian].
12. Verulava T., Khabeishvili M. 2015. Treatment of infertility in Georgia. Scientific journal "Healthcare policy and insurance" N 2. www.hepoins.com. [In Georgian].

13. https://www.geostat.ge
14. Sociological researches conducted by the Ilia State University’s Institute of Demography and Sociology in 2013 and 2022.

***ლელა მენაბდიშვილი***
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი,*
*ეკონომიკის დოქტორი;*
***ნანა მენაბდიშვილი***
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი,*
*ეკონომიკის დოქტორი;*
***ნინო გომელაური***
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი*

## სოციალ-დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაცია ქართულ ოჯახში

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Lela.Menabdishvili/Nana.Menabdishvili/Nino.Gomelauri

### რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნისთვის დემოგრაფიული საკითხები ყოველთვის გადამწყვეტი იყო და იქნება. საქართველოს მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ ჩვენი მოსახლეობა თანდათან მცირდება და ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაშია. ამ ფონზე უდაოდ აქტუალურია იმ მიზეზების შესწავლა და კვლევა, რომელმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ოჯახში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაციის შედეგები. საუბარია ახალი საუკუნის პერიოდზე (2001-2022 წწ.). ნაშრომის მიზანია აჩვენოს ქართულ ოჯახში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაციამ როგორ შეცვალა ქვეყნის დემოგრაფიული სურათი და გამოკვეთოს თანამედროვე ეტაპზე არსებული დემოგრაფიული ვითარების მწვავე ხასიათი. ნაშრომის ამოცანაა გაანალიზოს: შობადობასთან დაკავშირებული საკითხები, ოჯახის რეპროდუქციული ქცევა განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში; აჩვენოს გადავადებული ქორწინება, როგორ გავლენას ახდენს შობადობის შემცირებაზე, რამაც ერი საბოლოოდ „ბუნებრივ კლებასთან“ მიიყვანა. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ერის დეპოპულაციის საქმეში ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული ქცევის თავისებურებების განხილვა.

ნაშრომში გამოყენებულია საქსტატის მონაცემები და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები. სოციოლოგიური კვლევები ჩატარდა 2013 წ. – ფერტილური ასაკის მოსახლეობაში; 2016 წ. – ფერტილური ასაკის მართლმადიდებელ მორწმუნეებში; 2022 წ. – სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ფერტილური ასაკის მოსახლეობაში.

გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევით 2025 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 3 917 000-მდე,

ხოლო 2050 წლისათვის 2 985 000-მდე შემცირდება. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3 688 600, რაც იმაზე ნაკლებია რასაც გაერო 2025 წლისათვის პროგნოზირებდა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა (3 713 800) მაშინაც ჩამორჩებოდა გაეროს მიერ 2025 წლისთვის გაკეთებულ პროგნოზს. ქვეყანაში მოსახლეობის კლება თუ ამ ტემპით გაგრძელდება 2050 წლისთვის საქართველოში მოსახლეობა იმაზე ბევრად ნაკლები იქნება ვიდრე პროგნოზით იყო გამოთვლილი და ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფაც გარდაუვალი იქნება. როგორც ქართველ მეცნიერ-დემოგრაფთა, ისე მთლიანად ქართული საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა რამდენიმე საუკუნის შემდეგ. კიდევ იქნებიან თუ არა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში, ქვეყნის მკვიდრი ერი, ქართველები? თუ საქართველო იქნება, ქართველების გარეშე, უცხო ტომებით დასახლებული?

ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა. გლობალიზაციის შედეგად ახალი სოციალური და დემოგრაფიული ღირებულებებიდან გამომდინარე საზოგადოება ახალ ქცევათა მიმართ ტოლერანტული გახადა. ქართულ ოჯახში მოხდა სოციალ-დემოგრაფიული ქცევის არსებითი ტრანსფორმაცია. შემცირდა ოფიციალური ქორწინებები, გაიზარდა ქორწინებაში არასდროს მყოფთა რიცხვი, გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი, შემცირდა ქორწინებების ხანგრძლივობა და გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა, რის შედეგადაც დაჩქარდა რეპროდუქციული ქცევის ტრანსფორმაცია. ოფიციალური ქოწინების გარეშე წყვილთა თანაცხოვრებამ ხელი შეუწყო ოჯახის ალტერნატიული ფორმების წარმოქმნას და ქორწინების გარეშე შობადობის ზრდას. ყოველივე ამან კი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეპროდუქციული პერიოდის შემცირებასა და შობადობაზე.

საქართველოში შობადობის დონის ნათელ სურათს იძლევა შობადობის ზოგადი კოეფიციენტი – დაბადებულთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1000 კაცზე. შობადობის ეს მაჩვენებელი ახალ საუკუნეში ყველაზე მაღალი იყო 2014 წელს, როდესაც მან 16.3 შეადგინა. ქვეყანაში არსებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტი სტაბილურად ზრდით ან სტაბილურად კლებით არ ხასიათდება. ის ცვლადი სიდიდეა და 2001-2022 წწ მერყეობს 11.4- სა და 16.3-ს შორის. გასულ წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობის შესახებ განსხვავებულია. ეს ცვლილება დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, მეუღლეთა ჯანმრთელობაზე, მათ ასაკზე, დაქორწინების დროზე და ა.შ. გასათვალისწინებელია მეუღლეთა მორწმუნეობის ხარისხი, მათი აღმსარებლობა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მრავალშვილიანობისაკენ მიდრეკილი რეპროდუქციული ქცევა მხოლოდ მართლმადიდებელი მორწმუნეებისათვისაა (2016 წ.) დამახასიათებელი. მათთვის შვილთა ოპტიმალური რაოდენობა სამი და მეტი ბავშვია (3.32 ბავშვი). ამასთან, შვილთა რიცხვი ოჯახში ითვლება უზენაესის ნების გამოვლინებად, რის გამოც ოჯახში შვილთა შობის დაგეგმვა არ ხდება. ყველაზე დაბალი რეპროდუქციული ქცევა აჩვენა 2013 წლის გამოკვლევამ. რესპოდენტების აზრით, შვილთა ოპტიმალური რაოდენობა 3,0 ბავშვია, თუმცა მათთან მოსალოდნელი რაოდენობა შეადგენს 2.4 შვილს, რაც ნაკლებია ყველა დანარჩენი კვლევის მონაცემებზე. დაოჯახებული-და-

საქმებული რესპოდენტებისთვის (2022 წ.) ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობა შეადგენს 2.88 ბავშვს. ყველა სხვა სოციალური ჯგუფისაგან განსხვავებით შვილთა მოსალოდნელი რაოდენობა მაღალია მართლმადიდებელ მორწმუნეების ოჯახში. ეს მაჩვენებელი უსწრებს შვილთა ოპტიმალური რაოდენობის მაჩვენებელს და შეადგენს 4.05 ბავშვს. რითაც მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა გამოავლინეს მრავალშვილიანობისაკენ მიდრეკილი მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენცია. რასაც ვერ ვიტყვით დაოჯახებულ-დასაქმებულ რესპონდენტებზე, მათთან შვილთა მოსალოდნელი რაოდენობა 2.72 ბავშვია. რესპოდენტთა გარკვეულ ნაწილს გაუჭირდა კიდევ მოსალოდნელი შვილთა რაოდენობის დასახელება.

გენდერულმა თანასწორობამ, კერძოდ, ქალის როგორც სამუშაო ძალის ზრდამ, ამ უკანასკნელს შეუზღუდა ოჯახში ყოფნის დრო. ქალები უფრო მეტად შედიან „საჯარო სივრცეში" და უფრო ნაკლებად რჩებათ დრო საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა რომ საოჯახო საქმეების თანაბარი განაწილების ტენდენცია სულ უფრო მისაღები ხდება და მამაკაცები შედიან „პირად სივრცეში", რომელთანაც ასოცირდება „ნამდვილი გენდერული რევოლუცია", ეს პროცესები მაინც უარყოფით ასახვას ჰპოვებს ოჯახზე და შვილთა სასურველი რაოდენობის რეალიზებაზე.

თაობებს შორის შვილთა ფაქტიური რაოდენობის შედარება ნათელ სურათს იძლევა შობადობის შემცირებაზე. 2013 წლის გამოკვლევის მიხედვით რესპოდენტთა თაობას საშუალოდ 1.2 შვილი ჰყავს, მაშინ როცა მათ მშობლებში შვილთა ფაქტიური რაოდენობა შეადგენდა 2.4 შვილს. ანუ ერთ თაობაში მოხდა შვილთა რაოდენობის განახევრება. 2022 წლის კვლევამ გვაჩვენა, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში შვილთა ფაქტიური რაოდენობის მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა, თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ იმაზე, რომ მოიმატა უშვილო ოჯახების რაოდენობამ. რაც შეეხება რესპოდენტთა შვილთა ფაქტიურ რაოდენობას ის 1.4 ბავშვია, ხოლო მათი მშობლების შვილთა ფაქტიური რაოდენობა 2.2 ბავშვი.

მეორე დემოგრაფიულ გადასვლას უკავშირდება ქორწინებისა და მშობლობის გადავადება, როდესაც ის გამოწვეულია ქალთა უმაღლესი განათლების, კარიერული წინსვლის და ემანსიპაციის მიებით. მაგრამ რიგ შემთხვევებში ქორწინებისა და მშობლობის გადადება ეს არის პასუხი ეკონომიკურ სტრესზე, ან პარტნიორის არ არსებობაზე. ქორწინების საშუალო ასაკის ზრდა განაპირობებს შვილის დაბადებისას დედის ასაკის ზრდას. საქსტატის მონაცემების მიხედვით დედის საშუალო ასაკი პირველის შვილის დაბადებისას ხელმისაწვდომია მხოლოდ 2005 წლიდან. როცა დედის საშუალი ასაკი იყო 24 წელი. 2009 წელს ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (23.5 წელი) და მომდევნო წლიდან იწყებს ზრდას. გაზრდილი მაჩვენებელი დაფიქსირდა გასულ წელსაც. 2005-2022 წლების პირველი შვილის გაჩენისას დედის საშუალო ასაკის მედიანამ შეადგინა 2.9 წელი. მხოლოდ 2022 წელს ცოცხლად დაბადებულთა 17.5% 35+ ასაკის ქალებზე მოდის, რაც 7.2%-ით აღემატება 2014 წლის იმავე მაჩვენებელს [https://www.geostat.ge]. პირველი შვილის მაღალ ასაკში გაჩენის გამო ქალი ვეღარ ახერხებს სასურველი ბავშვების სრულ რეალიზებას, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის შობადობის მაჩვენებელზე და საბოლოოდ, დემოგრაფიულ ვითარებაზე. ქორწინების ასაკის ზრდის და გადავადებული შობადობის ფონზე ქვეყანაში შობადობა ხასიათდება პირველი და მეორე შვილის რაოდენობის შემცირებით, ხოლო მესამე და მომდევნო შვილის ზრდის ტენდენციით. ეს პროცესი 2014 წლიდან მკვეთრად გამოხატულ სახეს იღებს და დღემდე გრძელდება.

2014 წელთან შედარებით 2022 წელს პირველი შვილის დაბადება შემცირდა 37%-ით, მეორე შვილის 38%-ით. ქვეყანაში მესამე და მომდევნო შვილის ზრდა უკავშირდება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის ინიციატივას, რომელიც 2007 წელს გააჟღერა და გულისხმობდა ყველა ჯვარდაწერილი წყვილის მესამე და მომდევნო შვილის მონათვლას მის მიერ. ამ ინიციატივას უკვე 2008 წლიდან მოჰყვა გამოხმაურება და თუ შევადარებთ 2008 და 2022 წლის მონაცემებს დავინახავთ 69.7%-იან ზრდას მესამე და მომდევნო ბავშვის დაბადებაში.

ახალი საუკუნიდან საქართველოში თავს იჩენს მნიშვნელოვანი თავისებურებები ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაში დედის ასაკის მიხედვით. ეს თავისებურება გამოიხატება 35 წლამდე ასაკის დედის რიცხოვნობის შემცირებასა და 35+ ასაკის ზრდაში. უფრო კონკრეტულები, რომ ვიყოთ, 35 წლამდე დედების შვილთა შობა 2022 წელს 2001 წელთან შედარებით 1,2-ჯერ შემცირდა, ხოლო 35+ ასაკის დედებში იმავე პერიოდში შობადობა გაიზარდა 1,6-ჯერ. ამავე პერიოდში მხოლოდ 40-44 წლის ქალებში შობადობა გაიზარდა 1.5-ჯერ. ქალების მასობრივმა ჩართვამ ოჯახის გარეთ საქმიანობაში გადავადებულ მშობლობამდე მიგვიყვანა [წულაძე, 2013]. ამან შეამცირა სასურველი ბავშვების რაოდენობა.

თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, ერთნი ფიქრობენ, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდი, რომელიც ქორწინებას უსწრებს წინ. ქორწინების დეინსტიტუტიზაციის ამგვარ ტენდენციაზე გავლენას ახდენს განქორწინების მაღალი რისკი და გართულებები, რაც ე.წ. „ნაცვალ" ოჯახებს ახლავს თან. თანაცხოვრებას ქორწინებასთან შედარებით არ გააჩნია ის მტკიცე შეთანხმებული ნორმები, ფორმალიზებული კავშირი და ახლო ურთიერთობები, რაც ადამიანში მოვალეობის გრძნობას აძლიერებს [Cherlin… 1994:359-381]. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თანამცხოვრები წყვილები თავს მიაკუთვნებენ „დაქორწინებულებს", თუმცა აღნიშნავენ, რომ ქორწინება არ აქვთ გაფორმებული. მათთვის ეს არის ოჯახი ყოველგვარი სამართლებრივი და რელიგიური გაფორმებების გარეშე, რომელიც ხუთი და მეტი წლის განმავლობაში გრძელდება და უმეტეს შემთხვევაში საერთო შვილებიც ჰყავთ. ეს არის ოჯახის ალტერნატიული ფორმა, რომელსაც აღიარება აქვს საზოგადოების მხრიდან.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲙᲐ – INFORMATICS**

***თეა მუნჯიშვილი***
*თსუ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*

# ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირების მანქანური სწავლების პროგრამული სისტემის შემუშავება[5]

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Tea.Munjishvili

***ანოტაცია.*** *სიმულაციის მეთოდით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება (არსებული მოდელებიდან კონკრეტული საწარმოს ადეკვატური მოდელისა და ამ მოდელში შემავალი კოეფიციენტების შერჩევა) განხილულია ნაშრომში. მისი რეალიზაცია ხორციელდება ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტით FinSim. პროგრამა მრავალენოვანია. მასთან მუშაობა შეიძლება ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. იგი შექმნილ იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული და სწავლების პროცესში დანერგილი სისტემების: Cyber1, Cyber2 გამოცდილების საფუძველზე. FinSim განთავსებულია მისამართზე FinSim.tsu.ge. მისი დანიშნულებაა ზოგადი მოდელის საფუძველზე, რომელიც შეიძლება ეტალონურ მოდელად ჩავთვალოთ, პირველი - შემუშავდეს მოცემული საწარმოს რეალურ საქმიანობაში გამოყენებადი, საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზირების კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, მეორე - სწავლებისას ათვისებულ იქნეს $S_i$-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავების ტექნოლოგია და მის საფუძველზე კონკრეტული საწარმოს მაგალითზე მოდელში შემავალი არგუმენტების მოდელირების შედეგად შემუშავებულ იქნას საწარმოს ფინანსურად მდგრადად ფუნქციონირებას უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. ჩვენ მიერ იქნა აღებული 13 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემთა დამუშავება. შეფასდა ფინანსური მდგრადობა და გაკოტრების პროგნოზირება სიმულაციური მეთოდით. შედეგები წარმოდგენილია სტატიაში.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფინანსური მდგრადობა, გაკოტრება, სიმულაციური მეთოდი, მანქანური სწავლება, Finsim.*

## შესავალი

**პრობლემის ანალიზი.** გავიგოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით და რა ფინანსური პროგნოზების გაკეთება შეიძლება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების მიხედვით.

[5] სტატია წარმოადგენს შედეგებს ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი კვლევითი გრანტის ფარგლებში.: თეა მუნჯიშვილი, ლია კოზმანაშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე, მაკა ხავთასი, ნინო დოხტურიშვილი[5]

კანონმა განსაზღვრა საწარმოების ოთხი ზომითი კატეგორია: პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე, რომელზე მიკუთვნებისთვისაც განისაზღვრა შესაბამისად სამი კრიტერიუმი

1. აქტივების ჯამური ღირებულება,
2. შემოსავალი,
3. საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა,

საიდანაც კონკრეტულ ზომით კატეგორიაზე მიკუთვნებისათვის საწარმო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სულ მცირე ორ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთანავე, კანონმა განსაზღვრა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებსაც ეკუთვნით აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები).

კანონი შემუშავდა ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/34/EU – „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ" (26 ივნისი, 2013.),(saras.gov.ge) მოთხოვნების შესაბამისად, რის შესახებაც კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული:

„ამ კანონის მიზანია ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით".

კანონის მიზანი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოების ნაწილში ნამდვილად მიღწეული და შესრულებულია, თუმცა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ნაწილზე იგივეს ვერ ვიტყვით.

2021 წლიდან ყველა კატეგორიის საწარმო ვალდებულია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება.

**კვლევის მიზანი.** გავიგოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით და რა ფინანსური პროგნოზების გაკეთება შეიძლება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების მიხედვით. (Munjishvili T. , PREDICTING BANKRUPTCY OF THE ENTERPRISE AND FINSIM_PRO2018 SIMULATION MODEL IN THE STUDY PROCESS, 2018)

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა მცირე ზომის - მეოთხე კატეგორიის საწარმოები, რადგან საქართველოში მოქმედ საწარმოთა დიდი ნაწილი თავისი მაჩვენებლებით ზუსტად მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნება. ცნობისათვის, 13.12.23წ. მონაცემებით შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება 1,675,893 ფიზიკური და 347,544 იურიდიული პირი. (პირველი კატეგორიის საწარმო 2021 წ. მონაცემების მიხედვით არის სულ 123, ხოლო მეორე კატეგორიის - 606). კვლევისთვის სულ შერჩეული იქნა 13 საწარმო: აქედან მე-4 კატეგორიის 6, მეორე და მესამე კატეგორიის 7 საწარმო.

FinSim-ით $S_i$-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელს ადგენს სპეციალური უფლებებით აღჭურვილი პირი ე.წ. ანალიტიკოსი. მას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები მონაცემებში, კონკრეტული საწარმოსათვის შეიმუშაოს კონკრეტული მოდელი და მოდელში შემავალი მოძებნილი კოეფიციენტების მნიშვნელობები დააფიქსიროს მონაცემების ბაზაში. $S_i$-ური საწარმოსთვის ფინანსური მდგრადობის

შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენა სწავლების რეჟიმშიც ხორციელდება სტუდენტის მიერ. განსხვავება შემდეგია-სწავლების რეჟიმში შეუძლებელია ცვლილებების შეტანა მონაცემებში და კოეფიციენტების გამოთვლილი მნიშვნელობების ფიქსირება მონაცემების ბაზაში. (Munjishvili T. , 2015-)

FinSim-ით მოდელის შემუშავების დაწყებამდე აუცილებელია განხორციელდეს საწარმოების მიერ წარმოდგენილი პირველადი მონაცემების ანალიზი. საწარმოს ფინანსური საქმიანობის მონაცემები მოთავსებულია ვებგვერდზე kiber3.tsu.ge. i-ური საწარმოს მონაცემები ანალიტიკოსის მიერ გადმოიწერება Excel-ში. მონაცემები სამ ცხრილშია განთავსებული:

ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ანალიტიკოსი ქმნის ცხრილს:

ცხრილი 1.

| **ალთმანის მოდელი არა საწარმოო კომპანიებისათვის** | **არგუ-მენტი** | **წლები** | | |
|---|---|---|---|---|
| | | **2019** | **2020** | **2021** |
| **სულ აქტივები** | **Arg1** | 215796 | 216622 | 220313 |
| სამუშაო(საბრუნავი) კაპიტალი | **Arg2** | 1756 | 4510 | 16136 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | **Arg3** | 0 | 2199 | 682 |
| მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე(EBIT) | **Arg4** | 0 | 67683 | 12799 |
| საკუთარი კაპიტალი (სს-ისთვის სააქციო კაპიტალი) | **Arg5** | 212402 | 212402 | 212402 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | **Arg6** | 1928 | 0 | 7229 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | **Arg7** | 262 | 2021 | 0 |
| | | | | |
| **სპრინგეიტის მოდელი** | | | | |
| ამონაგები (შემოსავალი) რეალიზაციიდან | **Arg4** | | 70375 | 22813 |
| მოგება გადასახადებით დაბეგვრამდე(EBT) | **Arg5** | | 67683 | 12799 |
| | | | | |
| **ტაფლერის მოდელი** | | | | |
| ამონაგები (შემოსავალი) რეალიზაციიდან | **Arg3** | | 70375 | 22813 |
| მოგება რეალიზაციიდან | **Arg4** | | 67683 | 12799 |

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემებს: სულ აქტივები, მოკლევადიანი ვალდებულებები, გრძელვადიანი ვალდებულებები ანუ Arg1, Arg6, Arg7. კერძოდ Arg1 <>0 და ერთდროულად Arg6<>0, Arg7<>0. შეიძლება Arg6=0, Arg7<>0 ან Arg6<>0, Arg7=0, იმიტომ რომ Z-ის გაანგარიშების ფორმულაში მათზე ხორციელდება გაყოფა. აქ ნაჩვენებ ცხრილებში კონკრეტული საწარმოს „შპს სეფოს“ ფაქტობრივი მონაცემებია.

ახალი საწარმოსათვის FinSim-ით კონკრეტული მოდელის შემუშავება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:

- პროგრამის გაშვების და სისტემასთან სამუშაო ენის შერჩევის შემდეგ ამავე გვერდზე გამოვა საწარმოების სია. დაუშვათ ავირჩიეთ ახალი საწარმო „შპს სეფო". ამ საწარმოსთვის გვსურს შევიმუშაოთ ფინანსური მდგრადობისა და პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ან ახალი ან პროგნოზირებული მონაცემების დამატების შემდეგ შევაფასოთ საწარმოს ფინანსური მდგრადობა. მუშაობის დაწყებამდე შეიძლება გვერდზე გამოსული pdf დოკუმენტი წავიკითხოთ ან გადმოვწეროთ ჩვენს-კლიენტის კომპიუტერში ან ვუყუროთ ვიდეოს FinSim-თან მუშაობის შესახებ. ამავე გვერდზე გამოჩენილ ღილაკზე „სწავლა" დაკაპუნებით შეგვიძლია გადავიდეთ საითზე Kiber3S.tsu.ge და ვისწავლოთ საწარმოს ფინანსურ მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზირების თეორიული და პრაქტიკული საკითხები/სურ. 1/;

**სურ. 1. სამუშაო ენის შერჩევა**




- საწარმოს ამორჩევის შემდეგ ამავე გვერდზე გამოჩნდება საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და პროგნოზირების ეტალონური მოდელების სია, კერძოდ მოდელები: Altman3, Sprigeit, Tafler და ღილაკი „ანალიტიკოსი". ამორჩეულია „შპს სეფო" ამ საწარმოსთვის გვსურს შევიმუშაოთ საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზირების კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი /სურ. 2/.

**სურ. 2. საწარმოს შერჩევის შემდეგ გამოსული გვერდი. ამორჩეულია საწარმო „შპს სეფო"**




- ღილაკზე „ანალიტიკოსი" დაკაპუნების შემდეგ გადავდივართ ვებგვერდზე სადაც ჩამოწერილია სისტემაში არსებული მოდელების სია. ნებისმიერი მოდელისთვის მოცემულია მოდელისა და მოდელირებით მიღებული შედეგების შეფასების აღწერა /სურ.3/.

სურ.3. ღილაკზე „ანალიტიკოსი" დაწკაპუნების შემდეგ გამოსული გვერდი




FinSim-ში რეალიზებულია სამი მოდელით საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზის შეფასება: ალტმანის მოდელით არა სამრეწველო საწარმოებისათვის, პირობითი სახელით Altman3, სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელებით. ცხრილიდან ჩანს, რომ Altman3-ში გამოიყენება 7 მაჩვენებელი, ხოლო სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელებში 6 მაჩვენებელი. ამ მოდელებში 6 მაჩვენებლიდან Altman3-დან გამოიყენება 4 მაჩვენებელი.

საწარმოთა სიაში საწარმოს დამატებას და ანალიტიკოსისთვის ამ საწარმოსთან მუშაობის უფლების მიცემას ადმინისტრატორი განსაზღვრავს.

ცხრილი 2.

| № | მაჩვენებლების სია | FinSim-ში გამოყენებული მოდელები | | |
|---|---|---|---|---|
| | | Altman | Springeit | Tafler |
| 1 | აქტივები სულ(ბალანსის ვალუტა) | √ | √ | √ |
| 2 | სამუშაო(საბრუნავი) კაპიტალი | √ | √ | |
| 3 | გაუნაწილებელი მოგება | √ | | |
| 4 | მოგება გადასახდებისა და %-ის გადახდამდე (EBIT) | √ | √ | |
| 5 | სააქციო (საკუთარი) კაპიტალი | √ | | |
| 6 | მოკლევადიანი ვალდებულებები | √ | √ | √ |
| 7 | გრძელევადიანი ვალდებულებები | √ | | √ |
| 8 | ამონაგები(შემოსავალი) რეალიზაციიდან | | √ | √ |
| 9 | მოგება გადასახადებით დაბეგვრამდე (EBT) | | √ | |
| 10 | მოგება რეალიზაციიდან | | | √ |
| 11 | საბრუნავი (მიმდინარე) აქტივები | | | √ |

ახალი საწარმოსთვის მოდელში შემავალი მაჩვენებლების მნიშვნელობების ბაზაში ჩაწერა აუცილებლად დაწყებული უნდა იქნეს Altman3 მოდელით. მონაცემების ჩაწერისას დანარჩენი ორი მოდელის Altman3-ის გამოყენებული იდენტური მაჩვენებლების მნიშვნელობების ჩაწერა პროგრამულად ხორციელდება. დანარჩენი ორი მოდელისთვის მხოლოდ განსხვავებული მაჩვენებლების მნიშვნელობების ჩაწერა ხორციელდება რედაქტირების რეჟიმში. მოდელებისთვის ბაზაში ჩაწერილი უნდა იქნას უკანასკნელი მინიმუმ 3 წლის მონაცემები.

**კონკრეტული მოდელის შემუშავების პირველი ეტაპი:**

სურ. 4-ზე ცხრილში Altman3-ის დასახელების სტრიქონზე Select ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ ამავე გვერდზე გამოისახება ცხრილი. ცხრილის სვეტში „მნიშვნელობა2” ჩაწერილია ჩვენ მიერ შერჩეულ ეტალონურ მოდელში – ალტმანის მოდელში – გამოყენებული კოეფიციენტების მნიშვნელობები, კერძოდ: b1=6,56; b2=3,26; b3=6,72; b4=1,05. იგივე მნიშვნელობები გამეორებულია სვეტში „მნიშვნელობა1“. გამოსულია ველები მოდელირების შედეგად განსაზღვრული მონაცემების ჩასაწერად/4/.

**სურ. 4. ანალიტიკოსის იდენტიფიკაციისა და Altman3-ის დასახელების სტრიქონზე Select ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ ამავე გვერდზე გამოსული ცხრილი**




მონაცემების დამატების ან რედაქტირებისას შესაბამის ველებში არგუმენტების მნიშვნელობების ჩაწერისა და ღილაკზე „ოპერაციები მონაცემებზე“ დაწკაპუნების შემდეგ Altman3, Sprigeit, Tafler ეტალონური მოდელებისთვის ამოიხსნება წრფივი ოპტიმიზაციის ამოცანა, რომლის დროსაც ხორციელდება (Munjishvili T., 2021):

1. Z-ის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების გამოთვლა;
2. Z-ის მნიშვნელობის 0,1 ბიჯით ცვლილებისას გამოითვლება Z-ის მნიშვნელობები;
3. Z-ის მნიშვნელობათა სიმრავლიდან აირჩევა ის ვარიანტი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურად მდგრადობას;
4. კოეფიციენტების მოძებნილი მნიშვნელობები ჩაიწერება ცხრილის სვეტში „მნიშვნელობა1“ და დაფიქსირდება ბაზაში. კოეფიციენტების მოძებნა ხორციელდება არგუმენტების საშუალო მნიშვნელობებით;
5. დამატებული ან ამოშლილი მონაცემების გათვალისწინებით არგუმენტების საშუალო მნიშვნელობებით გადაითვლება წლების მიხედვით Z-ის მნიშვნელობები. შედეგები გამოიტანება ამავე გვერდზე /5/.

**სურ. 5. მოდელირების შედეგი**




სურ. 5-ზე ასახულია სიტუაცია: მონიშნულია სტრიქონი "Altman3". ველებში მონაცემების ჩაწერისა და ღილაკზე „ოპერციები მონაცემებზე" დაწკაპუნების შემდეგ:

- დამატებულია 2020 წლის მონაცემები;
- გამოთვლილია არგუმენტების 2020 წლის მნიშვნელობათა საშუალო(ცხადია ამ შემთხვევაში საშუალო მნიშვნელობა ერთი წლის მონაცემის ტოლია) და მის მიხედვით Z-ის მნიშვნელობები და მნიშვნელობათა სიმრავლიდან ამორჩეულია საწარმოს ფინანსური მდგრადობის ამსახველი Z-ის შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობა. სისტემის მიერ ავტომატურად ამორჩეული Z-ისა და მისი შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობების ამსახველი სტრიქონი თვალსაჩინოებისთვის ჩვენს მიერ მონიშნულია.
- შედეგი ასახულია ცხრილის სვეტში „მნიშვნელობა1" და ჩაწერილია ბაზაში.
- ამავე დროს ხორციელდება ახლად მიღებული მოდელის შემოწმება და ჩვენს მიერ ჩაწერილი მომავალი წლის მონაცემებით Z-ის გამოთვლა/სურ.5/. როგორც სურ.6-დან ჩანს შემდეგ წელს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კარგია - „საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა" . სურ. 6 და 7. ნაჩვენებია სამი წლის მონაცემების გათვალისწინებით საწარმოს ფინანსური მდგომარების შეფასება.

**სურ. 6. სამი წლის მონაცემების დამატების შემდეგ მოდელირების შედეგი**



ანალოგიური სამუშაოები ჩატარებულია კვლევის ობიექტებად შერჩეული საწარმოებისათვის, კერძოდ: ნიკა 95, შპს სეფო, შპს ოფისები, შპს კომერცია, შპს მეგობრობა, შპს ფარმაკონი.

### სურ. 7. სამი წლის მონაცემების დამატების შემდეგ მოდელირების შედეგი




მოდელირების შედეგები გამოიტანება კლიენტის კომპიუტერში Excel-ის გარემოში. მიიღება ოთხი სახის უწყისი:

- ყველა საწარმოსა და მოდელის უწყისი წლებით;
- შერჩეული საწარმოს და მოდელის უწყისი წლებით;
- შერჩეული საწარმოს ყველა მოდელის უწყისი წლებით;
- ანალიტიკოსის მიერ შემუშავებული მოდელების უწყისი;
- ერთი ცვლადით მოდელირების უწყისი.

### სურ. 8. ყველა საწარმოსა და მოდელის უწყისი წლებით (ფრაგმენტი)

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება

| მოდელი | საწარმო | წელი | Z | აქტივები სულ (ბალანსის ვალუტა) | საკუთარი (საბრუნავი) კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | მოგება გადასახადების და %-ის გადახდამდე (EBIT) | სააქციო (საკუთარი) კაპიტალი | მოკლევადიანი ვალდ.ები | გრძელვადიანი ვალდ.ები | რჩევა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Altman3 | შპს ნიკა95 | 2019 | 1.2249 | 75890 | 10691 | 0 | 0 | 1599 | 296 | 51394 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს ნიკა95 | 2020 | 0.9329 | 77916 | 13423 | -28392 | 7264 | 1599 | 321 | 40156 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს ნიკა95 | 2021 | 1.1687 | 74675 | 11232 | -20260 | 8132 | 1599 | 0 | 34783 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს ნიკა95 | საშუალო | 1.106 | 76160 | 11782 | -16217 | 5132 | 1599 | 206 | 44111 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს ოფისები | 2019 | 88.0423 | 215796 | 1756 | 0 | 0 | 212402 | 1928 | 262 | არასტაბილური სიტუაცია. გაკოტრების ალბათობა მცირეა, მაგრამ გამორიცხული არ არის |
| Altman3 | შპს ოფისები | 2020 | 77.1919 | 216622 | 4510 | 2199 | 67683 | 212402 | 0 | 2021 | არასტაბილური სიტუაცია. გაკოტრების ალბათობა მცირეა, მაგრამ გამორიცხული არ არის |
| Altman3 | შპს ოფისები | 2021 | -92.906 | 220313 | 16136 | 682 | 12799 | 212402 | 7229 | 0 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს ოფისები | საშუალო | 1.156 | 217577 | 7467 | 960 | 26827 | 212402 | 3052 | 761 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს სეფო | 2019 | 16.4876 | 82516 | 816 | 0 | 0 | 9700 | 600 | 0 | არასტაბილური სიტუაცია. გაკოტრების ალბათობა მცირეა, მაგრამ გამორიცხული არ არის |
| Altman3 | შპს სეფო | 2020 | -1.3166 | 104717 | 23317 | 14257 | 21501 | 9700 | 1300 | 0 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს სეფო | 2021 | -4.7896 | 103389 | 22489 | 12429 | -1828 | 9700 | 1800 | 0 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს სეფო | საშუალო | 1.1076 | 96874 | 15541 | 8895 | 6558 | 9700 | 1233 | 0 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს კომერცია | 2021 | 1.194 | 1997 | -1525 | 25 | 6367 | 0 | 1972 | 0 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს კომერცია | საშუალო | 1.194 | 1997 | -1525 | 25 | 6367 | 0 | 1972 | 0 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს მეგობრობა | 2021 | 1.1 | 12891 | 6199 | 2857 | 1483 | 0 | 34 | 0 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს მეგობრობა | საშუალო | 1.1 | 12891 | 6199 | 2857 | 1483 | 0 | 34 | 0 | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| Altman3 | შპს ფარმაკონი | 2019 | -1.9767 | 327511 | 876 | -200344 | 0 | 0 | 4191 | 209638 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს ფარმაკონი | 2020 | -1.379 | 322614 | 5084 | -146703 | 0 | 0 | 4099 | 156145 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს ფარმაკონი | 2021 | -0.916 | 304811 | -5521 | -74541 | 0 | 0 | 5914 | 64365 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Altman3 | შპს ფარმაკონი | საშუალო | -1.4362 | 318312 | 146 | -140529 | 0 | 0 | 4735 | 143383 | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Springeit | შპს ნიკა95 | 2019 | NaN | 75890 | 10691 | 0 | 0 | 0 | 296 | | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| Springeit | შპს ნიკა95 | 2020 | -8.8602 | 77916 | 13423 | 7264 | 24000 | 7264 | 321 | | ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. გაკოტრების პროგნოზის სიზუსტე 92,5%-ია |
| Springeit | შპს ნიკა95 | 2021 | -7.6261 | 74675 | 11232 | 8132 | 24000 | 8132 | 0 | | ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. გაკოტრების პროგნოზის სიზუსტე 92,5%-ია |
| Springeit | შპს ნიკა95 | საშუალო | -75.278 | 76160 | 11782 | 5132 | 16000 | 5132 | 206 | | ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. გაკოტრების პროგნოზის სიზუსტე 92,5%-ია |
| Springeit | შპს ოფისები | 2019 | -0.7198 | 215796 | 1756 | 0 | 0 | 5 | 1928 | | ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. გაკოტრების პროგნოზის სიზუსტე 92,5%-ია |
| Springeit | შპს ოფისები | 2020 | -0.4757 | 216622 | 4510 | 67683 | 70175 | 67683 | 0 | | ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. გაკოტრების პროგნოზის სიზუსტე 92,5%-ია |
| Springeit | შპს ოფისები | 2021 | -5.6066 | 220313 | 16136 | 12799 | 22813 | 12799 | 7229 | | [illegible] |

სურ. 9. საწარმოთა გაკოტრების მაჩვენებლის ანალიზი




**შემუშავებული მოდელის ანალიზი**

გავაანალიზოთ კონკრეტული i-ური საწარმოსთვის შემუშავებული მოდელი. ამ მიზნით გამოვიკვლიოთ მოდელში შემავალი ნებისმიერი კოეფიციენტის $\forall b_i$ ადგილი არგუმენტის $\forall Arg_i$ მნიშვნელობის $\Delta$ ბიჯით ცვლილებისას. (munjishvili, http://kiber3s.tsu.ge/, 2016)

Δ ბიჯით ცვლილების ცხრილი

ცხრილი 3.

| Z | № | არგ. № | არგუმენტის დასახელება | რაოდენობა | ცვლილება | რჩევა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.61 | 1 | 1 | აქტივები სულ (ბალანსის ვალუტა) | 1000 | 1 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 1.88 | 2 | 1 | აქტივები სულ (ბალანსის ვალუტა) | 700 | 1 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 1.61 | 1 | 2 | სამუშაო (საბრუნავი) კაპიტალი | 1100 | 2 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| -4.399 | 2 | 2 | სამუშაო (საბრუნავი) კაპიტალი | 1650 | 2 არგუმენტის ცვლილება | დიდი ალბათობით გაკოტრებულია |
| 1.61 | 1 | 3 | გაუნაწილებელი მოგება | 1200 | 3 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 3.566 | 2 | 3 | გაუნაწილებელი მოგება | 1800 | 3 არგუმენტის ცვლილება | არასტაბილური სიტუაცია. გაკოტრების ალბათობა მცირეა, მაგრამ გამორიცხული არ არის |
| 1.61 | 1 | 4 | მოგება გადასახდებისა და %-ის გადახდამდე (EBIT) | 1300 | 4 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 5.978 | 2 | 4 | მოგება გადასახდებისა და %-ის გადახდამდე (EBIT) | 1950 | 4 არგუმენტის ცვლილება | არასტაბილური სიტუაცია. გაკოტრების ალბათობა მცირეა, მაგრამ გამორიცხული არ არის |
| 1.61 | 1 | 5 | სააქციო (საკუთარი) კაპიტალი | 1400 | 5 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 2.1 | 2 | 5 | სააქციო (საკუთარი) კაპიტალი | 2100 | 5 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 1.61 | 1 | 6 | მოკლევადიანი ვალდ-ები | 1500 | 6 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |
| 1.283 | 2 | 6 | მოკლევადიანი ვალდ-ები | 2250 | 6 არგუმენტის ცვლილება | საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა |




**დიაგრამა 2.**




კვლევის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული პრობლემები „კანონის ხარვეზი“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და საწარმოთა ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგად კერძოდ მცირე, მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის აუცილებლობის შესახებ;

მცირე ზომის საწარმოებთან დაკავშირებით გამოვლინდა კანონთან არსებული ხარვეზი:

- დაწესდეს მინიმალური ზღვარი ე.წ. მიკრო საწარმოებისთვის, რომლებსაც გაუუქმდებათ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება, მით უმეტეს, რომ მიკრო მეწარმე ფიზიკური პირებისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით არის გათვალისწინებული შეღავათები - ისინი გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისგან (ზღვარი 30000 ლარი);

- კანონის მიღება/ამოქმედებამდე გაჩერებული/უმოქმედო ფირმები გათავისუფლდნენ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებისგან, რადგან კანონის ეს ნორმა არც სახელმწიფოსთვის და არც საზოგადოებისთვის არავითარი სარგებლობის მომტანი არ არის, პირიქით საზოგადოების გარკვეული ფენისთვის ერთგვარ ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებს წარმოადგენს.

**დასკვნა**

ჩვენს მიერ შემუშავებული კომპიუტერული სისტემა „კიბერ3" 10 ვებსაიტის ერთობლიობაა, რომლებითაც ხორციელდება დისტანციურად უმრავლესი საგნების ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნა, თვითსწავლება, თვითკონტროლი, ცოდნის გამოვლენა და შეფასება; (სისტემაზე მუშაობა რამდენიმე წელი გრძელდება ) www. kiber3.tsu.ge

ჩვენს მიერ შემუშავებული სიმულატორით FinSim-ით (მისამართი: FinSim.tsu.ge) შესაძლებელია: - ალტმანის, სპრინგეიტის, ტაფლერის მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მოდელირება. ამ მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ერთი და მრავალი (მოდელში შემავალი ყველა) ცვლადით;

1. FinSim-ით მოწმდება ჰიპოთეზები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებლის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ანუ დასაბუთებულია შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა;
2. შერჩეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მხოლოდ ლოგიკური კავშირების საფუძველზე და საწარმოს შესაძლო ფინანსური მდგომარეობების გათვალისწინებით გაიანგარიშება თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის საიმედოობა/არასაიმედოობის ალბათობა;
3. გაანგარიშებული იქნეს თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედრითი წილი საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში;
4. ხორციელდება თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედრითი წილის ზემოქმედების მოდელირება საწარმოს მოსალოდნელ ფინანსურ მდგომარეობაზე;
5. მოდელირების საფუძველზე ნაჩვენებია საწარმოს ფინანსური განვითარების სტრატეგიები;
6. იანგარიშება საწარმოს ფინანსური არამდგარობის რისკი;
7. მოდელირების საფუძველზე შეირჩევა საწარმოს განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და ეს ვარიანტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს ფინანსური მდგრადობის მონიტორინგის ჩასატარებლად;
8. ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ფასდება საწარმოს ფინანსური მდგრადობა და ხორციელდება საწარმოს გაკოტრების შეფასების პროგნოზი.
9. საწარმოს განვითარების არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში - ხორციელდება პროგნოზი მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
10. მოდელირება და შესაბამისად მოდელირების შედეგად გაკეთებული დასკვნებო გაკეთებულია 13 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.
11. საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზის თეორიული საკითხების სწავლა და სწავლების შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებით

გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავება ხორციელდება მანქანური სწავლების მეთოდით შექმნილი ელექტრონული სახელმძღვანელოს საშუალებით. სახელმძღვანელო რეალიზებულია ვებსაიტში Kiber3S-ში. Kiber3S-ით ნასწავლი საკითხების სიღრმისეული ათვისება - თვითშემოწმება სწავლების პროცესში ათვისებული ან მათი ანალოგიური ამოცანების ამოხსნით ხორციელდება. აქ დახმარებით და რჩევით სარგებლობა შეუძლებელია. თვითშემოწმება Kiber3SE-თი ხორციელდება;

12. კვლევის, რეალურ საქმიანობაში FinSim გამოყენების აუცილებელი პირობაა მართვის სფეროში დასაქმებული სპეციალისტის მიერ:
    - FinSim -ის მუშაობის პრინციპების გააზრება;
    - FinSim -ით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია;
    - FinSim -ით მიღებული შედეგების დასაბუთება/უარყოფა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Barak M., Bedianashvili G., (2021). Systematic iInventive Thinking (SIT): A method for innovative problem solving and new product development. *Proceedings on Engineering Sciences*, 111-122.
2. Gaganidze G Munjishvili T, (2019). Development of the specific gravitational model describing foreign tradebetween two countries with simulation method. . *Atlantic press.*
3. Gaganidze, G., Arefeev, I., & Munjishvili, T. (2021). The development of a systematic and analytical. *Tsu.*
4. Kozmanashvili Lia (2023). "Development of digital economy and tax system of Georgia". *3rd "International Scientific-Practical Conference (ISPC 2023)".* tbilisi.
5. Munjishvili T. (2015). The semantic analysis method and algorithms of open tests answers on "cyber-2" pattern in the knowledge revival and evaluation systems. *Intelligent Computing and Information Systems (ICICIS), 2015 IEEE Seventh International Conference on*, ieeexplore.ieee.org.
6. Munjishvili T. (2016, 07 15). *http://kiber3s.tsu.ge/.* Retrieved 05 26, 2023, from http://kiber3s.tsu.ge/
7. Munjishvili T. (2021). Application of fuzzy time series forecasting approach for predicting an enterprise net income level. *E3S Web of Conferences 280, 02007*, 1-7.
8. Munjishvili, T. (2015-). *"The system of Discovery and Estimation of Knowledge "Cyber2"".* Saarbrucken: Scholars' Press, Saarbrucken HRB 18918.Published on:: 108. .
9. Munjishvili, T. (2015). The semantic analysis method and algorithms of open tests answers on "Cyber-2" pat- terning the Knowledge revival and evaluation systems. *IEEE Seventh International Conference on Intelligent Comput- ing and Information Systems(ICICIS 2015),*, 50-55.
10. Munjishvili, T. (2018). PREDICTING BANKRUPTCY OF THE ENTERPRISE AND FINSIM_PRO2018 SIMULATION MODEL IN THE STUDY PROCESS.

*GLOBALIZATION & BUSINESS, ISSN: 2449 - 2396 / eISSN: 2449 - 2612 / DOI: 10.35945/gb*, 199-209.

11. Munjishvili, T. (2019). About the Teaching Accounting and the Audit by Using the Information Technologiesi, (p. 4TH INTERNATIONAL CONFERENCE ON APPLI¬CATION OF INFORMATION AND COMMUNICATION. ).
12. Munjishvili, T. (2019). Development of the specific gravitational model describing foreign trade between two countries with simulation method. *Proceedings of the 6th International Conference on Strategies, Models and Technologies of Economic Systems Management (SMTESM 2019)*, 44-47.
13. Munjishvili, T. (2019). The computer simulator-a modern training method of objects of an economic profile. *International Journal of Advanced Trends in Computer Science and Engineering*, 50-55.
14. Munjishvili, T. (2022). ESTIMATION AND PREDICTING OF ENTERPRISE'S FINANCIAL STABILITY BY SIMULATION MODEL, , *Системный анализ в проек¬тировании и управлении*, 85-92.
15. Munjishvili T., Bedianishvili G. (2018). KNOWLEDGE ECONOMY AND INNOVATIVE LEARNING TECHNOLOGIES: SIMULATOR METHODS IN DISTANCE TEACHING,. *https://conf.seeu.edu.mk/.*
16. Shaburishvili S., Kadagishvili L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. *Bulletin of Khmelnytsky National University, Economic sciences N5(1)*, 14-18.
17. Shaburishvili S.kadagishvili L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. *Bulletin of Khmelnytsky National University, Economic sciences N5(1),*, 14-18.
18. Sikharulidze David, Munjishvili T, ( 2022). "DETERMINANTS OF THE STRUCTURE OF THE BOARD OF DIRECTORS AND THEIR IMPACT ON THE PERFORMANCE OF THE GEORGIAN BANKING SECTOR". *Globalization and Business,* , 83-91pp.
19. ფინანსური ანალიზის სიმულატორი-FINSIM1. (n.d.). *საქართველო/ თბილისი Patent No. საპატენტო 2017.*
20. www.saras.gov.ge
21. www.reportal.ge
22. www.rs.ge
23. http://kiber3.tsu.ge/

***Tea Munjishvili***
*Doctor of Economics, Associate Professor*
*Iv.Javakhishvili Tbilisi state university*

# The Development of a machine learning software system for predicting business financial results[6]

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Tea.Munjishvili

## Expanded Summary

In the article we research let's understand if the peculiarities of accounting and reporting in Georgia to the size categories of enterprises according and what financial forecasts can be made according to the indicators reflecting the financial condition of enterprises.

Small-sized enterprises of the fourth category were selected as the objects of the study, because a large part of the enterprises operating in Georgia belong to the fourth category according to their indicators. For information, 13.12.23 According to the data, 1,675,893 individuals and 347,544 legal entities are recorded in the database of the Revenue Service. (According to the data of 2021, there are 123 enterprises of the first category, and 606 of the second category). A total of 13 enterprises were selected for the research: 6 enterprises of the 4th category, 7 enterprises of the 2nd and 3rd category.

The development of the mathematical model for evaluating financial sustainability of the business using the simulation method (selecting an adequate model for a specific enterprise from the existing models and the coefficients included in this model) is discussed in the paper . The implementation of this model is carried out by FinSim, the software package developed by us. The software is multilingual and it supports Georgian, English and other languages. It was developed based on the experience of Cyber1, Cyber2 - the systems developed by us and implemented in the teaching process. FinSim is located at FinSim.tsu.ge. Based on a general model, which can be considered as an exemplary model, it aims: first - to develop a specific economic-mathematical model for assessing the financial stability of the enterprise and predicting bankruptcy, which can be applied in the actual activity of the given enterprise; second – to learn and apply the technology for developing an economic-mathematical model for assessing financial stability and forecasting bankruptcy for $S_i$ enterprise in the study process and based on it, to develop organizational and technical measures for ensuring financially sustainable operations of an enterprise based on modeling the arguments included in the model of a virtual enterprise.

The economic-mathematical model for assessing the financial stability and predicting bankruptcy using FinSim for $S_i$ enterprise is developed by the so-called analyst, a person with special rights. This person has the right to make changes in the data, to develop a specific model for a specific enterprise and to enter the values of the coefficients found in the model in the database. The economic-mathematical model for assessing the financial stability and predicting bankruptcy of an enterprise is also developed for $S_i$ enterprise by the student in the teaching process. The difference is that in the training mode, it is impossible to make changes to the data and fix the calculated values of the coefficients in the database.

Before developing the model using FinSim, it is necessary to analyze the primary data presented by the enterprises. The financial activity data of the enterprise is presented on the website www.kiber3.tsu.ge

The data of the $S_i$ enterprise is downloaded to Excel by the analyst

[6] The article is a collective work of the authors within the targeted research grant of the Faculty of Economics and Business: Tea Munjishvili, Lia Kozmanashvili, Leila Kadagishvili, Davit Sikharulidze, Shota Shaburishvili, Mikheil Chikviladze, Maka Khavtasi, Nino Dokhturishvili.

Modeling results appear in Excel in the client's computer. 5 types of registers are obtained: Registers of all the enterprises and models by years;

- Registers of selected enterprises and models by years;
- Registers of all the models of the selected enterprise by years;
- Registers of the models developed by the analyst;
- Single-variable modeling register.

**Results.** Submission of additional reporting of resulting problems "gap of the law" and as a result of assessment of financial sustainability of enterprises, in particular, on the need to submit basic reporting of small, 4th category enterprises;

Detection of small enterprises in violation of the law:

- to establish a minimum limit for the so-called For micro-enterprises, which will be abolished in the successful past, the obligation to establish reporting, indicating that micro-entrepreneurial individuals are exempted from taxes according to the Tax Code of Georgia - they are exempt from taxes (limit 30,000 GEL);
- Adoption/implementation of the law previously stopped/inactive firms would be exempted from the right to submit a large report, this law is not beneficial for the state or society, many people are not a means of psychological influence for the phenomenon.

## Conclusions

1. Mathematical methods, models and algorithms used in the evaluation of an enterprise financial sustainability, such as Altman's model, Olson's model, statistical method known as "scoring" and others are analyzed; The positive aspects of the models and the difficulties of using them in practice are discussed; It is shown that in the countries in transition to market economy (in Georgia, for example) there are no statistical data on the bankruptcy of enterprises, therefore, using such models unchangingly does not provide the desired result. In addition, Altman and other models are mainly designed for manufacturing companies in certain countries or groups of countries. It is unacceptable to use them to conduct a financial analysis in Georgian enterprises.
2. It is substantiated that in the modeling mode it is appropriate to select a particular model out of various models of financial sustainability and bankruptcy prediction and based on that to develop a specific model for a specific enterprise which will differ from the standard model by the coefficient indicators.
3. Logical-probability model is selected out of the mathematical models used in economics and appropriateness of applying this model for evaluating financial sustainability of an enterprise is substantiated. After receiving many versions of the financial sustainability model, the selection of the optimal one is carried out by the logical-probability model developed by us.
4. FinSim simulator (address: FinSim.tsu.ge) developed by us allows:
   - the modeling of evaluating the financial sustainability of the enterprise using Altman, Springeit, Chesser models. With this model, the assessment of the financial sustainability of the company is carried out with one and multiple variables (all included in the model).
5. The hypotheses about the structure and content of the integrated indicator for evaluating the enterprise's financial condition is checked with FinSim; That means that the possibility of evaluating the financial condition of the enterprise with selected economic indicators is substantiated.
6. The probability of reliability/unreliability of each indicator and combination of indicators is calculated based only on the logical connections between the selected economic indicators and considering the possible financial conditions of the enterprise.
7. The share of each indicator and combination of indicators in the financial condition of the enterprise is calculated.

8. Modeling of the impact of each indicator and the specific share of a combination of indicators on the expected financial condition of the enterprise is carried out.
9. The financial development strategies of the enterprise are shown based on the modeling.
10. The risk of financial unsustainability of the enterprise is calculated.
11. Based on the modeling, the optimal version of enterprise development is selected, and this version can be used for monitoring the financial sustainability of the company.
12. Based on the actual data, the financial sustainability of the enterprise is evaluated, and the forecast of the bankruptcy is carried out.
13. In case the current trends of enterprise development are maintained, a forecast about the expected results is provided.
14. Modeling and, accordingly, the conclusions made as a result of modeling are made based on the processing the data of the following enterprises: Nika 95, Sefo LLC, Offices LLC, Commerce LLC, Megobroba LLC, Farmakoni LLC and other.
15. Teaching the theoretical issues of an enterprise’s financial sustainability and bankruptcy forecasting and development of decision-making skills using the knowledge obtained as a result of teaching is carried out with an electronic manual designed using the programmed teaching method. The manual is placed on the website Kiber3S. In-depth learning and self-examination in the issues learned with Kiber3S is carried out by solving the tasks used in the teaching process or similar ones. Here, it is impossible to get help or advice. Self-examination is performed using Kiber3SE.
16. Necessary precondition for the application of FinSim in research or real activity to a specialist employed in the field of management is:
    - understanding the working principles of FinSim;
    - interpretation of the results obtained with FinSim;
    - justification/rejection of the results obtained by FinSim.

## საქართველოს ეკონომიკა – ECONOMY OF GEORGIA

***ნინო ჟორჟიკაშვილი***
*ეკონომიკის დოქტორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Nino.Zhorzhikashvili

***ანოტაცია.*** *უცხოური ინვესტიციები ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზაა. უცხოური ინვესტიცია ზრდის ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობასა და დასაქმების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. უცხოური ინვესტივიები განვითარებად ქვეყნებს ასევე საშუალებას აძლევს გაეცნონ და გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები, რომელიც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში იწარმოება და გამოიყენება. გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ვინაიდან, ის იწვევს ინვესტიციების ზრდას ინფრასტურქტურაში, ტექნოლოგიებსა და სხვა მნიშვნელოვან სექტორებში, რაც ეკონომიკური ზრდის მთავარ სტიმულატორს წარმოადგენს. გარდა ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს როგორც ახალი ბიზნესის წარმოშობის, ისე არსებულის გაფართოების პროცესს, რაც ზრდის დასაქმების შესაძლებლობას ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის, მცირდება უმუშევრობის დონე და იზრდება ოჯახების შემოსავალი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, ტექნოლოგიები.*

## შესავალი

როდესაც ვსაუბრობთ პირდაპირი უცოხური ინვესტიციების გავლენაზე მთლიანად ეკონომიკის ჭრილში, მნიშვნელოვანია ისიც, თუ ქვეყანაში არსებული რომელი სექტორებია ყველაზე მიმზიდველი ინვესტორებისათვის და შესაბამისად რომელი სექტორები ვითარდება უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობით. უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტორთათსვის საქართველოს ეკონომიკაში მიმზიდველია ტრანსპოტრისა და კავშირგაბმულობის, დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის სექტორები, შესაბამისად განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სწორედ ამ სექტირებზე სექტორზე მოდის. მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული ასევე ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებშიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ბევრი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ჩაიდო, განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სამშენებლო სექტორი ხასიათდება.

**გრაფიკი 1. უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2023* წლის I კვარტალში**




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2023 წლის I კვარტალი, გვ.8, 09.06.2023

როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების გავლენაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, აქ გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები: პირველ რიგში თუ რამდენადაა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, როგორია საბაზრო მექანიზმების განვითარების ხარისხი, რამდენადაა მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა და სხვა. იმისდა მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელ სექტორში ხდება ინვესტირება და ინვესტიციების რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება ეკონომიკაზე სხვადასხვანაირად აისახება. ინვესტიციების გავლენა შეიძლება გამოვლინდეს: ეკონომიკის ზრდის ტემპში, ინვესტიციური აქტიურობის გამოცოცხლებაში, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდაში, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში და სხვა [1:1-2].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართვდელოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თვალსაჩინოდ იზრდება. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის I კვარტალში 496.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის I კვარტლის წინასწარ მონაცემებზე 13.7 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის IV კვარტლის მონაცემებს 53.3 პროცენტით აღემატება.

**გრაფიკი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2021-2023 წლებში**
(მლნ. აშშ დოლარი)




**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2023 წლის I კვარტალი, გვ.1, 09.06.2023

**გრაფიკი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ. ლარი)**

| წელი | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 2006 | 145.2 | 318.0 | 332.4 | 375.5 | **1 171.2** |
| 2007 | 330.8 | 375.3 | 470.6 | 588.0 | **1 764.7** |
| 2008 | 540.1 | 607.7 | 136.1 | 291.3 | **1 575.2** |
| 2009 | 114.5 | 178.3 | 179.1 | 194.9 | **666.8** |
| 2010 | 176.1 | 211.5 | 236.8 | 241.2 | **865.6** |
| 2011 | 222.6 | 273.1 | 309.1 | 329.2 | **1 134.0** |
| 2012 | 312.4 | 248.0 | 220.5 | 267.3 | **1 048.2** |
| 2013 | 291.8 | 224.1 | 271.6 | 251.6 | **1 039.2** |
| 2014 | 331.9 | 217.6 | 749.5 | 538.0 | **1 837.0** |
| 2015 | 343.4 | 493.2 | 531.1 | 361.0 | **1 728.8** |
| 2016 | 392.9 | 452.6 | 507.8 | 300.6 | **1 654.0** |
| 2017 | 415.0 | 398.1 | 637.0 | 540.5 | **1 990.5** |
| 2018 | 337.3 | 423.3 | 373.0 | 218.0 | **1 351.5** |
| 2019 | 318.4 | 249.6 | 406.2 | 378.0 | **1 352.2** |
| 2020 | 173.8 | 246.4 | 296.9 | -127.2 | **589.8** |
| 2021 | 134.3 | 322.5 | 373.9 | 411.1 | **1 241.8** |
| 2022* | 575.5 | 361.3 | 739.3 | 324.0 | **2 000.0** |
| 2023* | 496.6 | | | | **496.6** |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2023 წლის I კვარტალი, გვ.2, 09.06.2023

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებასა და წარმოებაში, რომელსაც ახორციელებს არა-რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. FDI სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს:

-სააქციო ან საწესდებო კაპიტალი;

-რეინვესტიცია;

-სავალო ვალდებულებები.

**გრაფიკი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2021-2023 წლებში**

| | 2021 | | | | სულ | 2022* | | | | სულ | 2023* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | | I | II | III | IV | | I |
| **სულ** | **134.3** | **322.5** | **373.9** | **411.1** | **1 241.8** | **575.5** | **361.3** | **739.3** | **324.0** | **2 000.0** | **496.6** |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 29.7 | 39.4 | 37.9 | 103.2 | **210.3** | 256.5 | 96.2 | 225.9 | 107.7 | **686.3** | 300.2 |
| რეინვესტიცია^ | 73.5 | 251.2 | 293.5 | 151.7 | **769.9** | 313.6 | 248.6 | 439.7 | 287.4 | **1 289.4** | 189.6 |
| სავალო ვალდებულებები^^ | 31.1 | 31.8 | 42.6 | 156.1 | **261.6** | 5.4 | 16.4 | 73.6 | -71.2 | **24.3** | 6.8 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2023 წლის I კვარტალი, გვ.4, 09.06.2023

სამივე კომპონენტი თავის მხრივ შედგება: (1) ახალი კომპანიის დაფუძნე-ბისგან; (2) მოქმედ კომპანიაში წილის შეძენისგან ან გასხვისებისგან; (3) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისგან; (4) საწარმოს საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალისგან; (5) დივიდენდის გაცემისგან; (6) სესხის აღებისგან, გაცემისგან ან გადახდისგან და (7) საქონლის და მომსახურების მიწოდებისგან.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მრავალი დადებითი ფაქტორი გააჩნია. მათ შორისაა დასაქმების ზრდა. ნებისმიერი ახალი ინვესტიცია ნიშნავს დამატე-ბითი რესურსის შესვლას ქვეყანაში. რესურსს კი მართვა, დამუშავება, აღწერა ან სხვა ტიპის ადამიანური რესურსის გამოყენება ესაჭიროება, შესაბამისად, მეტი ინვესტიცია ნიშნავს მეტ დასაქმებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უცხოური ვალუტის შემოდინებაა. ერთი მხრივ, საგადამხდელო ბალანსში დადებითი როლი უჭირავს, ხოლო მეორე მხრივ, მეტი უცხოური ფული ნიშნავს მეტ შემოსავალს და გამყარებულ ეროვნულ ვალუტას. ნებისმიერი ახალი ინვესტიცია ზრდის კონკუ-რენციას. ეს კი გამოიხატება დაბალ ფასებში, პროდუქტის ან სერვისის გაზრდილ ხარისხში, ტექნოლოგიურ წინსვლასა და სექტორულ გაჯანსაღებაში. თითოეული დადებითი ეფექტი თავს იყრის ერთ - ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან კრი-ტერიუმში - ეკონომიკურ ზრდაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით. როგორც გრა-ფიკიდან ჩანს, პირველ ადგილზეა ნიდერლანდები - 239.6 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 48.2 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება იაპონია - 63.2 მლნ. აშშ დოლარით (12.7 პროცენტი), ხოლო მესამეზე აშშ - 54.7 მლნ. აშშ დოლარით (11.0 პროცენტი). ხუთი უმსხვილესი ინვეს-ტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 87.1 პროცენტს შეადგენს [3:5].

**გრაფიკი 5. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2023 წლის I კვარტალში**

| | 2021 | | | | | 2022* | | | | | 2023* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ | I | II | III | IV | სულ | I |
| **სულ** | **134.3** | **322.5** | **373.9** | **411.1** | **1 241.8** | **575.5** | **361.3** | **739.3** | **324.0** | **2 000.0** | **496.6** |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | |
| ნიდერლანდები | 10.9 | 49.6 | 65.3 | 12.5 | **138.3** | 32.8 | 44.8 | 47.8 | 20.4 | **145.7** | 239.6 |
| იაპონია | 7.6 | 24.6 | -11.4 | -16.5 | **4.3** | 7.9 | 41.8 | 29.6 | -10.7 | **68.7** | 63.2 |
| აშშ | -59.7 | 4.5 | 31.8 | 39.8 | **16.4** | 32.2 | 6.4 | 64.7 | 60.5 | **163.9** | 54.7 |
| თურქეთი | 28.9 | 30.9 | 76.8 | -36.5 | **100.0** | 65.5 | 28.5 | 5.5 | 7.1 | **106.5** | 47.0 |
| რუსეთი | 35.7 | 12.6 | 18.8 | 8.5 | **75.5** | -11.0 | 10.6 | 36.6 | 34.7 | **71.0** | 28.2 |
| მარშალის კ-ები | 6.7 | 7.4 | 1.3 | 4.0 | **19.4** | 18.3 | 9.1 | 2.9 | 10.2 | **40.5** | 23.7 |
| ყაზახეთი | 2.3 | 4.8 | 2.6 | 1.2 | **10.9** | 1.9 | 11.8 | 4.9 | -23.7 | **-5.1** | 20.0 |
| ჩინეთი | -10.6 | -4.4 | -4.5 | -8.6 | **-28.1** | 36.6 | 30.7 | 7.2 | 34.0 | **108.5** | 19.9 |
| დანია | 10.6 | -26.9 | 9.7 | 8.8 | **2.1** | 8.7 | 10.1 | 9.9 | -9.7 | **18.9** | 11.1 |
| შვეიცარია | -1.5 | 4.6 | 1.8 | 2.7 | **7.5** | 7.4 | 1.5 | 5.7 | 9.0 | **23.6** | 10.3 |
| დანარჩენი ქვეყნები | 103.5 | 214.9 | 181.9 | 395.3 | **895.5** | 375.2 | 165.9 | 524.5 | 192.1 | **1 257.8** | -21.0 |

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, 2023 წლის I კვარტალი, გვ.5, 09.06.2023

ნებისმიერი ქვეყანა, როგორი მოწყობისაც არ უნდა იყოს ის, ინვესტიციებს ვერ მიიზიდავს თუ საკუთრების უფლება დაცული არ არის. საკუთრების უფლების დაცულობა კი პირდაპირ კავშირშია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა:

- გეოპოლიტიკური მდგომარეობა - ინვესტიციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა. რაც მეტია ფორს-მაჟორის ალბათობა (როგორიცაა ომი, სახელმწიფო გადატრიალება, კონფლიქტის ზონები და სხვა), მით ნაკლები სტიმული აქვს ინვესტორს საქმე წამოიწყოს ასეთ ქვეყანაში.
- სასამართლოს დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა - საკუთრებასთან დაკავშირებული დავები იქნება ეს კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხშირია ნებისმიერ ქვეყანასა თუ საზოგადოებაში. ინვესტორი ირჩევს იმ ქვეყანას, სადაც სასამართლო მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და არ მოხდება მისი საკუთრების უსამართლოდ ჩამორთმევა ან დაზიანება. ასევე, სასამართლო ეფექტიანად უნდა აგვარებდეს დავებს და გათვალისწინებული უნდა იყოს ე.წ. სასამართლოს გადატვირთულობის საკითხიც. ვინაიდან დრო ფულია, რაც მეტად დროში იწელება დავა, მით ხარჯიანია ორივე მხარისთვის.
- კრიმინალის მაჩვენებლები - საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იმისათვის, რომ ბიზნესმა შექმნას სიმდიდრე, აუცილებელია სამართლიანი წესები, სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული მისი ქონება და საქმიანობა რეკეტისგან, ყაჩაღობისგან, ძარცვისგან, ფინანსური მაქინაციებისგან და სხვა ტიპის კრიმინალური აქტივობებისგან.
- კორუფციის დონე - ინვესტორი გადაწყვეტილებას იღებს იმის მიხედვით, თუ რა ხარჯები და სარგებელი ექნება ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციის განსახორციე-

ლებლად და საქმიანობის დასაწყებად. რაც მეტად კორუმპირებულია ქვეყანა, მით მეტია ხარჯი ინვესტორისთვის.

### დასკვნა

ამგვარად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. უცხოურ ინვესტიციებს შემოაქვს კაპიტალი გარე წყაროებიდან, რაც განსაკუთრებით ღირებულია შეზღუდული შიდა დანაზოგების მქონე ქვეყნებისთვის, ვინაიდან ეს კაპიტალი გამოიყენება მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტისა და ბიზნესის დასაფინანსებლად. ასევე უცხოელი ინვესტორები ხშირად ხსნიან ახალ ბაზრებს პროდუქტებისა და სერვისებისთვის. მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი გლობალური ქსელები ადგილობრივი წარმოების საქონლის საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტისთვის და ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია გააძლიეროს ქვეყნის სავალუტო რეზერვები, რაც გადამწყვეტია ვალუტის სტაბილიზაციისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. უცხოური ინვესტიციების წახალისება ასევე ხელს უწყობს კონკურენციას შიდა ბაზარზე, რაც იწვევს უმაღლესი ხარისხის პროდუქტებსა და მომსახურებას კონკურენტულ ფასებში. საბოლოოდ კი ყველაფერი ეს მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდამ უცხოური ინვესტიციების დახმარებით ხდება ჩვენი ქვეყნის დაკავშირება გლობალურ ეკონომიკასთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ეკონომიკურ მდგრადობასა და ადაპტაციას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. ლაზარაშვილი თ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში და ქვეყნის მდგრადი განვითარება (2017), გვ.1-2
2. კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, სტატისტიკის სწორად წაკითხვის და გააზრების მნიშვნელობა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგალითი (2023), გვ.1-2
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (2023), გვ.1-8



***Nino Zhorzhikashvili***
*PhD of Economics,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*


## THE INFLUENCE OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS ON THE ECONOMY OF GEORGIA

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Nino.Zhorzhikashvili

**Expanded Summary**

Foreign investments are one of the ways to achieve economic growth for the country. Foreign investment increases the stock of capital in a country, leading to higher productivity and higher levels of employment. Foreign investments also allow developing countries to learn

about and use the latest technologies that are produced and used in countries with developed economies. In the modern conditions of globalization, attracting foreign direct investments is a vital necessity for Georgia, since it leads to the growth of investments in infrastructure, technologies and other important sectors, which is the main stimulator of economic growth. In addition, FDI facilitates both the creation of new businesses and the expansion of existing ones, which increases employment opportunities for the local workforce, lowers the unemployment rate, and increases household income.

When we talk about the impact of direct foreign investments in terms of the economy as a whole, it is also important to know which sectors in the country are the most attractive for investors and which sectors are developing with the support of foreign investments. It should be noted that the sectors of transport and communication, processing industry, trade are attractive for investors in the economy of Georgia, therefore the largest share of the investments is made in these sectors. When it comes to the impact of foreign investments on the economy of our country, a number of factors should be taken into account: first of all, how developed is the country's economy, what is the degree of development of market mechanisms, how orderly is the legal framework, and others. Depending on which sector of the economy is invested in and what forms and methods of investment are used, the economy will be affected in different ways. The impact of investments can be manifested in: the growth rate of the economy, the revitalization of investment activity, the growth of technological progress, the development of the country's infrastructure, the effective use of labor resources, and others. It should be noted that direct foreign investments in Georgia are growing visibly. According to preliminary data, the volume of direct foreign investments made in Georgia in the first quarter of 2023 amounted to 496.6 million. USD, which is 13.7 percent less than the preliminary data of the I quarter of 2022, and 53.3 percent higher than the data of the IV quarter of 2022. Foreign direct investment has many positive factors. Among them is the increase in employment. Any new investment means the entry of additional resources into the country. And the resource needs to be managed, processed, described or used by other types of human resources, therefore, more investment means more employment. The second important factor is the inflow of foreign currency. On the one hand, it plays a positive role in the balance of payments, and on the other hand, more foreign money means more income and a stronger national currency. Any new investment increases competition. This is expressed in lower prices, increased quality of the product or service, technological progress and sector improvement. Each positive effect converges in one of the most important criteria for the country - economic growth.

Any country, no matter how organized it is, cannot attract investment if property rights are not protected. Protection of property rights is directly related to such factors as:

• Geopolitical situation - the most important factor for investment is the country's political and economic situation. The greater the probability of force majeure (such as war, coup d'état, conflict zones, etc.), the less incentive an investor has to start a business in such a country.

• Judicial independence and effectiveness - property disputes, whether between private sector representatives or against the state, are common in any country or society. The investor chooses the country where the court will make a fair decision and his property will not be unjustly confiscated or damaged. Also, the court should effectively resolve disputes and the so-

called Also the issue of overcrowding of the court. Since time is money, the longer a dispute drags on, the more costly it is for both parties.

• Crime rates - in a market economy, in order for a business to create wealth, it is necessary to have fair rules, where its property and activities will be protected as much as possible from racketeering, robbery, robbery, financial machinations and other types of criminal activities.

• Level of corruption - the investor makes a decision based on what costs and benefits he will have to invest and start operations in this or that country. The more corrupt the country, the higher the cost to the investor.

Thus, direct foreign investments are one of the main indicators of economic development. Foreign investment brings in capital from external sources, which is especially valuable for countries with limited domestic savings, as this capital is used to finance many infrastructure projects and businesses.

Finally, all this is important for the economic development of Georgia, with the help of foreign investments, our country is connected to the global economy, which will ultimately lead to economic stability and adaptation.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ – LABOR MARKET ECONOMICS

*ვლადიმერ ბასარია*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# განათლების სისტემისა და ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების ურთიერთკავშირის საკითხისათვის

***ანოტაცია.*** *სტატიაში საუბარია ახალგაზრდების დასაქმებასა და განათლების დონეს შორის კავშირ-დამოკიდებულებაზე; შრომის ბაზრის სტრუქტურული წინააღმდეგობების კავშირზე ახალგაზრდების განათლებულობასთან; განათლების მნიშვნელობასა და როლზე ნაციონალური ეკონომიკის განვითარებისა და უმუშევრობის შემცირების საქმეში; უმუშევრობის ნეგატიურ გამოვლინებებზე და სახელმწიფოს გადამწყვეტ როლზე ახალგაზრდების დასაქმებაში; საქართველოში განათლების ხარისხისა და ცოდნა-სპეციალიზაციის ამაღლების თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის თაობაზე; საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების პრიორიტეტულობის პრინციპის რეალიზაციის აუცილებლობასა და განათლების დონის ასამაღლებლად თვისებრივად ახალი მიდგომების შემუშავების საჭიროებაზე.*

*სტატიაში გაკეთებულია დასკვნები ახალგაზრდებში განათლების ამაღლების მნიშვნელობაზე უმუშევრობის შესამცირებლად და მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად;*

*რეკომენდებულია აღნიშნულ საკითხებზე სამეცნიერო წრის, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყურადღების გამახვილება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *განათლება და დასაქმება; განათლების პრობლემები; განათლების ზრდა; დიპლომომანია; ახალგაზრდების დასაქმება; უმუშევრობა ახალგაზრდებში.*

## შესავალი

ახალგაზრდობა თავისი ორიგინალური აზროვნების, ნებისმიერი საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის, ცოდნის განსაკუთრებით სწრაფად შეთვისებისა და ეფექტიანად გამოყენების ბუნებრივი უნარის წყალობით სულ უფრო მეტად ყალიბდება თანამედროვე სამყაროს, განსაკუთრებით კი მისი მეურნეობრივი შემადგენლის, ძირითად მამოძრავებელ ძალად. აღნიშნული გარკვეულწილად უკავშირდება სწრაფად განვითარებადი ციფრული ეკონომიკის მზარდ მოთხოვნას საინფორმაციო ტექნოლოგიებისა თუ ელექტრონული მეწარმეობის სფეროში არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე კრეატიული და კომუნიკაბელური მუშაკების შრომაზე, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ობიექტურად სწორედ ახალგაზრდები შეადგენენ.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში გარკვეულ სტრატეგიულ უპირატესობას ის (ძირითადად განვითარებული) ქვეყნები ეუფლებიან, რომლებიც ახალგაზრდების ადამიანური კაპიტალის სრულყოფასა და რეალიზებას ეფექტიანად ახდენენ.

****

სამწუხაროდ ბევრგან (მ.შ. ჩვენთანაც) ახალგაზრდობა ჯერ კიდევ მიეკუთვნება იმ მოწყვლად კატეგორიას, რომელიც სამსახურის ძიებისას მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება, და ეს, პირველ რიგში, დასაქმების ნაკლებეფექტიან სახელმწიფო პოლიტიკას უკავშირდება, რის გამოც იზღუდება ახალგაზრდების შრომითი პოტენციალის რეალიზაცია, ფერხდება ეროვნული ეკონომიკის ზრდის პროცესი და ქვეითდება ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური თუ კულტურული კონკურენტუნარიანობის დონე მთლიანობაში. სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით სახიფათო ახალგაზრდების დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებელია: უმუშევრობა, უარყოფითად ზემოქმედებს რა ახლად შექმნილი ოჯახების ყოფაზე, საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებაზე; ხანგრძლივი დაუსაქმებლობის შედეგად ახალგაზრდები სოციალურ კმაყოფაზე ცხოვრების წესს ეჩვევიან ხშირად, რაც მათი შრომის მოტივაციის დაქვეითებას განაპირობებს; ამასთან, მოგეხსენებათ, უმუშევრობა გაცილებით უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე მხოლოდ შემოსავლის არქონა - ესაა უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა ადამიანისთვის (განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის); მასშტაბური უმუშევრობა ესაა უბედურება საზოგადოებისათვის, ესაა სოციალური დიფერენცირება და უკმაყოფილება, რომელიც ყოველთვის და უცილობლივ გადაიზრდება სოციალურ რყევებში, თუ ამ პრობლემას სათანადო ყურადღება დროულად არ მიექცა.

ვფიქრობ, ახალგაზრდების დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაა ის უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული საკითხი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებით აწუხებს, შესაბამისად, შრომის ბაზარზე შექმნილი თანამედროვე ტენდენციებისა და ახალგაზრდობის უმუშევრობის მიზეზების განსაზღვრა - გაანალიზება - დაძლევა უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსების ეფექტიანი მართვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი.

შრომის ბაზრის მდგომარეობაზე მომავალში გადამწყვეტი გავლენა იმ ახალგაზრდებს ექნებათ, რომლებიც განათლებასა და სპეციალობას დღეს ეუფლებიან; განათლების დონესა და ახალგაზრდების დასაქმებას შორის კავშირი კი ცნობილია - მიუხედავად იმისა, რომ განათლება სამსახურის პოვნის გარანტიას ყოველთვის არ იძლევა, მიჩნეულია, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყანაში განათლების დონე, მით უფრო დიდია ახალგაზრდებისათვის შრომის ბაზარზე ჩართვის ალბათობა (ქვემოთ მოშველიებული სტატისტიკური მონაცემები ამ მტკიცების მართებულობას კიდევ უფრო ამყარებს: დაანგარიშებულია, რომ სრული საშუალო განათლების მიღება 20-დან 24 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის საშუალოდ 7,4%-მდე შემცირებას უწყობს ხელს; 25-დან 29 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის ეს მაჩვენებელი 6%-ს შეადგენს).

ცოდნა - განათლებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო - კომერციული საქმიანობის მაღალშედეგიანად ორგანიზებისათვის, ამას განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების მაგალითი ადასტურებს. დღეს ძალიან ბევრ სახელმწიფოში მოქმედებს საყოველთაო უფასო საშუალო განათლების სისტემა (ზოგან ასევე, უმაღლესი განათლებისა) და ეს პირდაპირ კავშირშია არა მარტო ხელისუფალთა (სახელმწიფოს) სოციალურ - ჰუმანურ პოლიტიკასთან - აღზარდონ განათლებული და კულტურული თაობა, არამედ ამას სერიოზული პრაგმატული მნიშვნელობა აქვს მომავალში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც; საზოგადო-

ების ცოდნა-განათლებულობის დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული აღმოჩენების გაკეთებაში, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება - დანერგვის აქტივიზაციაში; მაღალი დონის ცოდნა - განათლება განსაკუთრებით საჭიროა ეკონომიკაში კაპიტალდაბანდების მიმართულებების საკითხის გადაწყვეტისას. საზოგადოებაში ცოდნის გაღრმავება სასარგებლოა არა მარტო ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამაღლებისათვის - განათლებულ საზოგადოებაში უფრო დაცულია მართლწესრიგი, შედარებით ნაკლებია კანონდარღვევები, ადამიანის უსაფრთხოების, მისი უფლებების ხელყოფის შემთხვევები, უფრო კომფორტულად ცხოვრობს პიროვნება და გარანტირებულია მისი პირადი კანონიერი ინტერესების ხელშეუხლებლობა, მაშასადამე, მთლიანობაში უფრო მაღალია პიროვნების თავისუფლების დონე, რაც დღესდღეობით ამოსავალ პარამეტრად არის მიჩნეული (და სწორია უეჭველად) ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკური წესრიგის, დემოკრატიულობის შეფასებისათვის.

რა ვითარებაა განათლების მიღების თვალსაზრისით საქართველოში? მოდით, გულწრფელები ვიყოთ: ბოლო 3-4 ათეული წლის განმავლობაში მდგომარეობა ამ მხრივ მკვეთრად გაუარესდა: ცოდნა - განათლების დონე კატასტროფულად დაეცა, მაღალკვალიფიკაციური კადრების დეფიციტი შეინიშნება საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებით და ასეთი ვითარება სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

უპირველესად აუცილებელია, რომ ხელისუფლებაში დამკვიდრდეს სახელმწიფო ხარჯებში განათლების და მეცნიერების დაფინანსების პრიორიტეტულობის პრინციპი და ეს რეალიზებული უნდა იქნეს იმის მიუხედავად, თუ როგორი შესაძლებლობები ექნება მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტს ამა თუ იმ პერიოდში და როგორი სიმწვავის სხვა პრობლემები იდგება ქვეყნის წინაშე. რეალურად კი ასეთი განწყობა - მიდგომა ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვაში ჩვენთან, სამწუხაროდ, დიდად არ იგრძნობა[7]: 2024 წელს დაგეგმილი განათლების საბიუჯეტო ხარჯების შეფარდებამ მთლიან შინა პროდუქტთან 3,7% შეადგინა და ეს ჯერ კიდევ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია როგორც ევროკავშირის სახელმწიფოებში (იქ მინიმალურია 4,1% - სლოვაკეთი, მაქსიმალური 6,9%-მალტა), ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში (აქ ყველაზე მაღალია მოლდოვაში - 8,6%). განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფოს (საქართველოს მთავრობის) მიერ აღებული ვალდებულება - გაეზარდა 2024 წელს განათლების დარგის დაფინანსება მშპ-ის 6%-მდე - გადავადებული იქნა 2028 წლამდე.

ამასთან, ქვეყანაში განათლების დონის ასამაღლებლად და, შესაბამისად, უმუშევრობის შესამცირებლად, არანაკლებ მნიშვნელოვანია (ვიტყოდი, გადამწყვეტიც კი) ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ე.წ. „დიპლომომანიის" (სასწავლო დაწესებულებაში ცოდნის მიღების სურვილის ნაცვლად განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიღების ნდომის) საყოველთაო სენის აღმოფხვრა.

გარდა ამისა, აუცილებელია იმ საზოგადოებრივი სტერეოტიპის მოშლაც, რომლის მიხედვით აბიტურიენტები (უფრო კი მათი მშობლები), ირჩევენ რა მომავალ სპეციალობას (შვილებისთვის), შრომის ბაზრის კონიუნქტურას და ახალგაზრ-

---

[7] სიმართლე მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ გასული ათწლეულის მანძილზე განათლების ბიუჯეტის წილი მშპ-ში, მართალია, მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა (დაახლოებით 1 პროცენტული პუნქტით).

დის ობიექტურ უნარ-შესაძლებლობებს კი არ ეყრდნობიან, არამედ ხშირად უმაღლესი დაწესებულების პრესტიჟულობით ხელმძღვანელობენ მხოლოდ. აღნიშნულთან დაკავშირებული არარაციონალური გადაწყვეტილებები ცალკეულ საოჯახო მეურნეობებს კი არ აწვება მძიმე ტვირთად მხოლოდ, არამედ საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დანახარჯებს იწვევს.

თუ ზემოხსენებული პრობლემები დროულად არ გადაწყდება და ახალგაზრდობის, მთლიანად საზოგადოების სურვილი რეალური ცოდნის, პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლების მიღების განწყობისაკენ არ შემობრუნდება, ვფიქრობ, მხოლოდ განათლებისა და მეცნიერებისათვის დაფინანსების გაზრდა საკმარისი არ იქნება.

ახალგაზრდების დასაქმების საკითხს მნიშვნელოვნად ართულებს სამუშაოს მაძიებელთა სოციალურ-პროფესიულ ორიენტაციებსა და სამუშაო ძალაზე ფირმების (ორგანიზაციების) მოთხოვნებს შორის არსებული წინააღმდეგობებიც: სპეციალისტების მომზადების რაოდენობრივი და პროფილური მხარის საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაუბალანსებლობის პრობლემის სიმწვავე კურსდამთვრებულთა კომპეტენციასა და დამკვეთის მოთხოვნებს შორის არსებულ ღრმა შეუსაბამობას უკავშირდება მნიშვნელოვანწილად; ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ არც თუ იშვიათად თავად კურსდამთვრებულები აცხადებენ უარს დამსაქმებლის მიერ შეთავაზებულ პირობებსა თუ ხელფასზე; ხანგრძლივი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას ამძიმებს ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ტენდენცია, რომლის მიხედვით ახალგარზდები სულ უფრო ხშირად ამჯობინებენ დროებითი (მოკლევადიანი) ვაკანსიის დაკავებას, რადგან ფიქრობენ, რომ სამსახურის ხშირი ცვლა მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას უზრუნველყოფს და პერსპექტივაში დასაქმების საუკეთესო ვარიანტის მოძებნაში დაეხმარება.

შრომის ბაზრის ზემოთ განხილული სტრუქტურული წინააღმდეგობები, რომლებიც ახალგაზრდების შრომის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელს საგრძნობლად ამცირებს, პირდაპირ და უშუალო კავშირშია განათლების არადამაკმაყოფილებელ ხარისხთან, რომლის გაუმჯობესება, მართალია, უაღრესად რთული საქმეა, თუმცა არა შეუძლებელი: ქვეყანაში განათლების დონის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა (აღნიშნული პრობლემის შერბილება-შემსუბუქება) შესაძლებელია, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების მრავალწახნაგოვანი პროცესის სრულყოფით (აქ განსაკუთრებული აქცენტი, ვფიქრობ, პედპერსონალისა და სპეციალისტების ყველა მიმართულებით პერმანენტული გადამზადების საკითხის დახვეწაზე უნდა გაკეთდეს, რაც ახლებური მიდგომების შემუშავებასა და ცხოვრებაში იმპლემენტაციას საჭიროებს) და, მეორე მხრივ (იმავდროულად), ცოდნის შეთვისების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებით (განსაკუთრებით საზოგადოებაში ცოდნით გაუმყარებელ დიპლომებზე აჟიტირებული მოთხოვნის შემცირების უზრუნველმყოფი საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოებით - მაგალითისათვის, ქვეყნის საჯარო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტების დიპლომირებისთვის სავალდებულო ერთიანი სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდების შემოღებით, მსგავსად უმაღლესში ჩასარიცხი ერთიანი ეროვნული გამოცდებისა - ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში რეალური განათლების მიღება-შეთვისებაზე მოთხოვნის ზრდას, აამაღლებს ცოდნის მიღების მოტივაციას და პერსპექტივაში განათლების ხარისხის თვისებრივად გაუმჯობესებას განაპირობებს).

დასავლური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების დასაქმების სფეროში ბევრი რამ სწორედ გონივრულ სახელმწიფო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შესამცირებლად XXI საუკუნის დასაწყისში აშშ-ში გატარდა სამუშაო ძალისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ფართომასშტაბიანი საერთო-სახელმწიფოებრივი რეფორმა, დაინერგა ე.წ. „დამატებითი განათლების" ახლებური სისტემა; ამავე პერიოდში გერმანიაში ფირმებისა და საწარმოების მუშაკთათვის შეიქმნა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ქსელი, სადაც სწავლის პროცესში ფართოდ გამოიყენება მსმენელის სტიმულირების განსხვავებული მეთოდები.

წამყვან ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებულია საწარმოს ბაზაზე არსებული სწავლების სისტემის პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსების პრაქტიკა. ასეთი დაფინანსება ზოგან საწარმოების მიერ საგანმანათლებლო მიზნებზე გაწეული დანახარჯების 50%-საც კი ფარავს (ცხადია, იმ დათქმით, რომ სწავლება სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი პროფესიისადმი სახელმწიფოს მიერ წაყენებულ უმკაცრეს მოთხოვნებთან).

გარდა ამისა, განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს განათლების, მეცნიერებისა და წარმოების კოოპერირების სხვადასხვაგვარი ფორმების სახელმწიფო სტიმულირება. განსაკუთრებით ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც სასწავლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და საწარმოების (ფირმების) კავშირ-ურთიერთობებს წარმოების კარდინალური ცვლილება მოჰყვება და კადრების თვისებრივად გადამზადების აუცილებლობა დგება.

ვფიქრობ, განათლების განვითარების გზაზე მყოფი ჩვენი სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნება მოწინავე ქვეყნების ზემოხსენებული (და ბევრი სხვა) გამოცდილების საფუძვლიანად გაცნობა, გონივრულად გააზრება და დანერგვა. ვიმედოვნებ, სტატიაში მოყვანილი ავტორის მოკრძალებული მოსაზრებები გაზიარებული იქნება სამეცნიერო წრეებში, გამოხმაურებას ჰპოვებს დარგის სპეციალისტებში და წაადგება ქვეყანაში განათლების განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

- ახალგაზრდობა თანამედროვე სამყაროს, განსაკუთრებით კი მისი ეკონომიკური შემადგენლის ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა;
- თანამედროვე მსოფლიოში სტრატეგიული უპირატესობა იმ სახელმწიფოების ხელში აკუმულირდება, რომლებიც ახალგაზრდების უნარ-ჩვევების სრულყოფა-რეალიზებას ეფექტიანად მოახდენენ;
- საქართველოში ბოლო 3-4 ათეული წლის განმავლობაში ცოდნა - განათლების დონე კატასტროფულად დაეცა, პრაქტიკულად ყველგან შეინიშნება მაღალკვალიფიკაციური კადრების დეფიციტი;
- ქვეყანაში განათლების დონის ასამაღლებლად სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ეფექტიანი ზომები, რომელთა შედეგად: ხელისუფლებაში უნდა დამკვიდრდეს სახელმწიფო ხარჯებში განათლების და მეცნიერების დაფინანსების პრიორიტეტულობის პრინციპი; უნდა აღმოიფხვრას ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ე.წ. „დიპლომომანიის" (სასწავლო დაწესებულებაში ცოდნის მიღების სურვილის ნაცვლად განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიღების ნდომის) საყოველთაო სენი; უნდა დაიხვეწოს პედაგოგიური პერსონალისა და სპეციალისტების პერმანენტუ-

ლი გადამზადების საკითხი; გაზიარებული და დანერგილი უნდა იქნას წამყვანი ქვეყნების ბოლო პერიოდის გამოცდილება ახალგაზრდებში უმუშევრობის შემცირების საქმეში.

**ლიტერატურა**


1. Chevalier, A., Harmon, C., Walker, I., & Zhu, Y. (2004). Does Education Raise Productivity, or Just Reflect it? Economic Journal, 114, pp. 499 - 517
2. Psacharopoulos, G., & Partinos, H. (2004). Returns to Investment in Education: a Further Update. Education Economics .
3. Economic Policy Research Center (EPRC). 2011. დასაქმება და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. თბილისი
4. Егоров С. Человеческий фактор и экономический рост в условиях постиндустриализма. Ж. "Вопросы экономики". 2004, N5, (стр. 81-95).



***Vladimer Basaria***
*Academic Doctor of Economics,*
*Associate Professor Sukhumi State University*


**FOR THE ISSUE OF INTERRELATIONSHIP BETWEEN EDUCATION SYSTEM AND YOUTH EMPLOYMENT PROBLEMS**

**Expanded Summary**


Youth is increasingly becoming the main driving force of the modern world. This is somewhat related to the growing demand for creative and communicative workers in the field of information technology in the rapidly developing digital economy. An important part of them objectively consists of young people. Therefore, it can be said that in the modern world, those (mostly developed) countries that improve and realize the human capital of young people have a certain strategic advantage.

Unfortunately, in many places (including our country), youth still belong to the vulnerable category, which faces significant difficulties when looking for a job, and this is primarily related to the ineffective state employment policy, which limits the realization of the labor potential of young people, hinders the growth process of the national economy, and The level of political, social, technological or cultural competitiveness of the country as a whole decreases.

I think that solving the problem of employment of young people is the most important and painful issue that worries the population of Georgia. Consequently, determining the modern trends created in the labor market and the causes of youth unemployment should become one of the main concerns of the effective management of the labor resources of our country.

The relationship between education level and youth employment is well known - the higher the level of education in the country, the greater the probability of young people joining the labor market (the statistical data provided below further support the validity of this statement: it is calculated that obtaining a full secondary education among young people aged 20 to 24 years reduces the unemployment rate to 7.4% on average contributes; for the age group of 25 to 29 years, this figure is 6%).

What is the situation in Georgia in terms of receiving education? Let's be honest: over the last 3-4 decades, the situation in this regard has worsened: knowledge - the level of education has fallen catastrophically, there is a shortage of highly qualified personnel in almost all areas of activity, and such a situation needs to be corrected urgently.

First of all, it is necessary that the government establishes the principle of prioritizing funding of education and science in state expenditures. In reality, unfortunately, such a mood - an approach to budget expenditure planning is not widely felt in our country - in 2024, the ratio of planned education budget expenses to the gross domestic product amounted to 3.7%, and this is still the lowest rate both in the EU countries (there is a minimum of 4.1% - Slovakia, a maximum of 6.9% - Malta), and in the former Soviet Union countries (the highest in Moldova - 8.6%). It is particularly unfortunate that the commitment taken by the Georgian government - to increase the financing of the education sector to 6% of GDP in 2024 - was postponed until 2028.

In addition, in order to raise the level of education in the country and, accordingly, to reduce unemployment, it is no less important (I would say even crucial) to eliminate the mental illness established in Georgian society so-called “diplomamania” (the desire to receive a diploma confirming education instead of the desire to acquire knowledge in an educational institution).

If the above-mentioned problems are not solved in time and the desire of the youth, the society as a whole, does not turn to the attitude of obtaining real knowledge, mastery of the profession at a high level, I think that only increasing funding for education and science will not be enough.

In addition, it is necessary to break the public stereotype, according to which applicants (or rather their parents), choosing the future specialty (for their children), do not rely on the state of the labor market or the objective abilities of the young person, but are often guided only by the prestige of the higher institution. Irrational decisions related to this do not only burden individual households, but ultimately lead to significant public costs.

If the above-mentioned problems are not solved in time and the desire of the youth, the society as a whole, does not turn to the attitude of obtaining real knowledge, mastery of the profession at a high level, I think that only increasing funding for education and science will not be enough.

The issue of youth employment is significantly complicated by the contradictions between the socio-professional orientations of job seekers and the requirements of companies (organizations) for the workforce. This is related to the deep discrepancy between the competence of the trainees and the client's requirements; as well often the graduates themselves refuse the conditions or salary offered by the employer; also the solution to the problem of long-term employment is complicated by the recently established trend, according to which young people increasingly prefer to take a temporary (short-term) job, because they think that frequent job changes will improve their practical skills and help them find the best employment option in the future.

The structural contradictions discussed above in the labor market, which significantly reduce the efficiency of youth labor use, are directly related to the unsatisfactory quality of education, the improvement of which, although it is extremely difficult, but not impossible: the solution to the task of raising the level of education in the country (alleviation of the mentioned problem) is possible, on the one hand, by perfecting the multifaceted process of providing educational services (here, I think, a special emphasis should be placed on improving the issue of permanent training of pedagogical staff and specialists in all directions, which requires the development of new approaches and their implementation in life), and, on the other hand (at the same time), by taking measures to improve the quality of knowledge acquisition (especially by making an educational policy that ensures the reduction of the agitated demand for diplomas not supported by knowledge in the society - for example, by introducing mandatory unified state graduation exams for the graduation of specialists in public and private higher education institutions of the country, similar to the unified national exams for enrollment in higher education -

this measure will contribute to the growth of the demand for acquiring real education among young people, increase the motivation to acquire knowledge and lead to a qualitative improvement in the quality of education in the future).

In developed countries, various forms of cooperation in education, science and production are actively being stimulated by the state; the practice of direct state financing of the enterprise-based education system is quite common there; large-scale state-wide reforms of training and retraining of the workforce and specialists are intensively carried out; a continuous training and qualification improvement network is created for the workers of companies and enterprises, where different methods of student stimulation are widely used in the learning process.

I think that it will be useful for our state, which is on the path of education development, to thoroughly familiarize with the above-mentioned (and many other) experiences of advanced countries, understand them wisely and implement them. I hope that the modest opinions of the author mentioned in the article will be shared in scientific circles, will find a response among specialists in the field and will help the vital work of education development in the country.

***Key words:*** *education and employment; problems of education; increase in education; diplomacy youth employment; youth unemployment; diplomamania.*

ჯანდაცვის ეკონომიკა – **ECONOMIC OF HEALTHCARE**

***შოთა აბზიანიძე,***
***თენგიზ ვერულავა,***
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი*

**კანაბინოიდების, ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მოხმარება ახალგაზრდებს შორის საქართველოში**

DOI: 10.36172/EKONOMISTI.2024.XX.01.Shota.Abzianidze/Tengiz.Verulava

***შესავალი:*** *საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ეროვნული და გლობალური კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მზრდი ტენდენციები და კონტროლის მექანიზმების კომპქლესურობა. განსაკუთრებით მოწყვლადი ამ მიმართულებით ახალგაზრდები არიან. ნარკოტიკული საშუალებების ნაადრევი მოხმარების პრაქტიკა, მოზარდის და ახალგაზრდი განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ე.წ. კლუბური ნარკოტიკული საშულებების მოხმარება ახალგაზრდებს შორის, კანაბინოიდები კი ისევ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნარკოტიკად რჩება გლობალურ ასპარეზზე. საქართველოში, ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებიც საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებებითა და სახელმწიფოს მხრიდან ნარკოტიკული საშუალებების, კერძოდ კი კანაბინოიდების მიმართ პოზიციის ლიბერალიზაციამ შეცვალა სიტუაცია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კუთხით. ძალიან მწირი რაოდენობით მოიპოვება კვლევები იმის შესაფასებლად თუ რამდენად შეიცვალა სიტუაცია საკანონმდებლო ცვლილებებამდე და ცვლილებების შემდეგ. სწორედ არნიშნული ინფორმაციის და სამეცნიერო კვლევების ნაკლებობა გახდა მთავარი მოტივატორი წინამდებარე კვლევის ჩატარებისა, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს პოლიტიკის დაგეგმვისას მონაცემთა შედარების შესაძლებლობა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა.*

*კვლევის მიზანს წარმოადგენს 19-29 წლის საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებში, კანაბინოიდების ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მოხმარების სიხშირის, თავისებურებების და კორელაციაში მყოფი ფაქტორების შესწავლა.*

*ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი ტიპის კვლევა, რომელიც ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის პრინციპით, 27 დახურული კითხვარით. რესპოდენტთა შერჩევის მეთოდად გამოყენებულია შერჩევა ხელმისაწვდომობის მიხედვით (convenience sampling). კითხვარი შეიქმნა Google Forms-ის გამოყენებით, ხოლო მონაცემტა დამუშავებისათვის SPSS და Microsoft Excel პროგრამები.*

*კვლევაში მონაწილეობა მიიღო 447 რესპოდენტმა, რომელთაგან თამბაქოს მოიხმარდა 42% (კაცების 56% და ქალების 30 %). ალკოჰოლის მოხმარებელია რესპოდენტთა 77% (კაცების 85% და ქალების 70%). ნარკოტიკული საშუალებებიდან გამოკითხულთა 39% მოიხმარდა კანაბინოიდებს სხვადასხვა ინტენსიობით ბოლო 2 წლის განმავლობაში, მათ შორის 18% რეგულარულად (მამაკაცების 50% და ქალების 16%). ჰალუცინოგენებსა და სტიმულატორებს მოიხმარდა 13% (კაცების 22% და ქალების 7%).*

*სქესობრივ ჭრილში, მომხმარებელთა შორის როგორც კანაბინოიდების ისე ჰალუცინოგენების კუთხით ჭარბობენ მამაკაცები და მათი წილი 70%-ზე მეტია, ასევე განსხვავებაა თავად სქესის მიხედვით მოხმარებაშიც სადაც მამაკცების შორის მოხმარება რამდენჯერმე აღემატება სამივე ტიპის სუბსტანციის შემთხვევაში ქალებს შორის მოხმარებას. მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ მოხმარებელთა უმრავლესობა სამივე ტიპის სუბსტანციიის შემთვევაში, პარალელურად მოიხმარს ალკოჰოლსა და თამბაქოს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური წრე. ნარკოტიკული სუბსტანციის მოხმარების შემთხვევაში ჭარბობენ ის ადამიანები ვის ირგვლივაც არსებობს მოხმარების პრაქტიკა. ინფრომაციას ყველაზე მეტად ადამიანები ნარკოტიკული საშულებების შესახებ ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და სამეცნიერო სტატიების საშულებებით იღებდნენ. რაც შეეხება მაპროვოცირებელ ფაქტორებს, ყველაზე ხშირად მეგობრის ზეგავლენა, პირადი ინტერესი და გართობის სურვილი დასახელდა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარკოტიკულისაშუალებების მოხმარების კუთხით სიტუაციის გაუმჯობესებას, მოსახლეობის ინფორმურებლობის ამაღლებას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის როლის გაზრას მენტალური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.*

***საკვანძო სიტყვები:** ჰალუცინოგენები, კანაბინოიდები, სტიმულატორები, ახალგაზრდები.*

**შესავალი**

ნარკოტიკული საშუალებები სულ უფრო მრავალფეროვანი, საშიში და რთულად კონტროლირებადი ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, 2022 წლის ნარკოტიკული საშუალებების ანგარიშის მიხედვით, 2020 წლისთვის 15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 5.6%, ანუ ყოველი 1 ადამიანი 18-დან, მოიხმარდა ნარკოტიკული საშუალებებს ბოლო 12 თვის განმავლობაში; აღნიშნული ციფრი 26%-ით ნაკლები იყო 2010 წლისთვის და შეადგენდა 226 მილიონს. (Lemahieu & Carpentier, 2022).

იმავე ანგარიშის მიხედვით, ნარკოტიკულ საშაულებებს შორის, ყველაზე ფართოდ გავრცელებული კვლავ კანაბინოიდების პროდუქტებია, რომელსაც ქვეყნების 40% ასახელებს ძირითად ნარკოტიკულ საშუალებად, ხოლო 33%-ში იგი დაკავშირებულია ნარკოტიკული საშაულებებით გამოწვეული სამედიცინო ქეისების უმეტესობასთან. კანაფის მოხმარების ზრდასთან ერთად, დასავლეთის ქვეყნებში იმატა მასთან დაკავშირებულმა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებმა და სუიციდის ფაქტებმა. მიუხედავად იმისა რომ, კანაფი სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით, პირდაპირი ეფექტის თვალსაზრისით, ნაკლებად ზიანისმომტანია ადამიანისთვის, იგი წარმოადგენს ერთგვარ მაპროვოცირებელ სუბსტანციას, რომელიც ასტიმულირებს სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას.

საქართველოში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, საკანონმდებლო ბაზამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ნარკოტიკული საშულებების, განსაკუთრებით კი კანაბინოიდების მოხმარების კუთხით. 2014 წელს ზედოზირებასთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს მოეხსნა ზედოზირების შემთხვევაში საპატრულო პოლიციის გამოძახების ვალდებულება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა დროული სამედიცინო დახმარების მიღების საშუალებას. 2015 და 2018 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით

განხორციელდა კანაბინოიდების პროდუქტების ფაქტრობრივი დეკრიმინალიზაცია (სერგეენკო, 2014; ვარძელაშვილი და სხვ. 2015; ტურავა და სხვ. 2018).

სავარაუდოდ, აღნიშნული ცვლილებები, აუცილებლად იქონიებს გავლენას ნარკოტიკული საშულებების მოხმარებაზე, თუმცა, რთულია ზუსტი ან მიახლოებითი ეფექტის განსაზღვრა, რადგან კანონის მიღებამდე და მისი მიღების შემდგომ მწირი რაოდენობით მოიძიება რეპრეზენტატული კვლევები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პერიოდული მონიტორინგი, რათა მათზე დაყრდნობით მოხდეს სიტუაციიის შეფასება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და ასევე სამომავლოდ საშულება მიეცეთ მკვლევარებსა და დაინტერესებულ პირებს შეადარონ მიმდინარე სიტუაცია წარსულში არსებულს.

კვლევის მიზანია საქართველოში 19-29 წლის ახალგაზრდებში კანაბინოიდების, ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მოხმარების სიხშირის, თავისებურებების, მაპროვოცირებელი და კორელაციაში მყოფი ფაქტორების შესწავლა. ჩვენი კვლევა კიდევ უფრო ნათელს მოჰფენს ნარკოტიკული საშულებების მოხმარების კუთხით არსებულ სიტუაციას ახალგაზრდა მოსახლეობაში და გარკვეულწილად შეავსებს სამეცნიერო კვლევების დანაკლისს ნარკოტიკული საშულებების მოხმარების მიმართულებით.

**ლიტერატურის მიმოხილვა**

ნარკოტიკული ნივთიერებების ე.წ. ბაზარი სწრაფად იცვლება და ივსება ახალი ნარკოტიკულლი საშუალებებით, იხვეწება მათი გავრცელების გზები, ფართოვდება ასაკობრივ-გეოგრაფიული მოცვა. შეუძლებელია, დღესდღეობით მსოფლიოში არსებული ნარკოტიკული საშულებების ზუსტი რაოდენობების დადგენა, თუმცა მათი კლასიფიკაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით 7 ჯგუფად ხდება: ცნს (ცენტრალური ნერვული სისტემის) დეპრესანტები, ცნს სტიმულატორები, ჰალუცინოგენები, დისოციაციური ანესტეტიკები, ნარკოტიკული ანალგეტიკები, ინჰალანტები და კანაბინოიდები. (Crean, Naidis, & Ifeagwu, 2016)

ნაშრომში ზემოთაღნიშნული ჯგუფებიდან განხილული იქნება სამი ჯგუფი: კანაბინოიდები, სტიმულატორები, და ჰალუცინოგენები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2016 წლის ანგარიშის მიხევით, კანაფი განმარტებულია როგორც კანაფის მცენარის ყვავილოვანი ან ყვავილობაში მყოფი ნაწილი (თესლისა და ღეროს გამოკლებით) რომლიდანაც არ არის ექსტრაქტირებული კანაფის ზეთი. კანაფისგან ძირიტადად იწარმოება რამოდენიმე პროდუქტი კანაფის ფისი, კანაფის რეზინი და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი კანაფის მცენარის ყვავილი. თუმცა თავად ჯგუფი კანაბინოიდების თავის თავში, კანაფთან ერთად აერთიანებს სინთეტურ კანაბინოიიდებსაც, რომლებიც წარმოადგენენ ქიმიურ საშუალებებს კანაფის მსგავსი ეფექტის მისაღწევად. (Crean, Naidis, & Ifeagwu, 2016, გვ. 3-4)

რაც შეეხება სტიმულატორებს, ისინი წარმოადგენენ ძირითადად სინთეზური გზით მიღებულ ნივთიერებებს, რომელთაგან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია: ამფეტამინი, მეტამფეტამინი, MDMA (ექსტაზი). ამ ნივთიერებებს მასტიმულირებელი ეფექტი აქვთ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და გავლენას ახდენენ მნიშვნელოვანი ნეიროტრანსმისტერების დონესა და მოქმედებაზე როგორიცაა: დოპამინი, ნორეპინეფრინი და სეროტონინი. მათი მოქმედება, იწვევს სხვადასხვა ხასიათის ცენტრალლური ნერვული სისტემის აგზნებას. (Crean, Naidis, & Ifeagwu, 2016, გვ. 33-34)

მესამე ჯგუფი, ჰალუცინოგენები, წარმოადგენს როგორც ბუნებრივი ისე სინთეზური გზით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებეს, რომლებიც იწვევენ ცნობიერების, აღქმის, აზროვნების და შეგრძნების შეცვლილ, არალეალურ მდგომარეობას, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა ვიზუალური თუ აუდიო ჰალუცინაციები. ისინი ასევე მოიხსენიებიან როგორც „ფსიქოდელიკები", რომელთა ეფექტი რეალობის დამახინჯებას გულისხმობს. ჰალუცინოგენები იყოფიან ორ ჯგუფად: ტრიპტამინები (მაგ., (+)-ლიზერგიდი [LSD] და ფსილოცინი) და ფენეთილამინი (მაგ., მესკალინი და 25B-NBOMe). (Crean, Naidis, & Ifeagwu, 2016, გვ. 47-48)

იმისათვის რომ უკეთ გავიაზროთ თუ რა მასშტაბის პრობლემას და გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოსთვის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, რომელიც უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და პარალელურად იზრდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მოცვაც, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები. ნარკოტიკული საშულებების მოხმარების კუთხით, ტენდენციებისა და რეგიონალული თავისებურებების შეფასებისთვის, საკვანძო როლს ასრულებენ საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ამფეტამინის ტიპის სტიმულანტორების მოხმარება, 1998 წლის მონაცემით შეადგენდა დაახლოებით 10 ტონას წლიურად, ხოლო 2020 წლის მონაცემით იგი აჭარბებს 500 ტონას. როგორც ვხედავთ, მსოფლიოს მასტაბით, მოხმარება დაახლოებით 50-ჯერ არის გაზრდილი, რაც მეტად საყურადღებო ტენდენციის მანიშნებელია. ზრდა ფიქსირდება, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ევროპის კონტინენტზე, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების მოხმარება 2010 წლისთვის 6-7 ტონას შეადგენდა წლიურად, ხოლო 2020 წლის მონაცემებით აღნიშულმა მონაცემმა 40 ტონას გადაჭარბა. ჩრდილოეთ ამერიკაში მეტამფეტამინის ტიპის სტიმულატორების მოხმარება 2010 წლისთვის 25 ტონას შეადგენდა,ხოლო 2020 წლისთვის 165 ტონამდე გაიზარდა. (United Nations publication, 2022). ასევე ძალიან საყურადღებოა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით ზედოზირების შედეგად გარდაცვალების შემთხვევების ზრდის ტენდენცია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 2010 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 2000 შემთხვევა, ხოლო 2020 წლის მონაცემებით შემთხვევების რაოდენობამ 25 000-ს მიაღწია (Lemahieu & Carpenter, 2022).

რაც შეეხება მომხმარებელთა რაოდენობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, 15-64 წლის ასაკობრივი კატეგორის 34 მილიონი ადამიანი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 0.7% ამფეტამინის მომხმარებელია ბოლო 1 წლის განმავლობაში, ხოლო ექსტაზის მომხმარებელია მსოფლიო მოსახლეობის 0.4% ანუ 20 მილიონი ადამიანი. თუ შევადარებთ 2010 წლის მონაცემებს, ამფეტამინის მომხმარებლების რაოდენობა თითქმის იდენტურია (33 მილიონი 2010 წელს). თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემებს, მნიშვნელოვნად შეცვლიდა აზიის კონტინენტის რეალური მონაცემების ცოდნა, რადგან ყველა კრიტერიუმით ამ კონტინენტზე მოხმარება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (Lemahieu & Carpenter, 2022).

კანაბინოიდების ტიპის პროდუქტების შემთხვევაშიც, ისევე როგორც სტიმულატორების და ფსიქოაქტიური ნივთიებებების მიმართულებით, ფიქსირდება გლოიბალური მოხმარების დრამატული ზრდა. კერძოდ, კანაფი რჩება ყველაზე

ფართოდ გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებად, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 4 % მოიხმარს. 2010 წელს კანაფს მოიხმარდა 170 მილიონი ადამიანი, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მონაცემი 209 მილიონამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 23%-იანი ზრდაა და მიანიშნებს საყურადღებო ტენდენციაზე კანაფის მოხმარების კუთხით. კანაბინოიდების მომხმარება მერყეობს რეგიონების მიხედვით და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ზელანდიაში, ავსტრალიასა და აფრიკაში, ხოლო რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ყველაზე მაღალი მოხმარება მოზარდებში ფიქსირდება 5.8% (Lemahieu & Carpenter, 2022).

გაერთიანებული ერების 2022 წლი ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კანაფისნაადრევი მომხარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ნერვული სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ადრეული მოხარება ასევე, ზრდის შემდგომში რეგულარული მოხმარების რისკს. კანაბინოიდებს ყველაზე მეტად მამაკაცები მოიხმარენ, კერძოდ ისინი წარმოადგენენ მომხმარებელთა ორ მესამედს. თუმცა ეს პროპორცია ცვალებადია რეგიონების და ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში, ეს გენდერული სხვაობა გაცილებით მცირეა როგორც კანაბინოიდების ისე სხვა სუბსტანციების კუთხით. შესაბამისად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კანაბინოიდების მოხმარებაზე არა იმდენად სქესი, არამედ ხელმისაწვდომობა მოქმედებს.

ახალგაზრდა მოსახლეობაში ნარკოტიკის მოხმარებას განსხვავებული მოტივები და მიზეზები აქვს. ეს ფაქტორები განსხვავებულია ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვითაც. როგორც გაერთიანებული ერების ნარკოტიკისა და კრიმინალის სააგენტოს 2018 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, ახალგაზრდების ქცევა ნარკოტიკთან მიმართებაში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მოხმარების მაპროვოცირებელი ფაქტორების ფართო დიაპაზონის საილუსტრაციოდ შესაძლოა მოვიყვანოთ ორი მაგალითი, რომელიც აღწერს ახალგაზრდა მოსახლეობის ორ რადიკალურად განსხვავებულ ფაქტორს, რომელიც უბიძგებს მათ მოხმარებისაკენ. ერთის მხრივ, ეს არის ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება გამოცდილების და ემოციური მდგო-მარეობის ერთგვარი გაძლიერების მიზნით, ხოლო მეორეს მხრივ არიან ახლგაზრდები, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს რთულ სოციალური პირობების გამო, პრობლემებთან გამკლავების ან მათგან გაქცევის მიზნით იყენებენ.

განსხვავებულია ის ნარკოტიკული საშუალებებიც, რომლებსაც ამ ორ რადიკალურად განსხვავებული გარემოებების გამო მოიხმარს ახალგაზრდობა. ერთის მხრივ ეს არის ისეთი „კლუბური ნარკოტიკი" როგორიცაა: ექსტაზი, ამფეტამინი, კოკაინი, კეტამინი. ელ ეს დი და ა. შ. აღნიშნული სუბსტანციები, უმეტესწილად განვითარებულ ქვეყნებში მოიხმარება, ძირითადად ე.წ. „rave" ტიპის საზოგადოებაში, თუმცა, მათი მომხმარება ასევე ხდება როგორც კოლეჯის წვეულებებზე, ისე ბარებსა და სხვა გასართობი ღონისძიებებისას. უმეტესწილად აღნიშნულ სუბსტანციებს ახალგაზრდები მოიხმარენ. ხოლო ის ახალგაზრდები, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ, ძირითადად ინჰალანტებს მოიხმარენ. მაგალითად: საღებავის გამათხელებელი, წებო, ბენზინი, სარებავი. მათი მოხმარება განპირობებული დაბალი ფასითა და ადვილი ხელმისაწვდომობით. შესაბამისად, ნარკოტიკის მოხმარების თავისებურებებზე უმნიშვნელოვანესი გავლენა აქვს სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ასევე საინტერესოა, კანაბინოიდების მოხმარებაზე მოქმედ ფაქტორები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებში კანაფის ყველაზე მეტი მოხმარება ძირითადად განპირობებულია 2 მიზეზით: პირველ რიგში იგი ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი სუბსტანციაა და ასევე მიიჩნევა ყველაზე უსაფრთხო და ნაკლები ზიანის მომტან ნარკოტიკულ საშუალებად. ასევე, კანაფი ხშირად გამოიყენება სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან კომბინაციაში.

ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვისაც. ამ მხრივ, ერთ-ერთ ადრეულ კვლევას წარმოადგენს 2012 წელს გამოქვეყნებული ნასრომი „ახალგაზრდებში ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა". კვლევის სამიზნე აუდიტორიას თბილისის სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები წარმოადგენდნენ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1879-მა რესპოდენტმა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: კანაფი გასინჯული ჰქონდა 18-24 წლის რესპოდენტთა 10.4%-ს, მათგან, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში 4%-ს, ბოლო 1 თვის განმავლობაში 1%-ს. რესპოდენტთა 3.4%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული ექსტაზი, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე 2%-ს და ბოლო 1 თვის განმავლობაში 1.1%-ს (Dershem et al., 2012).

2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4805-მა, 18-დან 64 წლამდე პირმა, რესპოდენტების 15-16%-ს ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული კანაფის პროდუქტები. რაც შეეხება სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს, მათი მოხმარება ძალიან დაბალ დონეზე დაფიქსირდა, კერძოდ ამეტამინის მოხმარება ცხოვრების განმავლობაში სულ რამოდენიმე რესპოდენტმა დაადასტურა, ხოლო უკანასკნელი თვის განმავლობაში მისი მოხმარება ნულს უტოლდებოდა (კირთაძე და სხვ., 2015).

2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებით, სადაც გამოიკითხა თბილისის ღამის კლუბების სტუმრები, რესპოდენტთა უმრავლესობამ (70%) აღნიშნა რომ მოიხმარდა ნარკოტიკულ საშუალებებს უკანასკნელი 30 დღის განმავლოვბაში და მათგან ყველაზე ხშირად ექსტაზის, ამფეტამინს, კეტამინს და კანაბინოიდებს (Beselia et al, 2019).

ასევე, მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოვლინდა კვლევითი ცენტრი "ალტერნატივა ჯორჯია'' მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ქართულ მოსახლეობაში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მახასიათებლები. კვლევაში მონაწილეობა 396 ადამიანმა მიიღო და ბოლო 12 თვის განმავლობაში 97%-მა აღნიშნა რომ მოიხმარდა კანაფს. კერძოდ, კვლევის მიხედვით, ბოლო 12 თვის განმავლობაში თამბაქოს მოიხმარდა 93.7%, ალკოჰოლს - 90.4%, ექსტაზს - 54.5%, ლსდ-ს - 34.1%, კეტამინს - 28.8%, ყველაზე დაბალი მოხმარება 2.8% დაფიქსირდა GHB/GBL-ის მოხმარებაზე (ალტერნატივა ჯორჯია, 2021). კვლევამ ასევე გამოავლინა რამოდენიმე საინტერესო ფაქტი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა სოციალურ-ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობის კუთხით. კერძოდ, მომხმარებელთა უმრავლესობა, კერძოდ 90% იყო დასაქმებული ან თვიდდასაქმებული და ნახევარზე მეტი დასაქმებულის საშუალო შემოსავალი აღემატებოდა 1000 ლარს. რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, იმ ადამიანთა რიცხვი რომლებიც ცხოვრობდნენ მხოლოდ შვილებთან ერთად და მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშულებებს (14.1%) 9-ჯერ აღემატებოდა

მეუღლესთან, პარტნიორთან და შვილებთან ერთად მცხოვრები ადამიანების რიცხვს (1.5%). (ალტერნატივა ჯორჯია, 2021).

აღნიშნული კვლევის შედეგები საკმაოდ დამაფიქრებელი ტენდენციის მანიშნებელია და გამოკითხულთა შორის უპრეცედენტო რაოდენობის მოხმარებას ასახავს, როგორც კანაბინოიდების ისე ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მიმართულებით. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ კვლევის გავრცელება მოხდა სოციალური პლატფორმით და შესაძლოა კითხვარით ძირითადად ის ადამიანები დაინტერესებულიყვნენ ვისაც ჰქონდა მოხმარების პრაქტიკა და შესაბამისად ინტერესი აღნიშნული თემისადმი. მიუხედავად ამისა, კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თავად მოხმარების თავისებურებების, მოტივებისა და მოხმარებისადმი დამოკიდებულების შესახებ (ალტერნატივა ჯორჯია, 2021).

2020 წელს ნარკოტიკის მონიტორინგის ეროვნული ცენტრი მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 279 სკოლის 3000-ზე მეტმა მოსწავლემ, მოსწავლეთა 25%-თვის ძალიან ადვილია კანაბინოიდების პროდუქტების მოპოვება, რაც 21%-ით აღემატება 2015 წლის მონაცემებს. ასევე, მოსწავლეთა 14%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოუხმარია კანაბინოიდების პროდუქტები, 10%-ს უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში და ასევე 10%-ს უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. მომხმარებელთა აბსოლიტური უმრავლესობა მამრობითი სქესის არიან. (ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2019). კვლევის მიხედვით, ყველაზე ხშირად მოსწავლეები მოიხმარდნენ ექსტაზის (2%), ხოლო დანარჩენი ნარკოტიკების მოხმარების სიხშირე თითქმის თანაბარია და უტოლდება 1%-ს.

კვლევები აჩვენებს, რომ ნარკოტიკების მოხმარების პრაქტიკა ახალგაზრდებში ადრეული ასაკიდანვე იწყება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა შემდგომში მოხმარების განვითარებისთვის. შესაბამისად, ამ მიმართულებით კვლევა მნიშვნელოვანი სიგნალი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რათა მოხდეს საკითხის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და სათანადო ღონისძიებების გატარება.

## მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი. კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს 19-29 წლის ახალგაზრდები. შერჩევის მეთოდად გამოყენებულია ხელსაყრელი შერჩევის („convenience sampling") მეთოდი, რადგან რანდომიზაცია მსგავს ფართომასშტაბიან აუდიტორიაში დიდ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვს, რაც მიმდინარე კვლევაში ვერ განხორციელდებოდა. შესაბაისად მონაწილეები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის მიხედვით, თუმცა ფართო გეოგრაფიული მოცვისა და გენდერული ბალანსის გათვალისწინებით.

პირველ რიგში შედგა ხელმისაწვდომი მონაწილეების ბაზა, რომლებიც რეკრუტირებულნი იყვნენ სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან, უნივერსიტეტებიდან და ქუჩის გამოკითხვის შედეგად. თითოეულ მონაწილესთან პირველ ეტაპზე დამყარდა კონტაქტი რათა გაცნობოდნენ კვლევის შინაარს, მიზანს, ინფორმაციას კონფიდენციალურობის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეგზავნათ კითხვარი მათთვის სასურველი საკომუნიკაციო არხით. ქუჩის გამოკითხვა ჩატარდა სამ ქალაქში: სამტრედია, ქუთაისი და თბილისი. კერძოდ შემთხვევითი გამვლელები,

რომლებიც აკმაყოფილებდნენ კვლევის კრიტერიუმებს, სურვილის შემთხვევაში, მათთვის სასურველი საკომუნიკაციო არხით იღებდნენ კითხვარს.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა წინასწარ სტრუქტურიზებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა 27 კითხვისაგან. კითხვარი მიწოდებული იყო „google forms"-ის ფორმატით, რომელიც ინფორმაციის შეგროვების და შემდეგ სასურველ ფორმატში მისი ექსტრაქტირების შესაძლებლლობას იძლევა. აღნიშნული ფორმატი არ ითვალისწინებდა რეგისტრაციას, არ შეიცავდა მაიდენტიფიცირებელ კითხვას. ამის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო კითხვარის დასაწყისშივე. შესაბამისად, გამოკითხვა აბსოლიტურად კონფიდენციალური იყო.

პირველ ეტაპზე ჩატარდა სატესტო გამოკითხვა 100 რესპოდენტს შორის, რათა გამორიცხულიყო ინფორმაციის დამალვისა პოტენციური საფრთხე, რადგან კვლევა სენსიტიურ თემას ეხებოდა და ამის საფრთხე რეალურად არსებობდა. სატესტო გამოკითხვამ აჩვენა რომ კვლევას აღნიშნული პრობლემა არ გააჩნდა, რადგან საკმაოდ მაღალი სიხშირით დაფიქსირდა ნივთიერებების მოხმარების ფაქტები, კერძოდ კანაბინოიდების შემთხვევაში 45%-მდე. ხოლო ჰალუცინიგენებისა და სტიმულატორების შემთხვევაში 20%-მდე.

გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, დამუშავდა excel-ის და Spss-ის პროგრააში, რათა ნათლად წარმოდგენილიყო სტატისტიკური ინფორმაცია.

კვლევის მთავარ შეზღუდვას შერჩევის მეთოდი წარმოადგენს, რომელიც შეუძლებლობის გამო არ არის რანდომიზებული და წარმოადგენს რესპოდენტთა შერჩევის მეთოდს ხელმისაწვდომობის მიხედვით. ამ ლიმიტაციის შესამცირებლად, შეძლებისდაგვარად გაიზარდა შერჩევის ზომა და დაბალანსდა გენდერული გადანაწილება რესპოდენტთა შორის.

## შედეგები

კვლევს ფარგლებში, 2023 წლის 7 აპრილიდან, 2023 წლის 13 ივნისის ჩათვლით, მონაცემების შეგროვების პროცესის შედეგად, გამოიკითხა 447 რესპოდენტი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოკითხვამ მოიცვა 19-29 წლის, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ ინტერნეტზე და ჰქონდათ სურვილი კვლევაში მონაწილეობის. რესპოდენტთა 43.8% იყო მამაკაცი, ხოლო 56.2% - ქალი. რესპოდენტების დიდი უმრავლესობა ცხოვრობდა ქალაქის ტიპის დასახლებაში - 82.1% (n=367), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებაში - 17.9 % (n=80). გამოკითხულთა უმრავლესობას (59.1%, n=264) ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი ან სტუდენტის სტატუსი ბაკალვარის საფეხურზე. გამოკითხულთა უმრავლესობის (31,5%, n=141) აკადემიური მოსწრება (GPA) 3-სა და 4-ს შორის. გამოკითხულთა უმრავლესობა დასაქმებულია (n=284; 63.5%).

რესპოდენტთა უმრავლესობა 76.7% (n=343) მოიხმარს ალკოჰოლს. იმ გამოკითხულთა შორის, რომლებიც მოიხმარენ ალკოჰოლს მოხმარებელთა უმრავლესობისათვის (45%, n=201) ალკოჰოლის მოხმარება დამოკიდებულია შესაბამისი გარემო-პირობების არსებობაზე. რესპოდენტთა უმრავლესობა არ მოიხმარს თამბაქოს (59.4%, n=261).

**ცხრილი 1.** რესპოდენტთა ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

| | N (%) |
|---|---|
| სქესი:<br>კაცი<br>ქალი | 196 (43.8%)<br>251 (56.2%) |
| საცხოვრებელი ადგილი<br>ქალაქი<br>სოფელი | 367 (82.1%)<br>80 (17.9%) |
| განათლება<br>არ გააჩნია<br>არასრული საშუალო განათლება<br>საშუალო განათლება<br>ბაკალავრი<br>მაგისტრი<br>დოქტორი | 2 (0.4%)<br>6 (1.3%)<br>79 (17.7%)<br>264 (59.1%)<br>92 (20.6%)<br>4 (0.9%) |
| აკადემიური მოსწრება GPA<br>1-ზე ნაკლები<br>1-სა და 2-ს შორის<br>2-სა და 3-ს შორის<br>3-სა და 4-ს შორის<br>არ აქვს ინფორმაცია | 31 (6.9%)<br>41 (9.2%)<br>70 (15.6%)<br>164 (36.7%)<br>141 (31.5%) |
| **დასაქმება**<br>დასაქმებული<br>თვითდასაქმებული<br>დროებით უმუშევარი | 284 (63.5%)<br>47 (10.5%)<br>116 (26%) |
| **ალკოჰოლის მოხმარება**<br>არ მოიხმარს<br>მოიხმარს<br>მოხმარება დამოკიდებულია შესაბამისი გარემო-პირობების არსებობაზე<br>თვეში ერთხელ მოიხმარს<br>კვირაში ერთხელ მოიხმარს<br>კვირაში რამდენიმეჯერ<br>ყოველდღიურად | 23.3% (n=104)<br>76.7% (n=343)<br><br>45% (n=201)<br>17.9% (n=80)<br>8.1% (n=36)<br>4.9% (n=22)<br>0.9% (n=4) |
| **თამბაქოს მოხმარება**<br>არ მოიხმარს<br>მოიხმარს<br>მოხმარება დამოკიდებულია შესაბამისი გარემო-პირობების არსებობაზე | (59.4%, n=261)<br>32.2%, n=144)<br>(9.4%, n=42) |

რესპოდენტთა უმრავლესობა (89.9%, n=402) მიიჩნევს, რომ კანაბინოიდებს ნეგატიური ზეგავლენა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობამ (96.9%, n=433) დააფიქსირა რომ ჰალუცინოგენებისა და სტიმმულატორების მოხმარება ნეგატიურად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

შემდეგი კითხვა ეხებოდა კანაბინოიდების და ჰალუცინოგენებისა და სტიმმულატორების მოხმარების კუთხით რესოდენტთა ახლო გარემოცვაში არსებულ მდგომარეობას, კერძოდ მოიხმარდა თუ არა ოჯახის წევრი ან მეგობარი აღნიშნულ პროდუქტებს. გამოკითხულთა უმრავლესობამ (40.3%, n=180) დააფიქსირა რომ მა-

თი მეგობარი/მეგობრები მოიხმარენ კანაბინოიდების პროდუქტებს). გამოკითხულთა უმრავლესობა (40.5%, n=181) თვლის, რომ არც მეგობარი და არც ოჯახის წევრი არ მოიხმარენ ჰალუცინოგენებსა და სტიმულატორებს, ხოლო გამოკიხულთა 32.9% (n=147) აღნიშნავს რომ მათი მეგობარი მოიხმარას აღნიშნულ სუბსტანციებს.

კანაბინოიდების ჯანმრთელობაზე მოქმედების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო რესპოდენტთა უმრავლესობისათვის (32.7%, n=146) არის ინტერნეტი. ასევე, ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების ჯანმრთელობაზე მოქმედების შესახებ რესპოდენტების უმრავლესობისთვის ინფორმაციის ძირითადი წყაროა ინტერნეტის გამოყენებით მოპოვებული მასალები (30.4%, n=136).

447 გამოკითხულიდან 138-ს (30.9%) ჰქონდა კანაბინოიდების პროდუქტების მოხმარების პრაქტიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში. მოხმარების პრაქტიკა რამდენიმეჯერ ჰქონდა 8.7%-ს (n=39), მხოლოდ ერთხელ 4%-ს (n=18), კვირაში რამდენიმეჯერ 2.9% (n=13). რესპოდენტთა მხოლოდ 13.9% (n=62) ჰქონდა ჰალუცინოგენების და სტიმმულატორების მოხმარების პრაქტიკა ბოლო 2 წლის განმავლობაში; მოხმარების პრაქტიკა ჰქონდა რამდენიმეჯერ - 4.9%-ს (n=22), მხოლოდ ერთხელ 4.3%-ს (n=19).

კანაბინოიდების პროდუქტების მოხმარების გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა პირადი ინტერესი (46.4%, n=64), მეგობრები (31.2%, n=43), გართობის სურვილი (26.8%, n=37), და სოციალური გარემო (20.3%, n=28). ასევე, ჰალუცინოოგენებისა და სტიმულატორების მოხმარების გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა პირადი ინტერესი (43.5%, n=27), მეგობრები (32.3%, n=20), გართობის სურვილი (22.6%, n=14) და მოხმარების რომანტიზება (17.7%, n=11).

რაც შეეხება მოხმარებლის გამოცდილებას, რესპოდენტთა უმრავლესობა (47.1% n=65) მიიჩნევს რომ კანაბინოიდები მოქმედებენ მათ პროდუქტიულობაზე ნეგატიურად, ხოლო სოციალიზაციისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს 13.8% (n=19). ასევე, რესპოდენტთა უმრავლესობა (37.1%, n=23) თვლის, რომ ჰალუცინოგენების და სტიმულატორების მიღება პროდუქტიულობაზე ნეგატიურად მოქმედებს, ხოლო 21% (n=13) მიიჩნევს, რომ მიუღია არარაციონალური ან საზიანო გადაწყვეტილება. იგივე რაოდენობით რესპოდენტები თვლიან რომ მიუღიათ ფინანსური ზარალი ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მოხმარებს გამო (21%, n=13).

რესპოდენტთა უმრავლესობის (34.1%, n=47) აზრით, კანაბინოიდების პროდუქტების მოხმარება იწვევს კონცენტრაციის უნარის ნაკლებობას, შფოთვას (33.3%, n=46), დეპრესიას (25.4%, n=35), უძილობას (25.4%, n=35). რესპოდენტთა უმრავლესობა 50% (n=31) თვლის, რომ ჰალუცინიგენები იწვევს შფოთვას, უძილობას (43.5%, n=27), დეპრესიას (37.1%, n=23), სტრესს (37.1%, n=23).

იმ რესპოდენტთაგან, რომლებიც მოიხმარდნენ კანაბინოიდების პროდუქტებს მხოლოდ 29 %-ს (n=40) ჰქონია ზედოზირების ფაქტი, ხოლო 71%-ს (n=98) არასდროს ჰქონია ასეთი გამოცდილება. იმ რესპოდენტთაგან, რომლებიც მოიხმარდნენ ჰალუცინიგენებსა და სტიმულატორებს მხოლოდ 22.6% (n=14) ჰქონია ზედოზირების ფაქტი, ხოლო 77.4% (n=48) რესპოდენტს არასოდეს ჰქონია მსგავსი პრაქტიკა.

**ცხრილი 2.** კანაბინოიდების, ჰალუცინოგენების და სტიმმულატორების გავლენა ჯანმრთელობაზე, მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები

| | კანაბინოიდების მოხმარება<br>N (%) | ჰალუცინოგენების და სტიმმულატორების მოხმარება<br>N (%) |
|---|---|---|
| **ჯანმრთელობაზე ზეგავლენა**<br>ჯანმრთელობაზე მოქმედებს ნეგატიურად<br>ჯანმრთელობაზე ზეგავლენა არ აქვს | 89.9% (n=402)<br>10.1% (n=45) | 96.9% (n=433)<br>3.1% (n=14) |
| **მოხმარება რესპოდენტთა სოციალურ წრეში**<br>მოიხმარს ოჯახის წევრი<br>მოიხმარს მეგობარი<br>მოიხმარს ოჯახის წევრიც და მეგობარიც<br>არცერთი<br>არ მაქვს ინფორმაცია | 2.7% (n=12)<br>40.3% (n=180)<br>19.9% (n=89)<br>24.6% (n=110)<br>12.5% (n=56) | 1.8% (n=8)<br>32.9%(n=147)<br>5.4% (n=24)<br>40.5% (n=181)<br>19.5% (n=87) |
| **ძირითადი ინფორმაციის წყარო ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ**<br>ინტერნეტი<br>სამეცნიერო სტატიები<br>სოციალური ქსელები<br>მეგობრები<br>მშობლები<br>სატელევიზიო გადაცემები<br>არ გააჩნია სანდო ინფრომაცია | 32.7% (n=146)<br>26.2% (n=117)<br>13.4% (n=60)<br>11% (n=49)<br>2.2% (n=10)<br>3.8% (n=17)<br>10.7% (n=48) | 30.4% (n=136)<br>26.4% (n=118)<br>15.9% (n=71)<br>11.2% (n=50)<br>5.6% (n=25)<br>1.1% (n=5)<br>9.4% (n=42) |
| **მოხმარების სიხშირე ბოლო 2 წლის განმავლობაში**<br>არ ჰქონია პრაქტიკა<br>დამოკიდებულია შესაბამისი გარემო-პირობების არსებობაზე,<br>რამდენიმეჯერ<br>მხოლოდ ერთხელ<br>კვირაში რამდენიმეჯერ<br>თვეში ერთხელ<br>კვირაში ერთხელ<br>ყოველდღიურად | 69.1% (n=309)<br><br>8.5% (n=38)<br>8.7% ( n=39)<br>4% (n=18)<br>2.9% (n=13)<br>2.9% (n=13)<br>2% (n=9)<br>1.8% (n=8) | 86.1% (n=385)<br><br>2.5% (n=11)<br>4.9% (n=22)<br>4.3% (n=19)<br>0.7% (n=3)<br>0.7% (n=3)<br>0.2% (n=1)<br>0.7% (n=3) |
| **მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორი**<br>პირადი ინტერესი<br>მეგობრები<br>გართობის სურვილი<br>სოციალური გარემო<br>მოხმარების რომანტიზება<br>სტრესის დაძლევის სურვილი<br>ოჯახის წევრი<br>არცერთი | 46.4% (n=64)<br>31.2% (n=43)<br>26.8% (n=37)<br>20.3% (n=28)<br>13% (n=18)<br>11.6% (n=16)<br>1.4% (n=2)<br>8% (n=11) | 43.5% (n=27)<br>32.3% (n=20)<br>22.6% (n=14)<br>16,1% (n=10)<br>17.7% (n=11)<br>6.5% (n=4)<br>1.6% (n=1)<br>12.9% (n=8) |
| **მოხმარებასთან დაკავშირებული ფაქტები**<br>მოქმედებენ მათ პროდუქტიულობაზე ნეგატიურად,<br>ხელისშემშლელი ფაქტორია სოციალიზაციისთვის,<br>მიუღია არარაციონალური, საზიანო | 47.1% (n=65)<br>13.8% (n=19)<br>13% (n=18)<br><br>10.1% (n=14) | 37.1% (n=23)<br>9.7% (n=6)<br>21% (n=13)<br><br>6.5% (n=4) |

| | | |
|---|---|---|
| გადაწყვეტილება<br>უმართავთ სატრანსპორტო საშუალება<br>ზემოქმედების ქვეშ<br>მიუღიათ ფინანსური ზარალი მოხმარების გამო<br>მოხმარება დადებითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე,<br>ხელისშემწყობი ფაქტორია სოციალიზაციისთვის<br>არცერთი ჩამოთვლილთაგან<br>არ აქვს ზეგავლენა არცერთ ასპექტში | 12.3% (n=17)<br><br>2.9% (n=4)<br>3.6% (n=5)<br>19.6% (n=21)<br>21% (n=29) | 21% (n=13),<br><br>4,8% (n=3)<br>9.7% (n=6)<br>24,2% (n=15)<br>16.1% (n=10) |
| **მოხმარების ზეგავლენა რესპოდენტთა ჯანმრთელობაზე**<br>კონცენტრაციის უნარის ნაკლებობა<br>შფოთვა<br>დეპრესია<br>უძილობა<br>სტრესი<br>ჰალუცინაციები<br>არ ახდენენ გავლენას | 34.1% (n=47)<br>33.3% (n=46)<br>25.4% (n=35)<br>25.4% (n=35)<br>21% (n=29)<br>6.5% (n=9)<br>34.1% (n=47) | 32.3% (n=20)<br>50% (n=31)<br>37.1% (n=23)<br>43.5% (n=27)<br>37.1 % (n=23 )<br>22.6% (n=14)<br>21%-ის (n=13) |
| **მოხმარებისას ზედოზირების ფაქტები**<br>ჰქონია ზედოზირების ფაქტი<br>არ ჰქონია ზედოზირების ფაქტი | 29 % (n=40)<br>71% (n=98) | 22.6% (n=14)<br>77.4% (n=48) |

გამოკითხულთა ურავლესობა (70.4%, n=314 რესპოდენტი) აღნიშნავს რომ ზედოზირების ფაქტის შემთხვევაში დაუკავშირდებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, 9,9% (n=44 რესპოდენტი) თავის თავს თავად დაეხმარებოდა და მხოლოდ 11.2% (n=50 რესპოდენტი) სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მხოლოდ ჰალუცინიგენებისა და სტიმულატორების ზედოზირების შემთხვევაში დაუკავშირდებოდა. რაც შეეხება ლეგალიზაციის საკითხს, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (76.2%, n=339) არ უჭერს მხარს არცერთი ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზებას, 18% (n=80) მხარს უჭერს მხოლოდ კანაბინოიდების ტიპის ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზებას და 3.8% (n=17) მხარს უჭერს როგორც კანაბინოიდების ისე ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების ლეგალიზებას.

**ცხრილი 3.**

| | n (%) |
|---|---|
| **ზედოზირების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარებისადმი მიმართვა**<br>დაუკავშირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარებას<br>თავის თავს თავად დაეხმარება<br>ჰალუცინიგენებისა და სტიმულატორების ზედოზირების შემთხვევაში დაუკავშირდება<br>არ დაუკავშირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, რადგან ამას შესაძლოა მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა<br>კანაბინოიდების პროდუქტებით ზედოზირების შემთხვევაში დაუკავშირდება<br>სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება საჭირო არ არის, რადგან ზედოზირება ზემოაღნიშნული ნივთიერებებით არ არიან | 70.4% (n=314)<br>9,9% (n=44)<br><br>11.2% (n=50)<br><br>3.4% (n=15)<br><br>3,6% (n=16) |

| | |
|---|---|
| სიცოცხლისთვის საშიში | 1.6% (n=7) |
| **ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაცია**<br>არ უჭერს მხარს არცერთი ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზებას<br>მხარს უჭერს მხოლოდ კანაბინოიდების ტიპის ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზებას<br>მხარს უჭერს როგორც კანაბინოიდების ისე ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების ლეგალიზებას<br>ნებისმიერი ნარკოტიკული საშულების ლეგალიზებას ემხრობა<br>ეთანხმება მხოლოდ ჰალუცინიგენებისა და სტიმულატორების ლეგალიზებას | 76.2% (n=339)<br>18% (n=80)<br>3.8% (n=17)<br>1.3% (n=6)<br>0.7% (n=3) |

კვლევის კითხვების უშუალო შედეგების პარალელურად, საინტერესოა სხვადასხვა მიმართულებით მონაცემთა თანაფარდობა. მაგალითად სქესის, განათლების, სოციალური წრის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, დასაქმების სტატუსის, ალკოჰოლისა-თამბაქოს და ინფორმაციის წყაროსთან მიმართებაში მოხმარების სტატისტიკა. ქვემოთ განხილული იქნება თითოეული მათგანი.

ბოლო 2 წლის განმავლობაში 138 კანაბინოიდების პროდუქტების მომხმარებლიდან 71% (n=98) მამაკაცია და 29% (n=40) ქალი. ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების 62 მომხმარებლიდან 71% (n=44) მამაკაცია და 29% (n=18) ქალი.

კანაბინოიდების სუბსტანციების მომხმარებელთა 68% (n=94) ეკუთვნოდა 19-25 ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 32% (n=44) 25-29 ასაკობრივ ჯგუფს. ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მომხმარებელთა 63% (n=39) ეკუთვნოდა 19-25 ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 37 % (n=23) - 25-29 ასაკობრივ ჯუფს.

უმაღლესი განათლების მქონე პირები კანაბინოიდების მომხმარებელთა 83%-ს (n=114) წარმოადგენენ, ხოლო დარჩენილ 17%-ს (24 რესპოდენტი) საშუალო განათლების მქონე პირები. უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის კანაბინოიდებს მოიხმარს ბაკალავრების 32% (n=84), მაგისტრების 30% (n=28) და დოქტორების 50% (n=4). ჰალუცინგენების და სტიმულატორების მომხმარებელთა 85% (n=53) უმაღლესი განათლების მქონე პირები წარმოადგენენ, ხოლო დარჩენილ 15%-ს (n=11) საშუალო განათლების მქონე პირები.

აკადემიური მოსწრების მხრივ, კანაბინოიდების მომხმარებელთა უმეტესობა (30%; n=42) წარმოადგენენ რესპოდენტები, რომელთა GPA 2-სა და 3-ს შორისაა. ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მომხმარებელთა უმეტესობა (31%; n=19) ასევე წარმოადგენენ რესპოდენტები, რომელთა GPA 2-სა და 3-ს შორისაა.

სტუდენტის სტატუსის მქონე 229 რესპოდენტიდან 24% მოიხმარდა კანაბნოიდების პროდუქტებს ბოლო 2 წლის განმავლობაში. მათ შორის, ბაკალავრების 24% (n=43), მაგისტრების 25% (n=12) და არცერთი დოქტორანტი. რაც შეეხება ჰალუცინოგენებსა და სტიმულატორებს, მათი მომხმარებელია სტუდენტის სტატუსი მქონე 13% (n=29). მათ შორის, ბაკალავრების 12% (n=22) დოქტორანტების 25% (n=1) და მაგისტრანტების 13% (n=6). კანაბინოიდების მომხმარებლების 80% (n=111) დასაქმებული ან თვითდასაქმებულია. ჰალუცინოგენების და სტიმულატორების 77% (n=48) იყო დასაქმებული ან თვითდასაქმებული.

კანაბინოიდის მომხმარებლიდან 79% (n=109) ცხოვრობდა ქალაქში და 21% (n=29) სოფლად. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ქალაქის ტიპის დასახლებიდან იყო. კანაბინოიდების მომხმარებელი რესპოდენტებიდან 86 %-ის (n=119) შემთხვევაში ოჯახის წევრი, მეგობარი ან ორივე მოიხმარენ კანაბინოიდების პროდუქტებს. ამასთან, იმ რესპოდენტთა 39% (n=70), რომელთა მეგობარიც მოიხმარს კანაბინოიდებს, თავადაც მოიხმარს აღნიშნული ნივთიერებებს, ხოლო ოჯახის წევრის და მეგობრის შემთხვევაში 53% (n=47).

კანაბინოიდების მოხმარებელთა 76% (n=105) ამავდროულად იყო თამბაქოს რეგულარული ან გარემო პირობებზე დამოკიდებული მომხმარებელი. ასევე რეგულარული თამბაქოს მოხმარებლების 59% (n=82) მოიხმარდა კანაბინოიდებს. ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მოხმარებელთა 81% (n=50) ამავდროულად მოიხმარდა თამბაქოსაც. ასევე რეგულარული თამბაქოს მომხარებლების 27% (n=39) აღნიშნულ ნივთიერებებს.

კანაბინიდების მომხმარებელთა 91% (n=126) ამავდროულად მოიხმარდა ალკოჰოლს სხვადასხვა ინტენსიობით. თავად ალკოჰოლის მოხმმარებელთა 37% მოიხმარდა ამავდროულად კანაბინოიდებსაც. ჰალუცინოგენებისა და სტიმულატორების მომხმარებელთა 97% (n=60) ამავდროულად იყო ალკოჰოლის მოხმარებელიც სხვადასხვა ინტენსივობით. ალკოჰოლის მომხმარებელთა 17% იყო ჰალუცინიგენებისა და სტიმულატორების მომხმარებელიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელიც ეკონომიკას სჭირდება, არის საკვები. ის, როგორც ძრავისთვის საწვავი, ისეა ეკონომიკისთვის. საკვების მოთხოვნაზე გარკვეული ფაქტორები ახდენენ გავლენას. პირველ რიგში ცხადია ეს არის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული კვლევები საკმაოდ სანდოა, შესაბამისად სარწმუნოა ის ფაქტიც, რომ მომავალში საკვებზე მოთხოვნა გაიზრდება, რასაც ეკონომიკა მზად უნდა შეხვდეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში (The World Bank, 2021). მილიონობით ადამიანის გაზრდილი შემოსავლები, ზრდის საკვებზე მოთხოვნას და სოფლის მეურნეობის პროდუქტის მოხმარებას. სწორედ ამ ფაქტორებმა ჩაუყარა საფუძველი სოფლის მეურნეობაში მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეები ცდილობენ ახალი და ინოვაციური მიდგომების, განვითარებული ტექნიკის, სასუქის, პესტიციდების და სხვა ხელსაწყოების გამოყენებით, დააკმაყოფილონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა.

კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ სად იმყოფება საქართველო სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, რადგან ეკონომიკის ეს ნაწილი საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. სოფლის მეურნეობა არის დარგი, რომელზეც დასაქმებულთა თითქმის 20% და მთლიანი სამამულო პროდუქტის 8%-ზე მეტი მოდის (გველესიანი, და სხვ., 2022).

**მეთოდოლოგია**

სტატიაში განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის დასაქმება, მისი განვითარება 2010-2022 წლებში, სოფლის მეურნეობის გავლენა ეკონომიკაზე და მისი როლი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში. შედარებულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისა და სხვა სფეროებში დასაქმებული ადამიანების მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება. სწორი დასკვნების გასაკეთებლად, გამოირჩა სოფლის მეურნეობის ის პროდუქტები, რომელთა მწარმოებლურობა ყველაზე მაღალია. ამის დასადგენად დამუშავებულია 2006-2021 წლების მონაცემები, რათა დინამიკაში უკეთ გამოჩნდეს, რომელი პროდუქტის მწარმოებლურობა იზრდება ყველაზე მეტად. სტატისტიკური მონაცემების დიდი ნაწილი მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდიდან.

იმისთვის, რომ ვნახოთ რა სხვაობაა საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, მონაცემები შედარებულია მსოფლიოს საერთო მაჩვენებელთან. საერთაშორისო სტატისტიკაზე ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულია მსოფლიო ბანკის (World Bank) ოფიციალური ვებ გვერდი.

შეგროვებულია 2000-2020 წლების მონაცემები მსოფლიოს მასშტაბით კვლევებსა და გავნითარებაზე დახარჯულ თანხებსა და სოფლის მეურნეობაზე. შემდგომში ამ მონაცემებით განსაზღვრულია კორელაციური კავშირი მათ შორის და აგებულია რეგრესიული მოდელი.

საქართველოში დღეს არსებობს კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ. ამასთან მოქმედებს არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსების მქონე პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს მეწარმეებს საქმიანობის განხორციელებაში. სტატიაში ასევე საუბარია იმ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისას.

**ინოვაციები სოფლის მეურნეობაში - მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია**

თანამედროვე სოფლის მეურნეობა რადიკალურად განსხვავდება წარსულში არსებული მიდგომებისგან. მსოფლიო ეკონომიკის ზრდამ, გამოიწვია მოსახლეობის შემოსავლების და მოთხოვნის ზრდა. სწორედ ამიტომ, მეწარმეებს უწევდათ ახალი მიდგომების მოფიქრება, რათა გაეზარდათ პროდუქტიულობა და გამხდარიყვნენ მეტად კონკურენტუნარიანები. სოფლის მეურნეობაში დღეს არსებულ ძირითად ინოვაციურ მიდგომებს წარმოადგენს:

1) ზუსტი სოფლის მეურნეობა - მონაცემებზე დაყრდნობით წარმოების მართვა და მონიტორინგი;
2) ვერტიკალური მეურნეობა - მცენარის მოყვანა შენობაში საფეხურებად, ხელოვნური განათების პირობებში;
3) სოფლის მეურნეობის რობოტიზაცია - გულისხმობს დამხმარე მანქანების (რობოტი) მეშვეობით მცენარის დარგვას, მოვლას და მოსავლის აღებას;
4) სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგია - ბიოტექნოლოგიის საშუალებით ახალი ჯიშების გამოყვანა.

ზუსტი სოფლის მეურნეობა ითვალისწინებს მოსავლისა და პირუტყვის მონიტორინგს და მონაცემების შეგროვებას, შემდგომში ანალიზის გასაკეთებლად. ეს საშუალებას აძლევს მეწარმეს გაზარდოს პროდუქტიულობა და შეამციროს გარემოზე ზემოქმედება (Wigmore, 2023). მონაცემებს მეწარმეები სხვადასხვა

გზებით აგროვებენ. ისინი იყენებენ სატელიტურ ფოტოებს, რაც მოსავლის ჯანმრთელობის მონიტორინგში ეხმარებათ. ამასთან სპეციალური დრონებით ახდენენ საჰაერო მონიტორინგს, რითაც მუდმივად თვალყურს ადევნებენ ფერმას და მოსავლის ზრდას. სპეციალური სენსორების მეშვეობით ადგენენ ნიადაგის ტენიანობას და სარწყავ აპარატებს იყენებენ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. სენსორების საშუალებით ისინი დისტანციურად ადგენენ თუ კონკრეტულად რომელ უბანში სჭირდება მცენარეს სასუქი და პესტიციდები (Rajendra, Ram, & Sudhir, 2020).

ვერტიკალური ფერმები არის მცენარეების გაშენების პრაქტიკა ვერტიკალურად დაწყობილ ფენებში. რადგან იგი მოითხოვს ნაკლებ მიწას და წყალს, ვიდრე ტრადიციული მეურნეობა, მისი გამოყენება შესაძლებელია ურბანულ ტერიტორიებზეც. ვერტიკალური ფერმების განვითარება ადრეულ ეტაპზეა, თუმცა აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, რომ რადიკალურად შეცვალოს სოფლის მეურნეობა (Gerrewey, Boon, & Danny, 2021).

ფერმერებისთვის დამატებითი უპირატესობების მომტანია სოფლის მეურნეობაში რობოტიზაციის დანერგვა. კვლევები აჩვენებს, რომ რობოტების გამოყენებით შესაძლებელია მწარმოებლურობის ზრდა, ადამიანური რესურსის დაქირავებაზე არსებული ხარჯის შემცირება, უსაფრთხოების ზრდა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირება, მცენარეების ხარისხის ზრდა (Vougioukas, 2019). ზემოაღნიშნული ტექნოლოგიების განვითარება ხშირად ერთმანეთთან კავშირშია. სოფლის მეურნეობის რობოტიზაციას ხელს უწყობს სენსორების განვითარება. სენსორები რობოტებს აწვდიან მონაცემებს, რაც მათ საშუალებას აძლევთ მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები და შეასრულონ დავალებები. მაგალითისთვის რობოტი კომბაინი იყენებს სენსორს მწიფე ხილის იდენტიფიცირებისთვის (Fountas, et al., 2020).

ზემოთ ჩამოთვლილი ინოვაციების გარდა მნიშვნელოვანია, რომ ერთეული მცენარის ან ცხოველის მიერ მოცემული პროდქუტის ზრდაც მოვახდინოთ. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ შეეცვალათ მცენარის პროდუქტიულობა. მაგალითისთვის, 1866 წლიდან 1899 წლამდე აშშ-ში სიმინდის მოსავალი საშუალოდ 26 ბუშელს შეადგენდა ჰექტარზე. მოსავლიანობა 2016 წლიდან 2021 წლამდე, საშუალოდ შეადგენდა 174 ბუშელს ჰექტარზე, რაც ექვსჯერადი ზრდაა 1800-იანი წლებიდან (Schnitkey, Swanson, Paulson , Coppess, & Baltz, 2022).

სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგია არის სამეცნიერო ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენება მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმების გასაუმჯობესებლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის. იგი მოიცავს ტექნოლოგიების ფართო სპექტრს, როგორიცაა გენის რედაქტირება, მოლეკულური გამოყვანა და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგია გამოიყენება კულტურების ახალი ჯიშებისა და მეცხოველეობის ჯიშების შესაქმნელად, რომლებიც უფრო მდგრადია მავნებლებისა და დაავადებების მიმართ, აწარმოებენ მაღალ მოსავალს და აქვთ გაუმჯობესებული კვების ღირებულება.

## სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა და პროგრამები საქართველოში

სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის განვითარებისთვის, სახელმწიფო უწყებების მოვალეობაა, ხელი შეუწყონ არსებული ან ახალი საწარმოების განვითარებას

და მათში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვას. საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება ამ მიმართულებით.

2013-2019 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფომ 1,5 მილიარდი ლარი დახარჯა (ერქომაიშვილი, 2020).

იმ შემთხვევაში თუ ბიზნეს ოპერატორს სურს შექმნას ახალი საწარმო, ან მოახდინოს არსებული საწარმოს გადაიარაღება და განვითარება, შეუძლია მიმართოს სოფლის განვითარების სააგენტოს, აღნიშნულის დასაფინანსებლად. 2022-23 წლებში 91 ბიზნეს სუბიექტი დაფინანსდა და დაფინანსების ჯამურმა ღირებულებამ 20 მილიონი ლარი შეადგინა (საქართველოს მთავრობა, 2023).

გარდა ამისა მოქმედებს შეღავათიანი აგროკრედიტის სისტემაც. 2014 წლიდან ძალაში შევიდა განკარგულება, რომლის მიზანია ფიზიკური და იურიდიული პირებითვის, იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით აგრარული საქმიანობის ხელშეწყობა. პროგრამაში ჩართულია საქართველოში მოქმედი ყველა მსხვილი ბანკი, რომელთა მიერ გაცემულ აგროკრედიტებზე სახელმწიფოს მხრიდან ხდება პროცენტის სუბსიდირება (საქართველოს მთავრობა, 2014).

სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში ჩართულ სუბიექტებს, პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის, სახელმწიფო სთავაზობს:

- საკონსულტაციო მომსახურებას და ტრენინგებს;
- პროდუქციის ბრენდირებს და შეფუთვებს;
- სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვას;
- ცხოველური წარმოშობის სურსათის მწარმოებელი ან/და გადამამუშავებელი ბიზნეს ოპერატორის აღიარების მინიჭებას; (საქართველოს მთავრობა, 2020)

გარდა ზემოაღნიშნული პროექტებისა, მთავრობის მიერ ხდება სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგების მხარდაჭერა. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 5 მილიონი ლარი გამოიყო არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის (საქართველოს მთავრობა, 2023). 2022-23 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამისთვის 20 მილიონ ლარზე მეტი.

წარმოებაში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური დანადგარების გამოყენება ამცირებს ადამიანური რესურსის საჭიროებას და ზრდის მწარმოებლურობას. გარდა იმისა, რომ მეწარმეს შეუძლია ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში მიიღოს დაფინანსება ტექნიკის შესაძენად, დამატებით მოქმედებს მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა. აღნიშნული პროგრამით 2019-23 წლებში 200-ზე მეტმა ბიზნეს სუბიექტმა ისარგებლა და თანადაფინანსების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 18 მილიონ ლარზე მეტი (საქართველოს მთავრობა, 2019).

საქართველოში, მისი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ხშირია სტიქიები, როგორიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვები. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მეწარმეს თავიდანვე ჰქონდეს აღნიშნული რისკი გათვალისწინებული და დააზღვიოს საკუთარი მოსავალი. რადგან აღნიშნული საკითხი დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული, სახელმწიფო 2020 წლიდან 70%-იანი თანადაფინანსებით მონაწილეობს, პროგრამით გათვალისწინებული კულტურების დაზღვევისას (საქართველოს მთავრობა, 2020).

## კვლევითი ნაწილი

საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი მოდის სოფლის მეურნეობაზე (სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობა). აღნიშნული მაჩვენებელი 2017-2020 წლის მონაცემებით 20%-ზე მეტს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023). სფეროში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის (თურქეთი 18%, ალბანეთი 36%, სომხეთი 24%) რომელთა რიგს დღეს საქართველოც მიეკუთვნება. მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაბალია (ნიდერლანდები 2%, აშშ 1%, გაერთიანებული სამეფო 1%) (The World Bank, 2021). იმისთვის რომ უკეთ შევაფასოთ საქართველოში არსებული ვითარება სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანია ვნახოთ მისი წილი ეკონომიკაში. 2010 წელს სოფლის მეურნეობის მიერ შექმნილი პროდუქტი შეადგენდა დაახლოებით 1.8 მილიარდ ლარს. მომდევნო შვიდ წელიწადში აღნიშნული მაჩვენებელი 28%-ით გაიზარდა და 2017 წელს 2.5 მილიარდი ლარი შეადგინა. 2010-2017 წლის მონაცემებისგან განსხვავებით, 2017-2022 წლებში სოფლის მეურნეობის მიერ შექმნილი პროდუქტი დაახლოებით 60%-ით გაიზარდა და 4,3 მილიარდს გადააჭარბა, რაც იმას ნიშნავს რომ სოფლის მეურნეობის სექტორი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. ნახ. 1).

***ნახაზი 1*** *- სოფლის მეურნეობის გამოშვება საქართველოში (მლნ. ლარი)*




***წყარო:*** *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური* (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

ამასთან მნიშვნელოვანია რამდენად არის ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებული აღნიშნულ სფეროზე. 2010 წელს მთლიან სამამულო პროდუქტში (მსპ) სოფლის მეურნეობის წილი 8,4%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 2022 წლის ჩათვლით თითქმის იგივე დიაპაზონში იყო. დღევანდელი მონაცემებით 2022 წლის მსპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 6%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის კლება გამოწვეულია იმით, რომ 2010-დან 2022 წლის ჩათვლის მსპ უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე სოფლის მეურნეობა (იხ. ნახ. 2).

***ნახაზი 2** - სოფლის მეურნეობის წილი მსპ-ში. 2010-2022 წლები*




***წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური* (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

მსოფლიოში 2000-2021 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მსპ-ში 3.3%-დან 4.4%-მდე მერყეობს. განვითარებულ ქვენებში ეს მაჩვენებელი დაბალია (აშშ 1%; გაერთიანებული სამეფო 0.7%; საფრანგეთი 1.6%), ხოლო განვითარებად (სომხეთი 11.3%; უკრაინა 10.6%; ალბანეთი 17.7%) და განუვითარებელ (ბურუნდი 29%; გვინეა 26%;) ქვეყნებში გაცილებით მაღალი (The World Bank, 2023). ცხადია ეს მონაცემები არ ნიშნავს იმას, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა არ არის განვითარებული და სხვა დანარჩენში პირიქით. იმისთვის, რომ ვნახოთ განვითარების რა საფეხურზეა სოფლის მეურნეობა ამა თუ იმ ქვეყანაში, მნიშვნელოვანია ვნახოთ თუ რა რაოდენობით პროდუქტს ქმნიან წლის განმავლობაში, სფეროში დასაქმებული ადამიანები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განვითარებულ ქვეყნებში, დასაქმებული ადამიანების საკმაოდ მცირე ნაწილი მოდის სოფლის მეურნეობაზე, მაშინ როცა განვითარებად და განუვითარებელ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მაღალია.

თუ საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ, ვნახავთ რომ 2017 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანის მიერ შექმნილი საქონლის/მომსახურების ღირებულება დაახლოებით 8800 ლარიდან თითქმის 14500 ლარამდე გაიზარდა. ცხადია ზრდა საგრძნობია, მაგრამ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, ის თუ რა ხდება სხვა მსხვილ დამსაქმებელ სფეროებში. ნახაზი 3-ზე ნათლად ჩანს, რომ მშენებლობაში დასაქმებულის მიერ შექმნილი ღირებულება წლის განმავლობაში, საშუალოდ 4-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის სფეროს, ვაჭრობა საშუალოდ 2.5-3-ზე მეტჯერ, ხოლო მეცნიერება და ტექნოლოგიები 5-ზე მეტჯერ (იხ. ნახ. 3).

***ნახაზი 3*** *- საქართველოში სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანების მიერ ერთი წლის განმავლობაში შექმნილი საქონელი/მომსახურება (გამოხატულია ლარებში)*




***წყარო:*** *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (შედეგი მიღებულია მშპ-ს და დასაქმება/უმუშევრობის სტატისტიკის გამოყენებით)* (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე კიდევ ერთი ინდიკატორით შეიძლება ვიმსჯელოთ. ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის თქმა, რომ ბოლო 13 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობა საქართველოში განვითარდა, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რომელი საქონლის მწარმოებლურობა გაიზარდა ყველაზე მეტად. ეს მოგცემს საშუალებას, ვნახოთ თუ რომელი პროდუქტია საქართველოსთვის სხვებთან შედარებით უპირატესობის მქონე. ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობის ანალიზი გვაჩვენებს, რომ მწარმოებლურობა გაზრდილია. ზოგიერთი პროდუქტის შემთხვევაში 2021 წელს მწარმოებლურობა 2006 წელთან შედარებით 100%-ზე მეტად არის გაზრდილი: ხორბალი - 125%; ბაღჩეული - 133%. სხვა პროდუქტების წარმოებაშიც გვაქვს ზრდა, თუმცა ეს მაჩვენებელი 100%-ს არ აღემატება: ქერი - 75%; სიმინდი - 66%; ლობიო - 40%; მზესუმზირა - 16%; კარტოფილი - 93%; ბოსტნეული - 56% (იხ. ნახ. 4).

***ნახაზი 4*** *- საქართველოში სოფლის მეურნოების სხვადასხვა დარგის მწარმოებლურობა 1 ჰ-ზე (შენიშვნა: კარტოფილის, ბოსტნეულის და ბაჩეულის მონაცემი მოცემულია 1000 მ²-ზე)*




***წყარო:*** *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური* (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

იმისთვის რომ დავინახოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური სურათი დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, აუცილებელია ზემოთ მოცემული შედეგები შევადაროთ მსოფლიოში არსებულ საშუალო შედეგებს.

- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში ხორბლის მწარმოებლურობა 140%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 29.5%-მდე შემცირდა.
- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში ქერის მწარმოებლურობა 112%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 37.6%-მდე შემცირდა.
- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში სიმინდის მწარმოებლურობა 165%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 96%-მდე შემცირდა.
- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში ლობიოს მწარმოებლურობა 50%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 10%-მდე შემცირდა.
- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში მზესუმზირის მწარმოებლურობა 118%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 180%-მდე გაიზარდა.
- 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოში ლობიოს მწარმოებლურობა 133%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. ეს რიცხვი 2021 წლისთვის 46%-მდე შემცირდა. (იხ. ნახ. 5)

***ნახაზი 5*** *- მსოფლიოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მწარმოებლურობა 1 ჰექტარზე (შენიშვნა: კარტოფილის მონაცემი მოცემულია 1000 მ²-ზე)*




***წყარო:*** *Our World in Data* (Our World in Data, 2023 )

მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში ზრდა ხილის (ყურძნის და ციტრუსის გარდა) (ზრდა 2014-დან 2021 წლამდე 11%) და ყურძნის (ზრდა 2014-დან 2021 წლამდე 57%) შემთხვევაში ფიქსირდება. ციტრუსის შემთხვევაში კლება 12%-ს შეადგენს (იხ. ცხრ. 1).

***ცხრილი 1** - საქართველოში სოფლის მეურნეობის მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (ათასი ტონა)*

| პროდუქტი | წელი | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხილი (ყურძნის და ციტრუსის გარდა | | 210 | 144,3 | 186,4 | 114,1 | 188,2 | 144,4 | 228,6 | 233,3 |
| ყურძენი | | 172,6 | 214,5 | 159,2 | 180,8 | 259,9 | 293,8 | 316,9 | 271,6 |
| ციტრუსი | | 69,8 | 77,6 | 65,5 | 58,2 | 66,3 | 64 | 56,8 | 61,6 |

***წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური* (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023)

ინოვაციების დანერგვას პირდაპირ კავშირშია კვლევებსა და განვითარებებზე დახარჯული თანხები (Research and development (R&D)). ეკონომიკის ზრდასთან ერთად ქვეყნები ზრდიან თანხების აკუმულირებას ამ მიმართულებით. იმისთვის, რომ ვნახოთ რა გავლენას ახდენს R&D-ზე დახარჯული თანხები სოფლის მეურნეობაზე, საჭიროა მთ შორის კორელაციური კავშირის შემოწმება. პირველ რიგში შეგროვდა მონაცემები მსოფლიოს მასშტაბით R&D-ზე დახარჯულ სახსრებთან დაკავშირებით (The World Bank, 2023). ამასთან შეგროვდა მონაცემები მსოფლიოში სოფლის მეურნეობის სექტორის ჯამურ გამოშვებასთან დაკავშირებით (Our World In Data, 2023).

***ცხრილი N2** - R&D-ს ხარჯი და სოფლის მეურნეობის გამოშვება (მსოფლიო)*

| წელი | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| R&D-ს წილი მსოფლიოს მშპ-ში (%) | 2.05 | 2.07 | 2.04 | 2.03 | 1.98 | 1.96 | 1.97 | 1.94 | 1.99 | 2.03 | 2.01 |
| სოფლის მეურნეობის გამოშვება ტრილიონი დოლარი (მსოფლიო) | 1.31 | 1.28 | 1.31 | 1.52 | 1.78 | 1.89 | 2.74 | 2.52 | 2.98 | 2.75 | 3.19 |

| წელი | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| R&D-ს წილი მსოფლიოს მშპ-ში (%) | 2 | 2.03 | 1.99 | 2.07 | 2.1 | 2.14 | 2.13 | 2.2 | 2.33 | 2.63 |
| სოფლის მეურნეობის გამოშვება ტრილიონი დოლარი (მსოფლიო) | 3.89 | 3.92 | 4.2 | 3.5 | 3.65 | 3.62 | 3.74 | 4.15 | 4.23 | 4.45 |

ცხრილი N2-ში მოცემული მონაცემების მიხედვით დათვლილია კორელაცია ორ მონაცემს შორის R&D-ს წილს მსოფლიოს მსპ-ში (%) და სოფლის მეურნეობის გამოშვებას შორის. კორელაცია შეადგენს 0.493944026-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორ მონაცემს შორის დადებითი კორელაციური კავშირია, თუმცა ეს კავშირი არ არის ძალიან მაღალი. ცხადია სოფლის მეურნეობის წარმოებაზე გარდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციებისა, გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები როგო-

რიცაა საკვებზე მოთხოვნა, ამინდის ცვალებადობა და სხვ. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით აგებულია რეგრესიული მოდელი:




*ფორმულა N1* $\boldsymbol{F(x) = 3.464x - 4.2249 \quad R^2 = 0.244}$

რეგრესიის მოდელი, F(x) = 3.464x - 4.2249, აკავშირებს ზემოაღნიშნულ ორ მონაცემს. მოდელის $R^2$ მნიშვნელობა 0.244 მიუთითებს, რომ R&D-ზე დახარული თანხის ცვალებადობის დაახლოებით 24.4% შეიძლება აიხსნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი გვთავაზობს ზომიერი რაოდენობის ახსნას, ამ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სხვა ფაქტორები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

**დასკვნები და რეკომენდაციები:**

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯულ სახსრებსა და სოფლის მეურნეობის გამოშვებას შორის არსებობს დადებითი კორელაციური კავშირი, რაც კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯული თანხების მნიშვნელობაზე მეტყველებს;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2006 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ზრდის ტემპით ხასიათდება, როგორც ინდივიდუალური პროდუქტის ისე მთლიანი პროდუქტის ღირებულებით. ამის მიზეზი სხვა გარე ფაქტორებთან ერთად არის ის პროგრამები, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება;
3. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების მიერ შექმნილი პროდუქტისა და მომსახურების ღირებულება, გაცილებით ნაკლებია ვიდრე სხვა სფეროებში დასაქმებულების. ამასთან განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროცენტული რაოდენობა;
4. მსოფლიოს საშუალო მონაცემებთან შედარებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, ნაკლებ პროდუქტიულობით გამოირჩევიან, თუმცა აღნიშნული სხვაობის კლება თვალსაჩინოა 2006-2021 წლის მონაცემების ანალიზისას.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

4. მნიშვნელოვანია არსებულ პროგრამებთან ერთად, ახალი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ინოვაციურ

განვითარებას. ეს საბოლოო ჯამში გამოიწვევს მწარმოებლურობის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას ბაზარზე;

5. აუცილებელია მოხდეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეების ინფორმირება იმ ინოვაციურ მიდგომებსა და მეთოდებზე, რომლებიც დღეს მსოფლიოში აქტიურად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში;
6. აქცენტის გაკეთება სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებზე, რომლებიც სხვა პროდუქტებთან შედარებით მაღალი მწარმოებლურობით და ზრდის ტემპებით ხასიათდება.

**ლიტერატურა**


1. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი., ერქომაიშვილი, გ., ლეკაშვილი, ე., ხურცია, ლ., & გაფრინდაშვილი, გ. (2022). *ეკონომიკური პოლიტიკა - წიგნი 2.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ერქომაიშვილი, გ. (2020, November 6). აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგები. *CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS, 5th International Scientific Conferenc*, pp. 170-174.
3. საქართველოს მთავრობა. (2014, იანვარი 27). *შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა.* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2237341?publication=0
4. საქართველოს მთავრობა. (2019, მარტი 15). *მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა.* Retrieved from სოფლის განვითარების სააგენტო: https://rda.gov.ge/programs/harvesting-agricultural-machinery/a8b00775-f198-4f98-9e0b-d3fbe48c7ad1
5. საქართველოს მთავრობა. (2020, აპრილი 10). *აგროდაზღვევა.* Retrieved from სოფლის განვითარების სააგენტო: https://rda.gov.ge/programs/631456-agrodazghveva/bb82cb1c-d772-4d56-8ee4-01a57905cff4
6. საქართველოს მთავრობა. (2020, აპრილი 24). *ტექნიკური დახმარების პროგრამა.* Retrieved from სოფლის განვითარების სააგენტო: https://rda.gov.ge/programs/technical-assistance/f0b5dbd5-29c2-4145-bb8c-e0e2c1818ca5
7. საქართველოს მთავრობა. (2023, აგვისტო 7). *არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა.* Retrieved from სოფლის განვითარების სააგენტო: https://rda.gov.ge/api/media/blob/7b331c70-98ec-4dbb-2294-08db989fcb70/
8. საქართველოს მთავრობა. (2023, დეკემბერი 27). *საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა.* Retrieved from სოფლის განვითარების სააგენტო: https://rda.gov.ge/programs/684083-sapilote-regionebis-integrirebuli-ganvitarebis-programa/f8ad20d2-86ba-4d85-bc17-51ecd8edd81f
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023, March 28). *დასაქმება და უმუშევრობა.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023, March 28). *სოფლის მეურნეობა.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba
11. E. Kharaishvili, G.Erkomaishvili, M. Chavleishvili (2019) Trends of Agri-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:13, No:1, Istanbul, Turkey
12. Erkomaishvili G., (2021) Agrarian policy in Georgia in the conditions of contemprorary challenges. The 6 th International Conference Actual Economic and social Problems in modern Globalization. Tbilisi, July 17
13. Fountas, S., Mylonas, N., Malounas, I., Rodias , E., Santos , C. H., & Pekkeriet, E. (2020, May 7). Agricultural Robotics for Field Operations. *Sensors*.
14. Gerrewey, T. V., Boon, N., & Danny, G. (2021, December 21). Vertical Farming: The Only Way Is Up? *Agronomy 2022*.
15. Hofstrand, D. (2014). *Can We Meet the World's Growing Demand for Food?* Ames: AG MRC (Agricultural Marketing Resource Center).
16. Our World in Data. (2023 , November 27). *Crop Yields*. Retrieved from Our World in Data: https://ourworldindata.org/crop-yields
17. Our World In Data. (2023, May 28). *Value of agricultural production, 1991 to 2021.* Retrieved from Our World In Data: https://ourworldindata.org/grapher/value-of-agricultural-production?tab=chart&country=~OWID_WRL
18. Rajendra, P. S., Ram, L. R., & Sudhir, K. S. (2020, 24 September). Applications of Remote Sensing in Precision Agriculture: A Review. *Remote Sensing*.
19. Roser, M., Ortiz-Ospina, E., & Ritchie, H. (2019, October). *Life Expectancy.* Retrieved from Our World In Data: https://ourworldindata.org/life-expectancy
20. Schnitkey, G., Swanson, K., Paulson , N., Coppess, J., & Baltz, J. (2022). *Weekly Farm Economics: Perspectives on National U.S. Corn Yields.* Urbana-Champaign: Farmdoc Daily.
21. The World Bank. (2021, Januari). *Employment in agriculture (% of total employment) (modeled ILO estimate).* Retrieved from The World Bank: https://data.worldbank.org/indicator/SL.AGR.EMPL.ZS?name_desc=false
22. The World Bank. (2021). *GDP per capita (current US$).* Retrieved from The World Bank: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD
23. The World Bank. (2023, March 23). *Agriculture, forestry, and fishing, value added (% of GDP).* Retrieved from The World Bank: https://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS
24. The World Bank. (2023, May 29). *Research and development expenditure (% of GDP).* Retrieved from The World Bank: https://data.worldbank.org/indicator/GB.XPD.RSDV.GD.ZS?end=2021&name_desc=false&start=2000
25. United Nations - Department of Economic and Social Affairs . (2017). *World Population Prospects The 2017 Revision.* New York: United Nation.
26. Vougioukas, S. G. (2019, December 19). Agricultural Robotics. *Annual Review of Control, Robotics, and,* pp. 365-392.
27. Wigmore, I. (2023, September 03). Watls.com. Retrieved from Precision Agriculture: https://www.techtarget.com/whatis/definition/precision-agriculture-precision-farming#:~:text=Precision%20agriculture%20(PA)%20is%20a,specific%20crop%20management%20(SSCM).

*თეონა მაკალათია*
*თსუ დოქტორანტი*

# გლობალური პანდემიების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე

***ანოტაცია.*** *გლობალური დათბობის პირობებში მსოფლიო მასიურ ინფექციურ აფეთქებებს ელის. COVID-19 (ახალი კორონავირუსის) პანდემია ამის მაგალითი იყო. კომპანიებისთვის, მსოფლიო მასშტაბით, ინდუსტრიების ფართო სპექტრში წარმოადგენდა უპრეცედენტო ფინანსურ და ოპერაციულ გამოწვევას. პანდემიების გავლენის სრული მოცულობის განსაზღვრა ბიზნესებსა და გლობალურ ეკონომიკაზე რთულია, თუმცა შედარებები უკვე გაკეთებულია 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისთან. ამ ყველაფრის ფონზე, მრავალი კომპანია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში გაურკვეველი გამოწვევის წინაშე დადგა, გარემოებები კვლავ ვითარდება და იცვლება. ეს ყველაფერი წარმოადგენს რეალურ საფრთხეებს და პრაქტიკულ სირთულეებს, უშუალოდ ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და აუდიტის ჩატარებისთვის.*
***საკვანძო სიტყვები:*** *ბუღალტერია, აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, COVID-19, პანდემია, მიმდინარე შეშფოთება, აუდიტის რისკი, ფინანსური ანგარიშგება.*

**შესავალი**

როგორც ცნობილია, გლობალური დათბობის პირობებში, მასიურ ინფექციურ აფეთქებებს უნდა ველოდეთ. COVID-19 (ახალი კორონავირუსის) პანდემია კომპანიებისთვის, მსოფლიო მასშტაბით, ინდუსტრიების ფართო სპექტრში წარმოადგენდა უპრეცედენტო ფინანსურ და ოპერაციულ გამოწვევას. პანდემიის გავლენის სრული მოცულობა განსაზღვრა ბიზნესებსა და გლობალურ ეკონომიკაზე რთულია, თუმცა შედარებები უკვე გაკეთებულია 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისთან.

ამ ფონზე, მრავალი კომპანია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში გაურკვეველი პერსპექტივის წინაშე დადგა, გარემოებები კვლავ ვითარდება და იცვლება. ეს, თავის მხრივ, წარმოადგენს რეალურ საფრთხეებს და პრაქტიკულ სირთულეებს, უშუალოდ ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და აუდიტის ჩატარებისთვის.

**აუდიტის ზედამხედველობა: საქართველო და მსოფლიო**

დიდი ბრიტანეთის ფინანსური ანგარიშგების საბჭომ (FRC), საქათველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (SARAS), შეერთებული შტატების აღრიცხვის ზედამხედველმა ორგანომ (PCAOB) გამოაქვეყნეს სახელმძღვანელო COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოშობილ აუდიტის საკითხებზე. ამ სახელმძღვანელოდან ნათელი გახდა, რომ პანდემიის შედეგად წარმოქმნილი დაბნეულობისა და გაურკვევლობის პირობებში, აუდიტორებს არ უნდა ქონოდათ რაიმე გადაცდომის პატიების იმედი. მართლაც, FRC– მ ცალსახად განაცხადა, რომ „აუდიტორებმა უნდა გააგრძელონ საჭირო სტანდარტების სრული დაცვა". ეს ნიშნავს, სირთულეებისა და გამოწვევების შედეგად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აუდიტორებმა გადადგან პროაქტიული ნაბიჯები ყველა საჭირო აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად, რათა არ იყოს კომ-

პრომეტირებული აუდიტის პროცედურების ჩატარების შესაძლებლობები. ამისათვის პრაქტიკული და აუცილებელია წარმოშობილი რისკების სათანადო მართვა.

**აუდიტის პრაქტიკული სირთულეები პანდემიის ფონზე**

აუდიტორებს შეექმნათ **ყოველდღიური სამუშაო პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობა.** მაგალითად, სამოგზაურო შეზღუდვები და სოციალური დისტანცია ნიშნავს, რომ პირისპირ შეხვედრები კომპანიის დირექტორებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, კლიენტ პერსონალთან და კოლეგებთან აღარ იყო შესაძლებელი. კომპანიაში ფიზიკური მისვლა ასევე შეზღუდული ან შეუძლებელი აღმოჩნდა. ტექნოლოგიის, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტაციის მართვისა და მიმოხილვის პლატფორმებისა და დისტანციური სამუშაო ხელსაწყოთა მიმართ დამოკიდებულება, გარდაუვალი გახდა.

აუდიტორებს დასჭირდათ მჭიდრო თანამშრომლობა კომპანიის დირექტორებთან, რათა უზრუნველეყოთ ყველა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შეგროვება. აუდიტორმა ზედმიწევნით დეტალურად უნდა უზრუნველყოს აუდიტის დოკუმენტაცია, მოთხოვნილი ინფორმაციის ზუსტი დადოკუმენტირება. გაურკვეველი ეკონომიკური მომავლის გათვალისწინებით, აუდიტის ზედმიწევნით დადოკუმენტირება ესეთ დროს უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ოდესმე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ძალიან დეტალური შესწავლა და მისი ზუსტი დადოკუმენტირება. ამ მხრივ მნიშვნელობანია კომპანიის მენეჯმენტთან მჭიდრო ურთიერთობით, მიმდინარე გაურკვეველი ვითარებიდან, როგორც პანდემია და მისი შედეგები განაგრძობს განვითარებას.

თუ აუდიტორს მეტი დრო სჭირდება აუდიტის სამუშაოს დასასრულებლად, ვიდრე ეს ჩვეულებრივ შემთხვევაში ხდებოდა, ეს კომპანიას უნდა გაუცხადდეს რაც შეიძლება მალე. FRC- ის და SARAS-ის სახელმძღვანელო მითითებით კონკრეტულად ითვალისწინებს, რომ "შესაძლებელია დამატებითი დრო დასჭირდეს აუდიტის დასრულებას, თუნდაც კომპანიის მიერ ანგარიშგების შეფერხების რისკის გათვალისწინებით". საჭიროა აუდიტორების კომპანიის თანამშრომლებთან მჭიდრო და პროაქტიული თანამშრომლობა, რათა უზრუნველყონ აუდიტის პროცესების დასრულება სათანადოდ.

იმის გამო, რომ პირველლადი დოკუმენტაცია, მასალის შეგროვება და განხილვა უფრო რთული ხდება დისტანციურად მომუშავე აუდიტორებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის სამუშაო დოკუმენტები და შესაბამისი ელექტრონული კორესპონდენციები შენახულ იქნას საგულდაგულოდ, რათა აკმაყოფილებდეს აუდიტს სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ დავა წარმოიშობა, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ასეთ დოკუმენტაცია იყოს მარტივად სანახავი, შეაგროვდეს და გადაიხედოს. აუდიტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ პირადი ელ.ფოსტის გამოყენება ბიზნეს მიზნებისთვის დაუშვებელია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (SARAS) გამოსცა გლობალურ პანდემიასთან, კონკრეტულად კი კოვიდ 19-თან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებები, სადაც განმარტებულია ის საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც, შეიძლება სირთულებბის წინაშე აღმოჩნდნენ გლობალური პანდემიების წარმოშობის შედეგად აუდიტორული ფირმები და აუდიტორები.

**აუდიტის პროცესზე პანდემიის გავლენა**

გლობალური პანდემიით გამოწვეული გარემოებების შედეგად საჭირო გახდა აუდიტის ძირითადი საკითხების შეფასება და თვიდან გადააზრება. ამ გადააზების ფაზა არის აუდიტის გარიგების წერილის ხელმოწერიდან აუდიტის დასკვნის გაცემამდე. ამის ფონზე, შეიძლება საჭირო გახდეს კომპანიის მენეჯმენტის მიერ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება. დიდი მსჯელობის საგანი გახდა, თუ როგორ შეძლებს აუდიტორი საკმარისი და შესაფერისი აუდიტორულ მტკიცებულებების მოპოვებას, მაშინ როცა ხვდება, რომ შესაძლოა საჭირო იყოს აუდიტისათვის უვე დაგეგმილი მიდგომების ცვლილება და ალტერნატიული პროცედურების დაგეგმვა.

აუცილებელი გახდა აუდიტორის მიერ რისკის შეფასებისა და რისკის გადასინჯვის აუცილებლობაზე მსჯელობა. ასევე განხილვა იმისა, თუ რამდენად აფასებს აუდიტის სუბიექტის მენეჯმენტი გლობალური პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გავლენას ბიზნესზე. დისტანციური სამუშაო რეჟიმი, რა პერიოდით შეძლებს აუტიტის ქვეშ მყოფი კომპანია არსებული სახსრებითა და აქტივებით ფუნქციონირებადობას. აუდიტორის მიერ მეტი ძალისხმევაა ჩასადები ფუნქციონირებადი საწარმოს პერსპექტივის შესაფასებლად.

როდესაც გლობალური პანდემის გავლენა აუდიტის პროცესზე და კომპანიაზე არსებითია აუდიტორმა აუდიტორულ დასკვნაში უნდა წარმოადგინოს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე, როგორც ძირითადი აუდიტის საკითხის.[8]

**პანდემიასთან დაკავშირებული საყურადღებო არღიცხვა-ანგარიშგების საკითხები**

ორგანიზაციებისთვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, განიხილონ ეპიდემიის გავლენა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე. ეს გავლენა დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მათით:

**არის თუ არა მაკორექტირებელი მოვლენა** - კორონავირუსის გავრცელება არამაკორექტირებელი მოვლენა იყო. თუმცა ზოგადად საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენების შედეგად შეიძლება მოპოვებადი გახდეს სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია პერიოდის განმავლობაში არსებული განუსაზღვრელობების შესახებ. (PCAOB-მ და SARAS-მა არაერთი განცხადება გამოაქვეყნეს ამის თაობაზე).

**ახსნა განმარტებითი შენიშვნები** - მიუხედავად იმისა რომ არამაკორექტირებელი მოვლენაა, თუ მისი გავლენა მნიშვნელოვანია უნდა იყოს ყზრუნველყოფილი მისი გამჭირვალეთ და სრულად ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

**ასევე შემდეგი აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხები:**

- არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გუდვილის ჩათვლით);
- მარაგების შეფასება;
- ფინანსური აქტივებისგან გამოწვეული მოსალოდნელი გაუფასურების ზარალი;
- სამართლიანი ღირებულება;
- რესტრუქტურიზაციები;
- სესხის შეთანხმებები (კოვენანტების) დარღვევა (მათ შორის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე გავლენა, მიმდინარე და გრძელვადიანი);

[8] www.saras.gov.ge

- ლიკვიდურობის რისკის მართვა;
- ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ;
- ჰეჯირებები;
- სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესის შეფერხებებთან;
- შრომითი ხელშეკრულებები და მათი შეწყვეტით წარმოშობილი რისკები;
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია;
- პირობითი ვალდებულებები;
- სახელშეკრულებო შეთანხმებების ცვლილებები;

ამ საკითხებთან დაკავშირებული ბუღალტრული მიდგომები განსხვავებული იქნება თითოეული კომპანიის კონკრეტული ფაქტების და გარემოებების მიხედვით. ამასთან, პანდემიის ზეგავლენის შედეგად შეიძლება ზიანი მიადგეს ამ სააღრიცხვო საკითხებს და დასჭირდეს დამატებითი გადახედვა.

**აუდიტის კომიტეტებსა და ფინანსურ აუდიტორებს შორის კომუნიკაცია**

აუდიტის კომიტეტებს ფინანსური აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციის განსახორციელებლად მეტი ძალისხმება მართებთ გლობალური პანდემიების დროს. დროულად უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა რომელთა შორისაცაა შემდეგი:

პანდემიით გამოწვეული მოვლენების შეფასება, რომელსახ შეიძლება გავლენა ქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფინანსურ აუდიტორსა და გარიგების სუბიექტის თანამშრომლებს შორის ფიზიკური კომუნიკაციის შეზღუდვების გავლენა აუდიტის პროცესზე;

პანდემიით გამოწვეული რისკებისა და გარემოებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ასპექტების ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნება. აუდიტოტთა მოლოდინების ნათლად და სწრაფად კომუნიკაცია, ასევე ინფორმაციის გამჟღავნების ხარისხი და შესაბამისი გავლენა აუდიტორულ დასკვნაზე;

აუდიტორებმა დროულდა უნდა მოახდინონ აუდიტის კომიტეტების ინფორმირება, თუ რა გავლენა შეიძლება მოყვეს პანდემიით წარმოქმნილმა პროცესებმა და შეზღუდვებმა აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების ხარისხზე. ასევე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეხღუდვის არსებობის შემთხვევაში რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აუდიტის დასკვნაზე.

**დასკვნა**

პანდემიების გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე გაგრძელდება. კომპანიებმა უნდა შეაფასონ დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები და ზემოხსენებული მოსაზრებები, როგორც ფაქტები და გარემოებები რომლებიც ყოველდღიურად იცვლება.

პანდემიის პირობებშიც კი აუდიტორებმა უნდა მოახერხონ ინვესტორებისათვის საიმედო, აუდიტირებული ინფორმაციის მიწოდება, რისთვისაც რიგი ზემოაღნიოშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება მეტი დრო დასჭირდეთ. მნიშვნელოვანია აუდიტის კომიტეტებთან მჭიდრო კომუნიკაცია და ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება აუდიტის პროცესში.

## ლიტერატურა


1. FRC (UK)
2. SARAS (Georgia)
3. PCAOB
4. FRC guidance for companies and auditors during Covid-19 crisis -26/03/2020
5. Guidance on audit issues arising from the Covid-19 – 16/03/2020
6. Tax measures to take into account the effects of the coronavirus (COVID-19 / SARS-CoV-2) – 19/03/2020
7. Guidance on COVID-19 (coronavirus) – 17/03/2020
8. Audit considerations resulting from COVID19 – 25/03/2020
9. Q&A on COVID-19 pandemic and health crisis consequences (joint statement with CSOEC) 25/03/2020
10. Monitoring the development of the coronavirus outbreak – 16/03/2020
11. ACCA (UK)The Impact of coronavirus on financial reporting and the auditor's considerations – 03/2020
12. Application of the prudential framework regarding Default, Forbearance and IFRS9 in light of COVID19 measures -25/03/2020
13. Actions to mitigate the impact of COVID-19 on the EU financial markets regarding publication deadlines under the Transparency Directive – 27/03/20
14. Guidance on accounting implications of covid-19 – 25/03/2020
15. Accounting implications of the covid-19 outbreak on the calculation of expected credit losses in accordance with IFRS 9 – 25/03/2020
16. ESMA requires net short position holders to report positions of 0.1% and above – 16/03/2020
17. Recommended actions for financial market participants – 11/03/2020
18. European Commission, Page on EC COVID-19 response


***Teona Makalatia***

*PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## IMPLICATIONS OF DISEASES ON FINANCIAL REPORTING AND AUDITING

### Expanded Summary

In the era of global warming, the outbreaks of infectious diseases are expected to increase. The latest coronavirus pandemic, or COVID-19, showed us a lot. Regarding the health effects, national authorities and the World Health Organization (WHO) might be consulted. Significant economic repercussions of the crisis also affect firms, for example, because of travel bans or limits on trade, production, and consumption.

The accounting, reporting, and auditing of the financial statements of the relevant enterprises or groups are impacted by these economic repercussions. A few of these possible ramifications are highlighted in this publication. Companies and their auditors must take into account how it affects their business and examine them frequently because the impact on businesses will vary. One cannot forecast the pandemic's future course, duration, or effects. Regardless, auditors and accountants should remind businesses of the initiatives for relief to the companies.

The Financial Reporting Council (FRC), the Accounting, Reporting and Auditing Oversight Service (SARAS) and the United States Accounting Oversight Authority (PCAOB) have published guidance on audit issues arising from the COVID-19 pandemic. This guide made it clear that amid the confusion and uncertainty created by the pandemic, auditors should not expect to be forgiven for any insufficiency of audit procedures. Indeed, the FRC has stated unequivocally that “auditors must continue to fully comply with the required standards”. This means, as a result of the difficulties and challenges, it is vital that auditors take proactive steps to obtain all necessary audit evidence so that the ability to perform audit procedures is not compromised. Managing the increasing risks appropriately is both vital and practical in this regard.

**Difficulties of auditing during the pandemic**

Auditors were faced with the need to change their daily work practices. For example, travel restrictions and social distancing meant that face-to-face meetings with company directors, stakeholders, client staff and colleagues were no longer possible. Physical access to the company was also limited or impossible. Reliance on technology, including electronic document management and review platforms and remote work tools, has become inevitable.

To make sure that all explanatory notes were gathered, the auditors and the company's directors had to collaborate closely. The required information must be accurately documented in the audit paperwork, which the auditor is required to deliver with great care. Complete audit documentation is now more crucial than ever, especially in light of the uncertain economic future.

A thorough examination of the assumption of a Going Business with accurate documentation. In this regard, it is important to have a close relationship with the company's management, from the current uncertain situation, as the pandemic and its consequences continue to develop.

If the auditor takes more time to complete the audit work than would normally be the case, this should be disclosed to the company as soon as possible. The FRC and SARAS guidance specifically provides that "additional time may be required to complete the audit, even taking into account the risk of delay in reporting by the company". Close and proactive collaboration with auditors' company staff is required to ensure audit processes are completed appropriately.

Because primary documentation, material collection, and review become more difficult for remote auditors, it is important that audit working papers and related electronic correspondence be carefully maintained to meet auditing standards. In the event that a dispute arises, it is important that all such documentation is easily accessible, collated and reviewed. Auditors should also note that the use of personal email for business purposes is not permitted. The Accounting, Reporting and Auditing Supervisory Service (SARAS) has issued guidance in relation to the global pandemic, specifically Covid-19, which clarifies the issues with which audit firms and auditors may face difficulties as a result of the emergence of global pandemics.

**The impact of the pandemic on the audit process**

As a result of the circumstances caused by the global pandemic, it was necessary to evaluate and rethink the main aspects of the audit. This transition phase is from the signing of the audit engagement letter to the issuance of the audit report. The best way for the auditor to gather sufficient and appropriate audit evidence while acknowledging that it might be necessary to stray from the original audit plan and take a different strategy has become a contentious issue.

It became necessary for the auditor to discuss the need for risk assessment and risk revision. Also a discussion of the extent to which the management of the audit entity assesses the impact of the situation caused by the global pandemic on the business. Remote working mode, for what period the outsourced company will be able to operate with existing funds and assets, for these and other matters more effort is required by the auditor to evaluate the prospects of **the**

**going concern**. When the impact of the global pandemic on the audit process and the company is significant, the auditor should present a judgment on the going concern as a key audit issue in the audit report.

**Communication between audit committees and financial auditors**

During worldwide pandemics, audit committees must exert more effort in carrying out their supervision role over financial audits. Timely discussions are necessary on important subjects, such as the following:

Evaluating the events caused by the pandemic, which may have an impact on the financial statements. The impact of physical communication limitations between the financial auditor and the employees of the transaction entity on the audit process;

Disclosure in financial statements of qualitative and quantitative aspects of risks and circumstances caused by the pandemic. Clear and quick communication of auditors' expectations, as well as the quality of information disclosure and the corresponding impact on the audit report;

Auditors should inform audit committees in a timely manner of the impact that pandemic-induced processes and limitations may have on the quality of audit evidence. Also, if there is any interference with obtaining sufficient and appropriate audit evidence, what impact it may have on the audit opinion.

**Conclusion**

Pandemics will continue to have an impact on the world economy and financial markets. As facts and circumstances vary on a daily basis, companies should assess the aforementioned factors as well as related accounting matters. Given a number of the above issues, auditors may need more time to deliver reliable, audited information to investors even in the midst of a pandemic. Effective use of technology in the audit process and close liaison with audit committees are crucial.

**Keywords:** Accounting, Auditing, Bookkeeping, SARS, COVID-19, Pandemic, Going Concern, Audit Risk, Financial Reporting.

**JEL Codes:** M40, M41, M42

*სალომე თვალოძე*
*ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი;*
*საქართველოს ეროვნული ბანკის*
*მდგრადი დაფინანსების განყოფილების უფროსი*

# საქართველოში მდგრადი ფინანსური პროდუქტებისა და მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდენციების ანალიზი

***ანოტაცია:*** *მდგრადი დაფინანსების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა და გაიზარდა, როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე საქართველოშიც. ეს კვლევა საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდეციებს განიხილავს და არსებულ მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტებს მიმოხილავს. ანალიზი ცხადყოფს, რომ 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 16 პროცენტით გაიზარდა და 486 მილიონ ლარს ( 180 მილიონი აშშ დოლარი) მიაღწია. მწვანე სესხების მთლიანი პორტფელი კი 2022 წლის ბოლოსთვის 1,4 მილიარდ ლარამდე (530 მილიონი აშშ დოლარი) გაიზარდა, რაც წინა წელთან შედარებით 15 პროცენტიანი ზრდაა. სექტორული განაწილების კუთხით, მთლიანი მწვანე სესხების 65 პროცენტი განახლებადი ენერგიის სექტორს უჭირავს, რომლის 93 პროცენტი ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს ეთმობა. გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს ქართული კომპანიების მზარდ ინტერესს მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების გამოშვების კუთხით. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით სულ 11 GSS+ ობლიგაციაა გამოშვებული, რომელთა ჯამური გამოშვებული მოცულობა 1 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. წარმოდგენილი ანალიზი საქართველოში მდგრადი დაფინანსების კუთხით კომპანიების, ფინანსური ინსტიტუტებისა და ინვესტორების მზარდ ინტერესსა და მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარების დადებით დინამიკაზე მიუთითებს. ეს კი ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მდგრადი დაფინანსება; მდგრადი დაფინანსების ბაზარი; მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხები და ობლიგაციები.*

## შესავალი

მდგრადი განვითარების საკითხები, როგორიცაა გარემოსდაცვითი და სოციალური თემები, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო დგას. ამ გამოწვევების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი ძალისხმევაა მიმართული და ბოლო წლებში მთელი რიგი საერთაშორისო ვალდებულებები და შეთანხმებები იქნა მიღებული. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში, გლობალური ფინანსური ლანდშაფტი მდგრადობისკენ პარადიგმის ცვლილების მოწმე გახდა, რაც გარკვეულწილად გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებით არის გამოწვეული. ამ კონტექსტში, მდგრადი დაფინანსება გაჩნდა, როგორც კრიტიკული გზა მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის, აქტუალური გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების გადასაჭრელად. საქართველოში, მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში და მზარდი აქცენტით მდგრადობაზე,

მდგრადი ფინანსური პროდუქტებისა და ბაზრის ტენდენციების ანალიზს მნიშვნელოვანი მნიშვნელობა აქვს.

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს უზრუნველყოს მდგრადი ფინანსური პროდუქტებისა და მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდენციების ყოვლისმომცველი შესწავლა ქართულ კონტექსტში. საქართველოში მდგრადი ფინანსების ლანდშაფტის შესწავლა საშუალებას იძლება გავიგოთ, რამდენად გამოიყენება მდგრადი ფინანსური ინსტრუმენტები და როგორია მათი გავლენა უფრო ფართო ფინანსურ ეკოსისტემაზე. გარდა ამისა, გაანალიზებულია მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდენციები, და შეჯამებულია ამ მიმართულებით არსებული მარეგულირებელი ჩარჩო.

წარმოდგენილი ანალიზი საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზრის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ საინტერსო და მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ინვესტორებისთვის და პოლიტიკის შემქმნელებისთვის. საქართველოში მდგრადი დაფინანსების დინამიკის გააზრებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ინვესტიციების განხორციელებისას ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ და ქვეყნის მდგრადი განვითარებაში შეიტანონ წვლილი.

## მდგრადი ფინანსური პროდუქტებისა და მდგრადი დაფინანსების ბაზრის ტენდენციები

საქართველოში მდგრადი დაფინანსების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა და გაფართოვდა. გაიზარდა მდგრადი ფინანსური პროდუქტების მრავალფეროვნებაც, როგორც სესხების, ასევე ობლიგაციების კუთხითაც.

მდგრადი ფინანსური პროდუქტებიდან საქართველოში წარმოდგენილია მწვანე, სოციალური, მდგრადი სესხები და მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები (GSS+: Green, Social, Sustainability, Sustainability Linked). საქართველოში აღნიშნული მდგრადი ფინანსური პროდუქტების განმარტებას საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ცენტრალური ბანკი და ფინანსური სექტორის ზედამხედველი, ადგენს. ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების რეგულატორული ჩარჩოს შემუშავებაზე 2017 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით არაერთი რეგულაცია აქვს შემოღებული. მათ შორის არის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია (სებ, 2022), რომელიც მდგრადი ფინანსური პროდუქტების განმარტებებსს უდევს საფუძვლად.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, რომელიც 2022 წლის ივლისში გამოქვეყნდა, წარმოადგენს კლასიფიკაციის სისტემას ისეთი აქტივობების გამოსავლენად, რომლებიც მწვანე, სოციალურ ან მდგრად მიზნებს ემსახურება. ტაქსონომია ორი ნაწილისგან, მწვანე და სოციალური ტაქსონომიისგან შედგება. მწვანე ტაქსონომია წარმოადგენს ისეთი აქტივობების ჩამონათვალს, რომლებიც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას და მწვანე ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. ხოლო სოციალური ტაქსონომია კი ისეთი აქტივობების ჩამონათვალია, რომლებიც მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მიზნობრივი ჯგუფებისთვის, სოციალური მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, ტაქსონომიის ფარგლებში, ისეთი მწვანე/სოციალური აქტივობები, რომლებსაც სოციალური/მწვანე თანასარგებელი აქვთ, მდგრად საქმიანობად განიხილება. ტაქსონომია სხვადასხვა ადგილობრივ და

საერთაშორისო ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავდა და იგი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება. თუმცა, ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური სექტორის მახასიათებლებს. ტაქსონომიის შემუშავების მთავარ მიზანს მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან ერთად ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი[9] (ტაქსონომიის რეგულაცია) დაამტკიცა, რომელიც ძალაში 2023 წლის ინავარში შევიდა. ტაქსონომიის რეგულაციის მიხედვით მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხის განმარტება შემდეგია:

- **მწვანე სესხი** – სესხი, რომლის თანხა ექსკლუზიურად გამოიყენება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც წარმოდგენილია მწვანე ტაქსონომიაში;
- **სოციალური სესხი** – სესხი, რომლის თანხა ექსკლუზიურად გამოიყენება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც წარმოდგენილია სოციალურ ტაქსონომიაში;
- **მდგრადი სესხი** – სესხი, რომლის თანხა ექსკლუზიურად გამოიყენება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს მწვანე და სოციალური ტაქსონომიის პირობებს.

ამასთან, აღნიშნული წესი კომერციულ ბანკებს ტაქსონომიასთან შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნებს უწესებს. კერძოდ, ბანკები ვალდებულები არიან მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული მწვანე სესხის თვიური ანგარიშგების ფორმით მოახდინონ. გარდა ამისა, წლიური ანგარიშგების ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი) ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული კიდევ ერთი რეგულაციაა, მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს. ყოველივე ეს საქართველოში მწვანე სესხების შესადარისი და თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წლის 23 თებერვალს საჯარო კონსულტაციისთვის მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის პროექტი გამოაქვეყნა. აღნიშნული ჩარჩო მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიას ეფუძნება და საქართველოში მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ოფიციალურ განმარტებას შემოღებას ითვალისწინებს. ამ წესის მიზანია წაახალისოს და გააძლიეროს პასუხისმგებლიანი დაფინანსების პრაქტიკა კაპიტალის ბაზარზე და დანერგოს მარეგულირებელი მექანიზმები გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნობრიობის მქონე საჯაროდ შეთავაზებული კორპორაციული ობლიგაციებისთვის.

თუმცა, ობლიგაციების ამ ჩარჩოს შემოღებამდე კომპანიები GSS+ ობლიგაციების გამოშვებისთვის ძირითადად კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასო-

[9]მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგე ბის წესი: Preview (nbg.gov.ge)

ციაციის[10] (International Capital Market Association, ICMA) განმარტებებითა და გზამკვლევებით ხელმძღვანელობს. ICMA GSS+ ტიპის ობლიგაციებს შემდეგნაირად განმარტავს:

- **მწვანე ობლიგაცია** არის ობლიგაცია, რომლის ემისიიდან მიღებული თანხები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული მწვანე ანუ დადებითი გარემოსდაცვითი ეფექტის მქონე პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის.
- **სოციალური ობლიგაცია** არის ობლიგაცია, რომლის ემისიიდან მიღებული თანხები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული სოციალური პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის.
- **მდგრადი ობლიგაცია** არის ობლიგაცია, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ექსკლუზიურად გამოიყენება მწვანე და სოციალური პროექტების კომბინაციის დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის.
- **მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაცია** არის ნებისმიერი ტიპის ობლიგაცია, რომლის ფინანსური და/ან სტრუქტურული მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, აღწევს თუ არა ემიტენტი წინასწარ განსაზღვრულ მდგრადობის/ESG მიზნებს. ამ თვალსაზრისით, ემიტენტები ცალსახად იღებენ ვალდებულებას მდგრადობის შედეგ(ებ)ის სამომავლო გაუმჯობესებაზე წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.
- **გარდამავლობასთან დაკავშირებული ობლიგაცია** არის ობლიგაცია რომლის ემისიიდან მიღებული თანხები გამოიყენება ისეთი აქტივობების დასაფინანსებლად, რომლებიც არ არის დაბალი ან ნულოვანი ემისიის (ანუ არ არის მწვანე), მაგრამ ითვალისწინებს აქტივობის დეკარბონიზაციას და დაბალი ემისიის პრაქტიკაზე გადასვლის ან ემიტენტის მხარდაჭერას პარიზის შეთანხმებასთან თანხვედრაში მოსვლის პროცესში.

საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემულ მწვანე სესხებზე მონაცემები ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი) ფორმებში წარმოდგენილ ინფორმაციას ეყრდნობა. კერძოდ, 2021 წლიდან კომერციული ბანკები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, ESG საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამჟღავნებენ. ინფორმაციის გამჟღავნება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ESG გამჟღავნებისა და ანგარიშგების ფორმით ხდება. კომერციული ბანკების მიერ შევსებული ყოველწლიური ESG ფორმები ეროვნული ბანკის ვებ გვერდზეა[11] ხელმისაწვდომი. სწორედ, აღნიშნული ფორმების შესწავლის შედეგად მოხდა საქართველოში გაცემულ მწვანე სესხებთან დაკავშირებით მონაცემების შეგროვება.

კომერციული ბანკების მიერ შევსებულ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების ჯამური მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა (იხ. დიაგრამა 1). კერძოდ, 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობამ ₾486 მილიონი შეადგინა ($180 მილიონი). გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ეს 2021 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობასთან შედარებით 16 პროცენტიანი ზრდაა.

---

[10] The International Capital Market Association » ICMA (icmagroup.org)

[11] https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure

2023 წელს, წლიურ ESG ფორმებში, კომერციულმა ბანკებმა მწვანე სესხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას კვლავ საკუთარ განმარტებები გამოიყენეს. 2022 წელს 13 კომერციული ბანკიდან შვიდმა წარმოადგინა ინფორმაცია მწვანე სესხების შესახებ.

***დიაგრამა 1. კომერციული ბანკების მიერ გაცემული მწვანე სესხები (ნაკადები), დეკემბერი 2022 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)***




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

2022 წელს გაცემული მწვანე სესხების ძირითადად კვლავ დოლარშია დენომინირებული და ამასთან, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით ფაქტიურად არ შეცვლილა (იხ. დიაგრამა 2). თუ 2020 წელს გაცემული სესხების დაახლოებით 66 პროცენტი იყო დოლარში გაცემული, 2021 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 75 პროცენტია, ხოლო 2022 წელს კი 74 პროცენტი. ლარში გაცემული მწვანე სესხების წილი 2021-დან 2022 წლამდე კი 19 პროცენტიდან 15 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, გაზრდილია ევროში გაცემული მწვანე სესხების წილი.

**დიაგრამა 2. კომერციული ბანკების მიერ გაცემული მწვანე სესხების დეკომპოზიცია ვალუტების მიხედვით (ნაკადები), დეკემბერი 2022 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე სესხების წილი 2022 წელს გაცემულ მთლიან სესხებში 1.2 პროცენტს შეადგენს, რაც წინა წლის მონაცემს 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება. იმ ბანკებისთვის, რომლებმაც მწვანე სესხების შესახებ

ინფორმაცია გაამჟღავნეს, 2022 წელს გაცემულ მთლიან სესხებში მწვანე სესხების წილი საშუალოდ 7 პროცენტს შეადგენდა.

2022 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიანმა მოცულობამ დაახლოებით ₾1.4 მილიარდს ($530 მილიონი) შეადგინა (იხ. დიაგრამა 3). 2022 წელს წინა წელთან შედარებით მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 15 პროცენტით გაიზარდა. წინა წელთან შედარებით გაიზარდა დოლარში გამოსახული სესხების წილი. კერძოდ, თუ 2021 წლის ბოლოსთვის არსებულ მწვანე პორტფელში დოლარში გაცემულ სესხების წილი დაახლოებით 58 პროცენტი იყო, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა 65 პროცენტი შეადგინა. თუმცა, 2020 წელთან შედარებით დოლარში გაცემულ სესხების წილი შემცირებული. ამასთან, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ლარში გაცემული სესხების წილი შემცირდა.

2022 წლის ბოლოსთვის მწვანე სესხები მთლიანი პორტფელის 3.2 პროცენტი შეადგინა. 2021 წელს ეს მაჩვენებელი 2.9 პროცენტს, ხოლო 2020 წელს კი 2.2 პროცენტს შეადგენდა. აღნიშნული მწვანე სესხების დადებით დინამიკაზე მიუთითებს. ბანკების დონეზე, მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში საშუალოდ 6 პროცენტი იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დაახლოებით 17 პროცენტს აღწევდა.

**დიაგრამა 3. კომერციული ბანკების მიერ გაცემული მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) და დეკომპოზიცია ვალუტების მიხედვით, დეკემბერი 2022 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

უნდა აღინიშნოს, 2023 წლის ჩათვლით კომერციული ბანკები მწვანე სესხების შესახებ ინფორმაციის წარდგენისას მწვანე სესხის საკუთარ განმარტებას იყენებდნენ. 2024 წლიდან კი ტაქსონომიის მიხედვით მოახდენენ წლიურ ESG ფორმებშიც ინფორმაციის გამჟღავნებას. ESG ანგარიშგების ფორმებიდან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომერციული ბანკების უმრავლესობას არ გააჩნია მწვანე სესხის განმარტება ან კლასიფიკაციის სისტემა და შედეგად, მწვანე სესხებზე მონაცემებს არ ფლობენ. კერძოდ, 2021 წელს 15 კომერციული ბანკიდან ექვსმა, ხოლო 2022 წელს 13 კომერციული ბანკიდან შვიდმა წარმოადგინა ინფორმაცია მწვანე სესხების შესახებ. აღნიშნული ბანკებიდან უმრავლესობას მწვანე სესხების ოფიცია-

ლური განმარტება ან კლასიფიკაციის სისტემა არ გააჩნია და ანგარიშგებაში მხოლოდ ენერგო ეფექტურობასთან და განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული პროექტების დასაფინანსებლად გაცემული სესხების მონაცემები აქვთ წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რიცხვები რეალობას სრულად ვერ ასახავს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საერთო კლასიფიკაციისა და მწვანე ტაქსონომიის არსებობის მნიშვნელობას. ამასთან, არ არსებობს მწვანე სესხების სექტორული ჩაშლა ანუ დეტალური ინფორმაცია თუ რომელი აქტივობების ან სექტორების დასაფინანსებლად არის გაცემული სესხი. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულმა ბანკმა უკვე შეიმუშავა მდგრადი  დაფინანსების ტაქსონომია და შესაბამისი რეგულაცია, რომელიც ძალაში 2023 წლის იანვრიდან შევიდა, მოსალოდნელია, რომ მწვანე სესხების მონაცემები უფრო ზუსტი და შესადარისი გახდება. ასევე, ხელმისაწვდომი გახდა სესხების სექტორული ჩაშლაც.

2023 წლის იანვარში ტაქსონომიის რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის დანერგვა ექვსმა ბანკმა დაიწყო. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების პორტფელმა დაახლოებით 881 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 1,7 პროცენტს წარმოადგენს (იხ. დიაგრამა 4). ეს შედარებით დაბალი წილი ნაწილობრივ ბანკების მიერ ტაქსონომიის დანერგვის მიმდინარე პროცესს უკავშირდება და იმ ფაქტს, რომ ყველა ბანკს ეს პროცესი ჯერ არ დაუწყია.

**დიაგრამა 4. ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი), დეკემბერი 2023 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

სექტორული განაწილების კუთხით, მთლიანი მწვანე სესხების 65 პროცენტი მიმართულია განახლებადი ენერგიის სექტორისკენ არის მიმართული, რომლის 93 პროცენტი  ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს ეთმობა (იხ. დიაგრამა 4). გარდა ამისა, მწვანე სესხების 14 პროცენტი მწვანე შენობებისა და მშენებლობის კატეგორიაზეა გაცემული, ხოლო 10 პროცენტი მწვანე ტრანსპორტის სექტორში.

ბოლო წლების განმავლობაში, მწვანე სესხების ბაზრის განვითარების პარალელურად,  საქართველოში ასევე მნიშვნელოვნად განვითარდა მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების ბაზარი. ქართულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს GSS+ ობლიგაციების გამოშვება, როგორც უცხოურ, ისე ქართულ საფონდო ბირჟებზე (იხ. **Error! Not a valid**

**bookmark self-reference.**). 2022 და 2023 წლები განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა GSS+ ობლიგაციების გამოშვების კუთხით საქართველოში, რადგან ადგილობრივმა კომპანიებმა დაიწყეს ამ ტიპის ობლიგაციების ემისია ადგილობრივ ბაზარზე, ამასთან ძირითადად ეროვნულ ვალუტაში. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარზე ბოლო ტენდენციების მიხედვით, GSS+ ობლიგაციების მიმართ ქართული კომპანიები ინტერესი მზარდია. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქართული კომპანიების მიერ სულ 11 GSS+ ტიპის ობლიგაციაა გამოშვებული, რომელთა ჯამური გამოშვებული მოცულობა 1 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

2022 წელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო მწვანე ობლიგაციების ბაზრის განვითარებისთვის საქართველოში, რადგან ადგილობრივ ბაზარზე პირველი მწვანე ობლიგაციის გამოშვება მოხდა (იხ. დიაგრამა 5). კერძოდ, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა" (GRPO), რომელიც „საქართველოს კაპიტალი" შვილობილი კომპანიაა და საქართველოში განახლებადი ენერგიის აქტივების ერთ-ერთი წამყვანი პლატფორმაა, საქართველოს ბაზარზე პირველი მწვანე ობლიგაცია გამოუშვა. ემისია 2022 წლის 12 ოქტომბერს მოხდა. $80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 5-წლიანი მწვანე ობლიგაციები ადგილობრივ ბაზარზე კორპორაციული ობლიგაციების ყველაზე დიდი ოდენობის განთავსებაა. მოზიდული სახსრები სრულად იქნა გამოყენებული GCAP-ის მიმართ არსებული სადამფუძნებლო სესხის რეფინანსირებისთვის, რომელიც კომპანიას მიღებული ჰქონდა ევრო-ობლიგაციებიდან განახლებადი ენერგიის ბიზნესისთვის მიკუთვნებული დავალიანების დასაფარად. GRPO-მ მწვანე ობლიგაციის ჩარჩოს დამოუკიდებელი შეფასება წამყვანი ESG კვლევისა და ანალიტიკის მომწოდებელი კომპანია Sustainalytics-ისგან მოიპოვა.

**დიაგრამა 5. ქართული კომპანიების მიერ გამოშვებული GSS+ ობლიგაციების მთლიანი მოცულობა, დეკემბერი 2023**[12]




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

[12] ლარში გამოშვებული ობლიგაციები კონვერტირებულია გამოშვების თარიღის ლარი/დოლარის კურსით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ემისიამდე წინა წლებში ქართულმა კომპანიებმა მწვანე ობლიგაციები უცხოურ საფონდო ბირჟებზე გამოუშვეს (იხ. დიაგრამა 11). კერძოდ, 2020 წლის ივლისში სს „ჯორჯია გლობალ უთილით"-მა (Georgia Global Utilities) $250 მილიონი ღირებულების პირველი მწვანე ობლიგაცია გამოუშვა, რომელიც ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალურ სავალუტო ბაზარზე (Global Exchange Market of the Irish Stock Exchange) განთავსდა. GGU-ის მწვანე ობლიგაციების ჩარჩოს დამოუკიდებელი შეფასებაც Sustainalytics-მა უზრუნველყო. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხები GGU-ის განახლებადი ენერგიისა და წყლის აქტივებთან დაკავშირებული სესხების რეფინანსირებას მოხმარდება. თანხების გამოყენება ასევე გათვალისწინებულია წყლის მომარაგებისა და სანიტარული ბიზნესის კაპიტალის დანახარჯებისთვის, მათ შორის თბილისსა და მეზობელ მუნიციპალიტეტებში წყლის მიწოდებისა და სანიტარული სისტემების აღსადგენად.

მწვანე ობლიგაციის გამოშვება მოხდა 2021 წელსაც. კერძოდ, 2021 წლის ივნისში „საქართველოს რკინიგზამ", რკინიგზის საჯარო კომპანიამ საქართველოში, $500 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების შვიდწლიანი მწვანე ობლიგაცია გამოუშვა. აღნიშნული ობლიგაციის განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე მოხდა. აღნიშნული მწვანე ობლიგაციის ჩარჩო S&P Global-მა შეაფასა. აღნიშნული ობლიგაციიდან მიღებული თანხით საქართველოს რკინიგზამ 2012 წელს გამოშვებული ევრო-ობლიგაციების რეფინანსირება მოახდინა.

2022 წლის სექტემბერში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალმა" და „სიმბიოტიკსმა" პირველი სოციალური ობლიგაცია გამოუშვეს. „სიმბიოტიკსმა" (Symbiotics), რომელიც საინვესტიციო პლატფორმას წარმოადგენს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი"-სთვის 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სოციალური ობლიგაცია გამოუშვა. ობლიგაციის გამოშვებით მიღებული თანხა ოთხი წლის განმავლობაში სოციალური სესხების სახით ადგილობრივ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების, მცირე ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ეროვნულ ვალუტაში დაფინანსებას მოხმარდება. პროდუქტის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას ისეთ სასიცოცხლო მომსახურებებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და ფინანსური სერვისები.

2023 წლის თებერვალში კი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალმა" ქართულ საფონდო ბირჟაზე გენდერული ობლიგაციაც განათავსა. სს "გალტ & თაგარტის" მხარდაჭერით, კრისტალმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე 25 მილიონი ლარის მოცულობის 2-წლიანი სერტიფიცირებული პირველი გენდერული ობლიგაცია გამოუშვა. ეროვნულ ვალუტაში გამოშვებული ობლიგაციის წამყვანი ინვესტორი 18,75 მლნ ლარის ინვესტიციით ADB-ი იყო და თანაინვესტორი, 6,25 მლნ ლარის ინვესტიციით, საქართველოს ბანკი. კრისტალმა გენდერული ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება კომპანია Scope Group-ისგან მოიპოვა და აღნიშნული ჩარჩო კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მიერ შემუშავებულ სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია. ტრანზაქცია მეწარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების დაფინანსებას, საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

2023 წლის აპრილში მოხდა საქართველოში პირველი მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის გამოშვება. კეძოდ, შპს „ჯეოსთილმა", სს „გალტ & თა-

გარტის" მხარდაჭერით, ობლიგაციის პირველი ემისია - 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით წარმატებით განათავსა. აღნიშნული ტრანზაქცია ჯამურად დაგეგმილი 20 მილიონი აშშ დოლარამდე ემისიის პირველი ტრანშს წარმოადგენდა. მეორე ტრანშის ემისია 2023 წლის დეკემბერში მოახდინა. კომპანიის მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ჩარჩოზე მეორე მხარის მოსაზრება დამოუკიდებელმა შემფასებელმა, DNV Business Assurance Norway AS-მ გასცა. კომპანია ობლიგაციის პირველი ემისიიდან მიღებულ სახსრებს არსებული სესხების რეფინანსირებისთვის, ასევე კაპიტალური დანახარჯებისა და მდგრადი პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებს, რაც ფოლადის წარმოების პროცესში ცვლილებების შეტანას და გაზის მოხმარების 75%-მდე შემცირებას ისახავს მიზნად.

2023 წლის ივლისში „თეგეტა ჰოლდინგმა" ქართული კაპიტალის ბაზარზე პირველად ლარის მწვანე ობლიგაცია განათავსა. საავტომობილო ინდუსტრიის ლიდერმა „თეგეტა ჰოლდინგმა", შპს „თიბისი კაპიტალის" მხარდაჭერით, 20 მილიონი ლარის მწვანე ობლიგაცია გამოუშვა. აღნიშნული ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტაში და ასევე, რეგიონის საავტომობილო ინდუსტრიაში პირველი მწვანე ობლიგაციის განთავსებაა. აღნიშნული ობლიგაციის მთავარი ინვესტორი აზიის განვითარების ბანკია. „თეგეტა ჰოლდინგმა" მწვანე ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება კომპანია Sustainalytics-ისგან მოიპოვა და აღნიშნული ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია ICMA-ს მიერ შემუშავებულ მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან. ობლიგაციის ემისიის შედეგად მობილიზებული თანხა მთლიანად მწვანე პროექტებს მოხმარდება და დაფინანსდება ნულოვანი ემისიის მქონე, მსუბუქი, საგზაო და არასაგზაო ელექტროტრანსპორტის იმპორტი და ამასთან, საქართველოს დასამუხტი სადგურების ქსელს 70 ახალი სადგური შეემატება.

ასევე 2023 წლის ივლისში მოხდა სს „თიბისი ლიზინგის" მიერ, ლარში დენომინირებული მწვანე საჯარო ობლიგაციები განთავსება. ეს ფინანსურ ინსტიტუტებს შორის პირველი GSS+ ტიპის ობლიგაციის გამოშვებაა. სს „თიბისი ლიზინგმა", შპს „თიბისი კაპიტალის" მხარდაჭერით, საქართველოს კაპიტალის ბაზარზე, ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული, 15 მილიონი ლარის პირველი მწვანე საჯარო ობლიგაციები განათავსა. ობლიგაციებში ინვესტიცია, ქართულ კომერციულ ბანკებთან ერთად საპენსიო ფონდმაც განახორციელა. ემისიის ფარგლებში, სს „თიბისი ლიზინგმა" მწვანე ობლიგაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით მეორე მხარის მოსაზრება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Group-ისგან მიიღო კომპანიის. მეორე მხარის მოსაზრების თანახმად, სს „თიბისი ლიზინგის" მწვანე ობლიგაციების ჩარჩო ICMA-ს მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია. კომპანია, ობლიგაციის ემისიის შედეგად მობილიზებულ ფინანსურ რესურსს მწვანე სალიზინგო პორტფელის ზრდის დაფინანსებისთვის გამოიყენებს.

2023 წლის აგვისტოს კი საქართველოს საინვესტიციო პლატფორმამ სს საქართველოს კაპიტალმა (GCAP) ადგილობრივ ბაზარზე მდგრადობასთან დაკავშირებული, 150 მილიონი აშშ დოლარის 5 წლიანი ობლიგაცია განათავსა. ობლიგაციები დღემდე განხორციელებულ ყველაზე დიდ კორპორატიულ ტრანზაქციას წარმოადგენს რეგიონალურ ბაზარზე. ADB-ის ინვესტიციის მოცულობა 16 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო EBRD-მა 25 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კომპანიამ მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება Sustainalytics-ისგან მოიპოვა, და აღნიშნული ჩარჩო

სრულ შესაბამისობაშია ICMA-ს მიერ შემუშავებულ მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციების პრინციპებთან. GCAP მიღებულ თანხებს, ძირითადად, თავისი არსებული ევრო ობლიგაციების რეფინანსირების, კაპიტალის მართვის საიმედოობის გაზრდისა და საკუთარი საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის გამოიყენებს. კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ საკუთარ საწარმოებში CO2-ის ემისიას 2027 წლის ბოლომდე 20%-ით შეამცირებს.

2023 წელს კიდევ ერთი მწვანე ობლიგაციის გამოშვება მოხდა. კერძოდ, შპს „პრაიმ ბეტონმა" 7.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 4 წლიანი საინაუგურაციო მწვანე სავალო ფასიანი ქაღალდის ემისია განახორციელა. კომპანიამ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (International Financial Corporation) ტექნიკური დახმარება მიიღო, რომლის ფარგლებშიც კომპანიის მწვანე ობლიგაციის ჩარჩო შემუშავდა. აღნიშნული ჩარჩო სერტიფიცირება CICERO Shades of Green-ის მიერ მოხდა, რომელიც ერთ-ერთი გლობალური ლიდერია მდგრადი ობლიგაციების სერტიფიცირების (Second Party Opinion) დარგში. ობლიგაციის გამოშვების მიზანი კომპანიისთვის მდგრადი დაფინანსების მოზიდვაა, რომელიც თავის მხრივ მიმართული იქნება როგორც არსებული სესხების ნაწილობრივი რეფინანსირებისათვის, ასევე კომპანიის მწვანე პროექტების დასაფინანსებლად.

ბოლო წლების მანძილზე ქართული კომპანიების მიერ GSS+ ობლიგაციების გამოშვების ტენდენციები ამ მიმართულებით კომპანიების და ინვესტორების მზარდ ინტერესზე მიუთითებს. ეროვნული ბანკის მიერ GSS+ ობლიგაციების რეგულატორული ჩარჩოს შემოღება კი მოსალოდნელია, რომ ამ ბაზრის კიდევ უფრო მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს.

## გამოყენებული ლიტერატურა


კაკულია ნ. (2023). მდგრადი განვითარების ინდექსები და საქართველო. Economics & Business (1987-5789), (4).

ლაზარაშვილი თ. (2020). ეკონომიკური ზრდის „მწვანე "დაფინანსება: კონცეფციები და პრობლემები. Globalization & Business, (9).

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). 2022. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია.

სებ. 2022. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი.

სებ. 2024. მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი

სებ. 2021. მდგრადი დაფინანსების ანგარიში.

სებ. 2022. მდგრადი დაფინანსების ანგარიში.

სებ. 2023. მდგრადი დაფინანსების ანგარიში.

Abesadze, R. (2017). Modern global trends and problems of sustainable development. International scientific internet conferenc. Paata Gugushvili Institute of Economics TSU.

Aramonte, S., & Zabai, A. (2021). Sustainable finance: trends, valuations and exposures. BIS Quarterly Review, 20, 3-5.

Blewitt, J. (2012). Understanding sustainable development. Routledge.

Climate Bonds Initiative (CBI). Interactive Data Platform. https://www.climatebonds.net/market/data

Climate Bonds Initiative (CBI). 2021. Sustainable Debt – Global State of the Market 2021

Coleton, A., Font Brucart, M., Gutierrez, P., Le Tennier, F., & Moor, C. (2020). Sustainable Finance: market practices. European Banking Authority Research Paper, (6).

International Capital Market Association (ICMA). https://www.icmagroup.org/
International Finance Forum. 2021. Global Finance and Development Report 2021.
OECD. 2020a. Global Outlook on Financial for Sustainable Development 2021.
Rohit Goel, Deepali Gautam, and Fabio Natalucci. (2022). Sustainable Finance in Emerging Markets: Evolution, Challenges, and Policy Priorities. International Monetary Fund Working Paper
Sachs, J. D. (2015). The age of sustainable development. Columbia University Press.
Sustainable Banking and Finance Network (SBN). 2021. Global Progress Report – Accelerating Sustainable Finance Together.
Thompson, S. (2023). Green and sustainable finance: principles and practice in banking, investment and insurance (Vol. 7). Kogan Page Publishers.
Weber, O. (2019). Sustainable finance and the SDGs: The role of the banking sector. In Achieving the sustainable development goals (pp. 226-239). Routledge.

***Salome Tvalodze***
*PhD candidate at Tbilisi State University*
*Head of Sustainable Finance Division, National Bank of Georgia*

## ANALYSIS OF SUSTAINABLE FINANCIAL PRODUCTS AND SUSTAINABLE FINANCE MARKET TRENDS IN GEORGIA

### Expanded Summary

In recent years, the global financial landscape has witnessed a paradigm shift towards sustainability, driven by increasing awareness of environmental and social challenges. Within this context, sustainable finance has emerged as a critical avenue for fostering economic growth while addressing pressing environmental and social concerns. In Georgia, a country with a burgeoning economy and a growing emphasis on sustainability, the analysis of sustainable financial products and market trends holds significant importance.

This paper aims to provide a comprehensive examination of sustainable financial products and sustainable finance market trends within the Georgian context. By exploring the landscape of sustainable finance in Georgia, we seek to understand the extent to which sustainable financial instruments are being utilized and their impact on the broader financial ecosystem. Furthermore, we will delve into the trends shaping the sustainable finance market in Georgia, including regulatory frameworks, investor preferences, and emerging opportunities.

Through this analysis, we endeavor to shed light on the current state of sustainable finance in Georgia and offer insights into its potential implications for financial institutions, investors, and policymakers. By understanding the dynamics of sustainable finance in Georgia, stakeholders can better navigate the evolving landscape of responsible investment and contribute to the country's sustainable development goals.

The integration of sustainability principles into financial systems has become a pivotal concern worldwide, with increasing attention paid to Environmental, Social, and Governance (ESG) considerations. However, the extent to which commercial banks in Georgia disclose information about their green loan activities remains disparate, as evidenced by the annual ESG reports of thirteen commercial banks, where only seven provided data on green loans for 2022. Despite this variability, the reported volume of green loans surged by 16% compared to the previous year, reaching approximately GEL 486 million (US $180 million), with a majority still denominated in USD.

As of the end of 2022, the outstanding stock of green loans amounted to around GEL 1.4 billion (US $530 million), marking a 15% increase from the previous year. The share of green

loans in the total outstanding portfolio also witnessed an upward trajectory, rising to 3.2% in 2022 from 2.9% in 2021 and 2.2% in 2020.

Moreover, the implementation of the Sustainable Finance (SF) Taxonomy, spurred by the Taxonomy Regulation, commenced among five banks, with the SF Taxonomy-aligned green loan portfolio reaching approximately GEL 881 million by December 2023, albeit still comprising less than one percent of the total lending portfolio. Sectorally, a significant portion of green loans—65%—was directed towards renewable energy projects, with a notable emphasis on hydropower projects. Additionally, 14% of green loans were allocated to green building and contraction sector and 10% to the green transport sector, reflecting a diversified approach towards sustainable financing initiatives.

Beyond green loans, the Georgian financial market has witnessed a surge in the issuance of Green, Social, Sustainable, and other Labeled (GSS+) bonds. Particularly noteworthy is the heightened activity in GSS+ bond issuance on the domestic bond market, predominantly denominated in the Georgian national currency. As of December 2023, the market saw the issuance of 11 GSS+ bonds, totaling more than USD 1 billion, underscoring a growing interest among Georgian companies in leveraging sustainable financing instruments to support their operations.

***გიორგი ჭოჭუა***
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების*
*ფაკულტეტის დოქტორანტი.*

## საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება და მდგრადი ტურიზმის პერსპექტივები

***ანოტაცია.*** *ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური პრობლემების გადაჭრაში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, დასაქმების გაზრდასა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. მისი მულტიპლიკატორული ეფექტის გამო, ტურიზმი ხდება ეკონომიკის სულ უფრო მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც გავლენას ახდენს მის სხვა სექტორებზე, მათ შორის მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაზე, საკვების გადამუშავებაზე, ვაჭრობაზე, კომუნიკაციებზე, რითაც მოქმედებს როგორც კატალიზატორი მრავალი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.*

*ტურიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპს აქვს ფუნდამენტური განსხვავება წინა წლებისგან განსხვავებით, რაც დაკავშირებულია გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან, მათ შორის პანდემიასთან და გლობალურ დიგიტალიზაციასთან.*

*ე.წ ახალი რეალობის პირობებში იცვლება ისეთი ცნებების კლასიკური ინტერპრეტაცია, როგორიცაა მდგრადი განვითარება, ტურიზმის ხარისხი და სასტუმროს მომსახურება. ახლა ხარისხი აუცილებლად უნდა შეფასდეს მათი უსაფრთხოების გათვალისწინებით და ეს ხდება ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ტურისტული და სასტუმრო სერვისების არჩევისას.*
***საკვანძო სიტყვები:*** *ლანდშაფტი, მდგრადი, ტურიზმი.*

მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ტურიზმი პერსპექტიული მიმართულებაა საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მიღებული ტურიზმის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ტურისტების კმაყოფილების ხარისხის მაქსიმიზაციას და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სიღარიბის აღმოფხვრის შესაძლებლობების გაფართოებას.

საქართველოს ბუნებას ტურიზმის მდგრადი განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. ტურისტული ინდუსტრიის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. პეიზაჟების უნიკალური მრავალფეროვნება მთებიდან შავი ზღვის სანაპირომდე, ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნება, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მინერალური და სამკურნალო წყლები, უძველესი დროიდან ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ძირძველი ხალხის ფოლკლორი და ტრადიციები, მრავალფეროვანი ეროვნული კერძები. მეღვინეობა და ეკონომიკის სხვა დარგები - ეს ყველაფერი დიდ პოტენციალს ქმნის ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის.

ველური ბუნების მსოფლიო ფონდმა - World Wide Fund for Nature; WWF აღიარა, რომ ევროპის არცერთ ქვეყანას არ აქვს ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა

და ისეთი მრავალფეროვანი ლანდშაფტი, როგორიც საქართველოს.(1) ლანდშაფტის მრავალფეროვნებითა და გეოლოგიურად არათანაბარი ზედაპირით გამორჩეულ მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო მეთორმეტე ადგილს იკავებს. საქართველოს ბუნება მრავალმხრივია და სადღაც უბრალოდ უნიკალური, რაც წარმოადგენს ეკოტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს. ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები შეადგენენ ქვეყნის 7%-ს, დაცული ტერიტორიების 75% ტყეებია. საქართველოს აქვს 14 ეროვნული ნაკრძალი, 9 ეროვნული პარკი, 17 დაცული ტერიტორია, 14 ეროვნული ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი, სადაც უკვე შექმნილია ან იქმნება ეკოტურიზმის შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ბევრი ტურისტისთვის საქართველო მიმზიდველია თავისი ბიომრავალფეროვნებით. საქართველოში, სხვა ევროპის ქვეყნებთან შედარებით ქვეყნ, უფრო მეტია ცხოველთა და მცენარის სახეობები, რაც განპირობებულია ტყეების დიდი ფართობითა და მაღალ ალპური ზონით. ფლორისა და ფაუნის, ანუ შედარებით მცირე ფართობზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების ენდემიები ძალიან მრავალრიცხოვანია. მხოლოდ ფლორას აქვს დაახლოებით 500 სახეობის ენდემური მცენარე. კლდოვან მთებზე შემორჩენილია მსოფლიოში გადაშენების პირას მყოფი ელდარის ფიჭვის ერთადერთი პატარა კორომი. ენდემური ფაუნიდან შეიძლება აღინიშნოს "თამაშის მეფე" - ქართული და კოლხური ხოხობი, პრომეთეს თაგვი, რომელიც გვხვდება მხოლოდ აფხაზეთში, სვანეთში და აჭარის მთიან მხარეში, ასევე კავკასიური ტურა, რომელიც ცნობილია თავისი უნიკალური გრეხილი რქებით. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია - 2025 (2), რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მსოფლიო ბანკის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. სტრატეგიის მომზადებაში ხელისუფლების, ტურისტული ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კერძოდ, გაიმართა კონსულტაციები და სიღრმისეული დისკუსიები ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების, სპეციალურად დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ადმინისტრაციების, ინვესტორების, ტუროპერატორების, სასტუმროს მფლობელებისა და საგანმანათლებლო ტურიზმის წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025 ადგენს დარგის განვითარების ხედვას 2015-2025 წლებისთვის. მთავრობის მოქმედების სტრატეგიულ გეგმასთან ერთად ტურიზმის ღირებულებისა და მნიშვნელობის გაზრდის მიზნით ქვეყნის ეკონომიკის და, საბოლოო ჯამში, მისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ. მრეწველობის განვითარების გეგმა შემუშავდა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის გზით, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ტურისტების კმაყოფილება, დივერსიფიკაცია გაუწიოს ბაზარს და პროდუქტების შეთავაზებას, მიაღწიოს ტურისტული ინდუსტრიის ზომისა და მომგებიანობის მდგრად ზრდას და გააუმჯობესოს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები.

სტრატეგია მიზნად ისახავს რვა სტრატეგიული მიზნის მიღწევას:

- პატივისცემის დამოკიდებულების განვითარება, საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის აღდგენა და შენარჩუნება;
- ტურისტებისთვის უნიკალური ავთენტური გამოცდილების ჩამოყალიბება ამ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გაცნობის საფუძველზე;

- დარგის კონკურენტუნარიანობის გაზრდა ტურისტებისთვის მსოფლიო დონის სერვისების მიწოდებით;
- ტურისტების მოზიდვა მაღალი ხარჯების ბაზრებიდან ტურისტული სერვისების მარკეტინგის გაფართოებითა და გაუმჯობესებით;
- ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისა და ტურისტული ინდუსტრიის ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობების გაფართოება და განვითარება;
- ტურიზმის სექტორში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდა;
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და შიდა ინვესტიციების გაზრდის მიზნით;
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის მისაღწევად აუცილებელია მთავრობას, ტურისტულ ინდუსტრიას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება.

მოსალოდნელია, რომ სტრატეგია გაზრდის ტურისტული ინდუსტრიის წვლილს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ 2025 წლისთვის ქვეყანამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი: 1,8 მილიარდი ლარიდან (დაახლოებით 670 მილიონი აშშ დოლარი) 5,5 მილიარდ ლარამდე (2 მილიარდი აშშ დოლარი).

საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად ამახვილებს ყურადღებას ტურისტული ბაზრების დივერსიფიკაციაზე, ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, კერძო სექტორის დახმარებაზე მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქტის შექმნაში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და შიდა ტურისტული ბაზრის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. ამავდროულად, ინფრასტრუქტურის განვითარება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა იქნება ტურიზმის ინდუსტრიის ზრდისა და პროგრესის მამოძრავებელი ძალა.

სტუმართმოყვარე საქართველო გვთავაზობს დასვენების მრავალფეროვან სახეობას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც აქტიური, ისე ექსტრემალური ტურიზმის მოთხოვნილება, ასევე ზღვის სანაპიროზე უფრო მშვიდი დასვენება სამედიცინო პროცედურებით, ადგილობრივ კულტურულ ღირსშესანიშნაობებსა და ღვინის ქარხნების ვიზიტებით. საქართველოს ეროვნული სამზარეულო და ღვინოები ქვეყანაში იზიდავს გურმანებს მთელი მსოფლიოდან. ის ტურისტებს სთავაზობს როგორც მიზანმიმართულ, ასევე კომბინირებულ ტურებს, რაც დამსვენებლებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შთაბეჭდილებები საქართველოში სტუმრობისას.

ტურისტული სერვისების შემდეგი ტიპები შემოთავაზებულია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე:

ბიზნეს ტურები, მათ შორის კონფერენციებისთვის (მისი მდებარეობისა და მსხვილი სასტუმროს ბრენდების ფართო ქსელის გამო, როგორიცაა Radisson, Intercontinental, Holiday Inn, Georgia, გთავაზობთ საქმიანი მოგზაურობის მომსახურებას);

კულტურული და რელიგიური ტურები (კულტურული ტურები საშუალებას აძლევს ტურისტებს ნახონ ისტორიული და კულტურული ძეგლები, რომლებითაც საქართველო ძალიან მდიდარია; საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას

აქვს მდიდარი ისტორია: უძველესი ტაძრები და სამონასტრო კომპლექსები მდებარეობს ქვეყნის ყველა რეგიონში);

სათხილამურო ტურები (ზამთრის სათხილამურო კურორტები - გუდაური, ბაკურიანი, მესტია - გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს);

ეკო ტურები (ქვეყანაში არის მრავალი დაცული ტერიტორია უნიკალური ფლორისა და ფაუნით);

სამთო ტურები (მთები შეადგენენ ქვეყნის ტერიტორიის 85%-ს, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კავკასიონის ქედი შხარას და ყაზბეკის მწვერვალებით, რაც დიდ ინტერესს იწვევს მთამსვლელებისთვის, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მოყვარულებისთვის);

სოფლისა და აგროტურიზმი (სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი ამ ტიპის ტურიზმის, განსაკუთრებით ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის);

სამედიცინო ტურიზმი (საქართველოში არის უნიკალური კურორტები სამკურნალო კლიმატით, წყლით, ტალახით და ა.შ.);

სათავგადასავლო ტურები და ტურები მდინარის კანიონებში;

საკურორტო ტურები (ამ ტიპის დასვენება კონცენტრირებულია შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე).

საქართველო ტურისტებს სთავაზობს 103 კურორტს და 182 საკურორტო ადგილს, ასევე 2400 სახეობის მინერალურ და თერმულ წყალს. კურორტები ავითარებენ და აუმჯობესებენ შესაბამის ინფრასტრუქტურას, აფართოებენ სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობებს.

ბოლო წლებში სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა სიღნაღში, ყვარელში, ბათუმში, ანაკლიაში, ქობულეთში, მცხეთაში, გუდაურში და სხვა ქალაქებში. ამ პროექტებმა ტურისტების მოზიდვასაც შეუწყო ხელი. მაგალითად, ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტად იქცა, მთელი აჭარა კი მიმზიდველ საკურორტო რეგიონად. საქართველოში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურები მაღალმთიან ადგილებში, როგორიცაა სვანეთის უშგულის თემი. ამ ადგილს ხშირად ევროპის „სახურავს" უწოდებენ, რადგან ის ზღვის დონიდან 2200 მ სიმაღლეზე მდებარეობს და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მუდმივ დასახლებად ითვლება. აქტიური დასვენების მოყვარულთათვის საქართველო ავითარებს სამთო ტურებს ყაზბეგში, ხევსურეთში და სხვა მაღალმთიან რეგიონებში. ასევე, ყოველდღიურად იხვეწება ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურა, როგორც მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სახეობა კავკასიის დაცულ ტერიტორიებზე.

იუნესკომ და საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მდგრადი ტურიზმისა და მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების მხარდასაჭერად კოლხეთის ტყეებისა და ჭაობების (საქართველო) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებში (4).

UNESCO-სა და DFPA-ს შორის 150 000 აშშ დოლარის ღირებულების პარტნიორობა ხელს შეუწყობს საქართველოს მდგრადი ტურიზმის აღდგენას ვიზიტორთა მენეჯმენტის გაძლიერებით და ქონების გამორჩეული უნივერსალური ღირებულების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

როგორც პარტნიორობის ნაწილი, განხორციელდება მნიშვნელოვანი შესაძლებლობების ამაღლების აქტივობები, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მემკვიდრეობის მენეჯმენტის პერსონალის, ვიზიტორთა მომსახურების გუნდებისა და ადგილობრივი რეინჯერების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. „ნაღდი ფული სამუშაოსთვის" ინიციატივა შექმნის მოკლევადიან სამუშაო შესაძლებლობებს უმუშევარი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც გაივლიან ტრენინგს მემკვიდრეობის დაცვის მხარდასაჭერად და საკუთრებაში არსებული სარემონტო და კონსერვაციის სამუშაოების შესასრულებლად.

კოლხური ტყეები და ჭაობები განლაგებულია 80 კმ სიგრძის დერეფანში შავი ზღვის თბილი ზომიერი და უკიდურესად ნოტიო აღმოსავლეთ სანაპიროზე. იგი მოიცავს საქართველოს ოთხ დაცულ ტერიტორიას: კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებს და კინტრიშისა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს. უბანი მდიდარია ბიომრავალფეროვნებით, დაახლოებით 1 100 სახეობის სისხლძარღვოვანი და არასისხლძარღვოვანი მცენარეებით, მათ შორის 44 საფრთხის ქვეშ მყოფი სისხლძარღვთა გეგმის სახეობები და თითქმის 500 სახეობის ხერხემლიანები და დიდი რაოდენობით უხერხემლო სახეობები. ადგილზე ასევე არის 19 საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველის სახეობა, მათ შორის ზუთხი, განსაკუთრებით გადაშენების პირას მყოფი კოლხური ზუთხი.

მდგრადი ტურიზმი არის კეთილსინდისიერი მოგზაურობა. ეს ნიშნავს, იყოთ ფრთხილად იმ გარემოსთან, რომელსაც იკვლევთ და პატივი სცეთ იმ თემებს, რომლებსაც სტუმრობთ. მდგრადი მოგზაურობის ორი გადაფარვის კომპონენტია ეკოტურიზმი და ეთიკური ტურიზმი . საერთაშორისო ეკოტურიზმის საზოგადოება (TIES) განსაზღვრავს ეკოტურიზმს, როგორც პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებრივ ადგილებში, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ეკოტურიზმი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კოლხეთის ტყეებისა და ჭაობების შემოსავლების გასაძლიერებლად, გრძელვადიანი კონსერვაციისა და ფინანსური მდგრადობის მისაღწევად. მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტის ტრენინგის, ინტერპრეტაციის გაუმჯობესებისა და ახალი ეკოტურიზმის პროდუქტების შემუშავების გზით - პარტნიორობა ხელს შეუწყობს მსოფლიო მემკვიდრეობის საკუთრების მთლიანი მენეჯმენტის გაძლიერებას.

პარტნიორობა ხორციელდება 2 მილიონი ევროს ღირებულების COVID-19 ტურიზმის აღდგენის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მიერ, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-თან თანამშრომლობით. პროექტი ამჟამად ხორციელდება მსოფლიო მემკვიდრეობის ცხრა საკუთრებაში სხვა ექვს ქვეყანაში: ბოსნია და ჰერცეგოვინა, კამბოჯა, ინდონეზია, კენია, ნამიბია და ვიეტნამი.

ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, საქართველო მიზნად ისახავს 2025 წლისთვის გახდეს წამყვანი ტურისტული ქვეყანა, რომელსაც შეუძლია წლის ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მსოფლიო დონის მომსახურება.

ჩვენ მიმოვიხილეთ მდგრადი ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, მდიდარი ბიომრავალფეროვნებით - ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით. იგი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეუძლია ამ ბუნებრივ აქტივებს დადებითად შეუწყოს ხელი ქვეყნის

მდგრად განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას. მდგრადი ტურისტული პრაქტიკის პოპულარიზაციის გზით, საქართველოს შეუძლია გამოიყენოს თავისი ბუნებრივი სილამაზე, როგორც ეკონომიკური სარგებლის მოსაპოვებლად, ასევე გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. ეს მიდგომა არა მხოლოდ მხარს უჭერს ქვეყნის განსაცვიფრებელი ლანდშაფტების შენარჩუნებას, არამედ აუმჯობესებს ადგილობრივი თემების ცხოვრების ხარისხს, ხელს უწყობს კულტურულ გაცვლას და გარემოს დაცვას კარგად მართული და დაბალანსებული მიდგომის მეშვეობით საქართველოს აქვს შესაძლებლობა შექმნას ჰარმონიული ურთიერთობა მის ბუნებრივ რესურსებს, ტურისტულ ინდუსტრიასა და მისი ხალხის კეთილდღეობას შორის მომავალი წლების განმავლობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://www.worldwildlife.org/
2. ალადაშვილი მ. ტურიზმი, გლობალიზაცია და მდგრადი განვითარება/ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. N3, 2017
3. დევაძე ნ., ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები. დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ბათუმი, 2019
4. Butler R.W. The Concept of a Tourist Area Cycle of Evolution: Implication for the Managment of Resources, The Canadian Geographer, 25, 1980.



***Giorgi Tchotchua***

*PhD student The Faculty of Business and Social Sciences*

*Sokhumi State University.*


## Landscape diversity of Georgia and perspectives of sustainable tourism
## Expanded Summary

The essay examines sustainable tourism prospects in Georgia, a country with different landscapes ranging from mountains to the sea, as well as a high variety in terms of flora and fauna. It emphasizes how these natural treasures can positively contribute to the country's long-term destiny and society. Georgia can exploit its natural beauty to achieve economic benefits while protecting its environment and cultural heritage by supporting responsible tourism practices.  This method not only helps to preserve the country's beautiful landscapes, but it also improves the quality of life in local communities, promotes cultural interchange, and promotes environmental conservation. Georgia has the opportunity to develop a harmonious relationship between its natural resources, tourism sector, and the well-being of its people for years to come through a well-managed and balanced approach to tourism.

The collaboration between UNESCO and the Protected Areas Development Fund of Georgia (PADF) is a concerted effort to promote sustainable tourism and protect cultural assets inside Georgia's Kolkheti Forests and Marshes World assets Sites. This project, supported by a $150,000 reciprocal financial commitment from both organisations, aims to revitalize and develop sustainable tourism practices in Georgia.

The primary goal of this collaboration is to strengthen visitor management mechanisms and raise awareness of the intrinsic and unmatched significance of the designated cultural sites. The agreement recognizes the critical connection between responsible tourism and historic

conservation, noting that preserving these sites' exceptional universal value demands a balanced approach that engages the public and stakeholders in sustainable tourism practices.

The emphasis on capacity building is a critical aspect of this collaboration. The parties involved understand that the experience and capacities of individuals entrusted with heritage site stewardship are critical to the effective management of cultural sites and the successful implementation of sustainable tourism practices. As a result, the collaboration focuses on the professional development of heritage management staff, the enhancement of visitor service teams' skills, and the expansion of the skill set possessed by local ranger enclaves. This multifaceted approach to capacity building recognizes the rich mosaic of responsibilities required to fulfill the difficult demands of heritage preservation and sustainable tourism holistically.

The "Cash for Work" program is a prominent and creative component of this collaborative project. This program is envisioned as a method to provide work possibilities for unemployed youngsters while also addressing societal needs and building a cadre of individuals capable of contributing effectively to heritage protection. Through specialized training, these young people are prepared to take on critical maintenance and conservation activities, fostering a symbiotic relationship between social well-being and cultural preservation.

Finally, the collaboration between UNESCO and the PADF is a laudable step toward the alignment of sustainable tourism and cultural conservation goals. This collaboration holds the promise of developing an ethos of responsible tourism while safeguarding the enduring legacy of the Kolkheti Forests and Marshes World Heritage Sites by utilizing financial resources, expertise, and a variety of capacity-building projects. This attempt is significant not only for Georgia's historic and environmental legacy, but it also serves as a model for the global coexistence of tourism and preservation.

*მარიამ ქუთათელაძე*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი*

## სასტუმრო მომსახურების ხარისხისზე მოქმედი ფაქტორები და შეფასების ძირითადი ასპექტები

***ანოტაცია.*** *სტატიაში, როგორც მისი სათაურიც გვიჩვენებს, განხილულია: 1. სასტუმრო მომსახურების ხარისხისზე მოქმედი ფაქტორები; 2. სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების ასპექტები. აღნიშნული საკითხები შესწავლილია როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ასევე - პრაქტიკულ ჭრილში.*

*სათანადო ინფორმაციით სტატიის ავტორი არგუმენტირებულად ასაბუთებს, სასტუმრო მომსახურების თავისებურებას, რომელიც მის არამატერიალურ „აღქმასა“ და განუყოფელობასთან ასოცირდება. იგი საჭიროდ მიიჩნევს სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასებისას, მხედველობაში იქნას მიღებული სტუმრების „აღქმის“ მახასიათებლები, რომლებიც სხვა ელემენტთა შორის, უპირობოდ უკავშირდება კვალიფიციურ პერსონალსა და მის ინდივიდუალურ უნარებს და დასახელებულია, როგორც მომსახურების* ***საერთო*** *ხარისხის საუკეთესო განმაპირობებელი ფაქტორი.*

*სასტუმრო „ბილტმორ თბილისის“ გამოკვლევისას დადასტურებულია შემდეგი მეთოდოლოგიური ჰიპოთეზების მართებულობა:*
*ა) მომსახურების ხარისხი პოზიტიურ კავშირშია სასტუმროში სტუმართა „კმაყოფილებასთან;“*
*ბ) პერსონალი დადებით გავლენას ახდენს სტუმართა „კმაყოფილებაზე;“*
*გ) სტუმართა „კმაყოფილება“ დადებითად მოქმედებს სტუმართა ერთგულებაზე;*

***საკვანძო სიტყვები:*** *სასტუმრო მომსახურების ხარისხი; სასტუმრო მომსახურების მახასიათებლები; მომსახურების ხარისხის „აღქმა,“ სტუმართა „კმაყოფილება,“ სტუმართა „ლოიალობა.“*

### შესავალი

გლობალიზაციის რთული და მრავალფეროვანი პროცესის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული) პირობებში, სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული ნებისმიერი კომპანიის მომსახურების მაღალი დონის ხარისხის უზრუნველყოფა და შენარჩუნება წარმოადგენს, მისი განვითარების ძლიერ ბერკეტს . ამასთან, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს წარმომადგენლებსა და მომხმარებელთა შორის საქმიანობის მუდმივ სრულყოფასთან. მხედველობაშია, საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორების თანამედროვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (Katsitadze, N., end all., 2023), რაც არცთუისე მარტივი საქმეა და გულისხმობს მრავალი ფაქტორის მხედველობაში მიღებას. „პერსონალმა უნდა შექმნას ისეთი მაღალი პასუხისმგებლობის შეკრული გუნდი, რომელიც შეძლებს ვიზიტორებს შესთავაზოს უნაკლო სერვისი, და, რაც მთავარია, დაუგვიანებლად და შეუფერხებლად ჰქონდეს რეაქცია შეცვლილ გარემოსა და ტურისტების თანამედროვე მოთხოვნილებაზე“ (Baliashvili Elisabedi, 2023).

სასტუმრო მომსახურების თავისებურების არსი ხშირ შემთხვევაში, მის არამატერიალურ „აღქმასა“ და განუყოფელობასთან ასოცირდება. კლიენტები სასტუმროში ვიზიტისას გარკვეულ თანხას იხდიან არამხოლოდ დაბინავებისთვის, არა-

მედ - გაწეული მომსახურების დროს მიღებული შთაბეჭდილებებისთვის (Katsitade, N., 2018). მომხმარებელთა „აღქმები" შეიძლება გამოწვეული იყოს სასტუმროში არსებული ინტერიერითა და ექსტერიერით, შესაბამისი ქვეყნის კულტურისა და სამზარეულოს გაცნობით, კვალიფიციური პერსონალით, მისთვის დათმობილი ყურადღებით, დაფასებით, ასევე სისუფთავითა, კომფორტით, და სხვა.

პერსონალს, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური კავშირები გააჩნია სტუმრებთან, ტურისტების მიერ აღიქმება როგორც - მომსახურების პაკეტის განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია კვალიფიციურმა კადრმა კარგად გააცნობიეროს მომსახურების მახასიათებლები და ამის საფუძველზე განახორციელოს ეფექტური საქმიანობა, რომელშიც მოიაზრება მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა ტურისტული პროდუქტის მიწოდების თვალსაზრისით. ხარისხზე ორიენტირებული კომპანია კი, როგორც ეფექტური და მოქნილი ბიზნეს-სტრუქტურა, ყოველთვის სარგებლობს კონკურენტული უპირატესობით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე.

****

წარმატებული სასტუმრო კომპანიის წარმომადგენლები ყოველთვის ხელმძღვანელობენ მარკეტინგის საყოველთაოდ აღიარებული მთავარი წესით - „მომხმარებელი ყოველთვის მართალია," რასაც არაერთი მეცნიერის კვლევის შედეგები განაპირობებს. ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროს სპეციალისტი, პიტერ დრუკერი, ბიზნეს-კომპანიების ნამდვილ მიზნად „მომხმარებლის შექმნასა და შენარჩუნებას" ასახელებს. „წარმატებული ბიზნესის მთელი ძალისხმევა მომხმარებლის შექმნისკენაა მიმართული. მოგება არის მომხმარებლის შექმნითა და შენარჩუნებით მიღებული შედეგი, რომელიც ნაკლები ხარჯით მიიღწევა" (Peter F. Drucker 1954, 1975). ამასთან, ისინი ძირითადად არჩევანს აკეთებენ საკუთარი მოსაზრებებით (დაფუძნებულია საკუთარ სურვილებს, მოთხოვნებსა და აზროვნებაზე) და არა მომსახურების მწარმოებლების შეხედულებებზე დაყრდნობით. მარკეტოლოგ ბრაიან თრეისის აზრით, „მომხმარებლები არიან ეგოისტები, მომთხოვნები, დაუნდობლები, არალოიალურები და ცვალებადნი. ისინი აუცილებლად შეიცვლიან მომმარაგებლებს, თუ ჩათვლიან, რომ სხვა უკეთესად მოემსახურებათ" ( ბრაიან თრეისი, 2018).

მომხმარებელთა ქცევის შესწავლა უკანასკვნელ პერიოდში დაუკავშირდა არამხოლოდ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, არამედ - სოციოლოგიას, სემიოტიკას და სხვა სფეროებს. აღნიშნული საკითხისადმი კომპლექსურმა მიდგომამ, მომხმარებელთა ქცევის პროცესის განსახილველი მეთოდოლოგია (თანამედროვე მეთოდები, ინტეგრირებული შეხედულებები და მოსაზრებები) გააფართოვა. (სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა.ჯაჯი, თბ., 2009; Nick Jain, September 8, 2023; Gari Amstrong, Philip Kotler; 7/e. საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია; 2006). გარდა ამისა, გაჩნდა დამატებითი გააზრების საშუალება იმ ფაქტორებთან და გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომლებიც უშუალოდ ფოკუსირებულია მომხმარებელთა ქცევით ზრახვებზე. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ზუსტი პროგნოზების გაკეთება კომპლექსური მიდგომებითაც არის შეუძლებელი, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ხშირად ღრმადაა დაფარული და ადამიანის გონების ბნელ კუნჭულში შეღწევა ძნელია.

ძირითად ფაქტორებში, რომლებიც მოქმედებენ მომხმარებელთა ქცევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, მარკეტინგული სტიმულების მიღმა

მოიაზრება: ***კულტურული, სოციალური, პიროვნული და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელიც თავის მხრივ უამრავ ქვეკომპონენტს მოიცავს.*** შედარებით ადვილია შეფასდეს კულტურული და სოციალური ფაქტოები, მაგრამ მომხმარებლის ეგრეთ წოდებულ „შავ ყუთში“, გადაწყვეტილებაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოტივაცია, აღქმა, რწმენა, დამოკიდენულება და სხვა. მოტივირებული მომხმარებელის ქცევას ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე განსაზღვრავს მისი სიტუაციური აღქმა, რადგან ერთი და იგივე საჭიროების მქონე ინდივიდები, იდენტურ სიტუაციაში განსხვავებულად იქცევიან. „რწმენა არის შეხედულება, რომელსაც ადამიანი ფლობს რაღაცის შესახებ, დამოკიდებულება არის თანმიმდევრული ხედვა რაღაცის შესახებ, რომელიც მოიცავს რწმენას, აგრეთვე ემოციურ გრძნობებს და მონათესავე ქცევებს“ (მარი ბერიანიძე, 2021).

მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ტურიზმისა და მასპინძლობის, მათ შორის, სასტუმრო ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე დომინანტური თემაა, რომელიც მოითხოვს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაო გამოცდილებას. მასზე გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხის „აღქმა“ (Anderson, Fornell, & Lehmann, 1994). როგორც წესი, კლიენტის აზრი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ იწვევს მის კმაყოფილებას (Oliver, 1999) და შესაბამისად, პირდაპირ გავლენას ახდენს ქცევითი ზრახვების ხელმეორედ შეძენაზე (Yee et al., 2008). სასტუმრო კომპანიების სტუმართა „კმაყოფილება“ პოზიტიურ კავშირშია მომსახურების ხარისხთან. (Abbas Al-Refaie, 2014). ასევე, სტუმართა „კმაყოფილება“ მიჩნეულია ერთგული ქცევის წინაპირობად. კმაყოფილ კლიენტებს გააჩნიათ პოტენციალი ჩამოყალიბდნენ ლოიალურ მომხმარებლებად, რომლებიც არა მხოლოდ ხელმეორედ ისარგებლებენ არსებული მომსახურებით, არამედ გაავრცელებენ პოზიტიურ შეფასებებს შესაბამისი ორგანიზაციის შესახებ გარდა ამისა, ისინი შეიძლება უფრო ტოლერანტულები აღმოჩნდნენ შესაძლო წარუმატებელი მომსახურების მიმართ. (Abbas Al-Refaie, 2014 ).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სასტუმრო ბიზნესში საერთაშორისო ბრენდირებულ სასტუმროთა წარმომადგენლები მომხმარებლებს მოიხსენიებენ როგორც სტუმრებს, რაც აიხსნება მათდამი დიდი პატივისცემის გამოხატულებად. „მომხმარებელი არის ის, ვინც ყიდულობს პროდუქტს ან მომსახურებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტუმრები არ არიან მომხმარებლები ან კლიენტები, მაგრამ ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე სხვა დანარჩენი.“ (College of Tourism and Hotel Management Dubai https://cothm.ae/about-cothm/) ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ პოზიციას და ნაშრომში სასტუმროსთან მიმართებაში, ვსარგებლობთ „სტუმრის“ ტერმინით.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასტუმროს ბიზნესი ოპერირებს მაღალ კონკურენტულ გარემოში. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესმა უზრუნველყოს (მაქსიმალურად გაზარდოს) სტუმართა „კმაყოფილება“ და ლოიალობა. მათი „კმაყოფილება“ დადებითად აისახება ფირმის მომგებიანობაზე, რაც განპირობებულია შესყიდვების უფრო მაღალი დონით, საფასო მგრძნობელობის შემცირებით და სხვა ბრენდით ჩანაცვლების ნაკლები ვარაუდით (Abbas Al-Refaie, 2014 ).

სასტუმრო მომსახურების ხარისხის განმარტების არაერთი ვერსია არსებობს. სხვადასხვა უცხოელი მკვლევარი (N.M. Stefano, N. Casarotto Filho, R. Barichello, A.P. Sohn., 2015) ხაზს უსვავს „ხარისხსსა“ და სტუმართა „კმაყოფილებას“ შორის ურთიერთდამოკიდებულებას და მასზე დაყრდნობით განსაზღვრავს მომსახურების ხარისხის არსს. „იგი შედგება როგორც ხელშესახები ელემენტებისაგან, ასევე არა-

მატერიალური და სუბიექტური კომპონენტებისგან, ეს არის შედარება სტუმართა მოლოდინებსა და სასტუმროსგან მიღებულ ხარისხს შორის.” ყოველივე ამის გათვალისწინებით, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ***„სასტუმრო მომსახურების ხარისხი“*** განმარტებულია, როგორც აბსტრაქტული და მიუწვდომელი კონსტრუქცია, მისი მახასიათებლების მხედველობაში მიღებით: 1. ***წარმოების და მოხმარების ბუნდოვანება; 2. ჰეტეროგენულობა (არაერთგვაროვნება) და 3. განუყოფელობა.*** როგორც უცხოელი ავტორები აღნიშნავენ, სინამდვილეში მომსახურების ხარისხი არ შეიძლება ისევე ობიექტურად შეფასდეს (გაიზომოს), როგორც სამრეწველო საქონლის ანალოგიური მაჩვენებელი (Anne P., Crick, Andrew Spencer., 2011; Zeithaml, V.A., Parasuraman, A. and Berry, L.L. (1990).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მსოფლიოს ბევრი მეცნიერის კვლევის საგანს სწორედ მომსახურების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები, კერძოდ, მისი განმსაზღვრელი დეტერმინანტების იდენტიფიცირება წარმოადგენს.

სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სწორედ ის ***ძირითადი დეტერმინანტები, რომლებიც კომპანიის სერვისების თითოეული ტიპისთვის შეიძლება არსებობდეს ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორთა გარკვეული „ნაკრების“ სახით.*** 1985 წელს აკადემიური მკვლევარების ჯგუფის მიერ, მომსახურების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი ჩამოყალიბდა კიდეც ამ ფორმით (Parasuraman A, Zeithaml V, Berry L., 1985). მარკეტოლოგმა პარასურამანისმა და მისმა თანაავტორებმა შეიმუშავეს მომსახურების ხარისხის კონცეპტუალური მოდელი ***„SERVQUAL,“*** რომელიც წარმოადგენს გარღვევას მომსახურების ხარისხის შესაფასებლად გამოყენებულ საზომ მეთოდებში. აღნიშნულ ინსტრუმენტს, როგორც კვლევის მეთოდს, იყენებენ სასტუმრო კომპანიების სტუმართა მომსახურების მოლოდინებისა და სერვისების „აღქმის“ შეგროვებისა და ანალიზისთვის. თავდაპირველად მოდელში წარმოდგენილი მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრების „ნაკრები“ დაფუძნებული იყო 12 დეტერმინანტზე: ხელშესახებლობა/მატერიალური აქტივები, წვდომა, კომუნიკაცია, სტუმართა გაგება/შეცნობადობა, უსაფრთხოება, თავაზიანობა, კომპეტენცია, ნდობა, რეაგირება/საპასუხო ქმედება, რწმენა (იხ. ცხრილი #1).

***ცხრილი #1***

**სასტუმრო მომსახურების ხარისხის „აღქმის“ (Gap12-ის) გამოსათვლელად შემუშავებული პარამეტრების „ნაკრები“ „SERVQUAL“ -ის მიხედვით**

| *პარამეტრების “ნაკრების” დეტერმინანტები/კრიტერიუმები* | შინაარსი /აღწერილობა |
|---|---|
| 1. ხელშესახებლობა, მატერიალური აქტივები ***(Tangibles*** ) | ტვირთის ტრანსპორტირების ხელშეწყობისა და გარემო პირობების ფიზიკური მდგომარეობა. შენობების, დანადგარებისა და აღჭურვილობის გარეგნობა, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად; პერსონალისა და საკომუნიკაციო საშუალებების ვიზუალიზაცია. |
| **2.** მორგება **(Customization)** | მომსახურებაში ცვლილებების შეტანის (კორექტირება) სურვილი და შესაძლებლობა სტუმრის საჭიროებისამებრ |
| 3. წვდომა (***Access***) | სტუმართან კონტაქტის ხელმისაწვდომობა და სიმარტივე. სამუშაოს შესრულებისთვის მოსახერხებელი დრო, სასტუმროს ადგილმდებარეობა, ლოკაცია |

| | |
|---|---|
| 4. კომუნიკაცია (**Communication** ) | არსებული სერვისების შესახებ სტუმრის ინფორმირებულობა მისთვის გასაგებ ენაზე და მისი გულდასმით მოსმენა. ინფორმაცია, დაკავშირებული მომსახურებისა და მისი ხარჯების ახსნასთან, გარანტირებულობა იმისა, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს ნებისმიერი პრობლემა ეფექტურად. |
| 5. სტუმართა გაგება/შეცნობადობა (***Understanding/knowing the customer***) | სტუმრის ინდივიდუალური საჭიროებებისა და კონკრეტული მოთხოვნების გაგება, მისთვის პერსონალიზებული ყურადღების მიქცევა. ეს, თავის მხრივ, იწვევს კლიენტის აღფრთოვანებას მისი მოლოდინების გადაჭარბებით და მის „ერთგულ" სტუმრად ჩამოყალიბებას. |
| 6. უსაფრთხოება ***(Security)*** | საფრთხის, რისკისა და ეჭვისგან გათავისუფლება. დაკავშირებულია ფიზიკურ და ფინანსურ უსაფრთხოებასთან, აგრეთვე, კონფიდენციალურობასთან. |
| 7. თავაზიანობა ***(Courtesy)*** | სტუმართან უშუალო კონტაქტში მყოფი პერსონალის სუფთა და მოწესრიგებული გარეგნობა. ფრთხილი დამოკიდებულება კლიენტის ნივთებისადმი, რაც ვლინდება თანამშრომლის კეთილგანწყობით, პატივისცემით, ყურადღებიანობით და ზრდილობიანობით. |
| 8. კომპეტენცია ***(Competence)*** | მომსახურების ეფექტურად გაწევისათვის პერსონალის მიერ საჭირო, სპეციალიზირებული უნარ-ჩვევების, ცოდნისა და ინფორმაციის ფლობა. |
| 9. ნდობა ***(Credibility)*** | მომსახურებისადმი ნდობის ხარისხის დაკავშირება „წინა ხაზის" პერსონალის პიროვნულ თვისებებთან: პატიოსნება, პუნქტუალურობა, ინტელექტი და კეთილგანწყობა. ასევე, სერვისების მიმწოდებლის სახელთან და კომპანიის რეპუტაციასთან. სტუმრის ნდობის მოპოვებისთვის - დაპირებული მომსახურების დროულად, ზუსტად და საიმედოდ შესრულება. |
| 10. რწმენა (***Reliability)*** | დაპირებული სერვისის საიმედოდ და ზუსტად შესრულების შესაძლებლობა. სერვისი პირველივე ჯერზე სწორად, უხარვეზოდ არის მიწოდებული, განრიგი დაცული, ჩანაწერები განახლებული, განრიგი დაცული და ა.შ. |
| 11. რეაგირება/საპასუხო ქმედება ***(Responsiveness***) | მომსახურების ოპერატიულობა და საჩივრებზე ეფექტურად რეაგირება. დაკავშირებულია პერსონალის სურვილთან და მზაობასთან, სტუმრისთვის სწრაფად და დროულად სერვისების მისაწოდებლად. |
| 12. ღირებულება **(Cost)** | მომსახურებისთვის გადახდილი ფასი. მიუხედავად იმისა, რომ იგი განიხილება, როგორც კონკურენტული უპირატესობის კრიტერიუმი, დიდ გავლენას ახდენს კომპანიის სტრატეგიულ პოზიციონირებაზე, რომელსაც შეუძლია ფასი და ხარისხი განიხილოს განსხვავებულ მახასიათებლებად. |

***ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: Parasuraman A, Zeithaml V, Berry L. 1985***

1990-იანი წლების დასაწყისისთვის (მეცნიერთა ბევრი კრიტიკის გამო) ავტორებმა დახვეწეს მოდელი. მასში შემავალი დეტერმინანტები საბოლოოდ გაერთიანდა და დაყვანილ იქნა ხუთ განზომილებამდე, რადგან, კითხვარის ტესტირებისას ახალი პარამეტრების ნაკრები შედარებით სტაბილური და საიმედო აღმოჩნდა. „SERVQUAL“ ინსტრუმენტს ახლა განიხილავენ, როგორც არსებითად მრავალგანზომილებიან ინსტრუმენტს Gap 5-ის გამოსათვლელად (განსხვავება „აღქმასა“ და „მოლოდინს“ შორის - „აღქმული“ ხარისხი) (Stefano, N.Ma, Casarotto Filho, N.b, Barichello, R.c, Sohn, A.P.d. 2015). მხედველობაშია, სასტუმროს სტუმართა შეხედულებები ხუთ საკვანძო პარამეტრთან დაკავშირებით, რომლებიც აღიარებულია, როგორც მომსახურების ხარისხის საუკეთესო მაჩვენებლები. მათ ჩამონათვალს მიეკუთვნება:

1. ხელშესახებლობა/მატერიალური აქტივები (***tangibles):*** ფიზიკური ობიექტების, აღჭურვილობის, პერსონალის და საკომუნიკაციო საშუალებებეის გარეგნული სახე;
2. საიმედოობა (***reliability):*** დაპირებული მომსახურების დროულად, ზუსტად და საიმედოდ მიწოდების შესაძლებლობა;
3. სანდოობა/გარანტირებულობა ***(assurance);*** თანამშრომელთა ცოდნა და თავაზიანობა, ასევე, მათი უნარი ნდობისა და დარწმუნების მოსაპოვებლად;
4. ემპათია ***(empathy).*** ზრუნვისა და ინდივიდუალური ყურადღების მიქცევის ოდენობა, რომელსაც ფირმა უწევს თავის კლიენტებს.
5. წვდომა (***Access)*** სტუმართან მიდგომისა და კონტაქტის ხელმისაწვდომობა და სიმარტივე.

„SERVQUAL“-ის ამჟამინდელი სკალა/კითხვარი არის ძირითად მონაცემთა ბაზა, რომელშიც მომსახურების ხარისხის განმაპირობებელ საუკეთესო 5 პარამეტრზე დაყრდნობით, წარმოდგენილია 22 ქვეკრიტერიუმი, რომლითაც მოწმდება განსხვავება „აღქმასა“ და „მოლოდინს“ შორის - „აღქმული“ ხარისხი სტუმრების მიერ. იხილეთ ცხრილი #2.

***ცხრილი #2***

***სასტუმრო მომსახურების ხარისხის „აღქმის“ (Gap 5-ის) გამოსათვლელად შემუშავებული პარამეტრების ნაკრები „SERVQUAL“-ის მიხედვით***

| *„ნაკრების“ დეტერმინანტები/კომპონენტები* | **ქვეკომპონენტების აღწერილობა** |
|---|---|
| 1.ხელშესახებლობა/მატერიალური აქტივები (***tangibles)*** ფიზიკური ობიექტების, აღჭურვილობის, პერსონალის და საკომუნიკაციო საშუალებებეის გარეგნული სახე | 1. ვიზუალუარდ მიმზიდველი შენობები და ობიექტები |
| | 2. შენობის შიდა ადგილების/ინტერიერის ადექვატური ტევადობა (შეხვედრების ადგილები, სასადილო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, საცურაო აუზები და ა.შ.). |
| | 3. თანამედროვე აღჭურვილობა კარგი ვიზუალით (კონდიციონერი, ავეჯი, ლიფტი, საკომუნიკაციო საშუალებები და ა.შ.). |
| | 4. ცხოვრებისათვის კომფორტული და შესაფერისი ატმოსფერო და აღჭურვილობა (კომფორტული, სუფთა და მშვიდი - საწოლები, სკამები, შეზლონგები, და ა.შ.ნომრების/ოთახების ხარისხი) |
| | 5. აღჭურვილობის მუშაობა შეუფერხებლად |

| | |
|---|---|
| | 6. მომსახურების გასაწევად საჭირო ადეკვატური და საკმარისი რაოდენობის საშუალებები (საპონი, შამპუნი, პირსახოცი, დუშ-გელი და ა. შ.) |
| | 7. საკვებისა და სასმლის მომზადება და სტუმრისთვის მირთმევა ჰიგიენური თვალსაზრისით ადეკვატურად და საკმარისი რაოდენობით |
| | 8. პერსონალის კარგი გარეგნული გამომეტყველება (როგორც უნიფორმის, ასევე, პირადი ჰიგიენური საშუალებების თვალსაზრისით) |
| 2. საიმედოობა (***reliability)*** დაპირებული მომსახურების დროულად, ზუსტად და საიმედოდ მიწოდების შესაძლებლობა | 9. მომსახურების მიწოდება დაპირების შესაბამისად |
| | 10. მომსახურების მიწოდება ზუსტად განსაზღვრულ ვადებში |
| | 11. ზუსტი აღრიცხვის წარმოება: დაჯავშნა, სტუმრების ჩანაწერები, ინვოისები, შეკვეთები და ა.შ.) |
| | 12. ინფორმაციის შენახვა თანამშრომლებისგან საჭიროებისამებრ |
| 3. სანდოობა/გარანტირებულობა ***(assurance)*** თანამშრომელთა ცოდნა და თავაზიანობა, ასევე, მათი ინდივიდუალური უნარი ნდობისა და დარწმუნების მოსაპოვებლად | 13. სასტუმროს მიერ სტუმრების საჩივრების გადაწყვეტა და დისკომფორტის კომპენსირება |
| | 14. სასტუმროს მიერ მომსახურების მოქნილობის უზრუნველყოფა სტუმრების მოთხოვნების შესაბამისად |
| | 15. მიწოდებული სერვისების სტაბილურობა და ხარისხიანი საკვები და სასმელი. |
| | 16. კვალიფიციური პერსონალი, თანამშრომლების ცოდნა შესრულებული სამუშაოს შესახებ და უნარები (პროფესიული შესაძლებლობები, უცხო ენა, კომუნიკაციური უნარები და ა.შ.), სტუმრებისთვის ინფორმაციის მიწოდება და დახმარება. |
| 4. ემპათია ***(empathy).*** სტუმრებისთვის ზრუნვისა და ინდივიდუალური ყურადღების მიქცევა | 17. თანამშრომლების მიერ სტუმრებისადმი ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება, სპეციალური შეთავაზებები, მათთვის პერსონალიზებული ყურადღების მიქცევა, რის გამოც ისინი თავს გრძნობენ განსაკუთრებულებად |
| | 18. თანამშრომლების მიერ სტუმართა კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრა |
| | 19. სასტუმროს მოსახერხებულობა/ადაპტირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუმრებისთვის (უზრუნველყოფილია მათთვის საჭირო აღჭურვილობა) |
| 5. წვდომა (***Access)*** სტუმართან მიდგომისა და კონტაქტის ხელმისაწვდომობა და სიმარტივე | 20. სასტუმროსა და მისი ობიექტების სამუშაო საათები მოსახერხებელია ყველა სტუმრისთვის. |
| | 21. სასტუმროს ადგილმდებარეობამდე წვდომის სიმარტივე. (სატრანსპორტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილი, მანქანის სადგომი და ა.შ.). |

| | |
|---|---|
| | 22. სასტუმროს ობიექტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვების სიმარტივე (ინფორმაციის მიღება ტელეფონით, ინტერნეტით და ა.შ., მიმართულების ნიშნები და ა.შ.). |

***ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: Parasuraman A, Zeithaml V, Berry L. 1991; Stefano, N.Ma, Casarotto Filho, N.b, Barichello, R.c, Sohn, A.P.d. 2015***

სასტუმრო მომსახურებისთვის გამოიყენება „პროდუქტი-მომსახურების სერვისის სისტემა" (PSS). (Mont, OK. 2002). იგი შედგება მატერიალური პროდუქტებისა და არამატერიალური სერვისებისგან, რომლებიც პროექტირებული და კომბინირებულია ისეთი სახით, რომ შეუძლიათ დააკმაყოფილონ სტუმრის სპეციფიკური საჭიროებები.

„SERVQUAL" სკალა საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გამოიყენება მარკეტინგული კვლევების („SWOT" ანალიზი) დროს, სასტუმროთა კონკურენტული სერვისების შედარებისას, ხარისხის განმაპირობებელ მაჩვენებელთა (რომლებიც აღემატებიან მეტოქე კომპანიების ანალოგიურ მაჩვენებლებს და რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას) განსაზღვრის დროს. ამდენად, „SERVQUAL"-ის საზომი ინსტრუმენტი, მიუხედავად ბევრი კრიტიკისა, „როგორც სჩანს, რჩება ყველაზე ყოვლისმომცველ მცდელობად კონცეპტუალიზაციისა და მომსახურების ხარისხის შესაფასებლად." (Naek, Morales, Ladhari და Pons 2002).

სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების ძირითადი თეორიული ასპექტების - სტუმართა მიერ ხარისხის „აღქმისა" და მათი „კმაყოფილების" განმაპირობებელი მახასიათებლების - პრაქტიკულ ჭრილში განხილვა ჩვენს მიერ განხორციელდა საერთაშორისო ბრენდირებული 5* სასტუმროს „ბილტმორი თბილისი" („The Biltmore Hotel Tbilisi" 5*) მაგალითზე. საინტერესო იყო დაგვედგინა შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჰიპოთეზების მართებულობა:

ა) მომსახურების ხარისხი პოზიტიურ კავშირშია სასტუმროში სტუმართა „კმაყოფილებასთან;"

ბ) პერსონალი დადებით გავლენას ახდენს სტუმართა „კმაყოფილებაზე;"

გ) სტუმართა „კმაყოფილება" დადებითად მოქმედებს სტუმართა ერთგულებაზე;

I. კვლევა ჩატარდა 2023 წლის დეკემბერის ბოლოს. მასში მონაწილეობა მიიღო **102**-მა რესპონდენტმა. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა „თვითადმინისტრირებადი" კითხვარი, რომელიც შედგენილი იყო როგორც „დახურული", ასევე, „ღია" ფორმის შეკითხვებისგან. „დახურულ" შეკითხვას თან ერთვოდა შეფასების რანჟირების სკალა, „Likert scale" 5 ბალიანი გრადაციით, სადაც რესპონდენტს უნდა მოეხდინა გარკვეული პუნქტების რანჟირება „ყველაზე მნიშვნელოვანიდან" „ყველაზე უმნიშვნელო" მიმართულების მიხედვით. რესპონდენტთა უშუალო გამოკითხვა განხორციელდა მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებული ტექნიკის - „რაოდენობრივი კვლევის მეთოდების" გამოყენებით, კონკრეტულად „ანკეტირების" მეშვეობით. კითხვარი უშუალოდ იქნა მიწოდებული სტუმრებისთვის. მიღებული მონაცემების კომპიუტერიზაცია განხორციელდა 2024 წლის იანვარს. მათი ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური პროგრამისა და „მაიკროსოფტ ექსელის" მეშვეობით. მონაცემები მომზადდა კომპიუტერულ

პროგრამაში MS Excel 2011 და დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 21.0 for Windows, გამოყენებული იყო აღწერითი სტატისტიკა და სიხშირული ანალიზი.

II. სტუმართა გამოკვლევა განხორციელდა კონტენტ ანალიზის (მონაცემთა მეორადი ანალიზი) მეთოდის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო, საერთაშორისო ონლაინ ტურისტულ სააგენტოს საიტზე BOOKING.COM (დაფიქსირებულია 2024 წლის 31 იანვარის თარიღით) „ბილტმორ თბილისი“ სასტუმროსთან მიმართებაში სტუმრების მიერ დატოვებული შეფასებების გაანალიზება. შეფასებები ეყრდნობოდა 2537 სტუმრის მიერ ბოლო სამი წლის (2021-22-23) განმავლობაში წარმოებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

აღნიშნული მეთოდების („რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - „ანკეტირება“ და „კონტენტ ანალიზი“) კომპლექსურად გამოყენება საშუალებას მოგვცემდა, მიღებული შედეგების შესაპირისპირებლად და საერთო დასკვნების გამოსატანად.

***I. სტუმართა უშუალო გამოკითხვისას, ანკეტირების მეთოდის გამოყენებით გამოიკვეთა შემდეგი:***

**1.** კითხვაზე რომლის მიზანი იყო, გამოეკვლია სტუმრების მიერ მომსახურების ხარისხის „აღქმა“, კერძოდ მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა მათ მოლოდინებთან, რესპონდენტთა 67%-მა დაადასტურა მოცემული დებულების მართებულობა; 28%-ი - ნაწილობრივ დაეთანხმა, ხოლო - 5% -მა უარყო.

**2.** საინტერესო იყო გამოვლენილიყო იმ კომპონენტთა ჩამონათვალი, რომლებიც განსაზღვრავდნენ მათ „კმაყოფილებას“ მომსახურების გაწევის პროცესში. დადგინდა, რომ სტუმრებისთვის პროფესიონალი, მაღალი კომპეტენციის მქონე პერსონალის არსებობა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე მნიშვნელოვანად შეფასდა სასტუმროს ადგილმდებარეობა. ყველაზე ნაკლებ მნიშნელოვან კომპონენტად - სტუმართა მხრიდან დასახელდა სასტუმროს აღჭურვილობა, რომელსაც 5 ბალიან სკალაზე მიენიჭა 3,9 ქულა(იხ. დიაგრამა 1.1 ) .

**3**. სტუმართა 70%-მა მხარი დაუჭირა იმ მოსაზრებას, რომ პერსონალის მხრიდან უყურადღებო და უპატივცემულო დამოკიდებულება, დროში გაჭიანურებული მომსახურება მათ მიერ აღიქმება, როგორც სასტუმრო მომსახურების დაბალი ხარისხი. 24%-მა ნაწილობრივ გაიზიარა მოცემული დებულება, ხოლო 6%-მა - უარყოფო.

***დიაგრამა 1.1 სტუმრების „კმაყოფილების“ განმსაზღვრელი კომპონენტები***



4. რესპოდენტთა 85%-მა ჩათვალა, რომ საერთაშორისო თუ ადგილობრივი სასტუმრო კომპანია „უნიკალურია“ მისი ბრენდის კაპიტალის მხედველობაში მიღებით, 15 % - მა - უარყო აღნიშნული.
**5**. კითხვაზე თუ რასთან ასოცირდება სტუმართა მხრიდან მათი ,,ნდობის კრედიტი’’ დასახელდა, როგორც კომპანიის იმიჯი და მისი ატრიბუტიკა, ასევე, პერსონალის ან არსებული მომსახურების სერვისის რეპუტაცია. რესპოდენტთა პასუხების პროცენტული მაჩვენებლები( იხილეთ დიაგრამა 1.2.).

***დიაგრამა 1.2 სტუმრის მიერ სასტუმროს „ნდობის კრედიტის’’ განმსაზღვრელი კომპონენტები***




6. კვლევისას ასევე საინტერესო იყო, შეგვესწავლა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტუმრებისთვის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, მათი გადაჭარბება. გამოკითხულთა 55% -მა ძალაინ მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელა აღნიშნული, 38%-მა - მნიშვნელოვნად, ხოლო 7 %-მა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად.
**7**. რესპონდენტთა 69%-მა განაცხადა რომ მათი ,,კმაყოფილების’’ მაღალი დონე პირადპირ გავლენას ახდენს მომსახურების ხელმეორედ შეძენაზე და უკან დაბრუნების ალბათობაზე, ხოლო 24%-მა საშუალოდ მიიჩნია ზემოხსენებული ფაქტორი, 7 %-მა შეაფასა, როგორც უმნიშვნელო გავლენა.
**8.** კითხვაზე, რომლის მიზანი იყო, შეესწავლა თუ რაოდენ მიმტევებლები არიან „ლოიალური“ სტუმრები წარუმატებელი მომსახურების მიმართ და შემდეგ ავრცელებენ თუარა პოზიტიურ შეფასებებს, რესპოდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა, იხილეთ დიაგრამა 1.3. გამოკითხულთა 77 % მიიჩნევს, რომ „ლოიალური“ სტუმრები უფრო ტოლერანტულები არიან წარუმატებელი მომსახურების მიმართ და 86 %-ი მიიჩნევს ასეთი ტიპის სტუმრები ავრცელებენ პოზიტიურ შეფასებებს შესაბამისი სასტუმრო კომპანიების შესახებ.

***დიაგრამა 1.3 „ლოიალური“ სტუმრების ტოლერანტულობა წარუმატებელი მომსახურების მიმართ და მათი შეფასებები***




9. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო, გამოგვევლინა ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სტუმართა „ლოიალურ“ მომხარებლებად ჩამოყალიბებას, (ღია კითხვა). ამ საკითხთან მიმართებაში, რესპოდენტებმა შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებზე გაამახვილეს ყურადღება:

- კარგი პერსონალი, გარემო, პროდუქტი, შენობა, ინტერიერი, ექსტერიერი;
- ინდივიდუალური მიდგომა, პატარა ნიუანსები და ყურადღების ელემენტები;
- სასტუმრო მომსახურების ხარისხი, მომსახურების მაღალი დონე და მასზე მუდმივი ზრუნვა;
- მეგობრული დამოკიდებულება, ყურადღება, პატივისცემა, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა თანამშრომლების მხრიდან;
- მომსახურებასთან დაკავშირებული კომუნიკაცია თანამშრომლებსა და სასტუმროს მენეჯმენტს შორის;
- სასტუმროს მდებარეობა,
- სისუფთავე და კომფორტი;
- ღიმილიანი და ყურადღებიანი პერსონალი. სისუფთავე და კომფორტი, გემრიელი და მრავალფეროვანი საკვები, შეთავაზებები განსატვირთად;
- ყურადღებიანი პერსონალი, პრობლემურ საკითხზე დროული და ეფექტიანი რეაგირება პერსონალის მხრიდან;
- ხარისხი, სერვისი, ფასი.

როგორც ვხედავთ, სტუმართა „ლოიალურ“ მომხარებლებად ჩამოყალიბების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად რესპოდენტთა მხრიდან დასახელებულია საკუთრივ პერსონალი, ხოლო სხვა ჩამოთვლილი კომპონენტებიც: ინდივიდუალური მიდგომა, პატარა ნიუანსები და ყურადღების ელემენტები; მეგობრული დამოკიდებულება, ყურადღება, პატივისცემა, მომსახურებასთან დაკავშირებული კომუნიკაცია თანამშრომლებსა და სასტუმროს მენეჯმენტს შორის, სისუფთავე და კომფორტი, პრობლემურ საკითხზე დროული და ეფექტიანი რეაგირება - მის კომპეტენტურ და კვალიფიციურ მუშაობას უკავშირდება.

II. ***სტუმართა კონტენტ ანალიზის მეთოდით გამოკვლევისას გამოიკვეთა შემდეგი:***

კომპანიის მომსახურების ხარისხის „აღქმისა“ და სტუმართა „კმაყოფილების“ განმაპირობებელი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლების ნაკრები წარმოდგენილია 7 კომპონენტზე დაყრდნობით, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტი მიმართუ-

ლება თანამშრომლებს უჭირავთ. 2537 გამოკითხული რესპოდენტის ბოლო სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით, სასტუმრო „ბილტმორ თბილისმა“ საერთო შეფასების 10 ბალიანი სკალის პირობებში, (საიდანაც 10 ნიშანავს ძალიან კარგს, ხოლო 1 ძალაინ ცუდს) მოიპოვა 8,5 ქულა და როგორც ვხედავთ, ოდნავ ჩამორჩება მაქსიმალური შეფასების მაჩვენებელს. ყველაზე მაღალი ქულა 9,4 მინიჭებული აქვს სასტუმროს ადგილმდებარეობას, ხოლო თანამშრომლები შეფასებულია - 8,6-ით. კომპონენტების მიხედვით ინდივიდუალური შეფასებები შეგიძლიათ იხილოთ დიაგრამაზე 1.4. სტუმრების მიერ ონლაინ ტურისტულ სააგენტო booking.com -ის გვერდზე სასტუმრო „ბილტმორ თბილისის“ შეფასება

***დიაგრამა 1.4 სტუმრების მიერ ონლაინ ტურისტულ სააგენტო booking.com -ის გვერდზე სასტუმრო „ბილტმორ თბილისის“ შეფასება***




## დასკვნა

***თეორიულ-მეთოდოლოგიური და ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად დადგენილია შემდეგი:***

1. სასტუმრო მომსახურების რთული სპეციფიკურობა (მისი არამატერიალურობა, „ემპათიის“ მახასიათებელი, სერვისის წინასწარ შეფასების შეუძლებლობა და სხვა) დიდ გავლენას ახდენს მისი ხარისხის მართვაზე;

2. სასტუმრო მომსახურების ხარისხისზე მოქმედებს ორი მთავარი ფაქტორი: „მომხმარებელი“ და „პერსონალი,“ კონკრეტულად, მათი „კმაყოფილების“ მახასიათებლები;

**3.** „SERVQUAL“-ის ხუთგანზომილებიანი კვლევის ინსტრუმენტი მიმართულია სტუმართა მოლოდინებისა და „აღქმების“ შესაკრებად და სავარაუდოდ ასახავენ მომსახურების ხარისხს;

**4.** მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრების რთული ნაკრების მხედველობაში მიღებით, იგი, მიუხედავად ბევრი კრიტიკისა, რჩება ყველაზე პოპულარულ საზომ ინსტრუმენტად მომსახურების ხარისხის (სტუმართა „აღქმის“) კონცეპტუალიზაციისა და შეფასებისთვის;

5. სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევის შედეგად გამოკვეთილია, რომ სტუმართა „აღქმა“ და მათი „კმაყოფილების“ განმაპირობებელი მახასიათებელი (სხვა კომპონენტთა შორის) დაკავშირებულია კვალიფიციურ პერსონალსა და მათ ინდივიდუალურ უნარებთან, ამასთან დასახელებულია, როგორც მომსახურების საერთო ხარისხის საუკეთესო განმაპირობებელი ფაქტორი;

6. იგივე დასკვნის ჩამოყალიბება შეიძლება თბილისის საერთაშორისო ბრენდირებულ 5* სასტუმროში „ბილტმორ თბილისი“ („ანკეტირებისა“ და „კონტენტ ანალიზის“ მეთოდების გამოყენებით) განხორციელებული კვლევის ფარგლებში. სტუმართა „აღქმისა“ და მათი „კმაყოფილების“ განმაპირობებელ 7 მახასიათებელს შორის, პროფესიონალი, მაღალი კოპეტენციის მქონე პერსონალი დასახელებულია ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად. აღნიშნულ ფაქტორი ასევე დიდ როლს თამაშობს სტუმართა „ლოიალურ“ მხარეებად ჩამოყალიბების პროცესში. ინდივიდუალური მიდგომა, პატარა ნიუანსები და ყურადღების ელემენტები, მეგობრული დამოკიდებულება, ყურადღება, პატივისცემა, მომსახურებასთან დაკავშირებული კომუნიკაცია თანამშრომლებსა და სასტუმროს მენეჯმენტს შორის, სისუფთავე და კომფორტი, პრობლემურ საკითხზე დროული და ეფექტიანი რეაგირება - პერსონალის კვალიფიციურ და ინოვაციურ ხედვაზე ორიენტირებულ მუშაობას უკავშირდება. სტუმართა მხრიდან მათი ,,ნდობის კრედიტად” დასახელებულია როგორც კომპანიის იმიჯი და მისი ატრიბუტიკა, ასევე, პერსონალის ან არსებული მომსახურების სერვისის რეპუტაცია. სასტუმრო „ბილტმორ თბილისს“ მომხახურების ხარისხის მაქსიმალური შეფასებისთვის სჭირდება პერსონალის მართვის სრულყოფის მიმართულებით გარკვეული ღონისძიებათა გატარება;

7. დადასტურებულია შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჰიპოთეზების მართებულობა:

ა) მომსახურების ხარისხი პოზიტიურ კავშირშია სასტუმროში სტუმართა ,,კმაყოფილებასთან“;

ბ) პერსონალი დადებით გავლენას ახდენს სტუმართა „კმაყოფილებაზე“;

გ) სტუმართა ,,კმაყოფილება“ დადებითად მოქმედებს სტუმართა ერთგულებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Katsitadze Nana., Baliashvili Elisabed, Kutateladze Mariam., (2023). „The Trends of the Hotel Indusrtry Development in International and Georgian Markets“., Journal of ECONOMICS AND BUSINESS , 2023, Number 4., ISSN 1987-5789., ESSN 2587-5426., doi 10.56079;

2. Baliashvili Elisabed (2023). „Constituent elements of personnel policy system and its regulation in Georgian tourism and hospitality industry“, International Reviewed Scientific-Analytical Journal „Ekonomisti” #3, 2023, ISSN 1987-6890., ISSN 2346-8432., DOI: 10.36172;

3. Katsitadze Nana., (2018). THE PECULIARITIES OF HOTEL BUSINESS DEVELOPMENT IN NEW TOURISM COUNTRIES: THE CASE OF GEORGIA. International Journal of Business and Management Studies, CD-ROM. ISSN: 2158-1479::07(02):107–118

4. ბრაიან თრეისი, „მარკეტინგი“, გამომცემლობა პალიტრა L, 2018. (2014 Brian Tracy, All rights reserved. Published by arrangement with HarperCollins Leadership, a division of HarperCollins Focus, LLC);

5. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა.ჯაჯი, „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები,“ თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009;

6. Gari Amstrong, Philip Kotler; 7/e. ქართულენოვანი გამოცემა; საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია, თბილისი, 2006;

7. ზერიანიძე მარი, „გარემო ფაქტორების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე და მათი მოხიბვლის მეთოდები," კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021;
8. „The Practice Of Management" by Peter F. Drucker, 1954; 1975
9. „What is Consumer Behavior Research? Definition, Examples, Methods, and Questions", By Nick Jain, Published on: September 8, 2023; Marketing An Introduction;
10. Philip Kotler, Gary Armstrong, Marc Oliver, „Principles of Marketing" 17e Global Edition - Opresnik 2018 Year;
11. Anderson, Fornell, & Lehmann, „Customer Satisfaction, Market Share, and Profitability: Findings from Sweden" 1994 – Journal of marketing
12. Oliver, R.L. (1999). „Whence Consumer Loyalty," Journal of Marketing;
13. Yee et al., „The impact of employee satisfaction on quality and profitability in high-contact service industries," 2008, Journal of Operations Management;
14. Abbas Al-Refaie, „Effects of human resource management on hotel performance using structural equation modeling," Computers in Human Behavior journal homepage: www.elsevier.com/locate/comphumbeh, Article history: Available online 25 November, 2014;
15. N.M. Stefano, N. Casarotto Filho, R. Barichello, A.P. Sohn., „A Fuzzy SERVQUAL Based Method for Evaluated of Service Quality in the Hotel Industry," Volume 30, 2015, The International Academy for Production Engineering;
16. Anne P., Crick, Andrew Spencer.,( 2011) „Hospitality quality: new directions and new challenges", **Source:** International Journal of Contemporary Hospitality Management, Volume 23, Number 4, 2011, **Publisher:** Emerald Group Publishing Limited;
17. Zeithaml, V.A., Parasuraman, A. and Berry, L.L., "Delivering quality service: Balancing customer perceptions and expectations" (1990);
18. Parasuraman A, Zeithaml V, Berry L. „A conceptual model of service quality and its implications for future research". Journal of Marketing. 1985;49(4) 41-50;
19. Parasuraman A, Zeithaml V, Berry L. „Refinement and reassessment of the SERVQUAL scale". Journal of Retailing 67(4):420-450. 1991;
20. Stefano, N.Ma, Casarotto Filho, N.b, Barichello, R.c, Sohn, A.P.d., "A fuzzy SERVQUAL based method for evaluated of service quality in the hotel industry," 2015 Published by Elsevier B.V This is an open access article under the CC BY-NC-ND license;
21. Mont, O.K. „Clarifying the Concept of Product-Service System," 2002. Journal of Cleaner Production, 10, http://dx.doi.org/10.1016/S0959-6526(01)00039;
22. Naek, Morales, Ladhari და Pons ., „10 years of service quality measurement: Reviewing the use of the SERVQUAL instrument", December 2002 Journal of Economics Finance and Administrative Science 7(13): DOI:10.46631/jefas.2002.v7n13.05;
23. (College of Tourism and Hotel Management Dubai https://cothm.ae/about-cothm/)

***Mariam Kutateladze***
*doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*
*Faculty of Economics and Business*

## FACTORS EFFECTING ON QUALITY OF HOTEL SERVICE AND MAIN ASPECTS OF ASSECMENT

### Expanded Summary

In the paper as its title indicates are investigated the factors affecting the quality of the hotel services and the main aspects of their assessment. For any company working in the hotel industry ensuring and maintenance the high quality of the hotel service is a strong lever of its well development. In addition it is closely related to the continues improvement of activities between enterprise representatives and customers.

The essence of the peculiarity of hotel service in many cases is associated with its intangible ‘’perception’’ and indivisibility. When visiting a hotel, guests pay a certain amount not only for accommodation , but also for the impressions received during the provided service. Customers ‘‘’perceptions’’ can be caused by the interior of the hotel and exterior, familiarity with the culture and cuisine of the respective country, qualified staff, expressed attention and appreciation towards him/her , cleanness, comfort and other characteristics.

The staff who have certain communications with the guests, are perceived by tourists as an integral part of service package. Therefore it is very important for the qualifies staff to understand the characteristics of the service and on its bases to carry out effective activities, which includes the provision of high quality of services. There are several versions of the hotel service quality definition. Various foreign researchers emphasize the relationship between ‘’quality’’ and ‘’ satisfaction’’ of guests and bases on it determine the essence of service quality. It consists of tangible elements as well as intangible and subjective components, it is a comparison between the expectations of the guests and the quality received from the hotel. Thus, two main factors affecting the quality of hotel service are ‘’ customer’’ and ‘’staff’’ , specifically their ‘’ satisfaction’’ characteristics.

In the modern scientific ‘’ Service quality of the hotel’ is defined as an abstract and Inaccessible construction, taking into account its characteristics: 1. Blurring of production and consumption; 2. Heterogeneity (non-uniformity) and 3. Indivisibility. As foreign authors point out, the quality of service cannot be objectively evaluated ( measured) as similar as industrial goods are measured. Based on this, the subject of research of many scientists were to define the evaluation tools of the service quality. By the beginning of the 1990s, a group of academic researchers even formulated a service quality assessment tool in the form of a certain ‘’ set’’ of quality determinants. Marketer Parasuramanis and his co-authors developed a conceptual model of service quality, "SERVQUAL," which represents a breakthrough in the measurement methods used to assess service quality. This tool is used as a research method to collect and analyze guest service expectations and service ‘’perceptions’’ in the hotel business. We have discussed the main theoretical aspects of hotel service quality assessment - guests' "perception" of quality and the determining characteristics of their "satisfaction" - in a practical sense, on the example of the internationally branded 5* hotel "Biltmore Tbilisi" ("The Biltmore Hotel Tbilisi" 5*).

The survey was conducted at the end of December 2023.

I. 102 respondents participated in it. A "self-administered" questionnaire was used as a research tool. The direct survey of the respondents were carried out using reliable and recognized data collection techniques - "quantitative research methods", specifically through "questionnaires". The questionnaire was delivered directly to the guests.

II. The survey of visitors was carried out using the method of content analysis. As part of the research, it was interesting to analyze the evaluations left by the guests in relation to the "Biltmore Tbilisi" hotel on the website of the international online travel agency BOOKING.COM (fixed on January 31, 2024). Estimates were based on statistical data generated by 2,537 guests over the past three years (2021-22-23).

The complex use of quantitative research methods - "questionnaire" and "content analysis" allowed us to compare the obtained results and draw common conclusions.

As a result of the theoretical-methodological research carried out by us, the following has been established:

1. The complex specificity of hotel service (its immateriality, "empathy" characteristic, the impossibility of prior assessment of the service, etc. has a great impact on its quality management;
2. Two main factors affect the quality of hotel service: "customer" and "staff", specifically, their "satisfaction" characteristics;
3. SERVQUAL's five-dimensional survey instrument is aimed at gathering guest ‘’expectations’’ and "perceptions" and are likely to reflect service quality;
4. Taking into account the complex set of parameters determining service quality, it remains, despite many criticisms, the most popular measurement tool for conceptualizing and evaluating service quality (guests' "perception");
5. As a result of the research of the theoretical-methodological aspects of hotel service quality assessment, it is revealed that the determining characteristic of guests' "perception" and their "satisfaction" (among other components) is related to qualified staff and their individual skills, and it is named as the best determining factor of the overall quality of service;
6. The same conclusion can be drawn within the framework of the research carried out in the internationally branded 5* hotel "Biltmore Tbilisi" in Tbilisi (using the "questionnaire" and "content analysis" methods). Among the 7 characteristics determining guests' "perception" and their "satisfaction", professional, highly competent staff is named as the most important component. This factor also plays a big role in the process of forming guests into "loyal" parties. Individual approach, small nuances and elements of attention, friendly attitude, attention, respect, service-related communication between employees and hotel management, cleanliness and comfort, timely and effective response to problematic issues - are related to the qualified and innovative vision-oriented work of the staff. From the guests' side, their "credit of trust" is named as the image of the company and its attributes, as well as the reputation of the staff or the existing service. Hotel "Biltmore Tbilisi" needs to carry out certain measures in the direction of perfecting staff management in order to maximize the quality of service;
7. The validity of the following theoretical-methodological hypotheses has been confirmed:

   a) The quality of service is positively related to the "satisfaction" of guests in the hotel;

   b) Staff has a positive effect on guest "satisfaction’’;

   c) Guest "satisfaction" has a positive effect on guest loyalty;

***Keywords:*** *The quality of hotel service; Charachteristics of the hotel services; “Perception” of the quality of service; Guest ”satisfaction”; Guest “loyality”*

ჟურნალი **“ეკონომისტი”**

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal **“Ekonomisti”**

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze